დეკანოზი თეოდორე გიგნაძე

წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიოლოგია

სადოქტორო დისერტაცია

თბილისი. 2020

მიძღვნა



წინამდებარე წიგნს ვუძღვნი ჩემს მღვდლად ხელდამსხმელ ეპისკოპოს ილია მეორეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და ქრისტესმიერ ძმებს – მართლმადიდებელ მღვდლებს – ქრისტეში ერთობის სურვილით.

ჩვენი აზრით, წინამდებარე ნაშრომის გამოცემა მნიშვნელოვანია, რადგან მასში სამეცნიერო სივრცეში პირველადაა ნაჩვენები წმინდა გრიგოლ ხანძთელი, როგორც მღვდელი და მოძღვარი, სულიერი სკოლის დამაარსებელი და განღმრთობილ მდგომარეობას მიღწეული მონაზონი.

წმინდა გრიგოლის პიროვნებით დაინტერესება მნიშვნელოვანია, რამეთუ მისმა ღვაწლმა ყველა მკვლევრის საერთო აზრით, დავითის, თამარისა და რუსთაველის საქართველო შექმნა. საინტერესოა ისიც, რომ VIII-IX სს-ში მოღვაწე წმინდა გრიგოლ ხანძთელმა სულიერი ცხოვრების იმ საზომს მიაღწია, რომელიც ქრისტეანულ ღვთისმეტყველებაში გონიერ ლოცვად და ხელთუქმნელი ნათლის ხილვად იწოდება, რომლის დოგმატური დადასტურებაც ეკლესიაში წმინდა გრიგოლ პალამას დროს, XIV ს-ში, მოხდა. წმინდანის სამღვდელო და სამოძღვრო მოღვაწეობის შედეგად გამოღებული დიადი ნაყოფებიდან გამომდინარე, ამ დიდი მღვდლის მოღვაწეობის შესახებ შექმნილი ნაშრომის გამოცემა, ვფიქრობთ, დიდი სარგებლის მომტანი იქნება თანამედროვე ქრისტეანთათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და
ბიქვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

მადლობა



მადლობას ვუხდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს იმ ხელშეწყობისთვის, რომელიც გამეწია დოქტორანტურაში სწავლისას.

მადლობას ვუხდი თეოლოგიის კათედრას, რომლის ხელმძღვანელია მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, კათედრის ყოველ წევრს გვერდში დგომის, გულშემატკივრობის, ყოველგვარი ხელშეწყობისა და სიყვარულისათვის.

მადლობას ვუხდი პროფესორ დეკანოზ ლევან მათეშვილს, ისტორიის, თეოლოგიის და განათლების მეცნიერებების დოქტორს, დისერტაციაზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდი ცირა (მართა) კილანავას და ირაკლი ხვედელიძეს, რომელთა პროფესიული დახმარების წყალობით ნაშრომის ტექსტი ენობრივად გამართულია.

მადლობას ვუხდი პაატა ჯანაშიას, რომლის წყალობითაც დისერტაციის მონოგრაფიად გამოცემა შევძელით.

მადლობას ვუხდი გიორგი წაქაძეს, რომლის თანადგომითაც მოხერხდა დოქტურანტურაში სწავლა და დისერტაციაზე მუშაობა.

დაბოლოს, მადლობას ვუხდი ნათია კანკიას წიგნისთვის შექმნილი ილუსტრაციების გამო.

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი (სამეცნიერო თემის ხელმძღვანელი: პროფესორი დეკანოზი ლევან მათეშვილი, თეოლოგიის, ისტორიის და განათლების მეცნიერებათა დოქტორი) ორი მიზნით ქვეყნდება:

თანამედროვე საზოგადოებას აჩვენოს, რამდენად დიდი, სამაგალითო მღვდელი და მოძღვარი იყო წმინდა გრიგოლ ხანძთელი; როგორი იყო მისი სულიერი ცხოვრების პრაქტიკა, ეკლესიოლოგიური აზროვნება, მოღვაწეობის ნაყოფი ეკლესიის წიაღში, რომ ასეთი დიდი შედეგი გამოიღო თვით ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეცნიერთა მიერ ჩატარებული გიორგი მერჩულის ნაწარმოების მრავალმხრივი კვლევისა, დასახელებული საკითხები დღემდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი;

ნაშრომის გამოქვეყნების მეორე მიზეზია დღეს ქართულ ენაზე იმგვარი ორიგინალური კატეხიზმოს (ქრისტეანული მოძღვრების საფუძვლების სისტემური გადმოცემის) არარსებობა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. წინამდებარე პუბლიკაცია ჩაფიქრებულია სწორედ ამ დანაკლისის ერთგვარ კომპენსაციად (ბუნებრივია, საკითხთა სისრულესა და სისტემურობაზე პრეტენზიის გარეშე).

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში წმინდა მამათა და თანამედროვე ღმრთისმეტყველთა შრომებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია გიორგი მერჩულის ნაწარმოებში დასმული ეკლესიოლოგიური საკითხები: ეკლესია, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული, მღვდლობა, მოძღვრობა, ისიქაზმი – ლოცვის პრაქტიკა, ევქარისტია, ესქატოლოგია. (ყოველი მათგანი შესწავლილი და წარმოდგენილია ცალკე თავად). „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისადმი“ გაუნელებელი სამეცნიერო ინტერესისა და მრავალმხრივი კვლევების მიუხედავად, აღნიშნული საკითხები პირველად იქცა სპეციალური შესწავლის საგნად.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამ შექმნა ის სულიერი წინაპირობა, რომელმაც განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის რენესანსი, კულტურულადაც და პოლიტიკურადაც ძლიერი ქვეყნის ჩამოყალიბება.

გრიგოლ ხანძთელის სასულიერო ხარისხმა ლოგიკური ინტერესი აღძრა ჩვენში, გამოგვეკვლია თუ როგორი იყო გრიგოლ ხანძთელი როგორც მღვდელი და მოძღვარი (სწორედ მისმა სამღვდელო მოღვაწეობამ შექმნა ის სულიერი გარემო, რომლის შედეგადაც ქართული სახელმწიფო აღორძინდაა). ხოლო იმის გამო, რომ მღვდლობა ეკლესიის ინსტიტუციაა და მის გარეშე იგი არ არსებობს, სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილ იქნა გიორგი მერჩულის ნაწარმოებში ეკლესიის შესახებ დაცული სწავლება. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად გიორგი მერჩულის ნაწარმოების ჰაგიოგრაფიული ხასიათისა (იგი არაა საკუთრივ თეოლოგიური ტრაქტატი ან ჰომილეტიკური ჟანრის თხზულება), მასში მრავლადაა ის პასაჟები, რომლებშიც გადმოცემულია მოძღვრება ეკლესიის, მისი თვისებების, მღვდლობის ინსტიტუციის, მოძღვრობის დანიშნულების, ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების, ქრისტეანობის პრაქტიკული, ანუ ლოცვითი მოღვაწეობის შესახებ. დასახელებული საკითხების ნათლად წარმოჩენისა და მათი საღმრთისმეტყველო ანალიზისთვის (რამეთუ ნაწარმოები სასულიერო მწერლობას განეკუთვნება), საჭირო გახდა როგორც ეკლესიის მამათა, ისე – ახალი დროის ღმრთისმეტყველთა შრომების გათვალისწინება, რათა მათი დახმარებით, აგიოგრაფიული ნაწარმოების პასაჟებიდან გამოგვეკვეთა საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით საგულისხმო მონაკვეთები.

ჩატარებულმა სამუშაომ, განსახილველი ტექსტისა და ღმრთისმეტყველთა შრომების შედარებითმა ანალიზმა, აჩვენა, რომ გიორგი მერჩულის ნაწარმოებში გადმოცემული ეკლესიოლოგიური საკითხები სრულად თანხვდება მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებას. უფრო მეტიც, ამგვარი შედარებითი ანალიზის გარეშე, გიორგი მერჩულის ნაწარმოების მთელი რიგი პასაჟების გაგება და საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით სწორი აღქმა შეუძლებელი იქნებოდა.

მაგალითისთვის, ნაწარმოებში შინაარსობრივად და არა პირადაპირ საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიით გაწყობილი ტექსტებით (ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე), ნაჩვენებია ეკლესიის ისეთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, როგორებიცაა ეკლესიის ევქარისტიული ბუნება, მისი ერთმთლიანობა, ეკლესია როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული, ზეციერისა და მიწიერის გამაერთიანებელი და სიკვდილის მძლეველი.

ტექსტში ასევე გადმოცემულია მღვდლობის ინსტიტუტის რაობა, საღმრთო წარმომავლობა, მისი უმთავრესი დანიშნულება, მის მიერ ქრისტეს საქმის რეალური გაგრძელების შესაძლებლობა, სამღვდელო პირთა მომზადების აუცილებლობა, სულიერი სკოლისა და მისი კეთილი ნაყოფების ჩვენება, მღვდლობაში ადამიანური ფაქტორის დიდი მნიშვნელობა;

ნაწარმოებში განსაკუთრებით წარმოჩინდება მოძღვრის როლი და ფუნქცია ეკლესიის, კარგი მღვდლობის და ზოგადად ერის ცხოვრებაში. ნაშრომში ღმრთისმეტყველთა შრომებზე დაყრდნობით ვეცადეთ გვეჩვენებინა, როგორი იყო და დღეს რა მაგალითის მომცემია გრიგოლ ხანძთელი როგორც მღვდელი და მოძღვარი.

გიორგი მერჩულე თანმიმდევრულად გვიჩვენებს ეკლესიას და ხელისუფალთა შორის ურთიერთობის იმ სამაგალითო მოდელს, რომელიც უაღრესად სასარგებლოა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის.

ინფორმაციული აღმოჩნდა ნაწარმოები სულიერი ცხოვრების პრაქტიკის თვალსაზრისითაც, რომელიც (ჩატარებული კვლევის მიხედვით) სრულად ეთანხმება როგორც ძველ, ისე თანამედროვე მოღვაწეთა სულიერ ცხოვრებას, ასევე – ზოგადად, მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებას.

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში დასტურდება და ნაშრომში განხილულია, ჩვენი აზრით, ორი იმგვარი თემა, რომლებიც

წმინდა გრიგოლ ხანძთელის დიდი მღვდლობის გამოვლინებებს წარმოადგენს. ეს თემებია გრიგოლისა და მისი სულიერი შვილების ევქარისტიული (მადლიერებითი) ცხოვრების წესი და სწორი ესქატოლოგიური ხედვა. ორივე თემა მათი არა მარტო ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების გამომხატველია, არამედ თავადაა კეთილი ნაყოფების გამომღები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და ზოგადად ცხოვრებაში.


მერჩულის ნაწარმოების კვლევის შედეგად წარმოჩინდა, თუ რამდენად დიდ და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა წმინდა გრიგოლის, როგორც მღვდლისა და მოძღვრის მოღვაწეობა იმდროინდელ საეკლესიო ცხოვრების წესზე, მის გარემომცველ ადამიანებზე, საზოგადოების ყველა ფენაზე, მათ კონსოლიდაციასა და მთლიანად სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე. შესაბამისად, ჩვენ მიერ დასმულ კითხვას – როგორ გამოიღო ამ ერთი ადამიანის მოღვაწეობამ ასეთი დიდი ნაყოფები? – პასუხი, მისი როგორც სასულიერო პირის მოღვაწეობის, მახასიათებელთა შესწავლით გაეცა.

თეორიული ხასიათის დასკვნის გარდა, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს: წმინდა გრიგოლი ეკლესიის იმგვარი მოღვაწეა, რომ იგი ყოველი ეპოქის ქრისტეანთათვის მუდამ მისაბაძ იდეალად რჩება. ნაწარმოების თეოლოგიური ანალიზის შედეგად კარგად წარმოჩნდა ის პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები, პრინციპები და ქმედებანი, ინტელექტუალური და სულიერი ცოდნა, ღვაწლი და სწორი შემოქმედებითი შრომა, რომლებიც დღევანდელი სასულიერო პირებისა და ზოგადად ქრისტეანთათვისაც სასარგებლოა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: საკუთრივ სამეცნიერო (ტექსტის თეოლოგიურად შესწავლის) მიზნის გარდა, ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ ქართული კულტურისთვის გამორჩეული მნიშვნელობის მქონე ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ტექსტობრივ (და არა – ქვეტექსტურ) დონეზე დადასტურებულია ღმრთისმსახურების ის პრაქტიკა, რომელიც ქრისტეანულ კულტურაში გამოძახილს პოულობს მოგვიანებით, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, წმინდა გრიგოლ პალამას მოღვაწეობის სახით (ამ დროს, მე-14 საუკუნეში, ისიქაზმი,[1] როგორც მართლმადიდებლობის, მოციქულთაგან

[1] *ტერმინის ქართულ შესატყვისად გამოიყენება პარალელური ფორმები:*

მიღებული ჰეშმარიტი გამოცდილება, კრებსითად, დოგმატურად დადასტურდა და განმტკიცდა [2]). პრაქტიკული თვალსაზრისით კი ესაა ღმრთისმსახურების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სხვებთან ერთად ქართული ეკლესიის ტრადიციად გვევლინება.



ისიხაზმი/ისიქაზმი. ორივე ფორმის ლეგიტიმურობას აქვს ლოგიკური ახსნა: თუ ვიხელმძღვანელებთ ანალოგიის პრინციპით (ქრისტე, ევქარისტია, ფსიქოლოგია...), მაშინ სწორია ისიქაზმი, მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ ახალი ბერძნულის ფონეტიკური პრინციპებით (როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ახალ ბერძნულში ძველი ბერძნულის ფონეტიკა შენარჩუნებულია), მაშინ სწორი ფორმაა ისიხაზმი. რაკი ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ეს ფორმა არ იძებნება, ნაშრომში გამოყენებულია ფორმა ისიქაზმი.

[2] „ისიქაზმი“– აღმოსავლეთის ქრიტეანობის მონასტრული მჭვრეტელობის ძველი ტრადიცია..., რომელიც პალამამ სრულად და უპირობოდ გაითავისა... და მიზნად დაისახა მისი წარუვალი დოქტრინალური და სულიერი ელემენტები გამოევლინა“. (იოანე მეინდორფი. წმინდა გრეგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. V. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020)

შინაარსი

მიძღვნა 3

მადლობა 5

წინათქმა 6

რეზიუმე 7

შესავალი 13

თავი I

ეკლესია – ქრისტეს სხეული 23

1.1 ეკლესიის საკითხი გიორგი მერჩულის
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ 23

1.2 ეკლესია როგორც ერთი სხეული 32

1.3 ეკლესია-ქრისტეს სხეული 48

1.4. ეკლესია – ზეციურისა და მიწიერის ერთობა 58

1.5 ერის, ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა;
წმინდა გრიგოლ ხანძთელის ღირებულებათა ტრიადა. 65

თავი II

მღვდლობის მსახურება 78

2.1 მღვდლობა „წმინდა გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრების“ მიხედვით 78

2.2 მოძღვრობა „წმინდა გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრების“ მიხედვით 113

თავი III

ლოცვის პრაქტიკა 140

3.1 გონიერი ლოცვის პრაქტიკა
„წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით 140


3.2. წმინდა გრიგოლ ხანძთელის ევქარისტიული
(მადლიერებითი) მოღვაწეობა. 207


თავი IV

წმინდა გრიგოლ ხანძთელის ესქატოლოგია 220

დასკვნა 230

გამოყენებული ლიტერატურა 233





შესავალი

ქართულ სამეცნიერო სივრცეში მრავალმხრივაა შესწავლილი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები. კვლევითი ნაშრომების მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, მაინც რთულია, სწორად და სათანადოდ შეფასდეს ის მნიშვნელობა, რომელიც გრიგოლ ხანძთელის, ამ დიდებული წმინდანის, მოღვაწეობას აქვს ჩვენი ერის, მისი კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და დღევანდელობის წინაშე. ამასთან, ჩვენი აზრით, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა, და შესაბამისად, თავად გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, „ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა", ძალზე საინტერესო და დღევანდელობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეკლესიოლოგიური[1] თვალსაზრისით. ბუნებრივიცაა: გრიგოლ ხანძთელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მოღვაწეა, ხოლო წმინდანობის ინსტიტუტი ეკლესიაში მათდამი (წმინდანებისადმი) მიბაძვის აუცილებლობითაა განპირობებული – „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა" (1კორ.11,1); „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ძმანო, და ხედევდით, რომელნი-იგი ესრეთ ვლენან, ვითარცა-ესე ვართ ჩუენ სახე თქუენდა" (ფილ. 3,17).

ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის სიდიადის გააზრება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მასზე, როგორც საეკლესიო მოღვაწეზე დაკვირვებას. აღნიშნულ კონტექსტში აუცილებელია იმ მსოფლმხედველობრივი წანამძღვრების გათვალისწინება, თუ რას წარმოადგენს ქრისტეს ეკლესია და რა სახის კავშირი არსებობს მართლმადიდებლურ თეოლოგიას, ქრისტეს მოძღვრებასა და ქრისტეს ეკლესიას შორის:

---

[1] *ეკლესიოლოგია, ღმრთისმეტყველური მოძღვრება, სწავლება ეკლესიის შესახებ (ელერდაშვილი ა. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად). თბილისი: ფანტაზია, 2006, I გამოცემა. (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=71850, ბოლო წვდომა – 19.04. 2019).*



თანამედროვე მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველება, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიოლოგიური ღმრთისმეტყველებაა. სწორედ ეკლესიოლოგია განსაზღვრავს დღეს მართლმადიდებლობის საზრისსაც და ცხოვრებასაც. ეკლესია მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველებისათვის ძირითად საიდუმლოებას, თავად ქრისტეანობას, წარმოადგენს. ქრისტეანობის გააზრება, თუ არა როგორც ეკლესიისა, წარმოუდგენელია. ქრისტეანობა სამყაროში წარმოიშვა როგორც ეკლესია, ანუ როგორც განკაცებული სიტყვა ღმრთისა, ქრისტეს მისტიკური სხეული. მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველებისათვის ეკლესიოლოგია ქრისტოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია; ის მისი გაგრძელებაა; ეკლესიოლოგია თავად ქრისტოლოგიაა სოტერიოლოგიასთან ერთობაში. პავლე მოციქულის მიხედვით, ეკლესია ქრისტე მაცხოვრის სხეულია, ცოცხალი სხეული ცოცხალი ღმერთკაცისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკლესია თავად ქრისტეა, ქრისტე ხორცში და თავის ხორცთან ერთობაში. ქრისტე, პავლე მოციქულისავე თქმით, ეკლესიის სხეულის თავია და პირმშო და სისავსეა სხეულისა (ეკლესიისა); ეკლესია ქრისტეს სისავსეა. ამასთან, ქრისტე როგორც თავი და პირმშო, მხსნელია სხეულისა (ეკლესიისა).[2]

ქრისტეს, იგივე ეკლესიის მოძღვრება ადამიანის ცხონებას უკავშირდება. ცხონება, ანუ გადარჩენა ღმერთთან ერთობაა; უფრო ზუსტად, მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, ცხონება ღმერთთან ისეთი ტიპის ერთობაა, რომელსაც არცერთ რელიგიურ მოძღვრებაში ანალოგი არ გააჩნია. ეს ერთობა ამ სამყაროში, დედამიწაზე იწყება და თავს ავლენს როგორც ეკლესია. თუმცა, ერთობა (ღმერთისა და ადამიანისა) შედგა და დაიწყო მაცხოვრის მიერ ეკლესიის დაარსებამდე, თავად ძე ღმერთის განკაცებით, ანუ ძე ღმერთის მიერ ადამიანური ბუნების ჰიპოსტასირებით[3], რაც ნიშნავს იმას, რომ ძე ღმერთმა თავის ღმრთაებრივ ჰიპოსტასში, პიროვნებაში

---

[2] *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. стр. 14. Москва: Новоспасский монастырь. 2009. (აქ და შემდგომ თარგმანი ეკუთვნის დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს).*

[3] *ჰიპოსტასირება – ის, რაც კერძოობას, კონკრეტულობას და დამოუკიდებლობას ანიჭებს საგანს ან არსებას [რუხაძე, გ. საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი. გვ. 331-338, 340 თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2013, II გამოცემა].*

სრული ადამიანური ბუნება (სული და ხორცი) შეიერთა.

რაც შეეხება ეკლესიის, როგორც ღმერთკაცობრივი ორგანიზმის, დაარსებას, იგი ღმრთის განკაცებიდან გამომდინარე, აუცილებელი შედეგი იყო; ანუ ქრისტეში ღმერთისა და ადამიანის ერთობას აზრი იმდენად აქვს, რამდენადაც ეს ერთობა გაგრძელდა სხვა ინდივიდებისა და პიროვნებებისათვის. სწორედ ღმრთისა და ჩვენს ამ ერთობას წარმოადგენს ქრისტეს ეკლესია. შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის დაარსების გარეშე, ღმრთის განკაცების უდიდესი საიდუმლოება, ღმრთის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლი, წარსულში ჩაკარგულ ისტორიულ ფაქტად დარჩებოდა; თითოეული ადამიანისათვის მხოლოდ ზნეობრივი მაგალითის მომცემი იქნებოდა, ხოლო რეალური გადარჩენისათვის (რაც სწორედ ღმერთისა და ადამიანის ერთობას ნიშნავს) ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.[4]

ზემოთ წარმოდგენილი მსოფლმხედველობრივი წანამძღვრების გათვალისწინების შემდეგ შესაძლებელია, აიხსნას ნაშრომის საკვლევი საკითხის („წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ეკლესიოლოგიურ კონტექსტში შესწავლის) აქტუალობა. მას ორი მთავარი მიზეზი განაპირობებს:

1. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მერჩულის მიერ დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულების შესახებ სხვადასხვა ტიპისა და დარგის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა,[5] არ არსებობს

---

[4] *„ჩვენი ერთობა (ეკლესიაში) – არა ზნეობრივი, არა იდეოლოგიური, არა ემოციური, არა მეგობრული, არა კორპორატიული, არამედ სხეულებრივ-ორგანულია" (Архимандрит Георгий, игумен монастыря преподобного Григория. «Православие и гуманизм. Православие и папизм». Стр. 18. Святой монастырь преподобного Григория. Св. Гора Афон, 1998, «Панагия» Пермь. 2005).*

[5] *წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ასევე – ხელნაწერის ტექსტოლოგიური კვლევების ისტორიის შესახებ უკანასკნელ პერიოდში ორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კრებული გამოიცა: 1. „წმიდა გრიგოლ ხანძთელი" (პროექტის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ილია ნასიძე; სარედაქციო საბჭო: რევაზ სირაძე, გრიგერ ფარულავა, მანანა ტუსკია, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2006 წ.); 2. „უდაბნოთა ქალაქმყოფელი წმიდა გრიგოლ ხანძთელი" (რედაქტორი დარეჯან მენაბდე, სარედაქციო კოლეგია: ივანე ამირხანაშვილი, გიორგი ალიბეგაშვილი, გოჩა კუჭუხიძე, ზვიად ტყეშელაშვილი. ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი. თბილისი. 2018 წ.). ამ უკანასკნელში წარმოდგენილია ი. ნაცვლიშვილის ვრცელი მიმობილვითი წერილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესწავლის ისტორიისა და თანამე-*

კვლევა, რომელიც არქიმანდრიტ გრიგოლ ხანძთელს წარმოაჩენდა, როგორც ქრისტეს მღვდელს, მონასტრის წინამძღვარს, ქრისტეს საქმის გამგრძელებელ, ქრისტესა და ცხონების მაძიებელ, სხვებისთვის (უპირატესად – მღვდლებისათვის) მაგალითის მიმცემ საეკლესიო მოღვაწეს. წმინდა გრიგოლ ხანძთელი არა მხოლოდ ლიტერატურული ფიგურა, არა მხოლოდ ზნეობრივი მაგალითი, არა მხოლოდ საზოგადო, ეროვნული მოღვაწე და დავითის, თამარისა და რუსთველის საქართველოს საფუძვლის ჩამყრელი (ხოლო თავად ნაწარმოები არა მხოლოდ ისტორიული და ფილოლოგიური კვლევების საგანია), არამედ იგი მართლმადიდებელი ეკლესიის ის მოღვაწეა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით, საკუთარ თავში ღმრთის ძიებისა და განღმრთობის მრავალსაუკუნოვანი სკოლა გააცოცხლა. ამ გზით მან როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოებრივ აღორძინებას შეუწყო ხელი. აღნიშნული (ეკლესიოლოგიური) თვალსაზრისით კი, მიუხედავად უკვე ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევისა, „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, შეიძლება ითქვას, რომ შეუსწავლელია.

2. შესასწავლი საკითხის აქტუალობის მეორე მიზეზი თავად დღევანდელი საქართველოს ეკლესიურობას ეხება, რამეთუ სამოცდაათწლიანმა ათეისტურმა რეჟიმმა დაღი დაასვა ჩვენს ქრისტეანულ ცხოვრებას; ფაქტობრივად, განადგურდა სულიერი ცხოვრების სკოლა, რომელიც, დროის თვალსაზრისით, ეკლესიის სხეულის რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდის პროპორციულად ვერ განვითარდა. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მართლმადიდებელი მრევლი რიცხობრივად საგრძნობლად გამრავლდა, გაიხსნა უამრავი ტაძარი, ამოქმედდა ბევრი მონასტერი, იკურთხა და მოღვაწეობს ბევრი სასულიერო პირი, გვაქვს არაერთი სასულიერო სასწავლებელი, თვალსაჩინოა სულიერი

დროვე მდგომარეობის შესახებ. სტატიის ავტორი რამდენიმე მიმართულებით წარმოაჩენს დასახელებული ჰაგიოგრაფიული ძეგლის შესწავლის ისტორიას. ესენია: ხელნაწერის აღმოჩენა და კვლევა (ნ. მარის, მ. საბინინის, ალ. ცაგარლის, ნ ჩუბინაშვილის კვლევები); ტაო-კლარჯეთის, როგორც ქართლის ნაცვალი სახელმწიფოებრივი ცენტრის პარადიგმა და ზოგადად, იდეოლოგიური მოდელები (რ. სირაძის შრომები); ტერმინოლოგია (ე. ჭელიძის, ნ. სულავას, გ. ფარულავას და სხვ. შრომები); გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა (პ. იწგოროყვას, ა. ონიანისა და ე.ჭელიძის კვლევები); თეოლოგიური საკითხები (აქ გამოყოფილია რ. ბარამიძის, გ. ზვიადაძის, რ. ფარულავას, რ. სირაძის, ა. ჯაფარიძის, ვ. მაღლაფერიძის კვლევები).

გამოცდილების დეფიციტი. ამ მდგომარეობის ფონზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წმინდა გრიგოლ ხანძთელის სულიერი ცხოვრების წესის შესწავლა.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არც ისე დიდი ხნის წინ, მე-19 ს-ის ბოლოს, იქნა აღმოჩენილი, ხოლო მისი მეცნიერული ანალიზი, გასული საუკუნის დასაწყისში ნიკო მარმა დაიწყო.[6] ბუნებრივია, რომ მას შემდეგ მრავალი მეცნიერის ინტერესის საგანი იქნებოდა ამ დიდი მოღვაწის შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული თხუზულება (მათი ერთი ნაწილი ჩვენ უკვე დავიმოწმეთ სქოლიოში).

ყველა გამოკვლევა უაღრესად საინტერესო და ბევრის მომცემია, თუნდაც იმ ტიპის კვლევები, რომელთა მეშვეობითაც გრიგოლ ხანძთელის, როგორც რეალური პიროვნების[7] და თავად ნაწარმოების

---

[6] *ნაწარმოები დაცულია ერთადერთ მოგვიანო ხანის (დაახლოებით XI საუკუნის დასასრულის) ხელნაწერ კრებულში (157-229 ფურცლებზე), რომელიც ინახება იერუსალემის საპატრიარქო წიგნსაცავის ქართულ ხელნაწერთა ფონდში მე-2 ნომრით. ამ ხელნაწერს პირველად 1845 წელს გაეცნო ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, რომლის შრომა „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ მოგვიანებით, 1889 წ-ს, დაიბეჭდა წიგნში „Сведения о памятниках грузинской письменности“ (ტ. III, გვ. 44-52). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერს ადგილზე (იერუსალემში) გაეცნო ნიკო მარი 1902 წელს, გადმოიღო ის და 1911 წელს კრიტიკულად გამოსცა კიდეც რუსული თარგმანითურთ. თხზულების ლათინური თარგმანი 1923 წელს გამოსცა ბელგიელმა ორიენტალისტმა პ. პეტერესმა ჟურნალ „Analecta Bollandiana“- ს XXXVI-XXXVII ტომებში. მერჩულის ნაწარმოების შესწავლაში გზამკვლევი იყო ნ. მარის ზემოთ დასახელებული პუბლიკაცია და მასზე დართული ნაშრომი, ხოლო პ. ინგოროყვას დიდტანიანმა მონოგრაფიამ კიდევ უფრო წინ წასწია მერჩულის ვინაობის, ძეგლის შექმნის გარემოს, მისი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობის შესწავლის საქმე. ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და სხვათა შრომებმა კი მეტად დააზუსტა თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის საკითხები. გიორგი მერჩულე მოსწრებია 861 წელს გარდაცვლილი გრიგოლის არა მარტო მოწაფეთა მოწაფეებს, არამედ უშუალო მოწაფეებსაც..“. (კორნელი დანელია. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. სასკოლო გამოცემა 1986 წ. წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli. გვ. 47-48. გამომცემლობა არტანუჯი. 2006 წ.).*

[7] *„წმ. გრიგოლ ხანძთელის პიროვნების მასშტაბურობა გარკვეულ წილად წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ ფაქტთან, რომ წმ. მამის ხსენება არ გვხვდებოდა ადრინდელ ლიტურღიკურ ძეგლებში... წმ. გრიგოლ ხანძთელის ხსენება პირველად ფიქსირდება XI საუკუნის ხელნაწერის, A-97-ის არშიაზე (გიორგი*

ისტორიული თვალსაზრისით სანდოობა დასტურდება,[8] მაგრამ საკუთრივ ეკლესიოლოგიური/სოტერიოლოგიური თვალსაზრისით კვლევა, როგორც აღინიშნა, არ ჩატარებულა.

წმინდა გრიგოლ ხანძთელის პიროვნება მის მიერ მომუშაკებული ნაყოფით ხდება საცნაური. ეს ნაყოფი კი უდიდესია. საქართველოს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომლის ღვაწლსაც სულიერი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ამგვარი მასშტაბური შედეგი გამოეღოს ქვეყნისათვის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ წმინდა გრიგოლის ღვაწლმა მოიტანა შედეგად დავითის ძლევამოსილი და თამარის დიდი საქართველო. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოსაზრება ბევრ მკვლევარს, მათ შორის – რ. ბარამიძეს აქვს გამოთქმული.[9] მკვლევრები გრიგოლ

მთაწმინდელის სვინაქსარი)... წმინდა გრიგოლის მორიგი ხსენება მხოლოდ XIV საუკუნის ხელნაწერში დასტურდებოდა... მცირე ხნის წინ გამოჩნდა სვინაქსარის XII საუკუნის ნუსხა, რომელიც შეიცავს წმინდა გრიგოლის ხსენებას... გრიგოლ ხანძთელის ხსენება დასტურდება ასევე XIV საუკუნის სადღესასწაულოში... ხელნაწერების მეცნიერულმა ანალიზმა და შედარებებმა საშუალება მოგვცა შემდეგი დასკვნა გაგვეკეთებინა, რომ ხელნაწერებში წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხსენება შემთხვევითი და ერთეული მოვლენა არ არის... პირიქით, წმინდანის ხსენების გაჩენა სვინაქსარებში გარკვეული ტრადიციის მაჩვენებელია" (ქეთევან ასათიანი. წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხსენებები ნათარგმნ ლიტურღიკულ წყაროებში. საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. გვ. 92-93. 5-8 ოქტომბერი 2010 წ.).

[8] შდრ.: „გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში თითქმის ორას, მაინც-და-მაინც ას ოთხმოცდა ათი წლის წინათ მომხდარი ამბები აქვს მოთხრობილი და რასაკვირველია, ამგვარს არათანამედროვისაგან დაწერილი საისტორიო წყაროს მკვლევარმა თითოეული ცნობა ყოველმხრივ უნდა ასწონ-დასწონოს, რომ ამრიგად მისი ეჭვმიუტანლობა და სიმართლე გამოარკვიოს. ასეთმა გულდასმითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ მერჩულის ნაწარმოები რამდენადაც სხვა წყაროებითგან ცნობილს პირებსა და მოღვაწეებს შეეხება, საზოგადოდ სანდო თხზულებაა და ნამდვილს უტყუარს ცნობებს შეიცავს." (ცნობილია ივანე ჯავახიშვილის კრიტიკული დამოკიდებულება წყაროების მიმართ, ამიტომ მისი ეს სიტყვები უაღრესად მნიშვნელოვანია./თ. გ./) (ივანე ჯავახიშვილი. თხზ. ტ. VII. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)" გიორგი მერჩულე. წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli. გამომცემლობა არტანუჯი. 2006 წ. გვ.10)

[9] „გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა გააზრებულია როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქის მსოფლმხედველობრივი კონცეფციის განმსაზღვრელი და

ხანძთელის მოღვაწეობის მნიშვნელობის გვერდით, იმდროინდელ ერის მძიმე სულიერ და ზნეობრივ მდგომარეობაზეც ამახვილებენ ყურადღებას და მსგავს მდგომარეობაში მყოფი ერის გაერთიანებას, მისი სულიერი და ეკლესიური აღორძინების გარეშე შეუძლებლად მიიჩნევენ.[10]

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნისათვის ამგვარი ნაყოფის გამომღები ადამიანი საეკლესიო მოღვაწეა, მღვდელია, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორი იყო გრიგოლ ხანძთელი როგორც სასულიერო პირი, რა მაგალითს იძლევა იგი, როგორ გააცოცხლა ქრისტეს მოძღვრება თავის თავში, როგორ მოახერხა მან მურვან ყრუს შემოსევების ეპოქაში უდიდესი სამონასტრო კერების დაარსება და აღორძინება, როგორ მოახდინა გავლენა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღორძინებაზე, ანუ როგორი იყო მისი მოღვაწეობა ეკლესიოლოგიური და სოტეროლოგიური თვალსაზრისით? ამ კითხვებზე პასუხი თავად განკაცებული ძე ღმერთის, იესუ ქრისტეს (რომლის მღვდელიც და მიმბაძველიც იყო გრიგოლ ხანძთელი) მოღვაწეობაშია საძიებელი.

განკაცებულმა ღმერთმა, იესუ ქრისტემ, უარყო სატანისაგან შეთავაზებული[11] სამყაროს ფერისცვალების, გარდაქმნის გზა და მეთოდი, გამხდარიყო მბრძანებელი და ძალით, სამართლებრივად, იურიდიული მმართველობით შეეცვალა ქვეყნიერება. მან სხვა, საკუთარ თავში, ზოგადადამიანური ბუნების, და შესაბამისად, ყოველი ადამიანის შინაგანი ფერისცვალების, ადამიანური ბუნების განწმენდის, განკურნების გზა დაგვისახა; ასეთ დროს თავად ადამიანის შინაგანი სამყარო იცვლება, რამეთუ მასში ქრისტე

მოსამზადებელი წინა საფეხური"; „გრიგოლ ხანძთელმა საფუძველი დაუდო კულტურის დიდი კერის აღორძინებას, რომელმაც სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი რუსთაველის ეპოქის შექმნას"; „ხოლო ამ ყოველივეს რკინის ჯავშნად ესაჭიროებოდა რა სახელმწიფოებრივი ძლიერება და ხალხის, ერისა და ბერის დარაზმვა, აქაც, ამ ყოველივეს მოთავედ მკვლევრები, მაგალითად, ვასილ კარბელაშვილი, წმინდა გრიგოლ ხანძთელს მიიჩნევენ" (ბარამიძე რ. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება. გვ. 2; 58; 111. თბილისი: „დედაენა". 2001).

[10] ბარამიძე რ. 2001. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება. გვ.10. თბილისი: „დედაენა".

[11] „კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე" (მათ. 4,8-10).

ცხოვრობს: „მე კი აღარ ვცოცხლობ, არამედ ჩემში ცოცხლობს ქრისტე“ (გალ. 2,20); ქრისტეანი ადამიანი მეორედ ნაშობია (იოან.3,3), ახალი ქმნილებაა (გალ.6,15), ზეციური მამის შვილია (იოან.20,17), ქრისტეს თანამემკვიდრეა (რომ.8,17; ეფეს.1,11) და როგორც წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი წერს: „ბნელი, რომელშიც ნათელი გამობრწყინდა, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ადამიანია; ასევე ცეცხლი, რომელიც უფლის ნებით ქვეყანასა ზედა უნდა აღიგზნას (ლუკ. 12,49), ადამიანში ინთება.“[12] ასეთმა ადამი_ანებმა კაცობრიობა ყოვლად წმიდა ღმრთის ნათლით უნდა განანათლონ: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჴელეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა... ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5,14,16); ხოლო საკუთარ თავში ამ ნათლის მოხვეჭით, ღმრთისკენ გზის გამკვალავნი უნდა გახდნენ სხვათათვის; და ბოლოს, ასეთნი ხდებიან მარილნი, ხრწნისაგან სამყაროს შემკავებელნი: „თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განჴარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არს მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ“(მათ.5,13). შესაბამისად, ასეთმა ადამიანებმა უნდა შეცვალონ სამყარო.



ეკლესიის წიაღში ღმერთთან თანამშრომლობაში მყოფი, მოღვაწე ადამიანი, ვარჯიშობს რა ღმერთში სრულყოფილებისათვის: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათ. 1,48), შემოქმედებითი ასკეტური ღვაწლით თავისუფლებას მოიპოვებს და თავის გარშემო „ახალ ზებუნებრივ სინამდვილეს ამკვიდრებს.“ გარდა ამისა, როგორც პ. ფლორენსკი აღნიშნავს: „საკუთარი თავის იდეალურ პორტრეტს ავლენს”, ანუ პიროვნულად რეალიზდება[13]

---

[12] *Преподобный Симеон новый богослов. Божественные гымни. Гымн-1. https://azbyka.ru/otechnik/Simeon-Novyj-Bogoslov/gimny/, ბოლო წვდომა: 19.04. 2019.*

[13] *ფარულავა გ. „წმიდა გრიგოლ ხანძთელი“ (კრებულიდან: ნათელი ქრისტესი – საქართველო | The Light of Christ – Georgia | Свет Христов – Грузия). წიგნი 1, გვ. 19 თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003. (http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Griver-Farulava-grigol-Khandzteli.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 19.04.2019).*

ამგვარი ღვაწლით, როგორც დეკანოზი ვლადისლავ სვეშნიკოვი წერს, საფუძველს უყრის ახალ ცივილიზაციას:

> პავლე მოციქულის ცხოვრების ზნეობრივი მდგენელი ახალი, ქრისტეანული ცივილიზაციის გამომაჩინებელია. ამ ცივილიზაციის ხერხემალი მოღვაწის კეთილი ღვაწლია: „რამეთუ მე აწ ესერა შევიწირვი, და ჟამი იგი მიქცევისა ჩემისაჲ მოიწია. ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს“ (2ტიმ. 4,6-7).[14]

ჩვენ შემთხვევაში წმინდა გრიგოლი ახალ საქართველოს უყრის საფუძველს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები უაღრესად საინტერესოა ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით. ნაწარმოებში დასმული საკითხები (მაგალითად, საკუთრივ ეკლესიოლოგია, ასევე, სოტერიოლოგია, ლიტურგიკა, მღვდლობა, მონაზვნობა, ქორწინება, ესქატოლოგია) თეოლოგიის არაერთ განშტოებას ეხება. თითოეული საკითხის სიღრმისეული ანალიზი ეპოქის კომპლექსურ სურათსაც შექმნის და წმინდანის დიდებულ პორტრეტსაც მისაბაძ მაგალითად დასახავს.

როგორც აღინიშნა, ნაწარმოებში დასმულ ეკლესიოლოგიურ საკითხთა სპექტრი ძალზე ფართოა. წინამდებარე ნაშრომში კი განხილული იქნება შემდეგი:

ეკლესიის საკითხი გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში; ეკლესია, როგორც ერთი სხეული; ეკლესია – ქრისტეს სხეული; ეკლესია – ზეციურისა და მიწიერის ერთობა; ერის, ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა; მღვდლობა; მოძღვრობა; გონიერი ლოცვა, ისიქაზმი; ევქარისტია-მადლიერება; წმინდა გრიგოლ ხანძთელის ესქატოლოგია.


იმის გამო, რომ ღმრთის წინაშე ყველა ცოცხალია – „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისააკისი და ღმერთი იაკობისი [...] არა არს ღმერთი – ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ“ (მათ. 22, 32), ხოლო ეკლესია, როგორც მოზეიმე, გამარჯვებული, ანუ გარდაცვალებულთა, ე. ი. უფალთან გარდასულთა, და ეკლესია, როგორც ამა სოფლის სულთან, ცოდვასთან მებრძოლი, ანუ ჯერ კიდევ ხორცში მყოფთა, არის არა ორი და განცალკევებული, ერთმანეთთან კავშირის არმქონე, არამედ ერთი

---

[14] *Свешников, В. (Протоиерей). Нравственное благовестие апостола Павла. Стр. 23-24. Москва: Сретенский монастырь. 2018.*

და მთლიანი, წმინდა გრიგოლ ხანძთელი, როგორც ღმერთთან მყოფი და ჩვენ, თანამედროვე ქრისტეანები, ერთი ეკლესიის წევრნი, ნაწილნი ვართ; შესაბამისად, წმინდა გრიგოლ ხანძთელი, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი ღმერთის წინაშე მყოფი ცოცხალი ადამიანია, რომლისადმი მიბაძვა თანამედროვე ქრისტეანების ვალდებულებაა: „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ძმანო“ (ფილიპ.3,17); შესაბამისად, ეკლესიის ცხოვრებასა და სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობაში წმინდა გრიგოლის გამოცდილების გათვალისწინება პრინციპულად მნიშვნელოვანია.





თავი I
ეკლესია – ქრისტეს სხეული

1.1 ეკლესიის საკითხი გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

„ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი...“ (მათ.16,18)

21 საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში მრავალმხრივ გამორჩეული ეპოქაა, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის/სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევებით. ჯერ კიდევ ცოცხალი და ქმედითუნარიანია თაობა, რომელიც ძველ ტექნოლოგიებში, კონსერვატორულ ზნეობრივ ნორმებსა და „მოძველებულ“ ღირებულებათა იერარქიაში ცხოვრობდა; ამავდროულად, ცხოვრების ასპარეზზეა ახალი თაობა,[1] რომლისათვისაც ზემოთ ჩამოთვლილი პარადიგმები განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებად აღიქმება. ახალი მსოფლმხედველობითი ორიენტირები დღევანდელ ადამიანებს არათუ პოსტმოდერნისტულ, არამედ ისეთ რეალობაში გვამყოფებს, რომელშიც ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება და გაურკვეველი მიმართულებით, არაპროგნოზირებულად მიემართება. ეს მდგომარეობა ეხება კაცობრიობის არსებობის ყველა სფეროს და მათ შორის – რელიგიურ აზროვნებასა და ინტერესებსაც.

დღევანდელი ადამიანისათვის, განსაკუთრებით ევროპული ცნობიერების მქონისათვის, ნიშანდობლივია, ერთი მხრივ, ჰედონიზმისა და ერთგვარი რელიგიური ცნობიერების სინთეზი; მეორე მხრივ, ქრისტეანობისა და სხვა რელიგიების ერთ კონტექსტში მოაზრება, როგორც თანაბრად მნიშვნელოვანი

[1] *თანამედროვე განათლების მეცნიერებებში განსაკუთრებული/უნიკალური უნარების მქონედ მიიჩნევა ე.წ. „ზეტ თაობა“ (1995-2010 წლებში დაბადებულები), რომელთანაც კომუნიკაცია „ძველი“ თაობის წარმომადგენლებისათვის ტექნოლოგიური ცოდნისა და უნარების ფლობას მოითხოვს.*

მსოფლმხედველობრივი სისტემებისა. მაგრამ რელიგიათა ამგვარი გათანაბრების მიზეზად თეოლოგიური აზროვნების უმწიფრობა უნდა მივიჩნიოთ, რადგან საკმარისია, ცოტა უფრო ღრმად ჩაიხედოს ადამიანმა რელიგიურ სისტემებში, რომ იმავე წამს აღმოაჩენს მათ შორის არა უბრალო, არამედ ფუნდამენტურ განსხვავებებს, რომელთა მიზეზი სხვადასხვა თეოლოგიური სისტემის მიერ მოწოდებული განსხვავებული მიზნები და გზებია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არაა აღნიშნულ განსხვავებათა წარმოჩენა და გაანალიზება, მაგრამ არის საკითხები (ეკლესია, მღვდლობა, მოძღვრობა და ისიქაზმი), რომლებიც ქრისტეანობას და კონკრეტულად მართლმადიდებლობას, სხვა ტრადიციულ რელიგიებთან მიმართებით, წარმოაჩენს როგორც უნიკალურ მოძღვრებას. იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრიობა უმჭიდროესადაა დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან, განუზომლად დიდია მართლმადიდებლობის როლი ქართული სახელმწიფოს შექმნასა და აღმშენებლობაში. მიგვაჩნია, რომ დღესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობის, როგორც ქართული იდენტობის გარანტის, როლი. ეს, ეროვნული იდენტობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ჰაგიოგრაფიული ჟანრის კანონების დაცვით, გიორგი მერჩულის ნაწარმოებშიც ხაზგასმულია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ ჰაგიოგრაფიული და არა თეოლოგიური თხზულებაა, და შესაბამისად, მისი ავტორის მიზანი არაა საღმრთისმეტყველო საკითხების სიღრმისეული წარმოჩენა. აღნიშნულის მიუხედავად, ნაწარმოებში მაინც საკმარისად მოიპოვება ის პასაჟები, რომლებიც დასახელებულ თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებით მართლმადიდებლურ პოზიციას ნათლად წარმოაჩენს; ამ თვალსაზრისით, კულტურულად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული თხზულება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თანამედროვე ქართველებისთვის პრაქტიკულ სახელმძღვანელოდაც წარმოდგება.

ჩვენთვის ცნობილ ტრადიციულ რელიგიურ სისტემებს შორის არ მოიძებნება ისეთი, რომელიც ღმრთის რწმენასთან ერთად და გათანაბრებულად, მორწმუნეთა შესაკრებლის რწმენასაც ითხოვდეს. ქრისტეანობა ამ მხრივ უნიკალურია. ქრისტეანებს სწამთ ერთი ღმერთი და ერთი ეკლესია: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი... ერთი უფალი, იესუ ქრისტე... სული წმიდა,

უფალი და ცხოველსმყოფელი... და ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...“.[2] ეს არაა შემთხვევითი. ეკლესიისადმი (შესაკრებლისადმი) ამგვარი საკრალური დამოკიდებულება ეფუძნება ქრისტეანობის უმთავრეს, განკაცების, დოგმატს.

განკაცების დოგმატი ამგვარადაა ფორმულირებული: „... ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და უქცეველად განკაცნა...“.[3] უფრო ვრცლად: ძე ღმერთი, ყოვლად წმიდა სამების მეორე პირი, მამასა და სული წმიდასთან ერთად სამყაროს შემოქმედი, დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ქალწულ მარიამისაგან იღებს ადამიანურ ბუნებას (ადამიანურ ხორცსა და სულს) და ამით ძე ღმერთის ღმრთაებრივი ჰიპოსტასი (პირი), რომელიც ღმრთის ბუნების ჰიპოსტასია (პირია), ადამიანური ბუნების ჰიპოსტასიც (პირიც) ხდება.

ძე ღმერთი თავის ღმრთაებრივ ჰიპოსტასში შეიერთებს (ჰიპოსტასირებას ახდენს) რა ადამიანურ ბუნებას, საღმრთო თვისებებით განამდიდრებს, განაღმრთობს მას; მისით მოაკვდინებს სიკვდილს (რამეთუ შემოუშვა საკუთარ თავში სიკვდილი, ანუ მოკვდა და მერე, გაცოცხლებით, ანუ აღდგომით, სიკვდილი მოკლა) და აღიყვანს (ადამიანურ ბუნებას) ყოვლად წმიდა სამების წიაღში (დაჯდა მარჯვენით მამისა). ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უკავშირდება ყოველივე ეს (ქრისტეში ერთი, ზოგადადამიანური ბუნების განღმრთობა) თითოეულ ადამიანს?

ამ კავშირს შესაძლებელს ხდის ქრისტეს მიერ ეკლესიის აღმშენებლობა – „აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი...“ (მათ. 16,18), რომელიც დაარსდა სულთმოფენობისას, ხოლო მანამდე, ჯვარცმის წინა დღეს, უფალმა უდიდესი საიდუმლოება აღასრულა: მან დიდი ხუთშაბათის სერობაზე, პურისა და ღვინის სახით მოწაფეებს საჭმლად საკუთარი ხორცი და სისხლი შესთავაზა:

> და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა (მათ. 26,26-28).

ჩვეულებრივი პური და ღვინო, როგორც ნებისმიერი საზრდელი,

---

[2] *მრწამსი, ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლო*

[3] *იქვე*

ადამიანის მიერ საჭმლად მოხმარების შემდეგ ხორცად და სისხლად გარდაიქმნება, მაგრამ განკაცებული ძე ღმერთი, როგორც ყოვლისშემძლე და არაფრისაგან, მამა ღმერთთან და სული წმიდა ღმერთთან ერთად სამყაროს შემქმნელი, თავისი ძალმოსილებით, ამ კონკრეტული პურისა და ღვინის საკვებად მიღების გარეშე, გარდასახავს მათ თავის ხორცად და სისხლად, შემდეგ კი საჭმლად („რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“ (იოან. 6,55)) აძლევს თავის მოწაფეებს და ამით მათ საკუთარი სხეულის ნაწილებად, გაგრძელებად ხდის. ეს საიდუმლოება იწოდება ევქარისტიად, ანუ მადლიერებად[4] და მისი აღსრულება ერთ-ერთი უმთავრესი საქმე[5] უნდა გამხდარიყო მოციქულთათვის – „ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა“ (ლუკ. 22,19). უფლის ამაღლების შემდეგ ევქარისტია უმთავრესი ძალა გახდა ეკლესიის აღმშენებლობისა და აღორძინებისა, როგორც განკაცებული ღმერთის მისტიკური სხეულისა. ხოლო ამ


---

[4] *“ევქარისტია – ანუ ლიტურგია (ჟამისწირვა). იგულისხმება სისხლიანი მსხვერპლის ნაცვლად უფლისადმი შემუსვრილი სულისა და გულის მიძღვნა. ამის გამო ევქარისტიას „უსისხლო მსხვერპლის შეწირვასაც“ უწოდებენ, რაც აღესრულება საზოგადო მსახურების, ანუ ლიტურგიის შედეგად. ლიტურგიის დროს იწირება უსისხლო მსხვერპლი – პური და ღვინო, რომლებიც არ იცვლის გარეგნულ, ხილულ თვისებებს, ევქარისტიის აღსრულებისას იცვლება იესუ ქრისტეს ნამდვილ ხორცად და ნამდვილ სისხლად. ამიტომ ევქარისტიის აღსრულებისას მორწმუნეები ეზიარებიან თავად ქრისტეს. ეკლესია სასურველად მიიჩნევს ზიარების მიღებას, რაც შეიძლება ხშირად, თვით ყოველდღეც კი, ხოლო ყოველკვირეული ზიარება (და, შესაბამისად, ევქარისტიულ წირვაში მონაწილეობა) ქრისტეანის მოვალეობადაა მიჩნეული / http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=907/ [ბოლო წვდომის დრო – 23.03.2020]*

[5] *„მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა. ილალვიდეს ურთიერთას ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად? ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყჳი თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა“ (იოან. 6,51-56).*

დიდი საიდუმლოების აღსრულების ძალა მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს (ანუ ჩვეულებრივ ადამიანებს) ეკლესიის დაარსების, ანუ სული წმიდის გარდამოსვლის დღიდან მიენიჭათ.[6]

სულთმოფენობის დღიდან მოციქულები და მათთან ერთად პირველი ქრისტეანები, სისტემატურად იკრიბებოდნენ პურის განტეხისათვის, ანუ ქრისტესთან ზიარებისათვის:



> და რომელთა-იგი სიხარულით შეიწყნარეს სიტყუაჲ მისი, ნათელ-იღეს და შეეძინნეს მას დღესა შინა სულნი ვითარ სამათასნი ოდენ და იყვნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა... და ერთსა მას შაბათსა შეკრებულ რაჲ იყვნეს მოწაფენი იგი განტეხად პურისა, ხოლო პავლე ეტყოდა მათ სიტყუასა მოძღურებისათა (საქმ. 2,41-42; 20,7);

უფლის მიერ ნაანდერძევი[7] მსახურების აღსასრულებლად, რომლის წყალობით, ახალი და ახალი ადამიანები ემატებოდნენ ქრისტეს სამწყსოს: „შეეძინნეს მას დღესა შინა სულნი ვითარ სამათასნი ოდენ“ (საქმ. 2,41); ეკლესია იზრდებოდა არა ნომინალურად, ადამიანების მექანიკური გაწევრიანებით, არამედ ორგანულად, ონტოლოგიურად; კონკრეტულად კი, ნათლობითა და მირონცხებით – მოციქულთა ხელდასხმით („დაასხმიდეს ჴელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ“ (საქმ. 8,17)), ანუ სული წმიდის მიერ; და ქრისტესთან ერთობით, ანუ ზიარების გზით („განტეხად პურისა“ (საქ. 20,7)), მისი სხეულის ნაწილად გახდომით.

მას შემდეგ თითქმის ორი ათასი წელია, რაც ქრისტეანები ასე ცხოვრობენ: ნათლობისა (საქმ. 2,41) და მირონცხების (საქმ. 8,17), განკაცებული ძე ღმერთის ერთ სისხლ და ერთ ხორცად გახდომისა

---


[6] *„რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა. და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. ხოლო თქუენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალჱმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით“ (ლუკ. 24,48-49); „მოიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მოწამე“ (საქმ. 1,8); „და აღსრულებასა მას დღისა მეერგასისასა, იყვნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთას, და იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაჲ ქარისა სასტიკისაჲ, და აღივსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად“ (საქმ. 2,1-4).*

[7] *„ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა“ (ლუკ. 22,19).*

(იოან. 6,51-56) და ქრისტეშემოსილობის (გალ. 3,27) გზით, ღმრთის ტაძარნი (1კორ. 3,16), ღმრთის სასუფევლის მოქალაქენი (ფილიპ. 3,20; ებრ. 13,14), ღმრთის თანაშემწენი (1კორ. 3,9), ღმრთის სახლეულნი (ეფეს. 2,19), ქრისტეს თანამემკვიდრენი (რომ. 8,17), ქრისტეს ზრახვების (ფილიპ. 2,5), ქრისტეს გონების (1კორ. 2,16) და ქრისტეს სულის მატარებელნი (რომ. 8,9), წმინდანნი (1პეტრ. 1,16), ღმრთის ერი (2კორ. 6,16), მამა ღმერთის შვილები (1იონ. 3,2-3; ებრ. 12,6-8; რომ. 8,16), მადლით ღმერთნი (იოან. 10,34) ხდებიან.

ესაა ქრისტეანობა; ესაა ქრისტეანული პრაქტიკა, რომელიც ღმერთის მუდმივად ჩვენთან მყოფობას გულისხმობს: „თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28,20), რაც რეალურად ცვლის იმ ადამიანებს, საზოგადოებასა და სამყაროს, რომლებიც ეკლესიის, ანუ ქრისტეს მისტიკურ სხეულში ორგანულად იმყოფებიან.

ამ თემას პროფესორი ვასილ ეკზემპლიარსკი შემდეგნაირად განმარტავს:



ეკლესია ცოცხალი ღმერთკაცობრივი ორგანიზმია, რომლის თავი თავად ქრისტე მაცხოვარია. იგი თავია ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია. თავსა და სხეულს შორის კავშირი დაურღვეველია; თავი სხეულის გარეშე, ასევე ცოცხალი სხეული თავის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა ეკლესიის ქრისტესთან ამგვარი ერთობა, სიცოცხლის წყაროს და ყოველგვარი სიკეთის მომნიჭებელ ღმრთაებრივ თავსა და ეკლესიის წევრებს შორის განსხვავებას არ შლის. ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია. იგი ცოცხლობს, თავით იკვებება, სხეულის ყველა წევრის თანამუშაკობით იზრდება და სიყვარულში აღორძინდება. [...] ეკლესიის სხეული, ვგულისხმობთ მის ადამიანურ ნაწილს, იზრდება და ვითარდება. ეს კი საზოგადოების, როგორც ეკლესიის მდგენელის, ზრდასა და განვითარებას ნიშნავს. ამგვარი ზრდა ორგვარია: რაოდენობრივი და ხარისხობრივი. პირველ შემთხვევაში ეკლესიის საზღვრები ფართოვდება, მეორე შემთხვევაში კაცობრიობის ქრისტეში აღორძინება, გარდაქმნა ხდება. ისტორიაში ორივე ტიპის აღორძინებას ვხედავთ. ამ წმინდა და დიად საქმეში განსაკუთრებული ადამიანების, ღმრთის თანამუშაკების მსახურებაა საჭირო; მათი წმინდა მსახურება, ვითარცა ეკლესიის აღმშენებელთა, ქრისტე მაცხოვრის თანამსახურება,

მისი, კაცთა მოდგმისათვის გაწეული მიწიერი მსახურების გაგრძელებაა.[8]

სხვაგვარი ქრისტეანობა არ არსებობს (არც უარსებია) და ყველაფერი, სამყაროში ქრისტეანობის მიერ გამოღებული კეთილი ნაყოფი, ამ პრაქტიკის შედეგია. [9]

სწორედ ამ პრაქტიკის შედეგია წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის კეთილი ნაყოფი, რომელთა წყალობითაც ჩვენ მივიღეთ ახალი და დიდი საქართველო.

დღევანდელი, 21-ე საუკუნის, ქართველებისათვის, ვართ რა იმ ცნობიერებით აღზრდილნი, რომელშიც მარადიული, ტრანსცენდენტული ჭეშმარიტებისათვის თითქმის არ რჩება ადგილი, მისი საჭიროებაც აღარაა თითქოს, უაღრესად მნიშვნელოვანია ეკლესიის არსის სწორი გააზრება; გააზრება იმისა, რომ მის გარეშე არ არსებობს, არც უარსებია და შეუძლებელია, იარსებოს ქრისტეს დიდებულმა მოძღვრებამ; რომ იგი (ეკლესია) განმსაზღვრელია მართლმადიდებლობის უნიკალურობისა, რომელიც, თავის მხრივ, ინახავს, მათ შორის, ქართულ კულტურას; რომ ეკლესიაა

---

[8] *Ильич В. Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. Гл. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva/, წვდომის დრო– 19.04.2019];*


[9] *„ღმრთისმეტყველთა და ეკლესიის წმ. მამათა (ორიგენე, დიდი კაბადოკიელები, მაკარი მეგვიპტელი, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი, სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, გრიგოლ პალამა, ნიკოლოზ კავასილა, ნიკოდიმოს მთაწმინდელი...) მიხედვით, ქრისტე მკვიდრდება რა ადამიანში, მის მრავალფერ ფსიქო-სომატურ ძალებს საკუთარი განღმრთობილი სხეულის ძალებს აზიარებს; და ადამიანის ძალები და გრძნობები მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს სხეულის ძალები და გრძნობები ხდებიან“. Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.128,129. Москва «Никея»-2011; „წმ. ნიკოლოზ კავასილა წერს, რომ „შვილების სისხლი და ხორცი ხორციელი მშობლების სისხლისა და ხორცის იგივეობრივი არაა. სულიერი შობისას კი ჩვენი მაცოცხლებელი სისხლი იგივე ქრისტეს სისხლია... ჩვენ ქრისტესთან საერთო სხეული და საერთო სიცოცხლე გვაქვს“, ე. ი. ქრისტეანი სიცოცხლით, რომლითაც ქრისტე აღავსებს, რეალურად ცხოვრობს, ქრისტესმიერი სიცოცხლე ახალი და ნამდვილი სიცოცხლით აღავსებს მას; და ამ ახალ სულიერ ცხოვრებაში ქრისტე ადამიანს საკუთარ თვალებს, ყურებს, გულს და ყოველივე თავისას აძლევს. ადამიანის ღმერთთან ერთობა ზიარებაა ქრისტესთან, „რომელიც აძლევს რა ადამიანს ახალ სიცოცხლესა და არსებობას, აღარ განეშორება მას, სიცოცხლისა და ძალის მიმნიჭებელი ხდება მისთვის“ [იქვე Ст.149,150].*

გარანტი სამყაროში ადამიანად მოსული ღმერთის – ქრისტეს ჩვენთან რეალური მყოფობისა; აქედან გამომდინარე, ეკლესიაა ჩვენი, ქართული მართლმადიდებელი საზოგადოების რეალურად გარდამქმნელი, გამაჯანსაღებელი, მარად თანამედროვე სიცოცხლის მომცემი წყარო.[10] ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის

---

[10] *„ღმრთაებრივ ევქარისტიას კოსმოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. მისით არა მხოლოდ ადამიანის ფერიცვალება ხდება, არამედ მთელი ქმნილი სამყაროსი. ევქარისტიაშია ყოველი საგნის, მოვლენის, მიწიერი ცხოვრების და ზეციური სიცოცხლის არსის განსრულება, მიზანი, მასში ხდება ისტორიის გარდასახვა (საღმრთო ისტორიად. თ. გ.). ევქარისტიული „დრო“ წარსულს, აწმყოს და მომავალს აერთიანებს, ავლენს მარადისობას და იგი ჩვენს ყოველდღიურობაში შემოჰყავს. ევქარისტიის „ადგილი“ ზეცის სასუფეველია, ქრისტეანთა სამშობლოა... ევქარისტია, როგორც ლიტურგიკული მსახურება, როგორც პურისა და ღვინისა შეცვლა ქრისტეს ხორცად და სისხლად, მუდმივად ახდენს აწმყოში იმის აქტუალიზებას, რაც ერთხელ ქრისტემ მოიმოქმედა სამყაროში: ვგულისხმობთ მის შობას, მიწიერ ცხოვრებას, ტანჯვას, სიკვდილს, აღდგომას, ამაღლებას და სული წმიდის გარდამოსვლას. ევქარისტიის აღსრულება, წარსულში განვითარებულ საღმრთო ისტორიას ჩვენთვის, აწმყოში არსებულ რეალობად აქცევს, ხოლო მასში თანამონაწილეობა გვცვლის ჩვენც და ისტორიის მსვლელობასაც, რამეთუ გვადგენს ეკლესიაში, რომელშიც მარადიული აწმყოში იჭრება, მასში მყოფობს... ქრისტეანები ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღებით ქრისტეს ერთსხეულნი და შესაბამისად ისტორიული ქრისტეს თანამედროვენი და ჯერ კიდევ ამ სოფლად მყოფნი, მომავალი დიდების მონაწილენი ხდებიან. ევქარისტიის, იგივე, ეკლესიის სხეული, რომელშიც მართალნი მკვიდრობენ, სამყაროს ხსნა, ღმრთის და ადამიანთა დიდება, თავისუფლება, სიხარული და საზრდოა წმინდანთათვის. იგი ჭეშმარიტი „სივრცე“ და „დროა“ ეკლესიისა, „რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ“(-საქ.17.28)“ (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.162-167. Москва . «Никея»-2011)... „ევქარისტია მიზეზია მრავალი საიდუმლოებისა, რომლებიც ადამიანური არსებობის ყველა სფეროს და მთელ მის სიცოცხლეს მოიცავს. მის მიერ პრინციპულად ახალი ცხოვრება და ადამიანების ღმერთთან, ერთმანეთთან და მთელ სამყაროსთან განახლებული, ქრისტესმიერი ერთობა იქმნება“ (იქვე, გვ. 185)... „ლიტურგიკული სივრცე და დრო შექმნილია. მასში მიწიერის და ზეციურის, ისტორიის და მარადიულის შეურევნელი ერთობა აღესრულება. და როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ერთია სხეული ქრისტესი... ერთია სხეული მართალთა... და მას დრო და ადგილი ვერ განჰყოფს“... სამყარო უკვე არა იმდენად კაცობრიობის სახლია, რამდენადაც – ცოცხალი ღმერთისა... ადამიანთა მოდგმა ღმრთის სახლეული ხდება. ფერისცვალება, გარდაქმნა დიდ სიღრმეებს აღწევს. ეკლესია არა უბრალოდ სახლი და ოჯახი, არამედ თვით ღმერთის სხეულია“ (იქვე, გვ.187,188).*

ისტორიაში კი თვისებრივი გარდაქმნის ეპოქა, მეფე მირიანის მოღვაწეობის შემდეგ, დავითის საქართველოს ეპოქის დადგომამდე (მის მოსამზადებელ ეტაპად), წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდება.





1.2 ეკლესია როგორც ერთი სხეული

„თავნი თვისნი და ურთიერთნი და ყოველი ცხოვრება ჩვენი, ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ“.[1]

„საკითხის ონტოლოგიური ხედვა: რა არის ეკლესია? იგი ინდივიდუალურობის დაძლევის ადგილია, ერთმანეთთან ერთობის ადგილია, ყველა ადამიანის ერთობის ადგილია. და ეს განმარტება წარმატებით მიესადაგება როგორც ღმრთის სასუფეველს, ისე – ევქარისტიას“.[2]

ერთი მხრივ, რწმენა ინდივიდუალური საქმეა, აღნიშნავს მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი მოხსენებათა კრებულში (Церковь и евхаристия)[3], მაგრამ საკუთარი რწმენის რეალიზება და მორწმუნეთა კრებულში მისი აღმსარებლობა განსხვავებული მდგომარეობაა. ქრისტეანებს, რა თქმა უნდა, შეგვიძლია და მცნებადაც მოგვეცა, რომ საკუთარ „საუნჯეში“ ვილოცოთ,[4] მაგრამ ლიტურგიკული მსახურებისას ჩვენი ლოცვა უერთდება ძმებისა და დების ლოცვას და ასევე დიდი მღვდელმთავრის, ანუ ქრისტეს ლოცვას,[5] რომელიც, როგორც ჩვენი

---

[1] *კვერექსი. სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურგია.*

[2] *Митрополит Иоанн Зизиулас. Церковъ и евхаристия. Ст.71. Богородице-сергиева пустынь. 2009 г.*

[3] *იქვე, Ст.71-74,77,84-89.*

[4] *„ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჯაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ. 6,6).*

[5] *„გჳვის ჩვენ მღდელთმოძღუარი, რომელი დაჯდა მარჯუენით საყდართა*

მეოხი, საკუთარ თავს გვაძლევს ღმრთაებრივ ევქარისტიაში, რომლის საზღვრებს გარეთაც ყველაფერი ინდივიდუალურია, ხოლო მის შიგნით ისეთი ურთიერთობაა (ვგულისხმობთ პიროვნულ ურთიერთობებს), რომელიც საკუთარი ეგოიზმის, ინდივიდუალიზმის დაძლევასა და სხვა პიროვნების, მოყვასის, საკუთარი თავივით სიყვარულს ნიშნავს.[6] ეკლესიის გარეთ და ასევე სხვა რელიგიებში მრავალი რამ შეიძლება მოვიძიოთ მნიშვნელოვანი: სიკეთენი, ასკეზა, ზნეობრიობა, სანიმუშო მოქალაქეობა, ინტელექტუალური განვითარება, ჯანმრთელობა, გარკვეული ხარისხის სულიერება; ერთადერთი, რასაც ეკლესიის გარეთ ვერ ვიპოვით, ღმრთაებრივი ევქარისტიის საიდუმლოება, ანუ თავად ქრისტეა.

ევქარისტიული მსახურება, ანუ წირვა უფლის მიერ აღსრულებული საიდუმლო სერობის გაგრძელებაა, თვით ამ სერობაზე მყოფობაა, რომლის დროსაც, თითქმის ორი ათასი წელია, მორწმუნეები ქრისტეს სხეულის აღმშენებელნი, მისი ნაწილნი ხდებიან. ეს მათ (მორწმუნეებს) ერთ, ქრისტეს სხეულად აქცევს, ხოლო თავი ამ სხეულისა თავად ქრისტეა: „რამეთუ ერთ პურ და ერთ ჭორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს. ერთია პური, ჩვენ კი, მრავალნი, ერთი სხეული ვართ, რადგან ყველანი ერთსა და იმავე პურს ვეზიარებით“ (1კორ. 10,17); და „ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ.“ (ეფეს. 5,23). ამ ერთობაში ქრისტეს სხეულის ნაწილნი ვხდებით: “თქუენ ხართ ჭორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი” (1კორ.12,2) და ასოთა სიმრავლის მიუხედავად, ერთ სხეულს წარმოვადგენთ: „ვინაიდან როგორც ერთია სხეული, მაგრამ მრავალი ასო აქვს, ხოლო ყოველი ასო, მათი სიმრავლის მიუხედავად, ერთი სხეულია, ასევეა ქრისტეც“ (1კორ. 12,12).

ევქარისტიისათვის სათანადო მნიშვნელობის მიუნიჭებლობა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ეპოქაში გაბატონებულ ინდივიდუალიზმს და მას თვით ეკლესიის წიაღში აძლევს

დიდებისათა ზეცათა შინა“ (ებრ. 8,1); „უქცეველად და უცვალებელად კაც იქმენ და მღვდელმთავრად ჩვენდა გამოსჩნდი...“ (საიდუმლო ლოცვა „რომელი ქერუბიმთას“ დროს. წირვა. სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის ლიტურგია).

[6] „უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს“ (იოან. 15,13); „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (მათ. 22,39).

დამკვიდრების შესაძლებლობას; რამეთუ ინდივიდუალიზმთან,[7] სხვაგვარად – ეგოიზმთან (რომელიც ამა სოფლის სულის დასაყრდენია) ბრძოლა შეუძლებელია მხოლოდ მსოფლმხედველობრივად, ნომინალური ქრისტეანობით; თავად ადამიანის ყოფიერების საწყისები უნდა შეიცვალოს. ეს კი მხოლოდ ქრისტეს მისტიკური სხეულის ნაწილად, ანუ ქრისტეშემოსილობითაა შესაძლებელი; რამეთუ ამ შემთხვევაში ადამიანი ახალი ქმნილება ხდება: „რაჲ-იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული; პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (2კორ. 5,17); „რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინადაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთელობაჲ, არამედ ახალი დაბადებული“ (გალ. 6,15).

ინდივიდუალიზმთან ქრისტეანობის დაპირისპირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია თეოლოგიაში. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ასე მსჯელობს:

> ღმრთაებრივი ევქარისტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობაა, რომ ადამიანის ღმერთთან კავშირი სხვა ადამიანებთან კავშირზე გადის (ყველანი ერთ, ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვეზიარებით – თ. გ.). ხშირად ხდება, რომ საღმრთო ლიტურგიაზე მიმავალი მორწმუნე სხვა მორწმუნეებს იმ მოტივით ემიჯნება, რომ განცალკევებულად უკეთ ილოცოს. მაგრამ ჩვენ ლიტურგიკულ მსახურებაზე ერთად ლოცვისათვის, ლოცვაში ერთობისათვის, ქრისტეს სხეულის აღმშენებლობისათვის მივდივართ და არა – ცალკე ინდივიდუალური მსახურებისათვის (რომელიც ასევე აუცილებელია, მაგრამ მას თავისი მიზანი და ადგილი აქვს – თ. გ.); ამიტომაც, არის რა საღმრთო ევქარისტია საეკლესიო კრებსითი ერთობის საიდუმლოება [...] მართლმადიდებლურ ცნობიერებაში მისი აღსრულება ინდივიდუალურად (ანუ, მორწმუნე ერის გარეშე, მხოლოდ ერთი სასულიერო პირის მიერ) შეუძლებელია“. [8]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მართლმადიდებლობა იდეოლოგია არ არის. ის, უპირველეს ყოვლისა, ეკლესია, ანუ ადამიანის

---

[7] *ტერმინის ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის შესახებ იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4414 (ბოლო წვდომა – 06.02.2020).*

[8] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр. 84 Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009.*

ქრისტეს მიერ ახალ, ქრისტეს მსგავს არსებად შეცვლის პრაქტიკაა. ეკლესია ის ადგილია, სადაც ჩვენი რწმენა სწორად განიცდება და, რაც მთავარია, სწორად რეალიზდება. ეკლესია ყოფიერების, ადამიანური არსებობის, ცხოვრების წესის განსაკუთრებული და ცოდვით დაზიანებული ადამიანური არსიდან გამომდინარე,[9] ერთადერთი სწორი მდგომარეობაა. და ეს იმის გამო, რომ ღმერთის ადამიანად მოსვლით, ეკლესია სამყაროში ყველაფერზე, თვით ზეცაზე აღმატებულ რეალობად იქცა. ამის შესახებ ნათლად ბრძანებს სერბი ეპისკოპოსი ათანასე ევტიჩი:

> ქრისტეს განკაცებით ღმრთის სასუფეველი რეალობად იქცა ჩვენთვის. იგი აქტიურად და ქმედითად მყოფობს ამსოფლად. და ჩვენთან ქრისტეს ამ მყოფობას ეკლესია აგრძელებს. ქრისტე როგორც ღმერთკაცი, დღესაც და ესქატოლოგიურ პერსპექტივაში, თავადაა ღმრთის სასუფეველი დედამიწაზე. ამდენად, ეკლესია ზეცაზე ძვირფასია. რამეთუ თავად ზეცაა ეკლესიისათვის, და არა – ეკლესია ზეცისათვის. ღმერთს ეკლესია ზეცაზე მეტად ესათნოება. ქრისტემ სხეულად მიიღო არა ზეცა, არამედ – ეკლესია [...]. ღმრთის სასუფეველი და ეკლესია წმიდა ევქარისტიის საიდუმლოებაში იგივეობრივნი ხდებიან, სწორედ ევქარისტიაა

---

[9] *შდრ.: „ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს. რამეთუ შჯულისა მოწევნადმდე ცოდვაჲ იყო სოფელსა შინა, ხოლო ცოდვად არად შერაცხილ იყო თჳნიერ შჯულისა. არამედ სუფევდა სიკუდილი ადამისითგან ვიდრე მოსესადმდე და მათ ზედაცა, რომელთა-იგი არა ეცოდა მსგავსად გარდასლვისა მის ადამისა, რომელი-იგი არს სახე მერმეთა მათ ჟამთაჲ. არამედ არა ვითარ შეცოდებაჲ და ეგრეთცა მადლი; რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა მრავალნი მოსწყდეს, რაოდენ უფროჲს მადლი იგი ღმრთისაჲ და ნიჭი იგი მადლითა მით ერთისა მის კაცისა იესუ ქრისტესითა მრავალთა მიმართცა აღემატა! და არა ვითარცა ერთისა შეცოდებულისათჳს ნიჭი იგი, რამეთუ საშჯელი იგი ერთისა მისგან დასაშჯელად, ხოლო მადლი იგი მრავალთაგან შეცოდებათა განსამართლებელად. რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუდილი სუფევდა ერთისა მისგან, რაოდენ უფროჲს, რომელნი-იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხორებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესუ ქრისტესა. ვითარცა-იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასაშჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჴდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდენ მრავალნი“ (რომ. 5,12-19).*

როგორც ეკლესიის, ისე ღმრთის სასუფევლის საიდუმლოება. რამეთუ ღმრთაებრივ ლიტურგიაში (ევქარისტიაში) ადგილისა და დროის, მიწისა და ზეცის, ისტორიისა და ესქატოლოგიის, დროისა და მარადიულობის ზღვარი არ არსებობს. ეკლესია ქრისტეს სხეულია, რომელმაც ყოველივე უნდა აღავსოს (ეფეს. 1,23). აღსება ჯერ კიდევ მოსახდენია. ეს პროცესი დინამიკურია და ის სრული ღმრთაებრივი სისავსის მიღწევამდე (ეფეს. 3,19), ქრისტეს ასაკის სისრულის მიღწევამდე (ეფეს. 4,13) გაგრძელდება [...]. ეკლესია ქრისტეს განკაცების საღმრთო საქმეა,



ეპისკოპოსი ათანასე
(ევტიჩი)

თავადაა ღმრთის განკაცება. განკაცებული ქრისტე, ისტორიული ღმერთკაცი ერთადერთი ახალი რეალობაა ცისქვეშეთში. მასში ახალი აღთქმისეული ახალი ქმნილება გამოვლინდა, მის მიერ ყოველივე ახალი იქმნა (1კორ. 5,17), თავად უფალი ამბობს, რომ ყველაფერს ახალს შექმნის (გამოცხ. 21,5);[10] ასე ინება ღმრთის განგებულებამ, რომ დაცემული ადამიანის გადარჩენა ადამის

[10] *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. Стр. 137-146. Москва: Новоспасский монастырь. 2009.*

მდგომარეობაში დაბრუნება, ხოლო ეკლესია პირველი სამოთხის მდგომარეობის აღდგენა კი არა, არამედ განუსაზღვრელად დიადი და ყოვლისმომცველი მდგომარეობაა – (ეფეს. 3,16-21). წმინდა მამათა (მაგ. წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის) მიხედვით, ეს მდგომარეობა „ქრისტეს ეკლესია, ანუ ახალი სამყარო, ახალი სამოთხეა“ როგორც ვ. ლოსკი აღნიშნავს: „ეკლესია გაცილებით აღმატებული რეალობაა, ვიდრე ბიბლიური სამოთხე“ ხოლო წმინდა იუსტინე პოპოვიჩი ბრძანებს, რომ „ქრისტეანთა მდგომარეობა პირველმშობელთა მდგომარეობაზე აღმატებულია [...]. პირველი სამყარო ადამისთვის შეიქმნა, მეორე კი – ადამიანისთვის ქრისტეში, ანუ ეკლესიისათვის (ეფეს. 2,10,15; 4,12-13; კოლ. 1,28; რომ. 8,19-21). [ ] პირველი კოსმოგონია ანთროპოცენტრულია; მეორე, ასაღი კოსმოგონია არა უბრალოდ ანთროპოცენტრული, არამედ ღმერთკაცობრივცენტრულია, ქრისტოცენტრულია“.[11]

ეკლესიის ერთობაში სარწმუნოებრივი აღმსარებლობა ღმრთის ინდივიდუალური აღმსარებლობისგან პრინციპულად განსხვავდება, რადგან ყოველი ვნების ფესვი და საფუძველი[12] ინდივიდუალიზმი, ანუ ეგოიზმი, იგივე, ღმერთს დაცილებული, პირველმშობელთა ცოდვით დაზიანებული ბუნებაა.[13] ამიტომ საეკლესიო ერთობის მიღმა არსებული რელიგიური ცხოვრების საპირისპიროდ, რომელიც ინდივიდუალიზმიდან გამომდინარე, ეგოიზმისა და მისგან წარმოშობილი ვნებების წყაროა, ჭეშმარიტი ეკლესიური სარწმუნოებრივი ცხოვრება, ყოველგვარ ეგოიზმსა და მისგან გამომდინარე უკეთურებებთან დაპირისპირებული, ვნებებისგან განმწმენდელი, სხვა ადამიანებსა და ღმერთთან ერთობითაა მოტივირებული.

ქრისტეანები ერთი, ქრისტეს, სხეულის ნაწილებად აცნო-

---

[11] *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. Стр.76-78.. Москва: Новоспасский монастырь. 2009.*

[12] *„ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ და გულისთქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ“ (1იოან. 2,16) და მათგანაა ყველა ვნება და ცოდვა.*

[13] *„ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს...“ (რომ. 5,12).*


ბიერებენ თავს,[14] რაც, რა თქმა უნდა, ეგოიზმის რეალური დათრგუნვის თვალსაზრისით, მათს ცხოვრებაზე, მათ ურთიერთობებზე აისახება. აქედან გამომდინარე, ეკლესიის წმინდა მამები და ღმრთისმეტყველნი ასწავლიან, რომ

> ეკლესია საიდუმოებაა, რომლის არსი ქრისტეს ხორცი და სისხლია, რომელიც ქრისტეს ეკლესიისათვის ჭეშმარიტი საჭმელი და სასმელია. მათი მიღებისას ისინი, სხვა საკვების მსგავსად, ადამიანის სხეულად არ გარდაიქმნებიან. პირიქით, ადამიანის სხეული თავად გარდაიქმნება მაცხოვრის სხეულად (მის ნაწილად), რამეთუ უმდარესი უმჯობესისგან დაიძლევა, მსგავსად ცეცხლში შეტანილი რკინისა, რომელიც თავად გარდაიქმნება ცეცხლად და არა პირიქით, ცეცხლი – რკინად. ვინმეს რომ შესძლებოდა ეკლესიის ხილვა, თუ მართლაც როგორაა იგი ქრისტესთან შეერთებული და როგორი მოქმედება აქვს მის სხეულში, ალბათ, მას მხოლოდ ქრისტეს სხეულად

---

[14] *„ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ მრავალ ღათუ არს, ერთგუამვე არს, ეგრეთცა ქრისტე. რამეთუ ერთითა სულიითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ, გინა თუ ჰუარიათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა; და ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გჳსუამს. და რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ. უკუეთუ თქუას ფერჴმან, ვინაჲთგან არა ვარ ჴელ, არა ვარ მის გუამისაგანი, ამისგან-მე არა არსა მის გუამისაგანი? ანუ თუ თქუას ყურმან, რამეთუ არა ვარ თუალ, არა ვარ მის გუამისაგანი, ნუ ამისთჳს არა არსა მის გუამისაგანი? უკუეთუ ყოველი გუამი თუალ იყოს, სადა არს სასმენელი? უკუეთუ ყოველი სასმენელ იყოს, სადა არიან საყნოსელნი? აწ ესერა ღმერთმან დასხნა ასონი იგი თჳთოეულად გუამსა მას შინა, ვითარცა ინება. ხოლო უკუეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გუამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთ გუამი. ხოლო ვერ ჴელ-ეწიფების თუალსა, ვითარმცა ჰრქუა ჴელსა: არა მიჴმ შენ; ანუ კუალად თავსა – ფერჴთა, ვითარმედ: არა მიჴმთ თქუენ. არამედ უფროჲსღა უმეტეს, რომელი-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურესად, იგი უსაჭმარეს არს. და რომლისასა ვჰგონებთ უპატიო-ყოფად გუამისაგან, ამათ პატივსა უმეტესსა მივსცემთ. და უშუერსა მას ჩუენსა შუენიერებაჲ უმეტესი აქუს, ხოლო შუენიერსა მას ჩუენსა არარაჲ უჴმს. არამედ ღმერთმან შეზავა გუამი იგი და ნაკლულსა მას უმეტესი მისცა პატივი, რაჲთა არა იყოს წჳალებაჲ ჴორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთიერთისათჳს ზრუნვიდენ ასონი იგი. და თუ ევნებინ რაჲ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა; და თუ იდიდებინ ერთი ასოჲ, მის თანა იდიდებიედ ყოველნი ასონი. თქუენ ხართ ჴორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1კორ. 12:12-27).*

დაინახავდა. სწორედ ამ მიზეზით ამბობს პავლე მოციქული, რომ ჩვენ ქრისტეს ხორცნი, მისი ნაწილნი ვართ (1. კორ, 12,27) და არა იმის გამო, რომ ჩვენდამი ქრისტეს მზუნველობა გამოაჩინოს. ამით იმას აჩვენებს, რომ მართალნი ქრისტეს სისხლის მიერ უკვე ქრისტეს სიცოცხლით ცოცხლობენ, რომ ნამდვილად შეერთებულნი არიან მასთან, როგორც თავთან და მისი სხეულით არიან შემოსილნი.[15]



განკაცებულ ღმერთთან ქრისტეანთა ერთობა ორგანული და მარადიული ხდება. ამიტომაც ერთ სხეულად მყოფობა, ეკლესიის ღმრთისმეტყველთა მიერ, ესქატოლოგიური კუთხითაცაა დანახული და გადმოცემული: იესუ ქრისტეს ისტორიული სხეული, ჭეშმარიტი ევქარისტიული პური და ეკლესიის სხეული, ერთიანი სხეულია და იგი მეორედ მოსვლის ჟამს როგორც ქრისტე მაცხოვრის ერთიანი სხეული, გამობრწყინდება. ამასთან დაკავშირებით წმინდა ნიკოლოზ კავასილა, რომლის სიტყვებიც მოჰყავს პანაიოტის ნელასს, ასე მსჯელობს:[16]

---

[15] Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. стр. 171-173. Москва: Сибирская Благозвонница. 2017.

16 Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст. 203-205. Москва . «Никея»-2011.

სწორედ ის ჭეშმარიტი პური, მისი სხეული, წმ. ტრაპეზიდან ჩვენთვის მოცემული, ყველას დასანახავად გამოვლინდება (იხილ. მათ. 24. 30), და ელვის მსგავსად, წამის ყოფაში ყველას წინაშე აღმობრწყინდება. ღმრთაებრივი ნათელი, რომელშიც წმინდანები ჯერ კიდევ ამ სოფელში ყოფნისას ცხოვრობენ, არ უმტყუნებს მათ. პირიქით, როდესაც ქრისტე გამოჩნდება, თვით მათი ნეშტი (წმინდანთა მომკვდარი სხეულები) საკუთარ მშვენიერებას გამოაჩენენ, რადგანაც არიან რა თვით ამ ელვის ნაწილნი (იხ. ლუკ. 17,24), დიად მზეს მიემსგავსებიან და მისი სხეულის ნათლით განათლებულნი, მასთან ერთად ერთ ნათელს გამოაბრწყინვებენ.[17]

ბიზანტიელი მისტიკოსი მეორედ მოსვლის ჟამს მოსახდენ წმინდანთა საყოველთაო აღდგომას, პავლე მოციქულის მსგავსად (იხ. 1 თეს. 4,17), აღტაცებას უწოდებს. სწორედ ამიტომ უწოდა უფალმა წმინდანებს ორბნი, „რამეთუ სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები“ (მათ. 24,28).

როგორც თოკების გადაჭრის შემთხვევაში მათზე მობმული ტვირთი სიმძიმის გამო უსწრაფესად მიემართება მიწისკენ, ასევე წმინდანთა მიწას მიბარებული და ხრწნას მიცემული სხეულები, როდესაც თავისუფლება გამოჩნდება, დაუოკებელი სწრაფვით აღიტაცებიან დაბრუნებული ქრისტესკენ. განკაცებული შემოქმედის ხორცი, გამობრწყინდება ვითარცა მსოფლიო მიზიდულობა და სრულ ქმნილებას თავისკენ მიიზიდავს. კვლავ ბრძანებს კავასილა: „როგორც კი ქრისტე მაცხოვარი ღრუბელთა ზედა ელვასავით აღმობრწყინდება, ყოველი მხრიდან შემოკრებს საკუთარი სხეულის ნაწილებს, რათა ეს დიადი სხეული შედგეს“. ოღონდ ეს ნაწილნი პიროვნებანი იქნებიან. რის გამოც, თავად სხეული ოჯახიც იქნება და მადიდებელ პიროვნებათა ერთობაც: როდესაც მეუფე გამოჩნდება, ბრძანებს წმინდა ნიკოლოზ კავასილა – გარემოცული იქნება იგი კეთილგონიერი მონებით, და როდესაც იგი გაბრწყინდება, ისინიც მასთან ერთად გაბრწყინდებიან. როგორი დიდებულება წარმოგვიდგება, უთვალავი რაოდენობის ნათელნი (წმინდანნი), ზეცად აღტაცებულნი შემოქმედის დიდებისთვის, მრავალი ღმერთი დიადი ღმერთის და მშვენიერნი დიდებული მშვენიერების

[17] *Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. стр. 171-173. Москва: Сибирская Благозвонница. 2017.*

გარშემო. მომავალ საუკუნეში წმინდანნი, ღმრთის მიერ ღმერთნი, ხოლო სასუფეველში, ძის თანამემკვიდრენი იქნებიან. ღმერთკაცი გაბრწყინდება ვითარცა ღმერთი შორის ღმერთთა.[18] ეპისკოპოსი ათანასე აღნიშნავს:



ღმრთაებრივი ევქარისტიის განსაკუთრებულობაა, რომ ადამიანის ღმერთთან კავშირი სხვა ადამიანებზე გადის. ხშირად გვხვდებიან ისეთი მორწმუნენი, რომლებიც წირვაზე კი მიდიან, მაგრამ განწყობილნი არიან, სხვა მორწმუნეებისაგან, ქრისტეს სხეულისაგან, თავი შორს დაიჭირონ, რათა ღმერთთან განმარტოებულებმა უკეთ ილოცონ, მაგრამ საღმრთო ლიტურგიაზე, საკუთარ სახლში განმარტოებით ლოცვისგან განსხვავებით, სწორედ ერთობით, ქრისტეს ერთიან სხეულში ლოცვისათვის მივდივართ, სადაც და რომლის დროსაც ჩვენი ლოცვის შენაკადები ერთდებიან და დიდი მღვდელმთავრის[19] დიდ მეოხებას უერთდებიან. წმინდა მამათა, მაგალითად, ათანასე დიდის სწავლებით, „ქრისტეს ადამიანური ბუნება, მისი კაცება ყოვლადი ეკლესიაა, რომელიც მასში (ქრისტეში), როგორც პირმშოსა და თავში, თავისი ყოველი წევრით აღდგენილი და განახლებულია, რამეთუ ისინი (წევრები) თანაზიარებაში იმყოფებიან სხეულის თავთან, იგივე პირმშოსთან, ანუ ქრისტესთან;“ და ქრისტესა და ერთმანეთთან ამგვარი ერთობით ცხონდებიან.[20]

ზემოთ წარმოდგენილი ვრცელი შესავლის წამძღვარება მიზნად ისახავდა არქიმანდრიტ გრიგოლ ხანძთელის მიერ ეგვტერების აშენების აკრძალვის მოტივაციის ახსნას. მიუხედავად იმისა, რომ ევქარისტიული მსახურება, ჟამის წირვა ქრისტეანობის ქვაკუთხედია, ხოლო მონაზვნური და ზოგადად ქრისტეანული

---

[18] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст. 203-205. Москва . «Никея»-2011.*

[19] შდრ.: *„უქცეველად და უცვალებელად კაც იქმენ და მღვდელმთავრად ჩვენდა გამოსჩნდი...“ (საიდუმლო ლოცვა „რომელი ქერუბიმთას“ დროს. წირვა. სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის, ლიტურღია).*

[20] *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. стр. 100 Москва: Новоспасский монастырь. 2009.*

ცხოვრება – ინტენსიური ევქარისტიის გარეშე წარმოუდგენელი,[21] მამა გრიგოლი კატეგორიულად კრძალავს ცალკე წირვის აღსრულების შესაძლებლობასაც:



ამას მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგვტერსა (საკურთხეველს) ჟამის საწირვად ნუვინ აღაშენებს, რამეთუ უჯეროება არს. უკეთუ ერისა ნებაჲ არა იყოს, თვინიერ დიდისა მის საეროჲსა ეკლესიისა, ამის მიზეზისათვის, რამეთუ ოდეს დეკანოზმან ჟამის წირვისათვის ჟამსა ჰრეკოს, მაშინ ყოველნი მღდელნი მუნ არა მივიდენ, არამედ თვისთა ეგვტერთა დადგენ ჟამის წირვად.[22] წმინდა გრიგოლი ამგვარ მსახურებაში მრავალ საზიანოს ხედავს: სხვაჲცა მრავალი არს მას შინა სულისა სავნებელი და არა თუ სარგებელი, და მე არა ვეწამები (არ ვეთანხმები – თ. გ.) მას.[23]

ზიანის მომტანი კი ისაა, რომ უსისხლო მსხვერპლის გათითოკაცებულად შეწირვა ეკლესიოლოგიური აზროვნების

---

[21] *„სულიერი სიმტკიცისთვის მამა ხარლამპი (წმინდა იოსებ ისიხასტის სულიერი შვილი) რეგულარულ ზიარებას ურჩევდა... ხოლო იმათ, ვინც უზიარებლობის მიზეზად საკუთარ ცუდ მდგომარეობას ასახელებდა, ეუბნებოდა: „ყველაფერი ასე ცუდად რომაა, სწორედ ამიტომაა აუცილებელი ლოცვა და ზიარება“ (Иосиф Дионисиатис, монах. Наставник молитвы Иисусовой. Стр. 180. Русская пустыня Новая Фиваида на Афоне. «СИМВОЛИК» 2016); ასევე, მამა ხარლამპი მონაზვნისა და ერისკაცისთვისაც, ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვების გარდა, ზიარებისათვის განსაკუთრებული მარხვის დაწესებას არ ემხრობოდა. ამას იგი განსაკუთრებულ სიმკაცრედ მიიჩნევდა... „ხოლო ღირსეული ზიარების უმთავრეს პირობად მტრებისადმი სიყვარულსა და სხვების საცდურში არჩაგდებას მიიჩნევდა“ (იქვე Стр. 221); XX საუკუნეში ხშირი ზიარების შესახებ ბევრი იწერებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მქადაგებელი დიმიტრი პანაგოპულისი. იგი თავის ცნობილ ნაშრომში: „სიკვდილის შხამსაწინააღმდეგო“, წმინდა წერილზე, საეკლესიო კანონებსა და წმ. მამებზე დაყრდნობით, განვრცობილად წერდა, საღმრთო საიდუმლოებაში რაც შეიძლება ხშირი მონაწილეობის შესახებ“ (Иосиф Дионисиатис, монах. Наставник молитвы Иисусовой. Стр. 218 Русская пустыня Новая Фиваида на Афоне. «СИМВОЛИК» 2016).*

[22] *მერჩულე გიორგი. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა, თავი 71, გვ. 192 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[23] *იქვე, თავი 75, გვ. 204*

დამაკნინებელია და აქედან გამომდინარე, არც სულისათვისაა სასარგებლო. ევქარისტიული მსახურების მონაწილენი (შემწირველიც, თანამწირველნიც და ყოველი მაზიარებელი) ქრისტესთან ზიარებულნი, ქრისტეს სხეულს აღაშენებენ, ხოლო ერთ ტაძარში მსახურება მათ ამ ერთობას მეტი სისავსით განაცდევინებს; შესაბამისად, მათ თანამონაწილეობას ქრისტეს სხეულის, ანუ ეკლესიის აღმშენებლობაში უფრო ნაყოფიერს გახდის: „ეგრეთცა თქუენ, ვინაჲთგან მოშურნე ხართ სულთა, აღსაშენებელად ეკლესიისა ეძიებდით, რაჲთა აღემატებოდით» (1კორ. 14,12).

საზოგადოდ, ეკლესიის წევრთა შეგნებული, მიზანმიმართული ერთობა უაღრესად მნიშვნელოვანია საღმრთო ნაყოფის გამოღებისათვის, ჯანსაღი ქრისტეანული თემისა და სამონასტრო ერთობის ჩამოყალიბებისათვის.[24] წმინდა გრიგოლი ამგვარი ხედვისა და მოქმედების მაგალითს იძლევა. იგი ეძებს ქრისტესმიერ მეგობრებს, რომელთანაც მას სწორი სარწმუნოებრივი ხედვა, ერთი აზრი აკავშირებს. ასეთი ერთობა, უფლის სიტყვისაებრ, სათნოა ქრისტესთვის და უფალი მათ შორის მკვიდრდება: „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18,20). ასეთ ერთობაში სულიერი ბრძოლაც უფრო ადვილია და ღმრთის მსახურებაც შეწირულია ღმრთის წინაშე. ამგვარად შენდებოდა ქრისტეს მისტიკური სხეული, ანუ ეკლესია წმინდანის მოღვაწეობის დროს:

> პოვნა (გრიგოლმა) მოყვასნი კეთილნი შეწევნითა [...] ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყვარულმან

---

[24] *...უდაბნოს თავშეფარებული განდეგილი, ან მონასტერი, რომელიც ეკლესიის წიაღში განსაკუთრებულ ერთობად გვევლინება, განაცალკევებს თუ არა თავს საერთო ეკლესიური კრებულისგან? შეაქვს თუ არა განყოფა ღმრთის ხალხში? ანაცვლებს თუ არა ინდივიდუალურ ღმრთისმოსაობას კრებსით სულიერებას, რომელიც ქრისტეანობის არსს წარმოადგენს? მეუდაბნოე მამების ასკეტური ღვაწლი ხომ არ გადაიქცა მადლის მოპოვების ადამიანურ ინსტრუმენტად და ამით ხომ არ დაიკარგა მადლის, როგორც ჩვენი საქმეებისაგან დამოუკიდებელი ღმრთის წყალობის გაგება? უდაოა, რომ ყველა ამ გადახრას ადგილი ჰქონდა ეკლესიის ისტორიაშიმ მაგრამ [...] ეკლესიამ, ხანგძლივი განსჯისა და ანალიზის შემდეგ, დაგმო რელიგიური ინდივიდუალიზმი და (ნეოპლატონური თ. გ.) სპირიტუალიზმი (რომელიც ღმრთის განკაცებიდან აღმოცენებულმა მისტიკამ ჩაანაცვლა თ. გ.). (იოანე მეინდორფი. წმინდა გრიგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 5. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020)*

შეამტკიცა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული [...] მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქვა: ვითარცა თქვა ქრისტემან სახელისა მისისათვის შეკრებულთა შორის დამკვიდრებაჲ თვისი, ეგრეთვე იყავნ ჩვენ შორის თავადი უფალი, რაჲთა სათნო ეყოს სულიერი ესე საგრობაჲ ჩვენი უცხოებასა შინა და რაჲთა შეწირულ იყოს მსახურებაჲ ჩვენი სათნოდ მის წინაშე... ხოლო მათ თქვეს: იყავნ ქრისტე ღმერთი ჩვენ შორის სულიერად ძმობასა და გზავნასა ჩვენსა და უძლურსა გულსმოდგინებასა სიტყვათაებრ შენთა, ბრძენო გრიგოლ, რაჲთა ძალი საღმრთოჲ დაემკვიდროს ჩვენ შორის.[25]

დამოწმებულ ამონარიდში ნათლად ჩანს, რომ გრიგოლსა და მის მეგობრებს ერთი სარწმუნოებრივი ხედვა, ქრისტესმიერი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებთ. მათ ასევე ერთი მიზანი აქვთ, რომ თავგანწირულად ემსახურონ უფალს.

ეკლესიის ჯანსაღი სხეულის აღმშენებლობაში სინერგიული პრინციპია მნიშვნელოვანი, რამეთუ ეკლესია ღმერთკაცობრივი ორგანიზმია:

„თქუენ ხართ ჴორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1კორ.12,27); „ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ" (ეფეს. 5,23), და მასში ადამიანის გადარჩენისათვის ღმრთისა და ადამიანის თანამშრომლობაა აუცილებელი: „რამეთუ ღმრთისა თანაშემწენი ვართ" (1 კორ. 3,9). ხოლო ერთ-ერთი, უფრო სწორად, ყველაზე ხელისშემშლელი მიზეზი ეკლესიაში ამ კუთხით ჩვენი არამართებული მოქმედებისა, უღირსად ზიარების საკითხია („...რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანა-მდებ არს იგი ჴორცსა და სისხლსა უფლისასა..."), რომელსაც წმინდა პავლე მოციქული ეხება, და რომელიც მძიმე განსაცდელს მოაწევს მაზიარებელზე: „...ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ, და წვანან (იხოცებიან – თ. გ.) მრავალნი..."; ხოლო კონტექსტიდან გამომდინარე, უღირსად ზიარების საკითხი სწორედ ეკლესიაში ერთობის არარსებობასთანაა დაკავშირებული („... თქუენსა ეკლესიად მესმის, ვითარმედ წვალება [განყოფა] არიან თქუენ შორის..."):

---

[25] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა, თავი 5, გვ.18 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

პირველად უკუე, რამეთუ შეკრებასა მას თქუენსა ეკლესიად მესმის, ვითარმედ წვალება არიან თქუენ შორის, და ზოგ-რაიმე მრწამს (განხეთქილება ხდება, რაც ნაწილობრივ მჯერა კიდეც – თ. გ.) შეკრებასა მას უკუე თქუენსა ერთად არა არს ეკლესიაჲ პურის საჭმელ [...]. ნუუკუე სახლებ არა გიდგსა ჭამად და სუმად? ანუ ეკლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფთ და არცხუენთ მათ, რომელთა არარაჲ აქუს? რაჲ-მე გრქუა თქუენ? გაქებდეა ამისთჳს? არა გაქებ. რამეთუ მე მოვიღე უფლისაგან, რომელიცა მიგეც თქუენ, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური. ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი, ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისაჲ; ამას ჰყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ, ჩემდა მოსაჴსენებელად. რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს. ამიერითგან, რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანა-მდებ (დამნაშავე) არს იგი ჴორცსა და სისხლსა უფლისასა. გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ. ხოლო რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჴორცნი უფლისანი. ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ, და წვანან მრავალნი (1კორ. 11:18,20,22-30).

პავლე მოციქული ყველას აფრთხილებს, რომ ევქარისტიული მსახურებისას (ზიარებისას) ერთიანობის განცდა აუცილებელია, რადგან ამ მსახურებისას ჩვენ ქრისტეს მისტიკური სხეულის აღმშენებლები ვართ. მოცემულ ამონარიდში მოციქული კორინთოს ეკლესიის მაგალითზე (კორინთელებს განხეთქილების შესახებ წერილის სხვა მონაკვეთშიც აფრთხილებს პავლე მოციქული: იხ. 1. კორ. 1,10-13) გვმოძღვრავს, რომ ნებისმიერი მიზეზით (ამ შემთხვევაში, საკვების მიღებით) ევქარისტიული ერთიანობის დაკარგვა, როგორც უფლისათვის მიუღებელი ქმედება, მძიმე შედეგების მომტანია ამგვარი ქრისტეანებისათვის. ამის შემდეგ კიდევ უფრო გასაგები ხდება არქიმანდრიტ გრიგოლის პრინციპული

წინააღმდეგობა გათითოკაცებული წირვის მიმართ.

კლასიკური (და სამწუხარო) მაგალითი იმისა, თუ რამდენად საშიშია ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღება მორწმუნე კრებულთან (ეკლესიასთან) გაცნობიერებული ერთობის გარეშე, ანუ მათთან განხეთქილებით, არის იუდას ზიარება საიდუმლო სერობაზე. იუდა ქრისტეს ხორცის და სისხლის მიღებისთანავე მოკვდა სულიერად (შდრ.: „ბევრია ამაში სულის საზიანო“ – წმინდა გრიგოლ ხანძთელი), რისი ნიშანიც მის გულში ეშმაკის შესვლაა: „შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის შევიდა მისა ეშმაკი“ (იოან. 13,27).

გიორგი მერჩულის ნაწარმოების ზემოთ მოყვანილი ამონარიდების მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორი დატვირთულია საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით ხსენებული თხზულება; და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთრივ თეოლოგიური შინაარსის ტექსტები დიდი მოცულობით არ გამოირჩევა.

ადამიანი როგორც პიროვნული არსება, თავისუფლებისთვისაა შექმნილი; თავად ღმერთი ფაქიზად, მაგრამ უდიდესი პრინციპულობით „ცდილობს“, ადამიანი სუბიექტად დარჩეს, ანუ პიროვნებად ჩამოყალიბდეს და საკუთარი სულის დამღუპველ ობიექტად არ გადაგვარდეს – „არა გიცნი, ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (ლკ. 13:27), მაგრამ იმავდროულად იგი სოციალური არსებაცაა. შესაბამისად, იქმნება ანტინომია – ერთობა[26] და პიროვნულობა, რომელიც მიზეზია უამრავი პრობლემისა მთელ სამყაროში; და რომლის დაძლევა, რაც კარგად გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ მსჯელობებში, მხოლოდ

---

[26] *ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და იგი მხოლოდ სხვა ადამიანებთან ერთობაში რეალიზდება როგორც პიროვნება, ავლენს თავის ნიჭებს, ვითარდება არა ნულიდან, არამედ იმ საწყისიდან, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაცია სთავაზობს; ადამიანთა თუნდაც ამქვეყნიური ბედნიერება საზოგადოების წევრებს შორის მშვიდობიან თანაარსებობაზეა დამოკიდებული და ეს, ადამიანისათვის, როგორც გონიერი არსებისათვის, ადვილად უნდა იყოს გასაგები; მიუხედავად ერთმანეთისადმი სიყვარულის აუცილებლობისა, და რაც მთავარია, მიუხედავად ადამიანთა ერთობის ონტოლოგიური საფუძვლისა (ყველანი ერთი ძირიდან, ადამიდან, მოვდივართ და შესაბამისად ერთი, საერთო ბუნება გვაქვს, რაც ერთმანეთისაკენ სწრაფვას ბუნებრივს ხდის), კაცობრიობის ისტორია უსიყვარულობის, გაუტანლობის, სიძულვილისა და ომების ისტორიაა (თ. გ.).*

ქრისტეს მისტიკურ სხეულში, ეკლესიაშია, შესაძლებელი. ამიტომ სწორი ეკლესიური ცხოვრება, ანუ სწორი ქრისტეანული სულიერი ცხოვრების პრაქტიკა უაღრესად მნიშვნელოვანია ქრისტეანობაში. სწორედ ამაზე ზრუნვას, ამ სწორი პრაქტიკის რეალიზებას ვხედავთ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ მონასტრებში. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი მონასტრული და ეკლესიური ცხოვრების პრაქტიკა, იყვნენ რა მაშინდელი ქართველნი ეკლესიის ნაწილნი, არის მიზეზი იმ ძალმოსილებისა და სულისკვეთებისა, რომელმაც ასე ააღორძინა ჩვენი ქვეყანა XII საუკუნეში. ხოლო ჩვენ, დღევანდელ ქართველებს, წმინდა გრიგოლ ხანძთელის, როგორც საეკლესიო პირისა და მისი მოღვაწეობის სახით, მოცემული გვაქვს ცოცხალი მაგალითი, მოდელი, თუ რით და როგორ უნდა დაიწყოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა.





1.3 ეკლესია-ქრისტეს სხეული

„აღსარებულად, დიდ არს ღმრთის მსახურებისა საიდუმლოჲ;
ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა“ (1ტიმ. 2,16);
„რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“
(გალ. 3,27).

ჯორწმუნე და ღმრთის მაძიებელ ადამიანს ღმერთთან ერთობის ტკივილიან სურვილთან ერთად, სულიერი ცხოვრების პრაქტიკაში ამ ერთობის ობიექტური დადასტურებაც აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რელიგიური ცხოვრება მხოლოდ თეორიული დოქტრინა ვერ იქნება; იგი აუცილებლად რელიგიურ პრაქტიკას უნდა გულისხმობდეს. მაგრამ ყველა ძირითად რელიგიაში ღმერთის გაგება ტრანსცენდენტურია. შესაბამისად, ტრანსცენდენტური ღმერთის, როგორც იმანენტურის, განცდა ლოგიკურად გაუგებარია. სწორედ აქ წარმოჩინდება ქრისტეანობის აბსოლუტური უნიკალურობა: „ღმერთი გამოჩნდა ჯორცითა“ (1ტიმ. 3,16), „რამეთუ მას შინა დამკჳდრებულ არს ყოველივე სავსებაჲ ღმრთეებისაჲ ჯორციელად.“ (კოლ. 2,9).

რა თქმა უნდა, აქ ძე ღმერთის განკაცება იგულისხმება. განკაცების ქრისტეანული დოგმატი[1] ყოვლადწმიდა სამების

[1] *„...და ერთი უფალი, იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა; რომელი ჩვენთვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა...“ (ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარ-*

დოგმატიდან გამომდინარეობს[2] და იგი გვეუბნება, რომ ტრანსცენდენტური, სამჰიპოსტასი და ერთარსება ღმერთის მეორე პირი, ძე ღმერთი, რომელიც სამყაროს შემოქმედია („ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“ (იოან. 1,3)) მამასა და სული წმიდასთან ერთად და რომელიც ყოვლისშემძლე, უსასრულო ღმრთაებრივი ბუნების ჰიპოსტასია,[3] დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ქალწულ მარიამისგან „შეურევნელად, უცვალებელად, განუყოფელად და განუშორებლად“[4] იღებს ადამიანურ ბუნებას[5] და მას მერე ადამიანური ბუნების ჰიპოსტასიცაა; ანუ როგორც პირი, პერსონა რეალიზდება ადამიანური ბუნებითაც: ქრისტეს ადამიანური ბუნება ყოფიერებაში შემოდის არა ადამიანური ჰიპოსტასით, არამედ ძე ღმერთის, ლოგოსის მარადიული ჰიპოსტასით, რომელიც ხდება რა პირი ადამიანური ბუნებისა, მის ცხოვრებას (ე. ი. მაცხოვრის კაცებისათვის მახასიათებელ თვისებებს) საღმრთო ჰიპოსტასის ცხოვრების შემადგენლად აქცევს (ე. ი. ერთ გვამოვნებაში, ანუ

წმუნოების სიმბოლო – მრწამსი).

[2] *„ყოვლადწმიდა სამების შესახებ სწავლება ამგვარად გამოითქმის: 1. ღმერთი სამებაა და ეს ნიშნავს, რომ ღმერთი არის სამი პირი, ანუ ჰიპოსტასი: მამა, ძე, სული წმიდა. 2. ყოვლადწმიდა სამების თითოეული პირი არის ღმერთი, მაგრამ ისინი არიან არა სამი, არამედ ერთი ღმერთი. 3. სამივე ღმრთაებრივი პირი ერთმანეთისგან პიროვნული, ანუ ჰიპოსტასური თვისებებით განირჩევიან“ (Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст. 131. Москва Издателъство ПСТГУ 2013 г.).*

[3] *„როცა ძე ღმერთს ღმერთად ვაღიარებთ, მხედველობაში გვაქვს, რომ იგი ღმერთია ამ სიტყვის უშუალო, პირდაპირი გაგებით, ანუ ბუნებითაა ღმერთი და არა – შვილებრივად, გადატანითი მნიშვნელობით“ (Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст. 143. Москва Издателъство ПСТГУ 2013 г.).*

[4] *IV მსოფლიო საეკლესიო კრება (Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст. 378-379. Москва Издателъство ПСТГУ 2013 г.).*

[5] *„...რომელმაც ჩვენთვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა...“ (ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო – „მრწამსი“); „წმინდა წერილი, როგორც ხორციელი, ისე სულიერი თვალსაზრისით, აბსოლუტურად არარაზროვნად მიანიშნებს მაცხოვრის ადამიანური ბუნების რეალურობას და ადამიანობით მის ჩვენთან ერთარსებობას“ (Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст. 356. Москва Издателъство ПСТГУ 2013 г).*

პიროვნებაში აერთიანებს); ამგვარად, მარადიული, ერთი ჰიპოსტასი ძისა, განკაცების გზით, საკუთარ თავში აერთიანებს, ერთი მხრივ, საღმრთო არსებისა და, მეორე მხრივ, ადამიანური ბუნებისათვის მახასიათებელ თვისებებს და სწორედ ხსენებულ საღმრთო პირს მოჰყავს ორივე ბუნება (ე. ი. ღმრთაება და კაცება) მოქმედებაში.[6]

სწორედ ასე ხდება ტრანსცენდენტული ღმერთი ამავე დროს იმანენტურიც, რომელიც, რა თქმა უნდა, პიროვნებისა და ბუნების ურთიერთმიმართების უნიკალურ ქრისტეანულ სწავლებაზეა დაფუძნებული (აღნიშნული საკითხი სცილდება ნაშრომის ფარგლებს და შესაბამისად, არ განიხილება). ე. ი. ქრისტეანული თეოლოგიის მიხედვით, ყოფიერების ტრანსცენდენტული, ცოცხალი საწყისი შემოდის სამყაროში, რაც ამ უკანასკნელისათვის გლობალური და ძირეული ცვლილებების დასაწყისს ნიშნავს; ეს დასაწყისი წმინდა წერილის ენაზე ბოლო ჟამად იწოდება: „ყრმანო, უკუანაჲსკნელი ჟამი არს“ (1იოან. 2,18); „რომელმაც თქვა: მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი“ (გამოცხ. 1,11).

იმისათვის, რომ ორი ათასი წლის წინ მომხდარი ეს დიადი მოვლენა ნებისმიერ ეპოქაში მცხოვრები ადამიანისათვის (და არა მხოლოდ მაშინ მცხოვრებ მოციქულთათვის) განცდადი ყოფილიყო, განკაცებული ღმერთი, იესუ ქრისტე, აარსებს ეკლესიას („აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი“ (მათ. 16,18)), როგორც საკუთარი ადამიანური ბუნების გაგრძელებას, რომელშიც ჟამთა აღვსებისას მთელ ქმნილ სამყაროს შეიერთებს („აღვსებისა მის ჟამთაისა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაი-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (ეფეს. 1,10)), სადაც ჩვენთვის, ადამიანთათვის, ღმრთის ნებით განსაკუთრებული ადგილია გამზადებული („რომელსა შინა განვეწესენით [გავხდით მემკვიდრენი] და წინასწარ ვიჩინენით ნებითა ღმრთისაითა“ (ეფეს. 1,11)); საამისოდ მის მიმდევართა რელიგიურ ცხოვრებაში ევქარისტიული (მადლიერების) სამღვდელო მსახურება შემოაქვს.

ევქარისტიული მსახურების დაწესება საიდუმლო სერობაზე ხდება:

> და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და

---

[6] *Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст. 377. Москва Издателъство ПСТГУ 2013 г.*

ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგაწ ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა (მათ. 26,26-28).

იესუ ქრისტე ჯვარცმის წინა დღეს, სერობისას, პურსა და ღვინოს[7] საჭმლად არ მიიღებს და განსაკუთრებული კურთხევით (ანუ საღმრთო ყოვლისშემძლეობით) თავის ხორცად და სისხლად ცვლის (გარდასახავს) (საკვები, ჩვეულებრივი მოხმარებით, ისედაც გარდაისახება ადამიანის ხორცად და სისხლად). შეცვლილ პურსა და ღვინოს, ანუ უკვე არსობრივად ხორცსა და სისხლს, როგორც საღმრთო ძღვენს, საკვებად აძლევს მოწაფეებს („...მიიღეთ და ჭამეთ... სვით ამისგან...“) და ამით საკუთარი სხეულის ნაწილებად, გაგრძელებად აქცევს მათ:



მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა... რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგომილ არს, და მე მისთანა (იოან. 6,51-56).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძე ღმერთის ღმრთაებრივი ჰიპოსტასი არა ერთ, ზოგად ადამიანურ ბუნებას მოიცავს, არამედ მასთან (იესუსთან) ევქარისტიულად (მადლიერებით) შეერთებულად ყველას. ასე შენდება ეკლესია, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული – „თქუენ ხართ ჴორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“ (1 კორ. 12,27); „ქრისტე თავ არს ეკლესიისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ“ (ეფეს. 5,23); და ასე ხდება თითოეული ქრისტეანი ქრისტეშემოსილი: „ქრისტე შეიმოსეთ“ (გალ. 3,27).

მას შემდეგ ეკლესიის სხეულის აღმშენებლობაში ღირსეული

---

[7] *„რატომ პური და ღვინო? სამყაროში არსებობს განსაკუთრებული, მხოლოდ ადამიანური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი საკვები, განსხვავებული ზოგადცხოველური საკვებისგან. ეს საკვებია პური და ღვინო, რომელთა დამზადება მხოლოდ ადამიანს ძალუძს. ასეთი საკვები ერთგვარი სიმბოლოა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებისა და სწორედ ეს საკვებია გამოყენებული ევქარისტიულ მსახურებაში წმინდა ძღვნად“. (Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. стр. 28-29. Москва: Сибирская Благозвонница. 2017)*

მონაწილეობის მიღება თითოეული ქრისტეანისათვის, ღმრთისაგან მოცემული ნიჭის შესაბამისად, სავალდებულოა:

> თითოეულსა კაცად-კაცადსა ჩუენსა მოცემულ არს მადლი საზომისაებრ ნიჭისა ქრისტესისა [...] და მან მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა, ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა (ეფეს. 4,7,11-13);

ხოლო ეკლესიის ისტორია ერთობლივი ღვაწლია იმ ადამიანთა (წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, მსოფლიო კრებათა ღმერთშემოსილი მამების, მეუდაბნოე მონაზონთა, კეთილმსახურ ერისკაცთა და სხვ.), რომლებიც მტკიცე ბურჯად ექცნენ ქრისტეს მისტიკურ სხეულს. ამ ადამიანებს ეკლესია წმინდანებად მოიხსენიებს და მათი უმთავრესი მახასიათებელი ქრისტესადმი მიბაძვა – „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (1კორ. 11,1) და მიმსგავსებაა – „ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის“ (ეფეს. 4,13).

ზემოთ მოყვანილი ვრცელი მსჯელობა არსობრივად ეხმიანება გიორგი მერჩულის თხზულებაში დამოწმებულ წმინდა გრიგოლ ხანძთელის ერთ პატარა ლოცვას:

> ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა: „ქრისტე ღმერთო! ხორცშესხმისა შენისა განგებულებაჲ ღმრთაებრ აჩვენე შენთა დიდებულთა და შიშით ჰმსახურეს მეუფებასა შენსა – წინაჲსწარმეტყველთა წინაჲსწარ უწყებითა, მოციქულთა ქადაგებითა, მოწამეთა ჭეშმარიტითა აღსარებითა და ღირსთა წმიდათა სოფლისა კრებათა და მეუდაბნოეთა მამათა მარადის დიდებითა სახელისა შენისა წმიდისაჲთა. და ესე ოთხ კერძო კრებული[8] საღმრთოჲ წმიდათა ყოველთა გარემოდგომილი ზღუდისსახედ უძრავისა სიმტკიცე ექმნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა. რამეთუ შენ, „თვით სიბრძნემან იშენე თავისა თვისისა სახლი სიწმიდისაჲ“

[8] *შდრ: „...და მან მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაწარმეტყუელნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა...“ (ეფეს. 4,11-12).*

შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელსდევ გვამად შენდა („აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა...“ (ეფეს. 4,12)) და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა შეუძრველად აღაშენენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი.[9]

დამოწმებულ ამონარიდში ეკლესია, ქრისტეს სხეულის გარდა, სიწმიდის სახლადაც იწოდება, რაც ასევე შეესიტყვება ქრისტეანულ თეოლოგიას, გამოთქმულს პავლე მოციქულის მიერ – „ამიერითგან... ხართ... თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაწარმეტყუელთასა, რომლისა თავ საკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ, რომლითა ყოველი შენებული... ორძის [აღორძინდება] ტაძრად წმიდად უფლისა მიერ...“ (ეფეს. 2:19-22).

ეკლესია რომ ქრისტეს საიდუმლო სხეულია, ამას ის საღმრთისმეტყველო გაგრძელება აქვს, რომ ქრისტე საკუთარი სხეულის თავად იწოდება, რომელმაც ყოველივე შეარიგა ღმერთთან და მშვიდობა მოიტანა როგორც ღმერთსა და ადამიანს, ისე ადამიანებს შორის:

და იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაჲ, რომელი არს დასაბამი, პირმშოჲ მკუდრეთით, რაჲთა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ; რამეთუ მას შინა სათნო-იყო ყოველივე სავსებაჲ დამკჳდრებად და მის მიერ დაგებად ყოველი მისა მიმართ, მშჳდობა-ყო სისხლითა მით ჯუარისა მისისაჲთა მის მიერ, გინა თუ ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა. და თქუენ ოდესმე იყვენით უცხო-ქმნულ და მტერ გონებითა თქუენითა საქმეთა მათ შინა ბოროტთა, ხოლო აწ დაგიგნა გუამითა მით ჴორცთა მისთაჲთა სიკუდილისა მიერ და წარგადგინნა თქუენ წმიდად და უბიწოდ და უბრალოდ წინაშე მისსა, უკუეთუ ეგნეთ სარწმუნოებასა ზედა დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი და შეურყეველნი სასოებისა მისგან სახარებისა, რომლისაჲ გესმა, ქადაგებულისაჲ ყოვლისა შორის დაბადებულისა ცასა ქუეშე, რომლისა ვიქმენ მე, პავლე, მსახურ (კოლ. 1.18-23).[10]

---

[9] *მერჩულე გ., ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 10, გვ. 42-44 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[10] *„ის არის თავი სხეულისა, რომელიც ეკლესიაა. ის არის დასაბამი, პირმშო მკვდართაგან, რათა მას ჰქონდეს პირველობა ყველაფერში. ვინაიდან სასურველი იყო მამისთვის, რომ მასში დამკვიდრებულიყო მთელი სისავსე, რათა მისი მეშვეობით შემოერიგებინა ყოველი და მშვიდობა დაემყარებინა მისი ჯვრის სისხლით, დედამიწაზე თუ ზეცაში. თქვენც, ოდესღაც რომ გაუცხო-*

სარწმუნოების უმთავრეს პოსტულატს, რომ სამყაროს, ყოფიერებას ტრანსცენდენტული გონიერი საწყისი, ანუ ცოცხალი ღმერთი ჰყავს (რომ. 14,11; 2 კორ. 3,3; 6,16; ებრ. 9,14; 12,22), ადამიანთათვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ღმერთი იმანენტურიც რომ არ გამხდარიყო (რამეთუ ის ჩვენთვის მიუწვდომელი და რეალურად, არარსებული იქნებოდა). ეს ძე ღმერთის განკაცებით მოხდა. ხოლო ღმრთის განკაცებას თითოეული ჩვენგანისათვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ქრისტეს რომ ეკლესია, როგორც თავისი სხეულის მისტიკური გაგრძელება, არ დაეარსებინა. ეკლესიის ნაწილნი, იგივე, ქრისტეს სხეულის ნაწილნი, გაგრძელებანი ჩვენ, ანუ ის ადამიანები ვართ, რომლებიც მას მადლიერებით (ყოველივე იმის გამო, რაც მან ჩვენთვის გააკეთა), მადლიერების (ევქარისტიული) მსახურებით ვუერთდებით.

სამყაროში ღმერთის რეალურად შემოსვლამ და ადამიანებთან მისმა რეალურმა კავშირმა სამყარო თვისებრივად შეცვალა უკეთესობისკენ. ღმერთის ჩვენთან რეალურად მყოფობა, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, მისგან დაარსებული ეკლესიის მიერ ხდება, ხოლო წმინდა

> იოანე ოქროპირისა და საერთოდ, წმინდა მამათა სწავლებით, „ეკლესია შენდება როგორც ტაძარი (ვგულისხმობთ ქრისტეს მისტიკურ სხეულს), რათა მასში ღმერთმა დაივანოს. თითოეული ჩვენგანიც ტაძარია და ერთადაც ტაძარი ვართ. როგორც ერთ ქრისტეს სხეულში მკვიდრობს ღმერთი, ასევე მკვიდრობს ჩვენს სულიერ ტაძარშიც, რომელიც ცოცხალი ღმერთის ცოცხალი ტაძარია და იგი იზრდება და განმტკიცდება ქრისტესადმი მადლიერებით (კოლ. 2,6-7). ეს ზრდა და აღმშენებლობა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, ცოცხალი ღმერთის ქალაქის – ზეციური იერუსალიმის – საზომის მიღწევამდე (ებრ.11,10; 12,22-23; გალ. 4,26) გაგრძელდება“.[11]

ებულნი და გონებით მტრები იყავით თქვენი ბოროტი საქმეების გამო, ახლა შეგირიგათ თავის ხორციელ სხეულში მისი სიკვდილის მეშვეობით, რათა წარგადგინოთ თქვენ წმიდები, უბიწონი და უბრალონი თავის წინაშე; ოღონდ თუ დარჩებით მტკიცე და შეურყეველი რწმენაში და არ გადაუხვევთ სახარების იმედს, რომელიც ისმინეთ და ექადაგა ყოველ ქმნილებას ცისქვეშეთში და რომლის მსახურიც გავხდი მე, პავლე“ (1კოლ. 1,18-23).


[11] *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. Стр. 157. Москва: Новоспасский монастырь. 2009*

ეს ნიშნავს დინამიკურ, ყოველთვის განახლებად, სრულყოფილებისაკენ მუდამ მსწრაფ მდგომარეობას. ხოლო აქედან გამომდინარე შედეგი ისაა, რომ სადაც ცოცხალი ღმერთის მისტიკური სხეული, ანუ ეკლესია შეიწყნარეს და მას მისტიკურად შეურთდნენ, იქ ხდებოდა ადამიანთა რეალური ცვლილება[12] და შესაბამისად, მთელი


---

[12] *„წმ. ნიკოლოზ კავასილა მსჯელობს: „ქრისტე იმავე გზებით აღწევს ჩვენს სულში, რომლებითაც სხეულის სიცოცხლეს ვინარჩუნებთ... საჭმელი ხდება იგი ჩვენთვის, და ამრიგად სრულად გვიერთდება, საკუთარ სხეულად გვაქცევს. მასთან ერთობა, რომელშიც ჩვენი სული და სხეული უცვალებლად, შეურევნელად და განუშორებლად საიდუმლოებრივად უერთდება მას, მისი მკვდრეთით აღმდგარი ყოვლისშემძლე სხეულის ზემოქმედებით, სრული ადამიანური ბუნების, მისი ყველა ძალის მეტამორფოზა, გარდასახვა, განახლება ხდება. ისინი ქრისტეს მკვდრეთით აღმდგარი სხეულის ძალები ხდებიან. დიადი ძალნი მცირეთ არ მისცემენ შესაძლებლობას, იმად დარჩნენ, რაც იყვნენ.... გასაგებია, რომ როცა ჩვენში ქრისტე შემობრძანდება და საკუთარ თავთან გვაერთებს, იგი გვცვლის და საკუთარ თავად გარდაგვქმნის, მსგავსად უსაზღვრო ოკეანეში ჩაღვრილი მცირე წვეთისა...“. ნიკოლოზ კავასილა დაბეჯითებით ბრძანებს: „იმის გამო, რომ უფალი თავის სხეულად გვაქცევს, ამიტომ იგი ჩვენთვის იგივეა, რაც სხეულისათვის თავი; ჩვენ ყველა იმ სიკეთეს ვეზიარებით, რაც მასთანაა, რამეთუ იგი თავია, ხოლო თავის კუთვნილება კი, სხეულშიც გადადის. და აქედან რას ვღებულობთ? საუკეთესო სუსტს გადაძალავს, ღმრთაებრივი ადამიანურს; და როგორც წმ. პავლე მოციქული ბრძანებს: „არა გუნებავს განძარცუვად, არამედ შემოსვად, რაჲთა დაინთქას მოკუდავი იგი ცხორებისაგან (რათა ცოცხალმა შთანთქას მოკვდავი.)“ (2კორ. 5,4), ასევე: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე.“ (გალ. 2,20)“. Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.156-158. Москва. «Никея»-2011; „ღმრთაებრივ ევქარისტიაში, როგორც წმ. კავასილა წერს, სრულად მყოფობს და გვეძლევა ქრისტეს სხეული, უფრო ზუსტად, სრული ქრისტე – სიტყვა ღმრთისა, მის მიერ მიღებული ხორცით (ადამიანური ბუნებით) და ყოველივე აღსრულებულით. „რამეთუ ჩვენ ქრისტეს ძღვენთაგან რაიმე მცირედს კი არა, მას ვიღებთ სრულად“. სწორედ ევქარისტიაშია ქრისტეანული სულიერი ცხოვრების არსიც და დასაწყისიც: ქრისტესთან ერთობის სისავსე და განსრულება. სრული ადამიანი, ყოფიერების ყოველ დონეზე, ყოველგვარი სულიერი და ხორციელი ძალებითა და გრძნობებით, და რაც მთავარია – სიღრმისეული კავშირით ქრისტესთან, იცვლება და განიღმრთობა მასში... „ო! აღმოსთქვამს წმ. ნიკოლოზ კავასილა, სიდიადე საიდუმლოებისა!... როგორი ხდება ჩვენი გონება, როდესაც მას ღმრთაებრივი გონება მოიცავს; როგორი ხდება ნება, როცა ღმრთაებრივი ნება მყოფობს, როგორი ხდება გული, როდესაც მასზე ღმრთაებრივი ცეცხლი იმარჯვებს“. და ეს ყოველივე მხოლოდ სუბიექტური განცდა არაა, ეს რეალობაა.*

საზოგადოების მორალურ-კულტურული, და აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი აღორძინებაც. ასე მოხდა სწორედ დავითისა და თამარის ეპოქაში, რომლის წინამორბედ მოვლენად, სამეცნიერო წრეებში გაზიარებული თვალსაზრისის შესაბამისად, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ ქრისტეს ეკლესიის აღორძინება უნდა მივიჩნიოთ საქართველოში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ სადაა ჩვენი სახელმწიფოებრივი აღორძინების გასაღები.



კავასილას მაგალითისთვის წმ. მოციქული პავლე მოჰყავს, რომლის ადამიანური ძალები და გრძნობები ქრისტეს ძალებში და გრძნობებშია გარდასახული: „ჩუენ გონებაჲ ქრისტესი გუაქუს“ (1კორ. 2,16); „გამოცდასა ეძიებთ მისსა, რომელი-იგი ჩემ მიერ იტყჳს ქრისტე” [იმის დასტურს ეძებთ, მეტყველებს თუ არა ჩემში იესო ქრისტე] (2კორ.13,3); „ვჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისაჲ მაქუს მე.“ (1კორ. 7,40); „მიყვარხართ ყველანი იესო ქრისტეს სიყვარულით“ (ფილიპ. 1,8); „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2,20). св. Николай Кавасила Семь слов о жизни во Христе. слова 4. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj–Kavasila/sem–slov–o–gizni–vo–hriste/; მოციქულის ამ გამონათქვამებს კავასილა პირდაპირი მნიშვნელობით იგებს. მართალია, „წმ. ეკლესიის საიდუმლოებებში ღმერთი მადლს მთელი სისავსით იძლევა, მაგრამ მადლის მიმღები თანამოქმედი, თანამუშაკი უნდა იყოს ღმრთისა; „რამეთუ, როგორც წმ. ნიკოლოზ კავასილა ბრძანებს, სწორია და სულიერ ცხოვრებასთან შესაბამისი, სიცოცხლესთან ზიარებისას არ დავკმაყოფილდეთ მიღებულით, და არ ვიყოთ უმოქმედოდ, თითქოს უკვე ყველაფერს ვფლობდეთ, არამედ იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, თუ როგორ შევინარჩუნოთ მიღებული... რამეთუ მადლი მაშინ განგვწმენდს და გვაკურთხებს წმინდა საიდუმლოებებში, როცა ჩვენში განწმენდისა და მადლის მიღებისათვის განწყობას და მზაობას ხედავს. ხოლო ჩვენი მოუმზადებლობის შემთხვევაში არა თუ სარგებელს ვნახავთ, არამედ ზიანსაც კი“ (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст. 168. Москва . «Никея»-2011).



1.4. ეკლესია – ზეციურისა და მიწიერის ერთობა

„და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არა ცხოველეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთჳს უმჯობესი წინაწარ განიგულა, რაჲთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“ (ებრ. 11,39-40); „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი – ღმერთი მკუდარისაჲ, არამედ ცხოველთაჲ“ (მათ. 22,32).

ადამიანობისათვის ერთ-ერთი ძალზე (შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტადაც) მტკივნეული, მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია სიკვდილი, რომელიც როგორც უკანასკნელი დიდი მტერი,[1] მუდამ დევნის ადამიანურ არსებას და მთელ კაცობრიობას. იგი აკარგვინებს აზრს ყოველგვარ ღირებულებას და კეთილ წამოწყებას სამყაროში; უაზრობად აქცევს ადამიანის არსებობას. ყოველგვარი ღირებულება და სიკეთე მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად არსებობს და ადამიანური ცხოვრების საზრისის წარმოდგენაც კი შეუძლებელია უმაღლეს ღირებულებათა და სიკეთეთა გარეშე, რომლებიც, თავის მხრივ, მარადიული სიცოცხლის გარეშე ყოველგვარ აზრს მოკლებულია; განკაცებული ღმერთის ერთ-ერთი უმთავრესი მისია სწორედ სიკვდილის დამარცხება იყო.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: მიუხედავად ღმრთის ყოვლისშემძლეობისა, რატომ მძლავრობს ამ სამყაროში სიკვდილი? ეს მნიშვნელოვანი თეოლოგიური საკითხია.[2] დასახელებული

[1] *„უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს – სიკუდილი“ (1კორ. 15,26).*

[2] *„ტყავის სამოსელით“ (დაბ. 2,25-3,24) ადამიანი დაცემის შემდეგ შეიმოსა და როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი წერს, ეს სამოსელი ადამის პირვანდელი ბუნების შემადგენელი არ ყოფილა... წმინდა მამათა (მეთოდი ოლიმპიელის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე დიდის, გრიგოლ პალამას) განმარტებით, „ტყავის სამოსლით“ შემოსვა მოკვდავობით შემოსვას ნიშნავს, რაც გულისხმობს არა*



სიკვდილს, არამედ ახალ მდგომარეობას – „სიცოცხლეს სიკვდილში“, რომელშიც აღმოჩნდა ადამიანი... წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ფიქრობს რა ადამის დაცემის შინაგან მიზეზებზე, ჩვენს პირველმშობელს იმ თვისებათა სწრაფად მოხვეჭის მსურველად ჭვრეტს (თან ღმერთთან დაპირისპირებით), რომელსაც თავად ღმერთი ფლობს; რათა „ღმერთის გარეშე, ღმერთზე უწინარეს და არა ღმერთისაებრ“ ფლობდეს იმას, რაც საკუთრივ მხოლოდ ღმრთაებრივია, კერძოდ – თვითმყოფად სიცოცხლეს. ამისთვის უარყოფს მისი ბუნებისათვის აუცილებელ ღმრთაებრივ საკვებს და ღმრთისაგან დამოუკიდებლობისათვის არჩევანს აკრძალულ ნაყოფზე აკეთებს; და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისგან მომდინარე საშიშროების შესახებ გაფრთხილებული იყო. შედეგად მუდმივად ცვალებადობას, მუტაციას და ხრწნადობას დაქვემდებარებული აღმოჩნდა. ადამიანში სიკვდილის წყარომ ამოხეთქა. როგორც წმინდა მაქსიმე წერს, სიკვდილი მას შემდეგ ადამიანში მყოფობს და იგი ჩვენ თავის საკვებად გვაქცევს. ამიტომ ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ნამდვილი ცხოვრებით. ჩვენ მუდმივად სიკვდილის მიერ ვნადგურდებით. სწორედ აქედან გამომდინარე წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ასკვნის, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული არა სიკვდილი, არამედ სიკვდილისგან განთავისუფლებაა და როგორც წმინდა მამები (მე-

საკითხის შესახებ მსჯელობა სცილდება სადოქტორო ნაშრომის საკვლევ საკითხს, ამდენად, აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ: სიკვდილი პირველმშობელთაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ, ადამიანის დაზიანებულ, ღმერთს დაცილებულ ბუნებას ონტოლოგიურად უკავშირდება: „კაცისა მიერ იყო სიკუდილი, და... ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან“ (1კორ. 15,21-22). მეტიც: იგი ამგვარი, ანუ დაზიანებული ბუნებისათვის სასარგებლოც კია (რომ ეს დაზიანება მარადისობაში არ გადაყვეს). მისი (სიკვდილის) არსებობა ადამიანის უძირითადეს ნიჭს, თავისუფლებას, უკავშირდება (სიკვდილი ადამის თავისუფალი, პიროვნული არჩევანის ნაყოფია, რამეთუ მან თავად გაწყვიტა ღმერთთან, ანუ ჭეშმარიტ სიცოცხლესთან ერთობა; შესაბამისად მარადიული სიცოცხლეც, ანუ ღმერთთან ერთობის კვლავ აღდგენა, ადამიანისვე თავისუფალი არჩევანი უნდა იყოს), ამიტომ მისგან განთავისუფლებაც მხოლოდ ღმრთის ნებით, იმპერატიული ბრძანებით, იურიდიულად და

თოდი ოლიმპიელი, ირინეოს ლიონელი, გრიგოლ ნოსელი) აღნიშნავენ, ღმერთმა ისტორიაში შემოსული სიკვდილი ადამიანის ბიოლოგიური სიცოცხლისა და შესაბამისი ხრწნილებისკენ მიმართა; რის შემდეგადაც, სიკვდილი ადამიანის ხრწნილებაში მყოფობას მუსრავს, ხოლო ადამიანი სიკვდილის მიერ თავისუფლებას ეზიარება... გარდა ამისა, სიკვდილი, რომელიც როგორც იარაღი ეშმაკის ხელში, ადამიანს მატერიაში გაბნევას, განლევას და გაქრობას უქადდა, ღმრთის სიბრძნითა და ყოვლისშემძლეობით, გარდაცვლილი ადამიანის სხეულის სამყაროს ქმნილ სტიქიებში (ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა) შეღწევის გზით – „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო...“(ეკლესიას. 12,7), მატერიისვე გარდაქმნის შესაძლებლობად იქცა. მატერია, როგორც ამას წმინდა მაქსიმე ამბობს, უკვე თავის წიაღში ადამიანის „ლოგოსის“ მატარებელი (შეერია რა მის სტიქიებს გარდაცვლილი ადამიანის სხეული), ხოლო ამით კი უხრწნელობის მიღების შემძლებელი გახდა (როდესაც ადამიანი მიიღებს უხრწნელობას. /თ. გ./) (2პეტრ.3,13; რომ.8,19; გამოცხ.21,1.)...“ (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст..51,55,56,79-81. Москва «Никея»-2011); წმინდა მაქსიმეს მიხედვით, ადამიანის სული ღმერთსა და მატერიას შორის, მათი ერთობისათვის იქნა დადგენილი და შესაბამისი ძალებიც მიეცა. რომელთა სწორი გამოყენების შემთხვევაში უნდა აღმოფხვრილიყო ოთხი მთავარი განყოფა: ადამიანში – მამაკაცსა და დედაკაცს შორის; დედამიწაზე – სამოთხესა და დანარჩენ სამყაროს შორის; ხილულ ქმნილებაში – მიწა-სა, ცასა და მთელ ქმნილ სამყაროს შორის; მთელ ქმნილებაში – გონიერსა და გრძნობადს შორის. ბოლოს კი უნდა დაძლეულიყო მეხუთე განყოფა: ქმნილებას და შემოქმედს შორის. ადამის მიერ ეს შეუსრულებელი დავალება, ახალი ადამის, ქრისტეს მიერ იქნა აღსრულებული“ (იქვე, გვ. 64,65).

ყოვლისშემძლეობით არ მოხდება, რადგან ამ შემთხვევაში, ადამიანი როგორც თავისუფალი პიროვნება, აღარ იარსებებდა; ანუ ადამიანი აღარ იქნებოდა ღმრთის ხატი და მსგავსი. სიკვდილის, როგორც ადამიანის სამოთხეში დაცემის შედეგის, დასამარცხებლად, ადამიანური ბუნების განკურნება, წმინდა წერილის ენაზე თუ ვიტყვით, ახალ ქმნილებად გარდასახვა, როგორც თავად უფალი ბრძანებს, მეორედ შობაა საჭირო. ხოლო ეს ყველაფერი ადამიანის თავისუფლების, ანუ ადამიანის ღმერთთან თანამშრომლობის გარეშე არ მოხდება (შდრ. სამოთხეში დაცემა ეშმაკთან თანამშრომლობით მოხდა), „რამეთუ ღმრთისა თანაშემწენი ვართ“ (1კორ. 3,9). თავად განკაცებული ღმერთის, იესუ ქრისტეს მიერ სიკვდილზე გამარჯვება, ანუ აღდგომა, ღმრთის მიერ განხორციელებული თავისუფალი აქტი იყო. ამიტომაც სწორედ ეკლესიაში, როგორც იესუ ქრისტეს ღმერთკაცობრივ სხეულში, რომელიც ამავე დროს, ღმრთის სამეფოცაა (სასუფეველი), და რომელიც ადამიანის ღმერთთან თანამშრომლობის ადგილია, სიკვდილი აღარ არსებობს: ეკლესიის წევრნი არიან ზეცის მოქალაქენი,[3] რომლებიც აღარ დაიხოცებიან, არამედ გარდაიცვლებიან სიკვდილისაგან სიცოცხლეში[4] ერთი მხრივ, სიკვდილის აღარ არსებობა (სულიერად და მარადიულ პერსპექტივაში) და მეორე მხრივ, არსებობა ეკლესიისა, როგორც ქრისტეს ერთიანი სხეულისა, გარდაცვლილებისა და ხორცში მყოფთა ქრისტესმიერ ერთობას განაპირობებს.

გიორგი მერჩულის ნაწარმოები კარგად წარმოაჩენს ეკლესიას, როგორც ზეცისა და მიწის ერთობას, როგორც სიკვდილის დამმარცხებელს; აგრეთვე, ადამიანის, როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის საზრისის მიმნიჭებელს:

> ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქვეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვის, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუსვებელი, ბრწყინვალეჲ ზედა სასანთლესა მას მაღალსა, ზეთითა მით განუპარველითა, რაჲთა ხმასა მას და ოხრასა

---

[3] *„და თანა-აღმადგინა და თანა-დამსხნა ზეცათა შინა ქრისტე იესუჲს მიერ“ (ეფეს. 2,6); „მკჯდრ ვიქმნეთ სასოებასა მას ცხორებისა საუკუნოჲსასა“ (ტიტ.3,7); „სამკჯდრებელად უხრწნელად და შეუგინებელად და დაუჭნობელად დამარხულთა ცათა შინა თქუენდა მიმართ“ (1 პტრ. 1,4).*

[4] *„გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“(იოან. 5,24).*



საყვირისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღვეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა. და რამეთუ მადლითა მით ღმრთისმხილველითა, გონიერითა და უბიწოჲთა, გულისხმა ეყო შეუცვალებელი იგი სუფევაჲ, ზეცისა მთავრობაჲ, და მათ თანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქვეყანისა მოკვდავთა კაცთა სუფევისაჲ და მოჰრიდა ჟამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა, რაჲთა უჟამოჲ იგი ნათელი უძღოდის უნივთოსა მას სამკვიდრებელსა და უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა.[5]

ზემოთ მოყვანილ ამონარიდში კარგად ჩანს წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის მომავალი ნაყოფები: სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში – „რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე“; დიდებულება და დინამიკურობა ეკლესიის მოღვაწეობისა – „განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღვეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა“; სულიერი და ლოცვითი ცხოვრების აღმატებითი ხარისხი – „მადლითა მით ღმრთისმხილველითა, გონიერითა და უბიწოჲთა, გულისხმა ეყო შეუცვალებელი იგი სუფევაჲ, ზეცისა მთავრობაჲ“; ზეციურ, მოზეიმე ეკლესიასთან ერთობისა და ამა სოფლის სულისგან განრიდების სურვილი და ასკეტური ღვაწლი – „მათ თანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქვეყანისა მოკვდავთა კაცთა სუფევისაჲ და მოჰრიდა ჟამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა“; და ღმერთთან თანამუშაკობა[6] – „რაჲთა უჟამოჲ იგი ნათელი უძღოდის უნივთოსა მას სამკვიდრებელსა და უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა“.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დასტურდება საყურადღებო პასაჟი:

> გვაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხვალ უფლისა. ხოლო მან (ბერმა ხუედიოსმა – თ. გ.) ჰრქვა: „ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყვარებისაჲ იყავნ თქვენ თანა

---

[5] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 4, გვ. 16-18 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[6] *„ღმრთისა თანაშემწენი ვართ; ღმრთისა ნამუშაკევნი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ“ (1კორ. 3,9).*

ყოვლადვე. არამედ ჩემთვის ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა საშინელთა!" ხოლო მათ ჰრქვეს: „არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა, რომელთა თანა სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტესა, არამედ ნუ დამივიწყებ ჩვენ ადგილსა შენისა წმიდისა მკვიდრთა და ნერგთა მადლისა შენისათა". და მან ჰრქვა მათ: „ხელთა ღმრთისათა შევჰვედრებ სულსა ჩემსა და ხელთა თქვენთა ხორცთა ჩემთა. ხოლო ნებითა ღმრთისაჲთა ერთად იყოს სიხარული ჩვენი საუკუნოდ".[7]

დამოწმებულ ამონარიდში კარაგად ჩანს ეკლესიისათვის ბუნებრივი და ამა სოფლის სულისათვის სრულიად უცხო დამოკიდებულება სიკვდილისადმი[8]: „ჩემთვის ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა საშინელთა"; ასევე, ჯერ კიდევ ხორცში მყოფი ქრისტეანის ზეცის მოქალაქეობა – „ჩუენი მოქალაქობაჲ ცათა შინა" (ფილიპ. 3, 20), „მათ ჰრქვეს: „არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა, რომელთა თანა სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტესა"; აგრეთვე, ზეციური და მიწიერი ეკლესიის ერთობა, ლოცვითი კავშირი – „ნუ დამივიწყებ ჩვენ ადგილსა შენისა წმიდისა მკვიდრთა და ნერგთა მადლისა შენისათა".

როდესაც წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში გაწეული ღვაწლისგან მიღებულ შედეგს ვაანალიზებთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ მისი ქრისტეანული მსოფლხედველობა. ქრისტეანული სარწმუნოების მიხედვით, ადამიანს ერთი სიცოცხლე აქვს, რომელიც აქ, ამსოფლად, იწყება და აღარასოდეს მთავრდება. ადამიანური სიცოცხლის მარადიულობა ღმრთის განგებით არსებული მოცემულობაა, ხოლო სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვება ხელშესახებად საცნაური სწორედ ქრისტეანთათვის გახდა: განკაცებულმა ღმერთმა საკუთარ თავში შემოუშვა სიკვდილი,

---

[7] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 8, გვ. 34 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[8] *ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ამონარიდი, რომელშიც ღმრთისმოყვარე ადამიანის გარდაცვალების დიდებულებაა ნაჩვენები: „და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ-ეყო მას ჰრული მისი. და ადგილი იგი აღივსო სულნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა, რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტესა". (მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 8, გვ.34 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014).*

ანუ მოკვდა (ჯვარზე), ხოლო შემდგომ გაცოცხლებით (აღდგომით) საკუთარ თავში შემოსული სიკვდილი მოკლა: „...სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...“ (აღდგომის ტროპარი).

სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა ქრისტემ ყველა იმ ადამიანს მიანიჭა, რომლებიც ნებაყოფლობით ეკლესიის, ანუ მისი სხეულის ნაწილნი ხდებიან: “თქუენ ხართ ჯორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი” (1კორ. 12,27). ასეთნი, ანუ ეკლესიის წიაღში მყოფი ადამიანები, მჭიდროდ უკავშირდებიან ეკლესიის სხვა წევრებს, როგორც ხორცში მყოფებს, ისე გარდაცვლილებს, რამეთუ ეკლესია, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული, ერთია, ერთი მთლიანობაა.[9]

ასეთი ადამიანების ამსოფლიური მოღვაწეობა გამსჭვალულია მარადიული სიცოცხლის სიხარულით (რამეთუ ყოველ ღირებულებას აზრი ენიჭება) და დინამიკით (რამეთუ წინ არის ღმერთი და წინ არიან ძვირფასი ადამიანები). მათთვის უცხოა სიკვდილის შიში, რომელიც ცოდვისგან, ანუ ღმერთს დაცილებულობისგან იბადება და იკვებება.[10] შესაბამისად, მოღვაწეობის ნებისმიერი სახე, მათ შორის, სამშობლოს სამსახური, განსაკუთრებულ საზრისს იძენს, რადგან ეკლესიის წიაღში ქრისტესა და დიდ წინაპრებთან ცოცხალი კავშირი ორგანულად განიცდება, რასაც ქართულ სინამდვილეში შესაბამისი დადებითი ნაყოფი გამოჰქონდა

---

[9] „არამედ აწ სასწაულნი მათნი (კლარჯეთის დიდებულ უდაბნოებში მოღვაწე მამების) ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა. ყოვლად სახსენებელთა მათ განსაკვირვებელთა ნეტართა კაცთა საქმენი კეთილნი და ცხორებაი უბიწოჲ, რომელნიცა-იგი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი ზეცისა სამყაროსა, ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქვეშე. და აწ სულითა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებელსა ნათელსა შინა და მარადის ჩვენთვის მეოხებასა ჰყოფენ განმხიარულებულნი ქრისტეს აღთქმულთა მოღებითა, რამეთუ შრომათა მათთა წილ მიუღებიეს სიხარული და მხიარულებაჲ უოხჴნოჲ, მოუკლებელი და გამოუთქმელი ცათა შინა“. (მერჩხულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ. 8 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014).

[10] ამ კონტექსტში შესაძლებელია, გაჩნდეს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ ეშინოდა ქრისტეს სიკვდილის (გეთსიმანიის ბაღში. მათ. 26,39). საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ ქრისტემ მთელი კაცობრიობის, უკლებლივ ყველა ადამიანის ცოდვა და მისგან გამომდინარე ტკივილი იტვირთა (მათ.8,17; 2კორ.5,21), და ჯვარს შეამშჭვალა (კოლ.2,14).



1.5 ერის, ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა; წმინდა გრიგოლ ხანძთელის ღირებულებათა ტრიადა.

„ბერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას მსხვერპლსა... ღმრთივ-დაცული ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის. მიეც მათ, უფალო, მშვიდობით მოქალაქეობა, რათა ჩვენცა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული და მყუდრო ცხოვრება გვაქუნდეს, ყოვლითა კეთილ მსახურებითა და პატიოსნებითა“.[1]

ითქმის სამი ათეული წელია გასული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. ამ ხნის განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა კრიზისი სახელმწიფოებრივი განვითარების ყველა სფეროში: პოლიტიკურში, კულტურულში, ზნეობრივში, სოციალურში, დემოგრაფიულში... და თუ გამოსავლის ძიებისათვის მზერას წარსულს, ანუ ისტორიულ გამოცდილებას მივაპყრობთ, აუცილებლად შევამჩნევთ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მონუმენტურ ფიგურას, რამეთუ სწორედ მისი სულიერი მოღვაწეობა დაედო სათავედ დიდი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

ქართული სახელმწიფოებრიობა მრავალ საუკუნეს ითვლის. ერისთვის, მისი თვითმყოფადი განვითარებისათვის, საკუთარი სახელმწიფოს არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუკუნეების განმავლობაში სწორედ ქართული სახელმწიფო იყო და არის ერთ-ერთი მიზეზი დღეს ჩვენი, როგორც ერის, უნიკალური არსებობისა. ამიტომაც საუკუნეების განმავლობაში ქართველები თვითგადარჩენის ინსტინქტით და ამასთან, სახელმწიფოებრიობის საჭიროების სრული გაცნობიერებით, უკომპრომისოდ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

---

[1] *წმინდა იოანე ოქროპირის წირვა. სამღვდელო კონდაკი.*

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ქართველთა სახელმწიფო დამოუკიდებლობა ქართული კულტურის თვითმყოფად წიაღში იყო აღმოცენებული და ამგვარ სახელმწიფოში რეალიზებული ადამიანი, მიუხედავად მისი ნაციონალური წარმომავლობისა, კულტურულად ქართველი იყო. საკუთრივ ქართული კულტურა კი, თავის მხრივ, ეფუძნებოდა მცირე, მაგრამ მრავალფეროვნებით მდიდარ გეოგრაფიულ მდებარეობას, ანუ მამულს (რომელიც მრავალფეროვან ეთნოკულტურას უწყობდა ხელს), ენას (რომელიც ქართველთა არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ შინაგანი სამყაროს გამოხატულება, ცნობიერების რეალიზაციის შესაძლებლობა იყო) და სარწმუნოებას (როგორც ქრისტეს მოციქულთა უცვლელი სწავლების, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგულების გამოხატულებას). ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ წმინდა ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) ეს სამი ღირებულებითი ტრიადა, მისი სიტყვებით რომ ითქვას, სამი საუნჯე – მამული, ენა და სარწმუნოება, ქართველთა ერის, ქართული თვითმყოფადობისა და კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედად გამოაცხადა.[2]

დღეს, როდესაც აშკარაა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი, გამოვლენილი ტერიტორიების კარგვაში, გენოფონდის შემცირებაში, ემიგრაციისა და მიგრაციის არაჯანსაღ თანაფარდობაში, ქართული კულტურისადმი გაუცხოებასა და პატრიოტიზმის განცდის ნაკლებობაში, სარწმუნოებისადმი ზერელე, ხშირად ცინიკურ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებასა და ტრადიციულ ღირებულებათა მიმართ ნიჰილიზმში, სხვადასხვა ღირებულებათა, მათ შორის საზოგადოებრივი კონსოლიდაციისა და პიროვნული თავისუფლების ანტინომიური წყვილის გაგების კრიზისში, ზოგადად ეროვნული სულის დაკნინებაში, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ქართველთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში დღეს რამდენად მნიშვნელოვანია ილიას ღირებულებათა ტრიადის გათვალისწინება.

ილიას ღირებულებათა ტრიადას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვხვდებით, ოღონდ განსხვავებული სიტყვებით: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა

---

[2] *„მამული, ენა, სარწმუნოება“ – მამული ღირებულებაა, რომელშიც ადამიანი იზრდება და ყალიბდება; ენა ღირებულებაა, რომელშიც ადამიანი კულტურულად ფორმირდება; სარწმუნოება ღირებულებაა, რომელშიც ადამიანი იესუ ქრისტეს ეძებს, ბაძავს, ემსგავსება, ეზიარება და განიღმრთობა (თ. გ.).*

ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“[3] და მას თუ ილიას ტრიადას შევადარებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: მამული („ფრიადი ქვეყანაჲ“); ენა („ქართულითა ენითა“); სარწმუნოება („ჟამი შეიწირვის...“). ჩვენი აზრით, გიორგი მერჩულის მიერ აღმოთქმული ეს სიტყვები, რომელშიც ნათლად იკვეთება ილიასეული ღირებულებათა ტრიადა, ქართველი ერის იმ შინაგანი მდგომარეობის და სულისკვეთების გამოხატულებაა, ის პოტენციაა, რომლის საფუძველზე დიდი ქართული სახელმწიფო რეალურად აშენდა (რა თქმა უნდა, დავითისა და თამარის საქართველოს ვგულისხმობთ). ილიას მიერ წარმოთქმული, ზემოთ დამოწმებული სიტყვებიც, თავის მხრივ, საკუთარი ერის დიდი შვილის და შესაბამისად – ქართული ეროვნული ცნობიერების მატარებელი ადამიანის მხოლოდ ინტელექტუალური პროდუქტი კი არა, ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგანი მდგომარეობისა და ხედვის ბუნებრივი გამოვლინება იყო. ბუნებრივი კი იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი ერი და ამას ეფუძნებოდა ყოველთვის ჩვენი სახელმწიფოებრიობა; ამას გრძნობდა ყველა ეპოქის ჭეშმარიტი პატრიოტი. შესაბამისად, მსგავსი გრძნობა, განცდა, შეხედულება ექნებოდა ამ ორ დიდ ქართველს.[4]

გიორგი მერჩულისა და ილიასეული ღირებულებათა ტრიადის საფუძველი ერისა და ბერის ერთობა იყო საქართველოში. საქართველოს ისტორის ზერელე ცოდნაც კი ობიექტურ ფაქტად წარმოგვიჩენს ერისა და ბერის ერთობის აუცილებლობას ქართველი ერის გადარჩენის და სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ეს საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა ჩვენი წინაპრების წინაშე, განსაკუთრებით კი XVI საუკუნიდან, როდესაც ერთიანი ქართული სახელმწიფო რღვევას იწყებს. ჩვენი აზრით, ეს თემა დღესაც, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესშიც, უაღრესად აქტუალურია. ხსენებულ ღირებულებათა უგულებელყოფა კარგი შედეგის მომტანი რომ არ არის, ამას თუნდაც ჩვენი დამოუკიდებლობის უკანასკნელი 30 წელიც ადასტურებს.

---

[3] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 43, გვ.138 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[4] *სხვათა შორის, მათი პიროვნული მსგავსებისათვის, კერძოდ ის, რომ გრიგოლ ხანძთელისა და ილია ჭავჭავაძის ბავშვობაშივე გამოვლენილი თვისებები საოცრად თანხვედრია, ადრეც მიუქცევიათ მკვლევრებს ყურადღება (ბარამიძე რ. „გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება.“ გვ.14. თბილისი: „დედაენა“. 2001).*

თანამედროვე ქართული სახელმწიფო ვერ აშენდება სხვა, განვითარებულ სახელმწიფოების გამოცდილებათა ჩვენს რეალობაში პირდაპირი გადმოტანით, კალკირებით, ქართული ეროვნული სულის გაუთვალისწინებლობით. ქართული სახელმწიფო ქართული ეროვნული სულიდან აღმოცენებული კანონების შემოქმედი უნდა იყოს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება – ამ კანონების დაცვის გარანტი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იარსებებს საქართველო, როგორც ქართველთა სამშობლო, და არა რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური წარმონაქმნი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მხოლოდ გენეტიკურად ქართველს არ ნიშნავს, არამედ ქართული კულტურის მატარებელ, ნებისმიერი ეროვნების ადამიანს, რომელიც ამ კულტურისადმი კუთვნილების გამო პატრიოტია და შესაბამისად, სრულუფლებიანი მოქალაქეა ქართული სახელმწიფოსი. რაც შეეხება გენეტიკურად ქართველს, უნდა ითქვას, რომ ხორცით ქართველი ნებისმიერი კულტურის და მსოფლმხედველობის წარმომადგენელი შეიძლება იყოს; მაგალითად, ისლამის მიმდევარი, კათოლიკე, მონოფიზიტი, ბუდისტი, აგნოსტიკოსი, არაქართულად მეტყველი, ან სულაც ათეისტი, მაგრამ საქართველო როგორც ქვეყანა მთლიანობაში, ყოველთვის ქართულ კულტურაზე იყო და არის დაფუძნებული.

ქართული ეროვნული კულტურა ისეთივე ბაზა და საძირკველია ქართული სახელმწიფოებრიობისა, როგორი ბაზაცა და საძირკველიცაა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ამერიკის შემოქმედი მამების დანატოვარი კონსტიტუცია. როგორც შეერთებული შტატებია წარმოუდგენელი მის ძირძველ კონსტიტუციაზე დაფუძნებული საკანონმდებლო ბაზის გარეშე (სხვაგვარად ის ამერიკა აღარ იქნებოდა), ასევეა წამოუდგენელი ქართული სახელმწიფო ეროვნული კულტურის ბაზაზე დაფუძნებული საკანონმდებლო ბაზის და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების გარეშე. როგორც ამერიკის ხელისუფლება უნდა იყოს ამ საკანონმდებლო ბაზის დაცვისა და აღსრულების გარანტი, ზუსტად ასევე უნდა იყოს ქართული სახელმწიფო და შესაბამისად ხელისუფლება, ქართულ კულტურაზე დაფუძნებული საქართველოს საკანონმდებლო პაკეტის დაცვის და აღსრულების გარანტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული კულტურა (რომლის წიაღშიც ჩვენ ქართველებად ვაცნობიერებთ საკუთარ თავს) სწორედ ზემოთ ხსენებული ტრიადიციიდანაა (ანუ, მამული, ე. ი. ერის მრავალფეროვნება; ენა, ე. ი. როგორც გარეგანი სამყაროს აღქმის,

ისე ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლინების უნიკალური შესაძლებლობა; და სარწმუნოება, ე. ი. ქრისტეს მიერ დაარსებული და მოციქულთაგან გადმოცემული მართლმადიდებელი ეკლესია) აღმოცენებული და მისგან იკვებება.

რაც შეეხება ერისა და ბერის ერთობას, ჩვენ მას ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის ჰარმონიულ ერთობას ვუწოდებთ და ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მას ჩვენი სახელმწიფოსათვის აუცილებლად მივიჩნევთ. აქვე შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო ინსტიტუციურ დონეზე სეკულარულია, ანუ სახელმწიფო ინსტიტუციები და ეკლესია საკანონმდებლო დონეზე გამიჯნულია; მაგრამ ინსტიტუციური სეკულარიზმი არ ნიშნავს სეკულარიზმს საზოგადოების დონეზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რამეთუ ერთი და იგივე ხალხია როგორც სახელმწიფო ინსტიტუციებში დასაქმებული, ისე წევრნი ეკლესიისა. ხოლო თუ ისტორიის განმავლობაში მამულისათვის თავდადებული ადამიანებისა და საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ადამიანების სიას ცალკ-ცალკე წარმოვადგენთ, დავინახავთ, რომ მათი თანხვედრა თითქმის ასი პროცენტი იქნება; ეს ფაქტი კი ბევრ რამეზე მეტყველებს.

ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში ერისა და ბერის ერთობის აუცილებლობა ძალზე კარგადაა ნაჩვენები გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“; კერძოდ, ასახულია ერის მთავართა და ეკლესიის მამათა ის ბრწყინვალე ერთობა, რომელიც ეკლესიის გაძლიერებისა და სახელმწიფოს სიმტკიცის გარანტად და აქედან გამომდინარე, საქართველოს ყოველი ხელისუფლებისთვის ქვეყნისადმი თავგანწირული ერთგულებისა და სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების კეთილ მაგალითად იქცა.

ზოგადად, ეკლესიის დამოკიდებულება სახელმწოფო ხელისუფლებისადმი ყოველთვის კონსტრუქციული იყო. ეკლესია არასოდეს ილაშქრებდა სახელმწიფო ინსტიტუციების წინააღმდეგ. ამას ეკლესიის ისტორიაც ადასტურებს და წმინდა წერილიც. ამ მხრივ საყურადღებოა წმინდა იოანე ნათლისმცემლის დამოკიდებულება მეზვერეებისადმი, სამხედროებისადმი (რომლებიც სხვათა შორის ოკუპანტი ქვეყნის სტრუქტურებს წარმოადგენდნენ):

> მოვიდეს მისა მეზუერენიცა ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურარას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ. ჰკითხვიდეს მას

მჴედრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲმე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყავნ როჭიკი თქუენი. (ლუკ. 3,12-14);

საგულისხმობა წმინდა პავლე მოციქულის დამოკიდებულებაც მეფისადმი (საქ. 26,2), კეისრისადმი (საქ. 25,11), ზოგადად, ძალაუფლებისადმი: „ყოველი სული ჴელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ჴელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან." (რომ. 13,1), რომის მოქალაქეობისადმი: „ჰრქუა მას პავლე: მე კაცი ვარ ჰურიაჲ, ტარსელი კილიკიისაჲ, არა უცნაურისა ქალაქისა მოქალაქე; და გევედრები შენ: მიბრძანე მე ერისა მიმართ სიტყუად" (საქ. 21,39; 22,25-29), ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურებისადმი:

რამეთუ მთავარნი იგი არა არიან საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთა. გნებავს თუ, რაჲთა არა გეშინოდის ჴელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მოიღო ქებაჲ მისგან, რამეთუ ღმრთის მსახური არს შენდა კეთილისათჳს. ხოლო უკუეთუ ბოროტსა იქმოდი, გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად ჴრმალ აბს; რამეთუ ღმრთის მსახურ არს შენდა, რისხვისათჳს შურის მეძიებელ ბოროტის მოქმედთათჳს (რომ. 13,3-4).

ასევე საგულისხმოა, ზოგადად წმინდა წერილის და კონკრეტულად, წმინდა პავლე მოციქულის შეხედულება და შესაბამისად, ქრისტეანობის დამოკიდებულება ისეთი თემების მიმართ საზოგადოებრივ აღმშენებლობაში, როგორებიცაა სახელმწიფო და ეკლესია, ცოლ-ქმრობა, ხორციელი ჯანმრთელობა, დიპლომატია, სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნვა და ქრისტესათვის თავგანწირვა, ადამიანების მატერიალურით უზრუნველყოფა, ღარიბ ეკლესიებზე ზრუნვა; ზოგადად სულიერისა და მატერიალურის სიმფონიური ერთობის მნიშვნელობა.

ერსა და ბერს შორის ამგვარი ჰარმონიული ურთიერთობის ბრწყინვალე მაგალითები დასტურდება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ამსახველ სხვადასხვა ეპიზოდში:

ვითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებაჲ კურთხეულთა მათ მეუღლეთა და შვილთა მათთაჲ, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა სავსეჲ და აღიპყრნა წმიდანი ხელნი თვისნი ცისა მიმართ და ჰრქვა: „უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა, გლახაკისა მონისა შენისასა და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი

მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი... უხვად მიანიჭე კეთილი ქვეყანისაჲ დღეგრძელებასა შინა და კეთილი ზეცისაჲ დაუსრულებელი, და ჩვენთვის წყალობაჲ ყავ. ამენ". და ჯვარი დასწერა ყოველთა... მაშინ გაბრიელ ჰრქვა წმიდასა მას: „ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყვაჲ ბაგეთა შენთაჲ, ღირსო მამაო, და ჩვენ მოგვეცინ უფალმან გულსმოდგინედ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისაჲ.. აწ ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთას. [5] თქვენ მონაწილე გვყვენით წმიდათა ლოცვათა თქვენთა ცხორებას ამას და შემდგომად სიკვდილისა".[6]

საგულისხმოა წმინდა გრიგოლის სიტყვა მეფის მიმართ:

ღმერთმა ყოველსა ერსა ზედა მთავარ ყვნა, (ხელმწიფენი) რაჲთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ (ადამიანებს) შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა.... მისცა ღმერთმან ხელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საებისკოპოსოთა... რაჲთა არა დაუტეონ გონებაჲ მათ ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა გულისხმა ჰყოფდენ... ხელმწიფენი კეთილად მსახურნი შრომასა მათსა (მონაზონთა, სასულიერო პირთა) თანამონაწილე იქმნებიან საფასეთა უხვად მიცემითა, ვითარცა-ესე დღეს დიდებულებამან შენმან მეფობამან განამდიდრა სიგლახაკე ჩვენი ფრიადითა კეთილითა. და ყოვლადვე მოზიარე ხარ ლოცვასა ჩვენსა თანა. [...] ნეტარმან გრიგოლ ჰრქვა: მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო! მოწევნულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა და აწ არიან სამეუფოსა ამას და მათთვის არს მოსლვაჲ ჩემი აქა. არამედ ბრძანენ ხელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩვენდა. ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქვა: „არა მოსრულ არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი". მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყვასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრქვა: „მეფეო, ნუ შრომასა შემამთხვევ, მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა!" და ვითარ ღონეჲ

---

[5] *შეადარ. „უკუეთუ ჩუენ სულიერი დავსთესეთ თქუენ შორის, დიდ-მე რაჲ არსა, თქუენგან თუ ჯორციელი მოვიმკოთ ჩუენ?" (1კორ. 9:11)*

[6] *გიორგი მერჩულე. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თავი 9; გვ. 40. გამომცემლობა „ახალი ივერონი", 2014 წ.*

სიტყვისაჲ არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ [...] მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ – არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა... ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს ხოლო – წიგნსა მამისასა... ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჯერ არს ხელმწიფეთა მორჩილება, რაჲსათვის არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ ხოლო მან ჰრქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე – ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ... უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყვათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ – ვერვის ხელეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ. არამედ აწ სიტყვითა ძმისა და მოძღვრისა ჩვენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.[7]

დამოწმებული ამონარიდებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი სასიკეთო იყო ეკლესიისა და ერის მთავართა ქრისტესმიერი ერთობა ორივე მხარისთვის და მთლიანად სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის; ბაგრატიონთა დინასტიის გაძლიერებისა და დიდი საქართველოს ჩამოყალიბებისათვის: ამგვარი აზრთა წყობის ჭეშმარიტება ისტორიამ დაადასტურა.

ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონია, ანუ ჰარმონიული ურთიერთობა მიმართულია ერთმანეთის გაძლიერებისა და შესაბამისად, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისკენ; ის არ გულისხმობს ერთმანეთის კომპეტენციაში შეჭრას და ერთმანეთის საქმეებში ჩარევას. სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან დამოუკიდებლები, ანუ თავისუფალნი არიან. ნაწარმოებში კარგად ჩანს როგორც სასულიერო დასის წარმომადგენელთა თავისუფლება ხელისუფალთა წინაშე; ასევე – სასულიერო პირების მხრიდან სახელმწიფო საქმეებში ჩაურევლობა. წმინდა გრიგოლი და მისი მოწაფენი მხოლოდ მოძღვრავენ მეფეებსა და მთავრებს, უჩვენებენ სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების სწორ გზას და ლოცავენ, რათა უფალმა კეთილად წარმართოს მათი ღვაწლი:

ხოლო წმიდათა მათ ფრიადითა ლოცვითა შეჰურნეს და

[7] *გიორგი მერჩულე. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თავი 22; გვ. 70-72. თავი 20; გვ. 64-66; თავი 26, გვ.84-86. გამომცემლობა „ახალი ივერონი“, 2014 წ.*

აკურთხნეს ხელმწიფენი იგი და ჰრქუეს: „ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი – უდაბნოთა მამანი არიან ხორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა. თქუენ უმეტესად ამისთჳს, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქუს თქუენ ქრისტეჲს მიმსგავსებული სიმდაბლე და მოღუაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხუაჲ სიტყუისაებრ უფლისა, ვითარმედ – ნუ თვალ-ხმით შჯით, არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო, რაჲთა ქუეყანისა ამის მეფობასა თანა მოიღოთ ზეცისაცა მეუფესა თანა მკვიდრობაჲ უოხჭნოჲ; და მოგეცინ ქრისტემან დიდებაჲ სრული ზეცისა და ქუეყანისაჲ“.[8]

ხელისუფალთა მხრიდან მონაზონთა და სამღვდელო დასთა მიმართ დამოკიდებულება, ასევე – ამ უკანასკნელთა სიტყვის სანდოობა მეფეთა წინაშე და ძალმოსილება მათი მაღალი სულიერი მდგომარეობიდანაა გამომდინარე:

წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკვიდრებულ ვართ. რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი. არამედ იყავნ მეოხებაჲ თქუენი ჩუენ ზედა აქა და საუკუნესა![9]

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ქრისტეანული სწავლებით ასეა, უფალთან ერთობაში მყოფი ადამიანი რეალურად ცვლის გარემომცველ სამყაროს, რამეთუ ის თავად ქრისტეს ემსგავსება.


ეკლესია, როგორც ღმერთკაცობრივი ორგანიზმი, სამყაროში თავს ავლენს, ერთი მხრივ, როგორც საღმრთო მადლი და ენერგია, სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა (1ტიმ. 3,15), მისტიკური სხეული ქრისტესი (კოლ. 1,24; 1კორ. 10,17; 12,27), ღმრთისმსახურების დიდი საიდუმლო (1ტიმ. 3,16); მეორე მხრივ ეკლესიის წევრი, განღმრთობილი, მადლის მატარებელი და განღმრთობის გზაზე მდგომი თითოეული ადამიანი პიროვნულ დონეზე ქრისტეს მისიას

---

[8] *გიორგი მერჩულე. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თავი 27; გვ. 90-92. გამომცემლობა „ახალი ივერონი“, 2014 წ.*

[9] *იქვე, თავი 27; გვ. 90.*

აგრძელებს სამყაროში – „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.“ (იოან. 20,21). ასეთი ადამიანების არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამყაროსთვის. მათში ცოცხალ ღმერთთან თანამშრომლობის სინერგიული პრინციპი პიროვნულ დონეზე რეალიზდება. ისინი, როგორც ჯერ ამ სოფლად მყოფნი, ისე ზეშთასოფელში გარდაცვალებულნიც და იქ ღმერთთან ცოცხალნი, ბრწყინვალე ნათელნი ხდებიან კაცთა წინაშე და მრავალ ადამიანს ღმრთისკენ სავალ გზას უჩვენებენ – „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“(მათ. 5,16). წმინდა გრიგოლ ხანძთელი სწორედ ამგვარ მოღვაწედ წარმოგვიდგება. იგი, ყოვლად წმიდა სამება, ცოცხალი ღმერთის წინაშე, თავადაც მარად ცოცხლად მყოფი (იოან.17,24), მადლით განღმრთობილი და მადლითვე ღმერთმყოფი, ის სხივია მომავლიდან (მასთან შეხვედრა გველოდება), რომელიც ქრისტეს მორწმუნე ერს ღმრთის სასუფევლისკენ მიგვიძღვის.



ზოგადად, ეკლესიაში, როგორც ქრისტეს სხეულში, რომ მთელი საზოგადოების (თვით ეროვნულ და სახელმწიფოებრივ დონეზე) გაჯანსაღების, გარდაქმნის და ფერისცვალების უზარმაზარი პოტენციაა, ამაზე არაორაზროვნად მიანიშნებენ ღმრთისმეტყველნიც, რომელთა აზრი ჩვენი ნაშრომის კონტექსტში, ვფიქრობთ, საყურადღებოა:

> ეკლესიის საიდუმლო და ლიტურგიკული ცხოვრება იმგვარად ხორციელდება, რომ არაა ადამიანთა სოციალური ცხოვრების პირობებზე დამოკიდებული და თვით სოციალურ გარემოსაც გარდაქმნის... როგორც წმინდა ნიკოლოზ კავასილა წერს: „მორწმუნე ადამიანი არც ხელოვნებით ზიანდება, და ნებისმიერი, სამხედრო, თუ მიწათმოქმედებითი, ან მმართველობითი საქმიანობა, სულიერ ცხოვრებაში ზიანს ვერ მიაყენებს. ადამიანური ცხოვრების ნებისმიერი პლასტი – პროფესიული, შემოქმედებითი, გონებრივი თუ სხვა, შეიძლება და უნდა ეზიაროს ეკლესიის საიდუმლოებებს და ისინი სულიერ ძალებად, გრძნობებად იქცევიან, რომლებიც არა თუ ხელის შემშლელნი, არამედ ხელის შემწყობნი გახდებიან სულიერი ცხოვრებისა, ეკლესიასთან ადამიანების დაკავშირების საშუალებად იქცევიან; ქრისტესთან ზიარებული კაცობრიობა უფლის სხეულად იქცევა.“ სწორედ ეს წარმოაჩენს მართლმადიდებლობის საზოგადოებრივი მსახურებისა და მისი დიადი გარდაქმნის უდიდეს შესაძლებლობებს... ეკლესიის საიდუმლოებებთან ერთობაში მყოფი ადამიანის ნებისმიერი ყოფითი საქმე ფერისცვალებას განიცდის. ეს საქმიანობანი არა უბრალოდ ამ სამყაროში არსებული სივრცის ნაწილნი არიან, არამედ ეკლესიის ორგანიზმის სავანენი ხდებიან, რომლებშიც ადამიანები მიწიერი საქმიანობის სპეციფიკის შენარჩუნებით, მარადიული, ზეციური მყოფობით იწყებენ ცხოვრებას. ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების ახალი შინაარსით აღვსება ამ სოფლისათვის ეკლესიის მიერ მიცემული უდიდესი ძღვენია. ეს იმ ფერისცვალების დასაწყისია, რომლისკენაც ქრისტე სამყაროს მოუწოდებს. [10]

ასეთი იყო და არის წმინდა გრიგოლ ხანძთელი. თანამედროვე სამყაროში სარწმუნოებრივი ნიჰილიზმისა და ეკლესიის, როგორც

---

[10] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст. 192,193,197. Москва . «Никея»-2011.*

ორგანიზაციული სტრუქტურისადმი ნდობის დეფიციტის პირობებში, მისი მსგავსი ადამიანების არსებობა და მიბაძვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დღეს, როდესაც ასე აქტუალურია როგორც ქართველთა ეთნიკური და კულტურული იდენტობის საკითხი, ისე – ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადარჩენა; როდესაც დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში თავბრუდამხვევად განვითარებულ მოვლენებს ალღოს ვერ ვუღებთ; როდესაც ვხედავთ, რომ ძველი საქართველო აღარ დაბრუნდება და ახალი როგორი იქნება, არ ვიცით; როდესაც მომხმარებლური აზროვნება, ეგოიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი ადამიანის პიროვნულ ღირსებას ენაცვლება;[11] როდესაც კატასტროფულად ვერ ვეწევით დროს და შესაბამისად, ჩვენს ახალგაზრდობას, ვფიქრობთ, რომ კიდევ ერთხელ ხაზგასასმელი და გასააზრებელია დიდი ილიას მიერ ფორმურილებული ის ღირებულებითი ტრიადა, რომელიც მამულის, ენისა და სარწმუნოების სახელითაა ცნობილი. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კი ვხედავთ, რომ ილიამდე თერთმეტი საუკუნით ადრე სწორედ ამ ღირებულებების წამოწევამ და რეალიზებამ შექმნა დავითის საქართველო, გელათის აკადემია, შემდეგ ექვთიმე, გიორგი და საერთოდ, ათონელი მამები, ბოლოს კი – ილია და სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეკლესიისა და ხელისუფლების ერთმანეთისადმი სწორი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, აუცილებლად ხელს შეუწყობს


---

[11] *„მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველება მოწოდებული და ვალდებულია, ამხილოს ადამიანის ავტონომიური მყოფობა, ინდივიდუალისტური (ანუ ეგოისტური – თ. გ.) ცხოვრება მის ნებისმიერ გამოვლინებაში. ადამიანის დაცემული ბუნების ანთროპოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ სწორედ ავტონომიურობაშია ცოდვის ფესვი. რომელიც ცრუობს ჭეშმარიტების წინააღმდეგ. იგი ადამიანს აზიანებს და მისი არსებობა გაპირუტყვებამდე მიჰყავს. და ადამიანიც, „ტყავის სამოსლით“ შემოსილი და სიცრუეში მყოფი, ეწევა რა ბორციელ ბრძნობას, მეტად და მეტად მიიდრიკება თვითგანადგურებისკენ. ყოფით ცხოვრებაში ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანური საქმიანობა: სამართალწარმოება იქნება ეს, პოლიტიკა, ტექნიკური პროგრესი, ინტიმური ცხოვრება თუ სხვა, მათი ავტონომიურობის შემთხვევაში, კაცობრიობას სრული ზნეობრივი, სოციალური და ბიოლოგიური თვითგანადგურებისკენ მიაქანებს. ქრისტეანული თეოლოგია ამის შესახებ ღიად და პირდაპირ უნდა საუბრობდეს“. (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.118,119. Москва . «Никея»-2011).*

როგორც ეკლესიის, ისე ქართული სახელმწიფოს აღორძინებას. ამისათვის კი საჭიროა სიღრმისეული გაგება როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა, თუ რა უნიკალური ფენომენია ის (ყველაფრით: ადგილმდებარეობით, წარმომავლობით, მოწამეობრივი ისტორიით, კულტურით, ნიჭიერებით, სარწმუნოებით); ასევე საჭიროა ქრისტეანობის საფუძვლიანი შესწავლა, გააზრება და რაც მთავარია, ცხოვრებაც. აქ ჩვენი, სასულიერო პირების, პასუხისმგებლობა უდიდესია.

ვის, თუ არა ჩვენ (ჩვენი სამღვდელო ხარისხიდან გამომდინარე), უნდა გვესმოდეს, რომ ქრისტეს საქმის გამგრძელებლები ვართ და კარგად უნდა ვიცოდეთ, სამყაროს გადარჩენის რა გზა შემოგვთავაზა მაცხოვარმა; შესაბამისად, რა არის ჩვენი საკეთებელი. განკაცებულმა ღმერთმა, იესუ ქრისტემ უარყო სატანისაგან შეთავაზებული სამყაროს ფერისცვალების, გარდაქმნის გზა და მეთოდი – გამხდარიყო სამყაროს მბრძანებელი და ძალით, სამართლებრივად, იურიდიული მმართველობით ან თუნდაც ეროვნული მოძრაობის აღორძინებით შეეცვალა სამყარო. მან სხვა, საკუთარი თავის, ზოგადად, ყოველი ადამიანის, შინაგანი ფერისცვალების, ადამიანური ბუნების განწმენდის, განკურნების გზა დაგვისახა; რომლის დროსაც თვითონ ადამიანის შინაგანი სამყარო იცვლება, სხვა არსებად იქცევა (და ამგვარი ცვლილების გარეშე არანაირ ღირებულებას, მათ შორის – ეროვნულს, ფასი არ გააჩნია): „მე კი აღარ ვცოცხლობ, არამედ ჩემში ცოცხლობს ქრისტე“ (გალ. 2,20); ქრისტეანი ადამიანი მეორედ ნაშობია (იოან. 3,3), ახალი ქმნილებაა (გალ.6,15), მცოდნე მეგობარია (იოან. 15,14), ქრისტეს მოწაფეა (იოან. 15,8), ზეციური მამის შვილია (იოან. 20,17), ქრისტეს თანამემკვიდრეა (ეფეს. 1,10-11); ბნელი, რომელშიც ნათელი გამობრწყინდა (მათ. 4,16), უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ადამიანია; ასევე ცეცხლი, რომელიც უფლის ნებით უნდა აღიგზნას (ლუკ.12,49), ადამიანში ინთება. ასეთმა ადამიანებმა კაცობრიობა ყოვლად წმიდა ღმრთის ნათლით უნდა განანათლონ (მათ. 5,14-15); ხოლო საკუთარ თავში ამ ნათლის მოხვეჭით ღმრთისკენ გზის გამკვალავნი უნდა გახდნენ სხვათათვის (მათ.5,16); დაბოლოს, ასეთნი ხდებიან მარილნი (მათ. 5,13), სამყაროს ხრწნისაგან შემკავებელნი.

ამგვარი ადამიანები ცვლიდნენ და დღესაც მათ უნდა შეცვალონ სამყარო. რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი და ჩვენთვის მისაბაძი მოღვაწეა წმინდა გრიგოლ ხანძთელი.



თავი II
მღვდლობის მსახურება

2.1 მღვდლობა „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

„გამოუთქმელისა და აურაცხელისა კაცთმოყვარებითა, უქცეველად და უცვალებელად კაც იქმენ, და მღვდელ-მთავრად ჩუენდა გამოსჩნდი, და მსახურებრივისა ამის უსისხლოისა მსხვერპლის მღვდელმოქმედებაი მოგვანიჭე ჩუენ“[1]

„ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5,16).

იბლიური სწავლებით, პირველმშობელთა ცოდვით დაცემის შედეგად ღმერთსა და ადამიანს შორის არსებულ ურთიერთობაში შეუქცევადი პროცესები დაიწყო: ა) ადამიანმა ღმერთთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა დაკარგა: „განჴადა ადამ და დაამკჳდრა იგი წინაშე სამუებელსა სამოთხისასა ღა დააწესა ქერობინი და მოტყინარე (ცეცხლოვანი) მახჳლი იქცევისი (მბრუნავი) დაცვად გზასა ხისა ცხორებისასა“ (დაბ. 3,24); ბ) მას (ადამიანს) ღმერთის უკვე აღარ ესმოდა: „უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქუა მას: ადამ, სადა ხარ?“ (დაბ. 3,9); გ) ღმერთთან დიალოგი, მისი ნების ადეკვატური აღქმა აღარ შეეძლო: „ჰრქუა მას უფალმან ღმერთმან: ვინ გითხრა შენ, რამეთუ შიშუელ ხარ? უკუეთუ არა ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისგან ხოლო არა ჭამაჲ, მისგან სჭამეა?“ (დაბ. 3,11); დ) პირიქით, ეშინოდა მისი, გაურბოდა მას: „ესმათ ჴმაჲ უფლისა ღმრთისა, მავალისაჲ სამოთხეს შინა, მიმწუხრი და დაიმალნეს ადამ-ცა და ცოლი მისი პირისაგან

[1] *სამღვდელო კონდაკი. წმიდა. იოანე ოქროპირის ლიტურღია.*

უფლისა ღმრთისა საშუალ ხესა სამოთხისასა“ (დაბ. 3,8); ე) ადამიანმა ღმერთთან გულწრფელი ურთიერთობის უნარი დაკარგა: „თქუა ადამ: დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისაგან და ვჭამე“ (დაბ. 3,12); ვ) და შეიცვალა ადამიანის შინაგანი ბუნება: „რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი [...] იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხილვად და შუენიერ განცდად“ (დაბ. 3,5-6); „ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ და გულისთქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ“ (1იოან. 2,16); ზ) ასევე, გარეგანი ბუნებაც შეიცვალა, ანუ საკუთარი არჩევანის შესაბამისად მთლიანად შეიცვალა ადამიანი: „უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“(დაბ. 3,21); თ) შედეგად, ადამიანისათვის საკუთარ შემოქმედთან ერთობა შეუძლებელი გახდა: „მოწაფეთა მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მეჴელ-ეწიფების ცხოვნებად. მიჰხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე...“ (მათ. 19,25,26).

ცოცხალ სიცოცხლის წყაროსთან, ანუ ღმერთთან ადამიანის უშუალო ურთიერთობის შეუძლებლობის მდგომარეობაში, ღმრთისაგანვე იქნა დადგენილი ადამიანის ღმერთთან ურთიერთობა შესაწირავი მსხვერპლის საშუალებით. ღმერთსა და ადამიანს შორის ამგვარი ურთიერთობის დადგინება ლოგიკურად აუხსნელია. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ყოველივე, რაც ადამიანს აქვს, თვით სიცოცხლისა და არსებობის ჩათვლით, ღმრთისგანაა. მორწმუნე ადამიანი ამას აცნობიერებს: „რაჲ გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს?“ (1 კორ. 4,7), და შესაბამისად, ცდილობს მადლიერებით მიუძღვნას შემოქმედს ყოველივე საუკეთესო და თვით სიცოცხლეც: „შენნი, შენთაგან, შენდა შემწირველნი.“[2] ყოველ შემთხვევაში, ურთიერთობის ასეთი ფორმა ისათნოვა თავად შემოქმედმა, მით უმეტეს, რომ მასთან ამგვარი ურთიერთობა, თავად უკვე დაცემული ადამიანისათვის (ჰქონდა რა მოთხოვნილება ღმერთთან ურთიერთობისა) აღმოჩნდა ბუნებრივი: „და იყო შემდგომად დღეთა მოართუა კაინ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხუერპლი უფალსა. და აბელ მოართუა მან-ცა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან...“ (დაბ. 4,3,4). ანუ,

[2] *სამღვდელო კონდაკი. წმიდა. იოანე ოქროპირის, წმიდა. ბასილი დიდის, წმიდა. გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია.*

კაენიც და აბელიც ღმერთთან ურთიერთობას მსხვერპლშეწირვით ანხორციელებენ.

შემოქმედთან ამგვარი არაპირდაპირი, გაშუალებული ურთიერთობის მიზეზი დაცემული ადამიანის ბუნებაა, რომლისათვისაც მეორე ბუნებად, ორგანულ თვისებებად, ნორმად იქცა ორგულობა, არაგულწრფელობა, ეგოიზმი, ანგარება, ძალაუფლებისა და სიმდიდრის მომხვეჭელობა, სიამეთმოყვარეობა და პატივმოყვარეობა, სხვაგვარად: როგორც წმინდა წერილი გადმოგვცემს: „ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ და გულისთქუმაჲ თუალთაჲ და სილაღე ამის ცხორებისაჲ...“ (1იოან. 2,16). ქრისტეანულ მოძღვრებაში, ადამიანის ამგვარი მდგომარეობა არაბუნებრივად იწოდება, განსხვავებით ბუნებრივისა და ზებუნებრივისაგან, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ ღმრთის ცნებების აღსრულებითა და ღმერთთან სინერგიული ერთობით.[3] ამიტომაცაა, რომ შემდგომში განკაცებულ ღმერთთან, იესუ ქრისტესთან ურთიერთობის, მისი მიმდევრობის, მეგობრობის, მოწაფეობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უზაკველობა გახდა: „იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს“ (იოან. 1,47).

არაგულწრფელობა და ორგულობა იყო მიზეზი ღმრთისაგან კაენის შესაწირავის არმიღებისა; სწორედ ეს აზრი იკითხება წმინდა წერილის იმ მონაკვეთში, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ შეიწირა ღმერთმა აბელის ძღვენი, ხოლო კაენისა – არა: „და იყო შემდგომად დღეთა მოართუა კაინ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხუერპლი უფალსა (წირავს რელიგიური გრძნობების დასაკმაყოფილებლად, შესაბამისად, ანგარებით). და აბელ მოართუა მან-ცა პირმშოთაგან (ნათავარი) ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან (რჩეული პირუტყვი). (აბელი წრფელი გულით და ღმრთისადმი სიყვარულით საუკეთესოს წირავს). და მოიხილა ღმერთმან აბელს ზედა და ძღუენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხუერპლთა მისთა ზედა არა მიიხილა...“ (დაბ. 4,3-5). ამიტომაც იყო ძველი აღთქმის პერიოდში სჯულის ის მოთხოვნა, რომ შესაწირავი ძღვენი კეთილი გულით გაცემული, ანუ უნაკლო და საუკეთესო ყოფილიყო: „ვერძი მოზუერი იყავნ სრულად (უნაკლო) თქუენდა, საცხოვარისა

[3] *Исихаст Иосиф (Старец). Полное собрание творений. Десятигласная духодвижная труба. Восьмой глас. стр. 389. Москва, Актырский Свято-Троицкий монастырь. 2015.*

მისგან ცხოვართასა და თხათასა მოიღოთ“ (გამოსვ.12,5); „უკუეთუ მრგულიად მწუარი იყოს მსხუერპლი იგი მისი: ჴარი ჴბოჲ უბიწოჲ (უნაკლო) ზროხათაგან, მოიბას იგი კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა და შეწიროს იგი სათნოდ წინაშე უფლისა“ (ლევიანნ. 1,3); „შესწირეთ ყოველი შესაწირავი, რომელსა-ესე მე გამცნებ თქუენ დღეს, მსხუერპლები იგი თქვენი და ძღუენი თქუენი და ათეული თქუენი და პირველი იგი ჴელთა თქუენთა და რჩეულ-რჩეული ძღუენი აღნათქუემთა თქუენთაჲ, რომელ აღუთქუათ უფალსა ღმერთსა თქუენსა“ (რჯლ.12,11).

მოსეს სჯულში კანონთა მრავალრიცხოვნობა და აკრძალვების სიმრავლე ძველი აღთქმის ადამიანთა ზნეობრივი და შინაგანი სრულყოფილებისათვის იყო საჭირო, მათ პედაგოგიური დანიშნულება ჰქონდა; კანონთა სიმრავლე, მათში გარკვევისა და მათი აღსრულების სირთულე განსწავლის აუცილებლობას და შესაბამისად, მოძღვართა არსებობის საჭიროებასაც ბადებდა. ამგვარი მოძღვარნი და ასევე, უშუალოდ მსხვერპლშეწირვის აღმსრულებლები ლევიტელთა ტომის განსაზღვრული (აარონის) შტოდან იყვნენ დადგენილნი.

მსხვერპლშემწირველთა, ანუ მღვდელთა, ე. ი. ღმრთის რჩეულ ერსა (ისრაელსა) და ღმერთს შორის შუამავალ ადამიანთა გამორჩევა და მათი ღმრთისმსახურებად დადგინება გამოწვეული იყო მომავალი დიდი შუამავლის: „რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუა-მდგომელ ღმრთისა და კაცთაჲ, კაცი იესუ ქრისტე“ (1ტიმ. 2,5), დიდი მღვდელმთავრის, განკაცებული ძე ღმერთის, იესუ ქრისტეს მოვლინების აუცილებლობით, რამეთუ ისინი მისი წინასწრმეტყველური სახენი იყვნენ.

დიახ, თავად ძე ღმერთმა, მიიღო რა ადამიანური ბუნება, მან როგორც მღვდელმთავარმა, თავისი თავის, თავისი ადამიანური ბუნების ჯვარზე მსხვერპლშეწირვით (რომლის წინა სახენი იყვნენ ძველი აღთქმის მსხვერპლნი და შესაწირავნი) იმღვდელმოქმედა:

> 1156-1157 წწ-ის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე საბოლოოდ იქნა ფორმულირებული გოლგოთის მსხვერპლის შესახებ სწავლება: იესუ ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული მსხვერლშეწირვისას შეწირულ იქნა ადამიანური ბუნება, ხოლო შესაწირავის მიმღები ყოვლადწმიდა სამება – მამა, ძე და სული წმიდა იყო[1];

[1] *Протоиерей Олег Давыденков. Догматисеское богословие. Ст.432. Москва*



Издательство ПСТГУ 2013 г; „ძე ღმერთის ღმრთაებრივი ჰიპოსტასი, მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა, არის იმ ქმედებათა სუბიექტი, რომელიც იესუ ქრისტემ, როგორც ღმერთმა და როგორც ადამიანმა აღასრულა, რამეთუ განკა-

და ერთხელ შევიდა ხელთუქმნელ წმიდათა წმიდაში, ანუ ზეცაში: „ხოლო ქრისტე მოვიდა, მღდელთ მოძღუარი იგი ყოფადთა მათ კეთილთაჲ [...] არა სისხლითა ვაცთა და ზუარაკთაჲთა, არამედ თჳსითა სისხლითა შევიდა ერთ-გზის სიწმიდესა მას და საუკუნოჲ გამოჴსნაჲ პოვა" (ებრ. 9:11-12) და მარჯვენით ღმრთისა და მამისა, მარადიულ მღვდელმთავრად, ანუ ადამიანთა მოდგმის მარადიულ მეოხად დაბრძანდა: „ხოლო ჩვენს ნათქვამში უმთავრესი ეს არის: გჳვის ჩვენ მღდელთმოძღუარი, რომელი დაჯდა მარჯუნით საყდართა დიდებისათა ზეცათა შინა" (ებრ. 8:1).

დიდი მღვდელმთავარის,[5] იესუ ქრისტეს, მიერ გოლგოთის მსხვერპლის მღვდელმოქმედება ერთხელ აღესრულა, მაგრამ არ დასრულებულა: იგი გრძელდება დღემდე და სოფლის აღსასრულამდე, ევქარისტიულ მსახურებაში, რომელიც თავად უფალმა დაადგინა,[6] რამეთუ, როგორც წმინდა ნიკოლოზ კავასილა აღნიშნავს:

> დიდი მღვდელი, საკუთარი თავის ერთხელ მიმტანი საღმრთო სამსხვერპლოზე, არ წყვეტს და განუწყვეტლივ ჩვენთვის აღასრულებს ევქარისტიის დიდ მსახურებას და ამიტომ მარად მეოხია ჩვენთვის ღმრთის წინაშე. ამიტომაცაა მის მიმართ ნათქვამი: „შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა" (ფს. 109.4).[7]
>
> ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ევქარისტიული მსახურების

ცების შემდგომ გახდა რა მღვდელმთავარიც და მსხვერპლიც, ამავდროულად არც თავისი ღმრთაებრიობა დაუტოვებია" (იქვე,Ст.433)

[5] *„მივის ჩუენ მღდელთმოძღუარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, იესუ, ძე ღმრთისაჲ, შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი მისა მართლ, რამეთუ არა ეგევითარი გჳვის მღდელთმოძღარი, რომელიმცა ვერ შემძლებულ იყო შეწყალებად უძლურებათა ჩუენთა" (ებრ. 4,14-15).*

[6] *„რამეთუ მე მოვიღე უფლისაგან, რომელიცა მიგეც თქუენ, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოიღო პური. ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს ჯორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისაჲ; ამას ჰყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ, ჩემდა მოსაჴსენებელად. რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს" (1კორ. 11,23-26).*

[7] *Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. Стр.127. Москва: Сибирская Благозвонница. 2017.*

დროს ჩვენ მისტიკურად საიდუმლო სერობასა და გოლგოთაზე რეალურად ვიმყოფებით.

აქედან გამომდინარე, უფლის დაწყებული საქმის გამგრძელებლები ჯერ მისი მოციქულნი იყვნენ: „დღითი-დღედ განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა“ (საქ. 2,46), ხოლო შემდეგ მოციქულთა ხელდასხმითი მემკვიდრენი, მღვდელნი, არიან – „ნუ უდებ-ჰყოფ, რომელ-ეგე არს შენთანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინასწარმეტყუელებითა, დასხმითა ჴელთა ხუცობისათა“ (1ტიმ. 4,14).

შესაბამისად, არსებობს ახალი აღთქმის მღვდლობა, რომელიც ძველი აღთქმის აარონის მღვდლობიდან კი არა, არამედ მომდინარეობს მამა ღმერთის კურთხევით უშუალოდ იესუ ქრისტეს, როგორც მღვდელმთავრისა და სული წმიდა ღმერთისგან.[8]

---

[8] *„მაშინ დაასხმიდეს ჴელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ“ (საქმ. 8,17); „ვერარა სრულყო რჯულმა; მაგრამ შემოდის უმჯობესი სასოება, რომლის მეოხებითაც მივეახლებით ღმერთს...“ (ებრ. 7,19); „სრულყოფა რომ ლევიტელთა მღვდელმსახურებით მიიღწეოდეს (ვინაიდან ხალხს მის მიერ მიეცა რჯული), რა საჭირო იქნებოდა, მელქისედეკის წესისამებრ აღმდგარიყო სხვა მღვდელი, ნაცვლად იმისა, რომ აარონის წესით წოდებულიყო? ვინაიდან მღვდლობის შეცვლასთან ერთად უთუოდ უნდა შეიცვალოს რჯულიც... (ებრ. 7,11-12), რადგანაც მელქისედეკი, მეფე სალემისა, უზენაესი ღმერთის მღვდელი, შეეგება აბრაამს, მეფეთა შემუსვრის შემდეგ შემოქცეულს, და აკურთხა იგი. ხოლო აბრაამმა ყველაფრის მეათედი უწილადა მას, ვისი სახელიც, უწინარეს ყოვლისა, განიმარტება როგორც „სიმართლის მეფე“, შემდეგ კი – „მეფე სალემისა“, ანუ „მშვიდობის მეფე“. უდედმამო, უგვარტომო, რომელსაც არც დღეთა დასაბამი აქვს და არც სიცოცხლის დასასრული, არამედ, მსგავსად ღვთის ძისა, მღვდლად რჩება უკუნისამდე. მაშ, იხილეთ, რაოდენ დიდია ის, ვისაც მამამთავარმა აბრაამმა თავისი ნადავლის მეათედი უწილადა. ლევის ძეთა შორის მღვდლობის მიმღებთ მცნებადა აქვთ, მეათედს კრეფდნენ ხალხისგან, ანუ თავიანთი ძმებისაგან, თუმცა ესენიც აბრაამის წიაღიდან არიან გამოსულნი. იმან კი, ვინც არ არის მათი გვარისა, აბრაამისგან მიიღო მეათედი და აკურთხა აღთქმის მქონე. ხოლო, ყოველგვარი ცილობის გარეშე, უმცირესი იკურთხება უმეტესის მიერ.... (ებრ. 7,1-7). ასე რომ, გვყავს დიდი მღვდელმთავარი, რომელმაც გამოვლო ცანი, იესო, ძე ღვთისა... (ებრ. 4,14) და თუმცა ძე იყო, ტანჯვის გზით ისწავლა მორჩილება. ასე რომ, სრულქმნილი, მისდამი მორჩილთ საუკუნო ხსნის მიზეზად ექმნა...(ებრ. 5,8-9) და იწოდა ღვთის მიერ მღვდელმთავრად, წესისამებრ მელქისედეკისა...(ებრ. 5,10), რომელიც ჩვენი სულისათვის იგივეა, რაც მტკიცე და სანდო ღუზა, თვით ფარდის მიღმაც რომ აღწევს, სადაც ჩვენს წინამორბედად შევიდა იესო და, წესისამებრ*

ასე რომ, ქრისტეს საქმის გამგრძელებელთა, მოციქულთა და მათ მემკვიდრეთა, უმთავრესი დანიშნულება, ქრისტეს მიერ ნაანდერძევი, ქრისტეს, როგორც დიდი მღვდელმთავრის, მიერ ნაჩვენები ევქარისტიული მსახურების აღსრულება, ანუ უსისხლო მსხვერპლშეწირვითი მღვდელმსახურებაა,[9] რითაც შენდება ქრისტეს მისტიკური სხეული – ეკლესია.

სასულიერო პირი (ეპისკოპოსი, მღვდელი) რომ მსხვერპლის შემწირველია და, რომ ეს მისი უმთავრესი ვალდებულებაა, ეკლესიის საყოველთაო სწავლებაა. როგორც კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორი (1902-1933 წწ.), ვასილი ეკზემპლიარსკი მოწმობს:

> უკვე ქრისტეანობის არსებობის პირველი სამი საუკუნის პერიოდში, წმინდა მამათა თხზულებებში, ევქარისტიის შესახებ ვხედავთ ნათლად გამოთქმულ მოძღვრებას როგორც ახალი აღთქმისეული მსხვერპლის შესახებ. და ეს მოძღვრება, როგორც სამოციქულო ეკლესიის საყოველთაო რწმენა, შემდგომ საუკუნეებში, როგორც აღმოსავლელი და დასავლელი ეკლესიის მასწავლებლების მიერ, ისე მსოფლიო საეკლესიო კრებათა ხმით და წერილობით, არაერთხელ მეორდება და დასტურდება [...]. მაგალითად, წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი არაერთხელ უწოდებს მღვდლებს უსისხლო მსხვერპლის შემწირველებს და ევქარისტიის შესახებ ამბობს, რომ იგი უსისხლო მსხვერპლია, რომლის მიერაც ჩვენ ქრისტე ღმერთის ტანჯვისა და ვნებების ზიარნი ვხდებით.[10]

სწორედ ესაა სამღვდელო დასის უპირველესი საქმე, რომლის ვერგაგება და ეკლესიაში აქცენტების გადატანა სხვა მსახურებებზე

მელქისედეკისა, მღვდელმთავარი გახდა უკუნისამდე..." (ებრ. 6,19-20).

[9] *„გამოუთქმელისა და აურაცხელისა კაცთმოყვარებითა, უქცეველად და უცვალებელად კაც იქმენ, და მღვდელ-მთავრად ჩუენდა გამოსჩნდი, და მსახურებრივისა ამის უსისხლოისა მსხვერპლისა მღვდელმოქმედებაი მოგვანიჭე ჩუენ... მოიხილე ჩემ ცოდვილსა ზედა და უხმარსა მონასა შენსა... და ღირს მიჩინე მე ძალითა სულისა წმიდისა შენისათა, შემოსილი მღვდელობისა მადლითა, წარდგომად წმიდისა ამის ტრაპეზისა შენისა და მღვდელმოქმედებად წმიდისა უხრწნელისა ხორცისა შენისა და პატიოსნისა სისხლისა შენისა..."(წმინდა იოანე ოქროპირის წირვა. ქერუბიმთა გალობისას აღსავლენი საიდუმლო ლოცვა. სამღვდელო კონდაკი).*

[10] *Ильич В. Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. Гл. 4, А. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva/. 19.04.2019].*

თვით ეკლესიის არსის ვერგაგება, დამახინჯებაა, რაც, თავის მხრივ, სულიერ ცხოვრებაში მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ამ თემასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოდ მსჯელობს მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი. იგი აღნიშნავს:



არსებობს საშიშროება ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლებიდან და შესაბამისად ქრისტეანული თვითშემეცნებიდან გადახვევისა... შეიძლება გამოიყოს არაჯანსაღი ტენდენციები, რომლებსაც გარკვეული პრობლემების შექმნა და შესაბამისად, არასწორი იდენტიფიკაციიდან გამომდინარე, ეკლესიის რაობის დამახინჯება შეუძლიათ. ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ რომელიმე ტენდენცია (და არა ევქარისტიული მსხვერპლი, ანუ თავად ქრისტე, მასთან ერთობა და განღმრთობა) უმთავრესი გახდება ეკლესიის განსაზღვრისას და მას ეკლესიასთან გავაიგივებთ".[11]

მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი გამოყოფს ოთხ საშიშ ტენდენციას, რომლებიც დღევანდელი ეკლესიისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა:

პირველი ტენდენცია, ეკლესიის არსის დოგმატების სწორ აღმსარებლობასთან გაიგივებაა და გვავიწყდება რა, რომ დოგმატების მიზანი ქრისტეანთა წმინდა ზიარებასთან სწორად მიყვანაა, ხოლო ევქარისტიასთან ერთობის გარეშე, მხოლოდ დოგმატებზე დაფუძნებული ეკლესიის მოძღვრება იდეოლოგიად გადაიქცევა;

მეორე ტენდენციის მიხედვით, ეკლესიის არსს მისიონერობასთან აიგივებენ. ამგვარი მიდგომა წმინდა წყლის პროტესტანტიზმია და ამ შემთხვევაში საიდუმლოებანი (თავად ქრისტესგან დადგენილი უმთავრესი რეალიები, რომლებიც ადამიანის ღმერთთან კავშირს უზრუნველყოფს – თ. გ.) უგულებელყოფილია;

მესამე ტენდენცია მორალისტურია, რომელიც ეკლესიაში მწიგნობრული და ფარისევლური სულისკვეთების აღორძინების საშიშროებას ქმნის;

მეოთხე ტენდენცია კი ფსიქოლოგიურ-თერაპევტულია; ის მორწმუნეებს აკარგვინებს ეკლესიურობის არსს, რომელიც ქრისტეს მისტიკური სხეულის შემადგენლობაში მყოფობით და ამ სხეულის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებით გადარჩენას, ღმერთთან მარადიულ ერთობას, განღმრთობას გულისხმობს; ამის

---

[11] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр.24-56. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009.*

სანაცვლოდ და სამაგიეროდ მეოთხე ტენდენცია ინდივიდუალურ რელიგიურობას და ამ გზით ვნებებისაგან განთავისუფლებას, საკუთარი სიმშვიდის მოპოვებას, ანუ რელიგიური გრძნობების ეგოისტურად დაკმაყოფილებას გულისხმობს.[12]

არადა, ჯერ კიდევ წმინდა პავლე მოციქული ეკლესიურ ერთობას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ევქარისტიას უკავშირებს. კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში წარმოთქმული მისი სიტყვები: „ვინაიდან, ჯერ ერთი, მესმის, რომ როდესაც ეკლესიაში იკრიბებით“ (1კორ. 11,18), ეპისტოლეს კონტექსტიდან გამომდინარე, შემდეგი სიტყვებით გაგრძელებას გულისხმობს: საღმრთო ევქარისტიის აღსასრულებლად. ეკლესიისა და ევქარისტიის ურთიერთკავშირის ჩვენება ეკლესიის სხვა მდგენელთა მნიშვნელობის დაკნინებას ან გაუქმებას არ გულისხმობს. ამასთან, უნდა დაზუსტდეს, რომ ევქარისტიულ ხედვასა და შემეცნებაში ეკლესიის ყველა სხვა ელემენტის ევქარისტიულად გააზრება, მისით კურთხევა მოიაზრება; სხვაგვარად, ევქარისტიით ენიჭება მნიშვნელობა ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულს.

ზემოთ ხსენებულ ოთხ ტენდენციას, ასევე ზიზიულასის მიხედვით, ორი ტიპის საშიშროების მოტანა შეუძლია:

პირველი ტიპის საშიშროება ეკლესიის ცოცხალი ღმერთისგან განშორება, გამიწიერებაა... თუ შენ საზოგადოებრივ-

---

[12] ამის შესახებ მრავალი ღმრთისმეტყველი წერს: „ქრისტეანობის არასწორი ინტერპრეტაცია და ნაკლული თეოლოგიაა, როდესაც ქრისტე მოიაზრება არა იმდენად როგორც ყოველივეს თავი და შემოქმედი, არა ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი (გამოცხ.1,8; 2,8. შდრ. ეს.41,4), რამდენადაც უფრო მეტად ცოდვისაგან გამომსყიდველი. ასეთ დროს ქრისტეანული ცხოვრება აღარაა თავისი უმთავრესი დანიშნულებისკენ, ღმერთთან ერთობისკენ, ადამიანის განღმრთობისა და მთელი სამყაროს მადლით მეტამორფოზისკენ მსწრაფი. იგი ცოდვისგან განთავისუფლების სამუალებამდე დეგრადირდება. ეკლესიის საიდუმლოებანი თავის იმ უმთავრეს მნიშვნელობას კარგავენ, რასაც ღმრთის სასუფევლის აქ და ამ წუთში მყოფობა ჰქვია. საიდუმლოებებში მონაწილეობა უპირატესად რელიგიური ვალდებულების აღსრულებამდეა დაყვანილი და მადლის მიღების საშუალებადაა გადაქცეული. ასევე აღიქმება რწმენა და სათნოებანი. ცრუ საზღვრები მათში არსებულ შინაარსს თრგუნავენ. ეკლესია სამყაროსთან თავის ონტოლოგიურ კავშირს ივიწყებს და ამის შედეგად ეკლესიისგან გაუცხოებული სამყარო, საბოლოოდ განდგება მისგან“. (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.120,121. Москва . «Никея»-2011).

-საგანმანათლებლო საქმიანობას, ასევე, მისიონერობას ეწევი, თუ ვნებებსაც ებრძვი და ზნეობრივ სრულყოფილებაში წარმატებები გაქვს, ამასთან ერთად, თუ ფსიქოლოგიურადაც ჯანმრთელი ხარ, ყველაფერი ეს, პავლე მოციქულის თანახმად, ნაგვად შეიძლება შევაფასოთ, სანამ ეკლესიის მიერ მარადიულ, ესქატოლოგიურ ღირებულებას (იგულისხმება სამყაროს დასასრულს რეალიზებული მარადიული ერთობა ღმერთთან) არ შეიძენს ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი.

მეორე ტიპის საშიშროებაც სულიერი ცხოვრების ერთგვარი გამიწიერებაა, როდესაც ეკლესია სულიერი ცხოვრებით მხოლოდ ისტორიის პერიოდში კმაყოფილდება. როდესაც სულიერი ცხოვრების გამოცდილებითა და წარმატებებით კმაყოფილია და ქრისტესთან მომავალი შეხვედრის მწვავე სურვილი ეკარგება; როდესაც ჭეშმარიტი ესქატოლოგია იკარგება და როდესაც ჩვენზე მძაფრად აღარ მოქმედებს წმინდა პავლე მოციქულის დიადი სიტყვა: „მარანათა“ (1კორ. 16,22), ანუ მოდი, უფალო, როდის მოხვალ? როდესაც თითქოს კმაყოფილნი ვართ, რაც გვაქვს. რომ თითქოს უკვე სამოთხეში ვცხოვრობთ და უფლის მეორედ მოსვლას აღარ ველოდებით და არც ვფიქრობთ ამაზე.

ეკლესიის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისი ყოფიერების რეალიზებას ავლენს როგორც ღმრთაებრივი ევქარისტია და როგორც ზეციური სასუფევლის ხატება. თუ იგი თავის ამ მთავარ მოწოდებას დაივიწყებს, მაშინ მას გამიწიერება, ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა ემუქრება.[13]

გიორგი მერჩულის ნაწარმოებში მღვდლობასთან დაკავშირებული პასაჟები მღვდლობის შესახებ არსებითად ზემოთ გადმოცემულ მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებას თანხვდება. ნაწარმოების საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით სწორად გაგება სწორედ ეკლესიის სწავლების კონტექსტშია შესაძლებელი. ახალგაზრდა გრიგოლის მღვდლობის მოსურნეთა სიტყვაში კარგად ჩანს მათ მიერ იმის გაცნობიერება, თუ რა არის მღვდლობის უპირველესი დანიშნულება: „აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოჲ ხელითა და წმიდაჲ გულითა. და რაჲთა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დასდგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხვერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის

---

[13] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр.24-56. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009.*

და სასოდ სულთა და ხორცთა ჩვენთა“.[14] მოცემული ციტატის მიხედვით, მღვდლის (მღვდელმთავრის) უპირველესი მოვალეობა სწორედ უსისხლო მსხვერპლშეწირვა, იგივე ევქარისტიული მსახურების აღსრულებაა. ამის ხაზგასმა აუცილებელი ხდება იმდენად, რამდენადაც მღვდლობის დანიშნულების ეს მხარე ხშირად დაკნინებულია, ვგულისხმობთ ადამიანთა წარმოდგენას ამ თემაზე, როდესაც სასულიერო დასისგან ყველაზე ნაკლებად სწორედ ევქარისტიული მსახურების ღირსეულად და ხარისხიანად აღსრულებას ითხოვენ. სხვა ყველაფერი, რასაც კი შეიძლება სასულიერო პირი აკეთებდეს: სამრევლო ცხოვრების თუ ეპარქიის ადმინისტრირება, საზოგადოებრივი დატვირთვა, ქველმოქმედება, მისიონერობა, კერძო სამღვდელო მსახურებანი, საგანმანათლებლო საქმიანობა, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის თანადგომა, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში დადებითი წვლილის შეტანა – ყველაფერი ეს ჯანსაღი ევქარისტიული მსახურებიდან უნდა იკვებებოდეს და გამომდინარეობდეს.

საგულისხმოა პერგამოსის მიტროპოლიტის, იოანე ზიზიულასის, შენიშვნა ამ საკითხთან დაკავშირებით:

> ძალზე სამწუხაროა, როდესაც უამრავ საქმეს მოდებულ, ნებისმიერ ხარისხში მყოფ ისეთ კლერიკოსებს ვხვდებით, რომლებიც უგულებელყოფენ, იზარებენ, უმთავრესად არ მიიჩნევენ, გულს არ უდებენ ღმრთაებრივი ევქარისტიის აღსრულებას. ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი მიცემაც ეკლესიას ადამიანისთვის შეუძლია, სწორედ ლიტურგია, ევქარისტიული მსახურებაა, რომელსაც ძალუძს ადამიანის განთავისუფლება ინდივიდუალიზმის ბატონობიდან, ზეციურ სასუფეველში შეყვანა და სიკვდილის დაძლევა [...]. ღმრთაებრივი ლიტურგიკული მსახურების ყოველი დეტალი გადარჩენაზე, მარადიულ სიცოცხლეზე მიგვითითებს. ეს ყველაფერი ძალზე გასაფრთხილებელია [...]. ეპისკოპოსის (მღვდლის -თ. გ.) უმთავრესი, ძირითადი მოვალეობა ღმრთაებრივი ევქარისტიის აღსრულება, მღვდელმოქმედებაა. და მისგან წარმოდგება სწორედ მღვდლობის მთელი ძალაუფლება, მათ შორის, მოძღვრობითიც და ადმინისტრაციულიც. ევქარისტია არ არსებობს ეპისკოპოსის, მღვდლის გარეშე და არც ეპისკოპოსი,

---

[14] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.12 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

მღვდელი არსებობს ევქარისტიის გარეშე.[15]

სწორედ ევქარისტიული მსახურებაა, რაც აღაშენებს სამრევლოსაც და მღვდელმთავრის შემთხვევაში, ეპარქიასაც; ამრავლებს მათში საღმრთო ნიჭებს, და რაც მთავარია, მარადიულ სიცოცხლეს გვანიჭებს ქრისტეში. ხოლო თუ ეკლესია საზოგადოებაში კარგადაა ინტეგრირებული (მაგ. როცა ქვეყანა კულტურულად მართლმადიდებლურია, როგორც საქართველოს შემთხვევაში), მაშინ ჯანსაღი ევქარისტიული ცხოვრების აღორძინება, როგორც ცოცხალ ღმერთთან ერთობის აუცილებელი პირობა და გარანტიც,[16] ამრავლებს რა სიკეთეს საზოგადოებაში, მთელ სახელმწიფოს ააღორძინებს, რაც მოხდა კიდევაც საქართველოში წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის შედეგად.


განკაცებული ძე ღმერთის მოღვაწეობა სამწელიწად-ნახევარს გაგრძელდა მხოლოდ და მისი საქმე ჯვარცმის, აღდგომის, ამაღლებისა და სულთმოფენობის შემდეგ მოციქულებმა და მოციქულთა მემკვიდრეებმა გააგრძელეს. რომ არა უფლის მიერ დაწესებული ეს მადლისმიერი, ხელდასხმითი მემკვიდრეობა, რომლის ძალითაც უფალმა მათ საიდუმლოებათა (ნათლობის, ევქარისტიის) აღსრულებისა და მოძღვრობის ძალმოსილება მიანიჭა, ქრისტეს ღვაწლი ისტორიაში ჩაკარგული ფაქტი იქნებოდა, ხოლო ჩვენთვის – ამაო. განკაცებულმა ღმერთმა თავის მოწაფეებსა და მათ მემკვიდრეებს, მისმიერი კურთხევის ლეგიტიმურობითა და სული წმიდა ღმერთის მადლით (ენერგიით) ძალაუფლება მისცა ადამიანთა განკურნებისა – „...სნეულთა ზედა ჴელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან“ (მარკ. 16,18), ცოდვათა მიტევებისა – „ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და რჰქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იოან. 20,22-23), მეორედ შობის, იგივე, ახალ ადამიანად დაბადებისა – „ამენ,

---

[15] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр.72-92. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009*

[16] *„ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის [...]. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა... რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა“ [იოან. 6,35-56].*

ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ... ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა"; „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა" (იოან. 3,3-5; მათ. 28,19), უსისხლო მსხვერპლშეწირვის, ანუ ევქრისტიის, შესაბამისად, ეკლესიის, ქრისტეს მისტიკური სხეულის აღმშენებლობისა – „ჰმადლობდა, განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ; ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს განტეხილი; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა, და თქუა: ესე სასუმელი ახალი რჩული არს სისხლისა ჩემისაჲ; ამას ჰყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ, ჩემდა მოსაჴსენებელად"; „თქუენ ხართ ჴორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1კორ. 11,24-25; 12,27).



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ადამიანის მარადიული სიცოცხლისთვის, მისი განღმრთობისთვისაა საჭირო, იესუ ქრისტემ მღვდლობას გადააბარა, ხოლო თავად მღვდელმთავრად, ანუ ჩვენს მარადიულ მეოხად დაჯდა მარჯვენით მამისა. ამიტომაც ბრძანებს წმინდა გრიგოლ ხანძთელი: „... სარწმუნოთა [სანდო] მღდელთათვის ესე უწყოდეთ თქვენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვალობაჲ არს, ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ".[17]

ჯერ თავად ქრისტემ იმღვდელმოქმედა, შესწირა რა თავისი თავი გოლგოთაზე და შემდეგ, წმინდა გრიგოლის სიტყვისაებრ: „...თვისისა მის მღდელობისა ნაცვლად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად. და შემდგომითი შემდგომად ყოველნი სარწმუნონი მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ

[17] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.14 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა“ [18] და მათდამი (მღვდლებისადმი) დამოკიდებულებით განსაზღვრა ღმრთისადმი ადამიანთა დამოკიდებულება: „რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა...“ (მთ. 10,40).

ღმრთის ჩვენთან მყოფობის ნიშნების (სასწაულების), ღმრთის ნების გაგების და საღმრთო სიტყვის მოსმენის (წინასწარმეტყველების) შესაძლებლობა, როგორც წმინდანი ამბობს ნაწარმოებში, მღვდელთა მიერ მიეცათ მორწმუნეებს:

> ...და სასწაულთა ყოველთა და წინაჲსწარმეტყველთა ჩვენებასა და ღმრთისმხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა დაჰბეჭდა. და (ამიტომ) აწ არა ვინაჲ არს კაცთა ცხოვრებაჲ თვინიერ მღდელობისა, რომლისათვის პავლე იტყვის, ვითარმედ – „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქვენ“. და უფალი ბრძანებს: „უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“.[19]

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მღვდლის მიერ ადამიანებს ახალი, საღმრთო, ქრისტესმიერი სიცოცხლე ეძლევათ.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ახალი აღთქმის მღვდლობა, როგორც სული წმიდის მიერ მონიჭებული და მოციქულებრივი სტატუსის მქონე, არის ქრისტეს მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება.

> შესაბამისად, მოციქულთა მსახურება ერთი მთლიანობაა ქრისტეს მსახურებასთან, მისი გაგრძელებაა. ამ აზრის მტკიცებულებაა სწორედ მაცხოვრის სიტყვები: „ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ“ (იოან. 20,21). ამ სიტყვებით ნათლად დასტურდება მამა ღმერთის მიერ სოფელში ქრისტეს მოვლინების და ღმრთაებრივი მოძღვრის მიერ მოციქულთა ამ სოფლად წარგზავნის ერთი მთლიანობა... ქრისტემ მცნებად მისცა მოციქულებს მოიმოწაფონ ყოველი წარმართნი და ყოველსა სოფელსა უქადაგონ სახარება – „და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა“ (მათ. 28,19; მარკ. 16,15); თავად მოციქულები მახარებლის ამ მოვალეობას თავის

---

[18] *იქვე.*

[19] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.14 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

უპირველეს ვალდებულებად მიიჩნევდნენ – „...ჩუენ ლოცვასა და მსახურებასა ამის სიტყვისასა განვეკრძალნეთ“; „რამეთუ ვახარებ თუ, არა არს ჩემდა სიქადულ, რამეთუ უნებელი ზედა-მაც მე, და ვაჲ არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე“ (საქმ.6,2-4; 1კორ. 9,16); ქრისტე მაცხოვარი, რომელსა მხოლოსა ძალუძს ნათელი სცეს – „ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიჴმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?“ (მათ. 3,14), აფუძნებს ნათლობის საიდუმლოებას და მოციქულებს მცნებად აძლევს, აღასრულონ ეს საიდუმლოება – „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათ. 28,19); ასევე აფუძნებს ევქარისტიის უწმინდეს საიდუმლოებას, რომლის აღსრულებასაც მის მოსახსენებლად, სამყაროს აღსასრულამდე – „რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს“ (1კორ. 11,26) უანდერძებს მოციქულებს – „და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული; ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთჳს დათხეული“ (ლუკ. 22,19-20; 1კორ. 10,16; 11,25); ხოლო შემდეგ მოციქულებს ჭეშმარიტად საღმრთო ძალაუფლება გადასცა – „ვის ჴელ-ეწიფების მიტევებაჲ ცოდვათაჲ, გარნა მხოლოსა ღმერთსა?“ (ლუკ. 5,21), რომელსაც ამსოფლად მხოლოდ განკაცებული ღმერთი ფლობდა – „...რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა...“ (ლუკ. 5,24). იგულისხმება შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება – „უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იოან. 20,23); ხოლო აღდგომის მერე მოციქულთა ღირსებაში აღდგენილ პეტრეს და ამით ყველა მოციქულს, როგორც ჭეშმარიტ მწყემსთ, თავის პირმეტყველ ცხოვართა დამწყსვა უანდერძა – „...ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (იოან. 21,15-17). ასე რომ, ქრისტე არა მხოლოდ თავადაა მწყემსი კეთილი, არამედ მწყემსმთავარიცაა, ხოლო მოციქულები პირველი ქრისტეანი მწყემსები, ეკლესიის პირველი იერარქნი იყვნენ... მათი ამ სოფლიდან გასვლით არ შეწყვეტილა სამოციქულო მსახურება, რომელიც ღმრთის ნებით

ეკლესიის განსაკუთრებულ მსახურებს სამყაროს აღსასრულამდე გადაეცათ... ეს აზრი უმტკიცესადაა გადმოცემული ახალი აღთქმის გამოცხადებაში და განმარტებული, გამყარებულია ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებში.[20]

ამგვარი მაღალი და საპასუხისმგებლო საქმიანობიდან გამომდინარე, ცხადია, მომავალი სამღვდელოს, ანუ სამღვდელო კანდიდატის მდგომარეობა უაღრესად მნიშვნელოვანია.

ღმრთის განკაცების ერთ-ერთი მიზანი დაცემული კაცობრიობისათვის ზნეობრივი მაგალითის ჩვენება იყო; და ეს პასუხისმგებლობა სამღვდელო კანდიდატებზეა, რომლებიც პავლე მოციქულის სიტყვებისაებრ, სხვებისთვის უნდა გახდნენ მიბაძვის ობიექტნი: „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (1კორ. 11,1),

უფალი ჩვენი, იესუ ქრისტე, გვმოძღვრავს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა...“ (მთ. 11,29); ასევე: „ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი“ (მთ. 9,13); მიგვითითებს სულის სიგლახაკის (სიმდაბლის ერთ-ერთი თვისება) და სიწმინდის აუცილებლობაზე: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.“ და „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მთ. 5:3,8).

რაც შეეხება სიწმინდეს, უნდა ითქვას, რომ ეკლესიის სწავლებით, სამღვდელო კანდიდატმა განწმენდილ მდგომარეობას უნდა მიაღწიოს:

წმინდა დიონისე არეოპაგელის შრომის მიხედვით, იკვეთება, რომ სამღვდელოების სამი ხარისხი სულიერი ცხოვრების სამ საფეხურს შეესაბამება: განწმენდა, განათლება და სრულყოფა დიაკვნის, პრესვიტერის და ეპისკოპოსის წოდებათა ანალოგიურია. დიაკვნის ხელდასხმისათვის განწმენდილ მდგომარეობაში ყოფნა, ანუ მოქმედი სიბრძნისმოყვარეობითი ცხოვრებაა საჭირო. პრესვიტერად ხელდასხმისათვის, რომლის საქმე სხვათა განათლებაა, აუცილებელია, რომ სამღვდელო კანდიდატი გონების განწმენდის, უწყვეტი ლოცვის, გონიერი ლოცვის მდგომარეობაში იყოს; ეპისკოპოსმა კი, რომელიც ერის საღმრთისმეტყველო განსწავლაზეა პასუხისმგებელი,

[20] *Ильич В. Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. Гл.5. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva 19.04.2019.*

მისტიკური (და არა მხოლოდ თეორიული – თ. გ.) ღმრთისმეტყველება უნდა იცოდეს, უფალთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს, ჰქონდეს წინასწარმეტყველის მდგომარეობა, ღმრთიურ საქმეებს აღასრულებდეს და ჭეშმარიტებისკენ წარმართავდეს ერს.[21]

ეკლესიის მასწავლებელთა ამგვარი მიდგომა, რომლის ჭეშმარიტება და საჭიროებაც უეჭველია, სასულიერო სასწავლებლებში აკადემიურ ცოდნასთან ერთად სულიერი ცხოვრების სწავლების, სულიერი სკოლის აუცილებლობასა და საჭიროებაზე მიუთითებს. სხვაგვარად: მღვდლობის მოსურნე ადამიანი საღვთისმეტყველო ცოდნის მიღებასთან ერთად, პიროვნული სიწმინდის მოხვეჭისათვის სულიერადაც უნდა ვითარდებოდეს. ამ აზრს ავითარებს პროფესორი ეგზემპლიარსკი:



მოსაზრება იმის შესახებ, რომ არა გარეგანი ფაქტორები და მდგომარეობა, არამედ პიროვნული სიწმინდე ხდის ადამიანს მღვდლობის ღირსად, იმდენად ბუნებრივი და არსობრივი იყო ეკლესიის ცნობიერებისათვის, რომ წმინდა მამები ძველი აღთქმისეული იერარქიისაგან განსხვავებით, ახალი აღთქმის იერარქიას მელქისედეკის წესით მღვდლობას უწოდებენ, რომელიც ენიჭებათ არა წარმომავლობის გამო და მემკვიდრეობით, არამედ მოხვეჭილი სათნოებების შესაბამისად. ასე რომ, ზოგად ეკლესიური მოსაზრებით, სრულყოფილებაში წარმატების მოსურნე ყოველ ქრისტეანს სულიერ ზრდასთან ერთად მღვდლად და სხვათა მოძღვრად ყოფნის და ამ დიადი პატივის მიღების სურვილის უფლებაც ენიჭება.[22]

განკაცებული ღმერთი იძლევა მოძღვრობის პირად მაგალითს:

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს. ხოლო სასყიდლით-დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი

---

[21] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.73. თბილისი: „ახალი ივერონი". 2008.*

[22] *Ильич В. Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. Гл.4. В. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva 19.04.2019].*

და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის ცხოვარნი. ხოლო სასყიდლით დადგინებული იგი ივლტინ, რამეთუ სასყიდლით დადგინებული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათჳს. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ. ვითარცა მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს (იოან. 10,11-16).

ის ასეთი თვისებების მქონეთ (ან პოტენციაში რომ ჰვრეტს მათში ამგვარ თვისებებს) მოუწოდებს, რომ მას გაჰყვნენ: „და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა" (მთ. 4:19); და მის მიმდევართ პირადი მაგალითით განსწავლის: „რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რაჲთა, ვითარცა ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ" (ინ. 13:15); მოუწოდებს, იყვნენ სულით მდუღარენი: „სულითა მდუღარე იყვენით" (რომ. 12,13; გამოც. 3,15,16); და შესაბამის ძალასაც აძლევს: „შენ გადამიბირე, უფალო, და მეც დაგყევი; ჩამიჭირე და დამძალე; ყოველდღე საცინლად მიგდებენ, ყველა მამასხრებს... ვიფიქრე: დავივიწყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით, მაგრამ ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლებამდე გამატანა, ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი" (იერ 20:7,9); მოციქულის პირით კი ყველა ეპოქის ქრისტეანს და მით უმეტეს, სამღვდელო კანდიდატს, მოწაფეობისა და მოციქულებრივი მოღვაწეობისათვის სწორ მიმართულებას აძლევს: „ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუჲს მიერ" (ფილ. 2:5). ე. ი. მღვდლობის მადლის მისაღებად კანდიდატს განსაკუთრებული მდგომარეობა უნდა ჰქონდეს და ამისთვის განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს; მოციქულის რჩევისაებრ, ნუ იქნება ახალნერგი (1ტიმ. 3,6); საჭიროა მოიპოვოს სულიერი გამოცდილება და მოემზადოს ხელდასხმისათვის.

მღვდლობისათვის მომზადების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წმინდა მამათა და ეკლესიის მასწავლებელთა თხზულებებში:

ის, ვინც არ მიატოვა ეს ქვეყანა და არ გახდა ღირსი მოციქულთა მსგავსად სული წმიდის მიღებისა, ვინც არ განიწმინდა და არ განათლდა და ვერ ღირს იქმნა იხილოს ნათელი დაუღამებელი, მღვდლობას და მიუსაფარ სულებზე ზრუნვას და მათ ამაღლებას

ნუ გაბედავს. [...] წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველიც ბრძანებს, რომ ადამიანი ვერ იტვირთავს მეტყველი სამწყსოს მწყემსვას, თუ მანამდე ღმრთის ტაძარი, ქრისტეს ცოცხალი საცხოვრებელი არ გახდება. თუ გამოცდილებითა და გონებითი ჭვრეტით არ გამოიკვლია ქრისტეს ძალა, თუ არ შეიცნო საიდუმლოდ დაფარული ღმრთის სიბრძნე – „ვიტყჳთ სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას“ (1კორ. 2,7), თუკი ისევ ჩვილია და რძით იკვებება..[23]

სამღვდელო კანდიდატი სხვა ქრისტეანთა შორის გამორჩეულია და ამ რჩეულობის უმთავრესი კრიტერიუმი მასზე სული წმიდის მადლის განსაკუთრებული არსებობაა.

სტეფანე პირველდიაკონის არჩევაზე „საქმე მოციქულთაში“ ნათქვამია, რომ იგი რწმენისა და მადლმოსილების გამო გამოირჩიეს: „და გამოირჩიეს სტეფანე, კაცი სავსე სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა“ (საქ. 6,5). წმინდა იოანე ოქროპირი ამ ადგილის განმარტებისას წერს, რომ ხელდასხმა ყველასთვის საერთო იყო, მაგრამ სტეფანემ ყველაზე მეტი მადლი მიიღო. ეს განპირობებული იყო მისი სიწმინდით, რამეთუ სული წმიდამ ხელდასხმამდე დაივანა მასზე. ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ სამღვდელო კანდიდატს ხელდასხმამდე უნდა ჰქონოდა საღმრთო მადლი მოხვეჭილი... მათ შერჩევას და განსწავლას დიდი მომზადება და მრავალი პირობის შესრულება სჭირდებოდა.[24]

თუ ყოველივე ამის გათვალისწინებით ნაწარმოების იმ ადგილს წავიკითხავთ, რომელშიც წმინდა გროგოლის შესახებ მის მღვდლობამდელ პერიოდზე წერია, წმინდა წერილსა და ზოგადად ეკლესიის სწავლებასთან სრულ თანხვედრას აღმოვაჩენთ:

ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარეჲ ჯეჯილსა ღმრთისმსახურებისასა. და ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძინდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა სიყვარულისაჲ გარდაემატა მის შორის. და ესევითართა მრავალფერითა კეთილად განგებითა ცხოვნდებოდა

[23] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.66-68. თბილისი: „ახალი ივერონი“. 2008.*

[24] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.65. თბილისი: „ახალი ივერონი“. 2008.*

[ცხოვრობდა] ჭაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლისა.[25]

წმინდა გრიგოლი სამღვდლო ჯურჭლად საკუთარ თავს ბავშვობიდანვე ამზადებდა:

საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისისა, ვითარცა სამოელ წინაჲსწარმეტყველი, და მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოჲთგანვე [პატარაობიდანვე] ღვინოჲ და ხორცი არა შეხდა პირსა მისსა, ვინაჲთგან ქრისტესა განეკუთვნა სული თვისი სამკვიდრებელად. და ხატიცა [შესახედაობაც] მონაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან [თამაშობისაგან] ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა [თავყრილობასა] კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თვისსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამისთვისცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი.[26]

როგორც ნაწარმოები გვამცნობს, მღვდლობისათვის აუცილებელ, საჭირო, და იმ დროისათვის მრავალმხრივ, უნივერსალურ განათლებასაც იღებდა:

ხოლო გულისხმიერებაჲ სწავლისაჲ განსაკვირველი იყო ფრიად. რამეთუ მსწრაფლ დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი [უკეთური] განაგდის. და განითქვა სისრულე [სრულქმნილება] იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის.[27]

დასახელებულ სათნოებებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია თავად სამღვდელო კანდიდატის პასუხისმგებლობის ხარისხი, რომ ხედავდეს თავის უძლურებასაც და მსახურების სიდიადესაც; რომ ღმრთის მსახურება სურდეს, მაგრამ პატივს გაურბოდეს: „აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან [სასჯელის] მეშინის."[28] საბოლოოდ კი ამ პატივს, თვლიდეს რა ღმრთისაგან მოცემულად, რამეთუ „არავინ

---

[25] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ.12 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

[26] *იქვე, გვ.10*

[27] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ.10 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

[28] *იქვე, გვ.14.*

თავით თჳსით მოიღის პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ, ვითარცა-იგი აჰრონ» (ებრ.5,4), საკუთარი უღირსების განცდით, შიშით, კრძალვით და მორჩილებით იღებდეს: „ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა, რომელ შვენოდავე კრძალულებით საღმრთოჲთა კანონითა ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებლობასა.“[29]

ყოველივე ამას შემდეგ გიორგი მერჩულის ნაწარმოების მომდევნო ამონარიდში წერია:

> ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქვნდა სიყვარული მღდელობისაჲ (რომელიც ქრისტეს მოწაფეობის სურვილიდანაა გამომდინარე – თ. გ.),[30] შეზრუნდა [შეწუხდა] სიტყვასა მათსა ზედა და შიში დაეცა (მსახურების დიდი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ეს უაღრესად ჯანსაღი და აუცილებელი შიშია – თ. გ.) სიახლისათვის ჰასაკისა მისისა [თავისი ახალგაზარდობის გამო] (საკუთარი თავისადმი უნდობლობაც უნდა ჰქონდეს. – თ. გ.)[31] და ჰრქვა მათ: „თქვენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ. გულისხმა გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელთმოძღვართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ (უნდა ჰქონდეს ნდობა და მორჩილება ეკლესიისა – თ. გ.), თუ ვითარნი კრძალვანი [სიფრთხილე] უხმან მღდელობასა და ყოვლად უბრალოებაჲ [შეუბღალაობა] არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა (უნდა ჰქონდეს შინაგანი და წმინდა ცხოვრება და მტკიცედ იდგეს განწმენდის გზაზე. – თ. გ.)[32] და სიტყვითა. ხოლო

---

[29] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ.16 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[30] *„სარწმუნო არს სიტყუაჲ: უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობაჲ უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყჳს“ (1ტიმ. 3,1).*

[31] *„არასდროს არ ვენდოთ და ვერწმუნოთ საკუთარ თავს. ნუ დაუჯერებ შენ თავს, საყვარელო ძმაო, ეს იმდენად საჭიროა ბრძოლაში, რომ დარწმუნებული იყავი, არა თუ ვერ გაიმარჯვებ, მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევ“ [წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი, უხილავი ბრძოლა. თავი 2, გვ.14. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. 2014 წ.]; შდრ.: „ნუ ახალნერგ, რაჲთა არა განლაღნეს და საშჯელსა შევარდეს ეშმაკისასა“ (1ტიმ. 3,6).*

[32] *„მღვდელი, რომელიც ასეთი დიადი მსახურების ღირსი გახდა, არა მარტო წმინდა უნდა იყოს, არამედ კეთილგონიერიც და მრავალში გამოცდილიც; „მღვდლის სული მთელი სამყაროს გამაცისკროვნებელი ნათელივით*

დაღაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს უდებიეს დათმენაჲ უწესოთა კაცთა მღდელობაჲ,[33] უმჯობეს არს მათა, უკეთუმცა ყოვლადვე რიცხვსა კაცთასა არ შერთულ იყვნეს, ვიდრე საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა [ვიდრე ის, რომ საუკუნოდ შერთვოდნენ დაუსრულებელ სასჯელს] (სრულად უნდა აცნობიერებდეს პასუხისმგებლობას სამღვდელო მადლის წინაშე, რომელსაც შიშით უნდა ატარებდეს – თ. გ.),[34] ხოლო სარწმუნოთა მღდელთათვის ესე უწყოდეთ თქვენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვალობაჲ არს, ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ,[35]

უნდა იყოს; მღვდელს მზის სხივებზე ნათელი სული უნდა ჰქონდეს, რომ არასოდეს დატოვოს იგი სული წმიდამ და, რომ პავლე მოციქულივით შეეძლოს, თქვას, რომ თავად კი არაა ცოცხალი, არამედ მასში ქრისტე ცოცხლობს" (გალ. 2, 20) (Св. Иоанн Златоуст. О священстве. Слово 6. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve/ 19.04.2019); „ეკლესიის სწავლებით, სამღვდელო კანდიდატი გონების განწმენდის, უწყვეტი ლოცვის, გონიერი ლოცვის მდგომარეობაში უნდა იყოს" (მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 73. გამომცემლობა „ახალი ივერონი" 2008 წ.).

[33] „ცნობილია წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები: „ყველას ხელს არ ასხამს უფალი, მაგრამ ყველას საშუალებით კი მოქმედებს"; „არსებობენ ისეთი მღვდლები, რომლებიც თავად არ განწმენდილან, მიუხედავად ამისა, მსახურებენ და საღმრთო ლიტურგიას ღმრთის მადლის თანამოქმედებით აღასრულებენ" (მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 68. გამომცემლობა „ახალი ივერონი" 2008 წ.).

[34] „წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ მღვდლობა არ ფარავს ადამიანთა უღირსობას, პირიქით, ააშკარავებს მას [...] წმინდა მამები მოურიდებლად, მთელი სიმკაცრით წარმოაჩენენ, რა დაემართებათ უღირს მღვდლებს, მათ, ვინც ეს ტვირთი შესაბამისი მომზადებისა და ცხოვრების წესის გარეშე იტვირთეს [...]. წმ. იოანე ოქროპირი წერს, რომ თვით მღვდლობის პატივი გახდება ჩვენი განმსჯელი, თუკი მღვდელმსახურებას არასწორად წარვმართავთ. წმ. თეოგნოსტის შრომების მიხედვით, გამოუსწორებელი მღვდელი ღმრთის ხელში მოხვდება, ის კი, კაცთმოყვარეობის მიუხედავად, არ შეიწყნარებს მას [...] და უღირსი მღვდლები მოულოდნელი სიკვდილით პირდაპირ მსაჯულის ხელში ხვდებიან" (მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 86-87. გამომცემლობა „ახალი ივერონი", 2008 წ.).

[35] „მამამან [...] ყოველი სასჯელი მოსცა ძესა (იოან. 5,22); მე კი ვხედავ, რომ ძე ღმრთისამ ყოველი ეს სასჯელი მღვდლებს გადასცა და ისინი ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ აღემატენ რა ადამიანურ ბუნებას და განთავისუფლდნენ რა ვნებებისაგან, ზეცად გადასახლებულებს გვანან; თუ ზეცის სასუფეველში



რომელმანცა ჰრქვა მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ – „ნეტარ ხართ თქვენ რამეთუ მრავალთა წინაჲსწარმეტყველთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა თქვენ ხედავთ და გესმის, და ვერ მიემთხვინეს“, რომელსა ღირს იქმენით თქვენ (თითოეული მღვდელი წინასწარმეტყველის პატივშია და უმეტეს პატივში, ვიდრე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი იყვნენ – თ. გ.)[36] და თვისისა მის მღდელობისა ნაცვლად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად. და შემდგომითი შემდგომად ყოველნი სარწმუნონი [სანდო] მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა [მიანდო] (შიშის მიზეზი კი მართლაც საფუძვლიანია: მღვდლობა არა უბრალოდ ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო საქმის, არამედ ქრისტეს საქმის გაგრძელებაა – თ. გ.), და სასწაულთა ყოველთა და წინაჲსწარმეტყველთა ჩვენებასა და ღმრთისმხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა

და მარადიული სიცოცხლეში შესვლა ვერავის ძალუძს, „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა“ (იოან. 3,5) და „უკუეთუ არა სჭამოთ(ნ) ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ(ნ) სისხლი მისი“ (იოან. 6,53), ხოლო ყოველივე ეს კი, რადგან მხოლოდ განწმენდილი ხელებით, ანუ მღვდლის ხელებით აღესრულება, როგორი უგუნურება იქნება, პატივი არ მივაგოთ სამღვდელო ძალაუფლებას... ამიტომაც, სამართლიანი იქნება, თუ მღვდლების მიმართ მეტი კრძალვა და პატივი გვექნება, ვიდრე ხელისუფალთა, ამა სოფლის ძლიერთა, თვით მშობელთა მიმართ, რომლებმაც სისხლთაგან და ნებითა ხორცთაგან გვშვეს (იოან. 1,13), ხოლო მღვდლები ღმერთში ჩვენი მარადიული შობის მიზეზნი არიან; როგორც სულია ხორცზე აღმატებული, ისეა აღმატებული მღვდლობა ყოველგვარ ძალაუფლებაზე; რასაც მღვდლები მიწაზე აღასრულებენ (მღვდელმოქმედებისას – თ. გ.), იმას ღმერთი ზეცაში განასრულებს და მონის აზრს ღმერთი ამტკიცებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მან მათ ყოველი ზეციური ძალაუფლება გადასცა? (Св. Иоанн Златоуст. О священстве. слово 3. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve/ 19.04.2019).

[36] *„ვინც მთელი სამყაროსთვის ლოცულობს და ღმერთს ადამიანთა, როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების ცოდვებს შეავედრებს, თვითონ როგორი უნდა იყოს? თვით მოსეს და ილიას კადნიერებასაც ვერ ჩავთვლიდი ამგვარი ლოცვისათვის საკმარისად... როცა იგი სული წმიდას მოუწოდებს და სამინელ მსხვერპლშეწირვას აღასრულებს, და ჩვენ ყოველთა მეუფეს ხშირად ეხება; მითხარი, ვის გვერდზე შეიძლება ის დავაყენო? (Св.Иоанн Златоуст. О священстве. слово 6. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve/ 19.04.2019).*

დაჰბეჭდა. და აწ არა ვინაჲ არს [და ახლა არაფერია] კაცთა ცხოვრებაჲ თვინიერ [გარეშე] მღდელობისა, რომლისათვის პავლე იტყვის, ვითარმედ – „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქვენ“. და უფალი ბრძანებს: „უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“[37] და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან [სასჯელის] მეშინის”.[38] (მღვდლის კრძალვითა და სიმდაბლით მსახურების საფუძველი – თ. გ.)

მომავალი სასულიერო პირის ერთ-ერთი პირველი, თუ უმთავრესი არა, თვისება მორჩილებაა, რამეთუ ყველაზე მეტად მასში ვლინდება სიმდაბლის უდიდესი სათნოება: „იხილა რაჲ იესუ ნათანაელ, მომავალი მისა, და თქუა მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს. ჰრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე?“ (იოან. 1,47-48). უფლის შექებაზე ნათანაილის ურჩობა, რომ სულაც არაა უზაკველი, მისი მხრიდან ცრუ სიმდაბლის გამოვლინება იქნებოდა. იმავე ჭეშმარიტი სიმდაბლიდან აღმოცენებულ მორჩილებას ვხედავთ წმინდა გრიგოლთანაც:

ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა, რომელ შვენოდავე კრძალულებით [მოშიშებითს] საღმრთოჲთა კანონითა ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებლობასა. და ესრეთ მხიარულ იქმნა სიმრავლეჲ იგი ერისაჲ, რაჟამს წმიდითა ხელითა მისითა ღირს იქმნნეს მიღებად ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა.[39]

ძალზე მნიშვნელოვანია წმინდა გრიგოლის მღვდლად კურთხევის კონტექსტში იმის ხსენება, რომ მისი ხუცესად კურთხევა „შვენოდავე [...] მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებლობასა“, რაც გიორგი მერჩულის ნაწარმოებში კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმაა, რომ მღვდლის უმთავრესი საქმე ევქარისტიული

---

[37] მღვდელი ღმრთის მსგავს შემოქმედებას ეწევა, ახალ ადამიანებს შობს (თ. გ.): “რამეთუ დაღათუ ბევრ მზარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, არამედ არა მრავალ მამა, რამეთუ ქრისტე იესუს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქუენ“ (1კორ. 4:15).

[38] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.12-14 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.

[39] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.16 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.

მსახურების აღსრულებაა. აქ უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ იწყებს მართლმადიდებელი მღვდელი ევქარისტიულ მსახურებას: „კურთხეულ არს მეუფება, მამისა და ძისა, და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“[40] ეს ასამაღლებელი (მღვდლის მიერ ღმრთისმსახურების დასაწყისში აღვლენილი საღმრთისმეტყველო ფორმულა) ეკლესიის განსაკუთრებული გზავნილია კაცობრიობისადმი. ევქარისტიის გარდა, ყველა სხვა მსახურება უშუალოდ ღმრთის სადიდებელი ასამაღლებლით იწყება („კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...“; „დიდება წმიდასა და თანაარსსა და განუყოფელსა სამებასა...“). მხოლოდ ევქარისტიული მსახურება იწყება ღმრთის მეუფების, ანუ იმ სამეფოს დიდებით, რომლის მოქალაქეობისკენაც ვართ მოწოდებულნი. და ამ სიტყვებით მღვდელი მორწმუნე მრევლს[41] მიუძღვის ზეციური სამეფოსკენ (რომელიც სწორედ ევქარისტიული მსახურებით, ანუ ქრისტესთან ორგანული ერთობის გზით შენდება); ხოლო ყველა ადამიანის, ერისაც და ბერისაც, ამ სამეფოსკენ გზის გამკვალავი და თავად გზა, განკაცებული ძე ღმერთი, იესუ ქრისტეა – „მე ვარ გზაჲ“ (იოან. 14,6), რომლის გამომხატველი სიმბოლოცაა უსისხლო მსხვერპლის შემწირველი მღვდელი. ის ღმრთის მსახურებას იწყებს წმინდა სამების ზემოთ მოყვანილი სადიდებელი სიტყვებითა და ამავდროულად სახარების (როგორც სასუფევლის კარის გამღები განკაცებული ღმრთის ძის სიმბოლოს) ამაღლებით.

განკაცებული ღმერთი გზასთან ერთად სიცოცხლეცაა – „მე ვარ [...] ცხორებაჲ“ (იოან. 14,6), რომელიც მოვიდა ჩვენთან, დარჩა და ჩვენთან იქნება სამყაროს დასასრულამდე – „აჰა ესერა მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ, 28,20). მისდამი სიყვარული ჩვენს გულს ყოვლადწმიდა სამების საუფლოდ გადააქცევს: „მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ... მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენთანა დაადგრეს უკუნისამდე.“

---

[40] *სამღვდელო კონდაკი. წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა ბასილი დიდის, წმიდა გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია*

[41] *როგორც სამეფო და სამღვდელო დასს – თ. გ. „თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲ სამღდელოჲ... რომელმან-იგი ბნელისაგან გიწოდნა თქუენ საკჯრველსა მას ნათელსა მისსა“ /1პეტრ. 2,9/; „ჰყვენ იგინი ღმრთისა ჩუენისა მეფედ და მღდელად, დასუფევდენ იგინი ქუეყანასა ზედა“ /გამოც. 5,10/*

(იოან.14,23,16). ასეთ ადამიანს ზეცა, ანუ ღმრთის სამეფო გულში აქვს, ანუ ყოვლადწმიდა სამება ჰყავს გულში დამკვიდრებული,[42] და ვეზიარებით რა ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ეს ყოველივე სულიერთან ერთად ხორციელადაც გვიდასტურდება. სწორედ ამიტომ შეიძლება წირვას გაცოცხლებული სახარება ვუწოდოთ. ამ კონტექსტში გასაგები ხდება, თუ როგორ შეიძლება პავლე მოციქულის მიმბაძველი მღვდელი – „გლოცავ თქუენ: მობაძავ ჩემდა იყვენით" (1კორ.4,16) (ხოლო ეს ვალდებულებაა – თ. გ.), სხვებისთვის ახალი სიცოცხლის მიმნიჭებელი აღმოჩნდეს: „ქრისტე იესუჲს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენ თქუენ" (1კორ. 4,15).

ღმრთისმსახურებაში, საიდუმლოების აღსრულებაში, უმთავრესი თავად ღმერთია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადამიანური ფაქტორის გამორიცხვა. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა გიორგი მერჩულის ნაწარმოებიდან მოყვანილი ზემოთ მოხმობილი ამონარიდი: „მხიარულ იქმნა სიმრავლეჲ იგი ერისაჲ, რაჟამს წმიდითა ხელითა მისითა ღირს იქმნნეს მიღებად ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა". მღვდლის პიროვნულ განწმენდას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამას მრავალი წმინდა მამა და ღმრთისმეტყველი ადასტურებს. მაგ., წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ხამს უწინარესად თავად განიწმინდოს და შემდეგ სხვანი განწმინდოს, განიბრძნოს და მერე განბრძნოს სხვა, განათლდეს და სხვა გაანათლოს, მიეახლოს უფალს და შემდეგ სხვები მიაახლოს, წმინდა გახდეს და შემდეგ სხვები აქციოს

---

[42] *„წირვის მსახურების დასაწყისში აღვლენილი ასამაღლებელი: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა", ღმრთის სამეფოს უკვე დამკვიდრების დასტურია, იგი უკვე მთელი სიდიადითაა ჩვენ წინაშე და ჩვენ გვაქვს საღმრთო კადნიერებითი მზაობა, კრძალვით შევიდეთ მასში. ეკლესია, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, დროის მდინარებიდან ამოღებულია, მასში აღარ მოქმედებენ ამ სოფლის კანონები, თვით სიკვდილიც დამარცხებულია (ყოველივე ეს მლოცველი მრევლის სულში აღიქმება და განიცდება – თ. გ.). ქრისტე სამეუფო ქორწილში გვიწვევს; გვიწვევს უკლებლივ ყველას, ვისაც რა თქმა უნდა ეს სურს: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ. და ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით" (იოან. 14,2-4). (Протоиерей Алексей Уминский. Божественная литургия Ст. 50-51. Москва . «Нкея». 2016 г.)*

წმინდანებად".[43] სამწუხაროდ,

> არსებობენ ისეთი მღვდლები, რომლებიც თავად არ განწმენდილან, მიუხედავად ამისა, მსახურებენ და ღმრთის მადლის თანამოქმედებით საღმრთო ლიტურღიას აღასრულებენ. გარეგნულად მათი მღვდლობა შეუბღალავია, რადგან ეკლესიას არ განუსჯია ისინი, მაგრამ ასეთნი თავიანთ მღვდლობას საკუთარი ცხოვრებით ბილწავენ. წმინდა ნიკოლოზ კავასილა ამბობს, რომ მათ შეუძლიათ ძღვენის კურთხევა, მაგრამ თავად ვერ იკურთხებიან სიწმინდისგან.[44]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წმინდა გრიგოლის, როგორც ღირსეული სამღვდელო კანდიდატის, გამორჩევაში ერს მიუძღვის წვლილი: „მაშინ ხელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა, და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაჲ ამის ნეტარისაჲ".[45] ეს ეკლესიის უძველესი პრაქტიკა ერთგვარი პრევენციული ზომა იყო, რათა უღირსებს არ მიეღოთ სამღვდელო ხელდასმა.

სწორედ ეკლესიის ამ უძველეს პრაქტიკაზე საუბრობს წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ესპანელი სამრევლოსადმი გაგზავნილ წერილში: „ღმრთის მოშიში და საღმრთო მცნებების მორჩილი ერი ცოდვილ წინამძღვარს უნდა გაემიჯნოს და მკრეხელი მღვდლის მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, მით უმეტეს, რომ მას ღირსეულების მღვდლად გამორჩევის და უღირსთათვის პატივის აყრის ძალაუფლება გააჩნია. ღმრთისაგან ვუწყით, რომ მღვდელი ერის წინაშე, ყველას თვალწინ უნდა იქნას გამორჩეული, რათა მისი ღირსება და უნარები საყოველთაო მსჯავრის საგანი იყოს და ყველას მიერ დამოწმებული.[46]



---

[43] *მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 58-59. გამომცემლობა „ახალი ივერონი", 2008 წ.*

[44] *იქვე, გვ. 81.*

[45] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.12 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[46] *Ильич В. Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности*

წმინდა წერილში პიროვნული სიწმინდისა და პასუხისმგებლობის აუცილებლობის დამადასტურებელი მრავალი ადგილია. მაგალითად, ის, რომ „ღმრთისა თანაშემწენი ვართ“ (1კორ.3,9); და რომ ღვთისმსახურთა არასწორი ქმედებით შეიძლება ხალხი დაბრკოლდეს: „უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ვირით საფქველისაჲ ზედაედვა ქედსა მისსა და შთავრდომილიყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა“ (ლუკ. 17,2). ასევე, ლიტურგიკური მსახურების საიდუმლო ლოცვებში მღვდლები ღმერთს ვევედრებით: „მოიხსენე, უფალო, სიმრავლითა მოწყალებათა შენთათა ჩემიცა უღირსება და შემინდვენ ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, და ნუ ჩემთა ცოდვათათვის დააყენებ მადლსა სულისა წმიდისასა წინამდებარეთა ძღვენთაგან“,[47] რაც ცალსახად მიანიშნებს ევქარისტიული საიდუმლოების აღსრულებისას მღვდლის შინაგანი მდგომარეობის მნიშვნელობაზე.

სამწუხაროდ, თვით სამღვდელო დასშიც გავრცელებულია მოსაზრება (და ეს რომ ასეა, ჩვენში არსებული ლიტურგიკული პრაქტიკა ადასტურებს), რომ რადგან მსახურებაში მთავარი ღმრთის მადლია, ამიტომ ვინ როგორ წირავს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ამგვარი არასწორი დამოკიდებულების გამო ღმრთისმსახურებას კრძალვით, ღმრთის შიშით, სულის მდუღარებითა და რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, შემოქმედებითად არ ვეკიდებით. აღნიშნულ პრობლემაზე წმინდა მამებიც ტკივილით წერენ: „მათ მაგივრად, – ამბობს წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – მე მრცხვენია, რომლებიც, არა არიან რა სხვებზე უკეთესები (თუ უარესები არა...), განუწმენდავი სულებით წმინდა საქმის კეთებას ინდომებენ... წმინდა ტრაპეზის ირგვლივ უწესოდ მყოფობენ“[48] და ამ ტიპის წინამძღვრები ბევრ რამეს აფუჭებენ ეკლესიაში: „როგორიც წინამძღვარია, – ბრძანებს წმინდა

священства. Гл. 4 В. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij–Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva/ 19.04.2019.

[47] *სამღვდელო კონდაკი. წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა ბასილი დიდის, წმიდა გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია. გარდასახული ძღვენის წინ აღვლენილი საიდუმლო ლოცვა*

[48] *Епископ Вениамин Милов. Пастырское богословие с аскетикой. Стр.222-223. Москва. Свято-Троицкая Лавра, 2002 г.*

ბასილი დიდი, – ისეთივეა მისი მორჩილების უმრავლესობა."[49] თუ კითხვას დავსვამთ, საღი აზრიც გვიკარნახებს, რომ, მართალია, წირვით ყველა ვწირავთ, მაგრამ ისე ვწირავთ, როგორც წმინდა გრიგოლ ხანძთელი, წმინდა ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი, წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, წმინდა გრიგოლ პალამა, წმინდა იოანე კრონშტანტელი, ღირსი ეფრემ კატუნაკელი ან ღირსი იოსებ ისიქასტის მიერ მოხსენებული მღვდელმონაზონი დანიელ ისიქასტი წირავდა? და რაც მთავარია, ეკლესიაც სწორედ ამას გვასწავლის, ანუ მღვდლის პიროვნულ მდგომარეობასა და შესაბამისად, პასუხისმგებლობაზე მიანიშნებს:

> როგორი დამნაშავეა ის მღვდელი, რომელიც საიდუმლოებას უღირსი, აჩქარებული და მექანიკური მოქმედებით აღსრულებს! როგორი შეუსაბამობაა: იგი მიწიერ ანგელოზად მოწოდებული, წმინდა საიდუმლოების აღსრულებისას უყურადღებო, გონებაგანბნეული, არაკონცენტრირებული და თავქარიანად მოქმედია![50]

ამის საწინააღმდეგოდ, მსახურების კეთილად აღმსრულებელი მღვდელი მრევლსაც ეხმარება უფალთან ერთობაში:

> მღვდელი პატიოსან ძღვენს წმინდა ტრაპეზზე დააბრძანებს, ხოლო თვითონ, ემზადება რა საიდუმლოების აღსასრულებლად და საშინელ მსხვერპლთან მისაახლებლად, საკუთარ თავს კეთილად განამზადებს, ლოცვებით განწმენდს და ასე ემზადება მღვდელმოქმედებისათვის; ხოლო ამგვარი ქმედებით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მისი მაგალითის შემყურე ერსაც განამზადებს საიდუმლო მსახურებისათვის.[51]

როცა ასე არ ხდება, მაშინ გასაკვირია, რომ ლიტურგიკული მსახურების დროს მრევლი ტაძარში უწესრიგობდეს? ამ კონტექსტში ძალიან საგულისხმოა წმინდა კვიპრიანე კართაგენელის სიტყვა:

> თუ უფალი ღმერთი ჩვენი, იესუ ქრისტე, თავადაა უმაღლესი მღვდელი ზეციური მამისა; თუ თავად შესწირა საკუთარი თავი მსხვერპლად და გვიანდერძა, რომ ამას მუდამ ვიქმოდეთ მის მოსახსენებელად; მაშინ აშკარაა, რომ მხოლოდ ის მღვდელია

---

[49] *Епископ Вениамин Милов. Пастырское богословие с аскетикой. Москва. Свято-Троицкая Лавра, 2002 г., Стр. 221.*

[50] *იქვე, Стр. 173.*

[51] *Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. Ст. 114. Сибирская Благозвонница. Москва. 2017 г.*

ქრისტეს მსახურების ნამდვილი გამგრძელებელი, რომელიც მღვდელმოქმედებაში ქრისტეს ბაძავს; და მხოლოდ მაშინაა ეკლესიაში მამა ღმერთის წინაშე სრულყოფილი მსხვერპლის შემწირველი, როცა იმგვარად სწირავს, როგორც თავად ქრისტემ შესწირა.[52]

გიორგი მერჩულის ნაწარმოებიც არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ მღვდლის პიროვნული ღირსება ძალზე მნიშვნელოვანია:

სანატრელი დედაჲ ფებრონია ზრუნვასა შინა იყო, რამეთუ მწყემსად მათდა ჩინებული სარწმუნოჲ მღდელი, მამისა გრიგოლის მივლენილი, გარდაიცვალა. არამედ ეუწყა ღმრთისაგან, ვითარმედ – უმჯობეს მისსა აწ იყოს სხვაჲ მღდელი მწყსად თქვენდაო. და წიგნი მიწერა ნეტარისა გრიგოლისსა და ითხოვდა მღდელსა ღირსსა [ღირსეულ მღვდელს].[53]

მწირველი მღვდლის პიროვნული მდგომარეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი წერს:

როცა იგი (მღვდელი – თ. გ.) სული წმიდას მოუწოდებს და საშინელ მსხვერპლშეწირვას აღასრულებს, და ჩვენ ყოველთა მეუფეს ხშირად ეხება; მითხარი, ვის გვერდზე შეიძლება ის დავაყენო? როგორი სიწმინდე და კეთილმოწესეობა მოითხოვება მისგან? აბა, იფიქრე, როგორი სიწმინდის უნდა იყოს იმის ხელები, ვინც ამ მსახურებას აღასრულებს? როგორი უნდა იყოს ამ მსახურებაში წარმოსათქმელი სიტყვების ენა? ვისი სული შეიძლება იყოს უფრო წმინდა და სუფთა, ვიდრე ამგვარი მადლის დამტევნელი სული?[54]

გიორგი მერჩულის ნაწარმოების ამონარიდში ვხედავთ, რომ მღვდლის პიროვნული თვისებები სხვებისათვისაც სამაგალითოა:


იქმნა მღდელ მონასტრისა დედათაჲსა ნებითა ღმრთისაჲთა სანატრელი და სასწაულთა მოქმედი მატოი, დიდი და დიდებული საქმითა თვისითა. რამეთუ წელიწადთა ორმეოცთა მერეს

---

[52] *профессор Василий Ильич Экземплярский. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. Глава IV, А. Иерархическое достоинство христианских пастырей-священников Церкви. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij-Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnostisvjashenstva – 19.04.2019.*

[53] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 37, გვ.114 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[54] *Св. Иоанн Златоуст. О священстве. слово 6. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve/ – 19.04.2019.*



მღდელობასა შინა მისსა უქმი სიტყვაჲ და უსარგებლოჲ პასუხი არავის ესმა მისგან, რომელი კაცთა ცოდვად ეყოფვის, ვითარცა უფალი იტყვის: „ყოვლისათვის სიტყვისა უქმისა, რომელსა კაცნი იტყვიან, სიტყვაჲ მისცენ მისთვის დღესა მას საშჯელისასა“. და არა ხოლო ესე ოდენ, არამედ რომელნი ხედვენ მას, ვერ იკადრიან უქმად განცხრომაჲ კრძალულებათაგან მისთა და სიწმიდით და უბიწოდ ქცევისა [უქმად განცხრომას მისეულ თავშეზღუდვათა და სიწმინდით და უბიწოდ ქცევის გამო], რამეთუ ექმნა ყოველთა სახე კეთილის, და ამან დაიმარხა ჴეშმარიტი ქალწულებაჲ არა ხოლო ხორცითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყვითა, სასმენელითა და... რომლისათვისცა ღმრთისმოყვარემან მან დედაკაცმან თემესტია, მერისა დეკანოზმან, თქვა, ვითარმცედ – ორმეოც წელ დეკანოზობასა ჩემსა და მატოის მღდელობასა საცეცხურნი მან ხელისა ჩემისაგან არა ოდეს მიმიხვნაო [არასოდეს გამოურთმევია].[55]

საანალიზო ტექსტის შემდგომი ციტატა ევქარისტიული მსახურების ღირსეულ შეწირვაზე მიუთითებს, რაც კიდევ ერთხელ იმაზე მიანიშნებს, რომ სასულიერო პირის პიროვნული თვისებები, ზნეობრივი და სულიერი მდგომარეობა უაღრესად მნიშვნელოვანია:

> ნეტარმან ეპიფანე... მისცა კაცსა მას ხელთა თვისთა ნაბანი. და მი-რაჲ-იწია, დედაკაცმან მან სარწმუნოებითა მტკიცითა სცხო ევლოგიაჲ [საბოძვარი] იგი უსისხლოჲსა მსხვერპლისაჲ ღირსად შემწირველისა მღდელისაჲ ასულსა თვისსა. ხოლო მას დაეძინა სამ დღე და სამ ღამე. და რაჟამს განეღვიძა, თქვა: – დიდებაჲ ღმერთსა, დიდებაჲ წმიდასა სამებასა, რომელმან ლოცვითა ნეტარისა მამისა ეპიფანესითა განმკურნა და მიხსნა მე ეშმაკისაგან![56]

გიორგი მერჩულის ნაწარმოებში მღვდლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საყურადღებო თემა იკვეთება. საკითხი სულიერი სკოლის ჩამოყალიბებას, კეთილი ტრადიციის შექმნასა და კარგი მემკვიდრეების აღზრდა-დატოვებას ეხება. განკაცებული ღმერთი, იესუ ქრისტე, საუბრებისა და მოწოდებისას არა მხოლოდ გვერდით მყოფ მოწაფეებს მიმართავს და გულისხმობს, არამედ

---

[55] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 37, გვ.116 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[56] *იქვე, თავი 86, გვ. 226*

ყველას, ვინც მოციქულთა სიტყვით მის სიტყვას მოისმენს, მიიღებს და აღასრულებს: „და არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ" (ინ. 17,20). რა თქმა უნდა, ეს გასაკვირი არაა, რადგან ეკლესია ქრისტეს მარად ცოცხალი სხეულია, ჩვენ კი მისი ნაწილნი ვართ.[57] ამის გამო ეკლესია ყოველთვის და დღევანდელ დღემდე და სამყაროს აღსასრულამდე[58] თავისი წიაღიდან შობს წმინდანებს; ხოლო ადამიანური ფაქტორი ამ მოვლენისა, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვანია. იგი ღმერთთან თანამშრომლობას და აქედან გამომდინარე, სულიერი სკოლისა და ზოგადად მადლისმიერი ტრადიციის არსებობას გულისხმობს. ეს ყოველივე ნაწარმოებიდან ქვემოთ მოყვანილ ორ ამონარიდში იკითხება:

პირველში კარგად ჩანს წმინდა გრიგოლის სწორი ეკლესიოლოგიური ხედვა, როცა იგი ღმრთისადმი ვედრებისას თავის ხედვას წარმოაჩენს; კერძოდ, თუ როგორი მნიშვნელოვანია ჯანსაღი სარწმუნოებრივი ხედვის, გამოცდილებისა და ცხოვრების წესის დანერგვა, გამრავლება და თაობებისათვის გადაცემა:

> შევიდა წმიდად ეკლესიად [...] დიდებაჲ შეწირა ქრისტჱს მიმართ და თქვა: უფალო ჩემო, იესუ ქრისტე ღმერთო, მოწყალებით მომიბეღე მე ქვეყანათა ამათ სამთა თანა მოყვასთა კეთილთა მღდელთა წმიდათა სიკვდიდმდე მარადის დაუყუდნებელად [შეუფერხებლად] შენდამი შემწირველთა მსხვერპლთა მათ უსისხლოთა წმიდათა (ევქარისტიული მსახურება სამღვდელო პირის ძირითადი საქმეა)[59] და მრავალთა სულთა ნავთსაყუდელ

---

[57] *ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს, და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ მრავალღათუ არს, ერთ გუამვე არს, ეგრეთცა ქრისტე" (1კორ. 12,12); "თქუენ ხართ ჴორცნი ქრისტჱსნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1კორ. 12,27); ქრისტე უცვალებელია: „იესუ ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე" (ებრ.13,8); ღმრთის ნება უცვლელი და უმტკიცესია: „მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინათუ ქცევისა აჩრდილ" (იაკ. 1,17).*

[58] *შდრ.: „აჰა ესერა მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა" (მათ. 28,20)*

[59] *„ძველი წმინდა ავტორების (წმინდა ეგნატე ანტიოქიელის, წმინდა იპოლიტე რომაელის, წმინდა კვიპრიანე კართაგენელის, ღირსი მაქსიმე აღმსარებლისა და სხვ.) მოწმობით, ეპისკოპოსის (შესაბამისად, მღვდლისაც – თ. გ.) მსახურება უპირატესად ევქარისტიის აღსრულებაა" (Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр. 184. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009).*

ჰყვენ იგინი. და შემდგომად სიკვდილისა მათისა, ღირს ჰყვენ უოხჳნოდ [დაუსრულებლად] მსახურებად ზეციისა საკურთხეველსა ანგელოზთა თანა წმიდათა[60] და აწ ჩემ მიერ აღაორძინენ ნებისმყოფელნი შენნი, ქრისტე, რამეთუ ტალანტი სიბრძნისაჲ, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა (მათ. 25,14-29). და აწ წინაშე შენსა არიან მოწაფენი სასუფეველისანი. აკურთხენ, ქრისტე, ვითარცა აკურთხენ წმიდანი მოციქულნი.[61]

მეორე ამონარიდი წმინდანის ღვაწლის იმ ნაყოფს წარმოაჩენს, რომელიც უკვე უშუალოდ მის მოწაფეებში განხორციელდა, რაც წმინდა გრიგოლის ღირსეული მღვდლობის, ანუ ჭეშმარიტი ევქარისტიული ცხოვრებისა და სულიერი სკოლის არსებობის შედეგია. ეს შედეგი ქრისტეს მისტიკური სხეულის აღმშენებლობაა:

პირველხსენებულნი და ყოვლად მოსახსენებელნი იგი ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიხსენნეთ, რომელნიცა სათნო იყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთმთავრად სამწყსოთა მათ თვისთა პირმეტყველთა. რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტეჲს კვართისა

---

[60] *შდრ.: „მეყსეულად ვიქმენ სულითა, და აჰა დგა საყდარი ცათა შინა და საყდარსა ზედა მჯდომარე... გარემო საყდრისა საყდარნი ოცდაოთხნი, და საყდართა მათ ზედა ოცდაოთხნი მღდელნი მსხდომარენი, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და თავთა მათთა ზედა გჳრგჳნნი ოქროჲსანი... რაჟამს მიიღო მან წიგნი იგი, ოთხნი იგი ცხოველნი და ოცდაოთხნი მღდელნი დავარდეს წინაშე კრავისა მის. და აქუნდა თითოეულსა ათძალი და ლანჯნანი ოქროჲსანი, სავსენი საკუმეველითა, რომელ არიან ლოცვანი წმიდათანი. და გალობდეს გალობასა ახალსა და იტყოდეს: ღირს ხარ შენ მიღებად წიგნისა ამის და აღებად ბეჭედთა მისთა, რამეთუ დაიკალ და გჳყიდენ ჩუენ ღმრთისა სისხლითა შენითა ყოვლისაგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართთა, და ჰყვენ იგინი ღმრთისა ჩუენისა მეფედ და მღდელად, და სუფევდენ იგინი ქუეყანასა ზედა... და სხუაჲ ანგელოზი მოვიდა და დადგა საკურთხეველსა ზედა, რომელსა აქუნდა სასაკუმევლე ოქროჲსაჲ; და მიეცა მას საკუმეველი ფრიადი, რაჲთა მისცეს იგი ლოცვასა წმიდათასა საკურთხეველსა მას ზედა ოქროჲსასა, რომელი არს წინაშე საყდარსა". (გამოც. 4,2-4; 5,8-10; 8,3).*

[61] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა თავი 74, გვ. 200-202. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

სამკვიდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა. და იყო სიყვარული მათ შორის[62]


ჯანსაღი სხეული ეკლესიისა, განამრავლებს რა კეთილ მღვდლებს, მთელ ერს სულიერად, ზნეობრივად და შესაბამისად, სახელმწიფოებრივადაც ააღორძინებს, რამეთუ როგორ წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, „მოძღვრის სასიკეთო მოღვაწეობა მთელ ერზე სასარგებლოდ მოქმედებს.[63]

ცოდვით დაცემის შემდეგ, ღმერთთან ადამიანის ერთობის უუნარობისა და შეუძლებლობის გამო, ღმრთისაგანვე იქნა დადგენილი მღვდლობის ინსტიტუტი, როგორც აუცილებელი პირობა დაცემული ადამიანის ღმერთთან ერთობისა. მღვდლის უმთავრესი მოვალეობა ღმერთსა და ადამიანებს შორის ერთგვარი შუამავლის როლის შესრულება იყო, რომელსაც განახორციელებდა ხალხის განსწავლით, ანუ მოძღვრობითა და მსხვერპშეწირვით. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია; ძველი აღთქმის მღვდლობის ინსტიტუტი წაარმოადგენდა სიმბოლურ წინასახეს იმ დიდი მღვდელმთავრისა და შესაბამისად დიადი მსხვერპშეწირვისა, რომელიც თავად განკაცებულმა ძე ღმერთმა აღასრულა და დასაბამი დაუდო ახალი აღთქმის სამღვდელო დასს, რომელთაც გადააბარა კაცობრიობის გადარჩენის ის უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც თავად დაიწყო, როცა ამ სოფელს ადამიანად მოევლინა. ამიტომ ყოველი მღვდელი ქრისტეს მღვდელია და უდიდესს პასუხისმგებლობას ატარებს, როგორც ღმრთის, ისე ერის წინაშე. შესაბამისად, სამღვდელოების სულიერ და ზნეობრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მდგომარეობა ეკლესიისა, ხოლო ამ უკანასკნელით ბევრად განისაზღვრება ერის მდგომარეობა. წმინდა გრიგოლ ხანძთელი ჭეშმარიტი და პატიოსანი მღვდლობის ბრწყინვალე მაგალითია არა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ მთელი საქრისტეანოსათვის. ამდენად, ვფიქრობთ, ჩვენთვის, საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირებისათვის, წმინდა გრიგოლ ხანძთელისადმი მიბაძვა, მისი ეკლესიოლოგიური ხედვის გააზრება და გათავისება, მისგან ქრისტესადმი ერთგულებისა და ასევე სამშობლოს სიყვარულის სწავლა, საშურო სავალდებულო საქმეა.

---

[62] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა თავი 42, გვ.124. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

[63] *Св. Иоанн Златоуст. О священстве. слово 2. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve – 19.04.2019.*



2.2 მოძღვრობა „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

„ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თჳსითა“ (საქ. 20,28).

„სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყჳთა, სლვითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (1ტიმ. 4,12).

ღმრთისმეტყველების ერთ-ერთი ინსტიტუტი, მჭიდროდ უკავშირდება მღვდლობას. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ მღვდელი, აღმსრულებელი რა საიდუმლოებისა, რომელიც ღმერთთან ადამიანების მიყვანებასა და მათ კავშირს გულისხმობს, პიროვნულად ვერც უწინამძღვრებდა, ვერც მაგალითს მისცემდა და ვერც განსწავლიდა მათ; შესაბამისად, მისი მსახურება უაღრესად ნაკლული იქნებოდა. ზოგადად, მღვდლად ყოფნა ავტომატურად მოძღვრად ყოფნას, ანუ მოძღვრის პასუხისმგებლობის აღებას არ გულისხმობს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში, განსხვავებით, მაგალითად, ბერძნულისაგან, ქრისტეანი მღვდლობასთან ერთად მოძღვარიც ხდება. შესაბამისად, სულიერ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუცდელს, მოძღვრის პასუხისმგებლობაც ენიჭება. ეს კი ბევრ პრობლემას ქმნის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამიტომ წმინდა გრიგოლ ხანძთელის, როგორც მოძღვრის, მაგალითი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. რამეთუ ჩვენ, ქრისტეს ეკლესიის დღევანდელი სასულიერო პირები, ვალდებულნი ვართ, თავად ვიყოთ ქრისტეს მორწმუნე ერის წინამძღვარნიც, ღმრთისაკენ სავალი გზის გამკვალავნიც და პირადი მაგალითის მაჩვენებელნიც.

მღვდლების მიერ საიდუმლოების აღსრულებას რომ წინ მოძღვრობა, ანუ ერის განსწავლის ვალდებულება უსწრებს, ამის

შესახებ წმინდა წერილი პირდაპირ გვამცნობს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ..." (მათ. 28,19), ანუ ჯერ მოიმოწაფენით... შესაბამისად, ჩვენ, მღვდლებს, არა მხოლოდ საიდუმლოებების აღსრულების, არამედ ხალხის დამოძღვრის, ღმრთისკენ სავალი სწორი გზის ჩვენების, ქრისტეს ძიების და მასთან პიროვნული ერთობის სწავლების ვალდებულება გვაქვს. სასულიერო პირებმა კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რისთვის მოდიან ადამიანები ტაძარში, რატომ მოგვაგებენ პატივს, რატომ გვიწოდებენ მამას: ადამიანებს შიათ და სწყურიათ ღმრთის მადლი, ანუ ენერგია ცოცხალი ღმერთისა – „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ" (მათ. 5,6). ხოლო თითოეული ადამიანის სულიერი დაპურებით ჩვენ თავად ქრისტეს ვაპურებთ და ვანუგეშებთ, რამეთუ თავად გვეუბნება რა, რომ: „მშიოდა, მწყუროდა და ნუგეშს ვითხოვდი და მასვით, მაჭამეთ და მომხედეთო,"[1] თვითონვე განგვიმარტავს, რომ: „ჩემი ჭამადი არს, რაჲთა ვყო ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ და აღვასრულო საქმე მისი" (იოან. 4,34); რის შემდეგაც არაორაზრავნად მიგვანიშნებს, რომ ზეციური მამის ნება და საქმე ადამიანთა სულის გადარჩენა, მისიონერობაა.[2] „ჭეშმარიტ მოძღვარს, ქრისტეს მსახურების შესაბამისად სამი ამოცანაა აქვს შესასრულებელი: 1) სამწყსო ღმერთთან შეაერთოს, ანუ იმღვდელმოქმედოს, 2) ასწავლოს; 3) სულიერად უხელმძღვანელოს."[3] ეს კი უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოძღვრის პირველსახე თავად განკაცებული ძე ღმერთი, იესუ ქრისტეა: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს" (იოან. 10,11); მოძღვრობის მაგალითსაც თვითონ გვაძლევს: „რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რაჲთა, ვითარცა-ესე მე გიყავ

---

[1] *„რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა" (მათ. 25,35-36).*

[2] *„არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: ოთხღა თუე არიან, და მოვალს მკაჲ? აჰა ესერა მე გეტყჳ თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწვე... მე წარგავლინებ თქუენ მკად" (იოან. 4,35-38)*

[3] *Милов, В. (Епископ). Пастырское богословие с аскетикой. Стр.164. Москва: Свято-Троицкая Лавра. 2002*

თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ" (იოან. 13,15);[4] შესაბამისად, მოძღვრობა ქრისტესადმი სიყვარულის გამოვლინებაა: „კუალად ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარმეა? შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ: გიყუარმე? და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარშენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი" (იოან. 21,15-17). აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი მოძღვარი ქრისტესადმი მიმსგავსებას მოძღვრობაშიც უნდა ცდილობდეს: „ყოველნი მოწაფენი მისნი (გრიგოლ ხანძთელის – თ. გ.) კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძღვარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა"[5]; და სხვასაც ამას უნდა ასწავლიდეს. სწორედ აღნიშნული მსოფლმხედველობრივი საფუძველია გათვალისწინებული გიორგი მერჩულის თხზულებაში: „ხოლო მან (გრიგოლმა) ჰრქვა: „ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაჲცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღვარსა შენსა ქრისტესა."[6] წმინდა გრიგოლის სიტყვების თანახმად (და უფალიც ამას გვასწავლის: „ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე" (მათ. 23,10)), თითოეული ადამიანის მოძღვარი, ამ სიტყვის დიდი და ჭეშმარიტი გაგებით, თავად ქრისტეა.[7] სასულიერო პირი იმდენად შეიძლება იყოს ვინმეს

---

[4] *შდრ.: „ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუჲს მიერ» (ფილ. 2,5)*

[5] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 8, გვ. 36. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[6] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 42, გვ. 128. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[7] *„მოძღვრობას, მის სრულყოფილებას, ორიენტირად და მისაბაძ მაგალითად პირველ მღვდელმთავარი, იესუ ქრისტე ჰყავს. რომლის ეპითეტებიც და სხვადასხვა სახელიც ბევრ რამეს გვეუბნება: იგი ცხებულია, ნაზარეველია, ძე მაღლისა და მხსნელია, სახეა მოწყალებისა, მჭვრეტელი ცხოვრების მაგალითია და ადამიანთა ახლად შემოქმედია (მათ. 1,16; 2,23; 1,21,25; ლუკ. 1,32); იგი ჩვენიანი, პირმეტყველ ცხოვართან მუდმივად მყოფი ემმანუელია (მათ. 1,23; 13,37); იგი წმიდა, მდაბალი და მოსიყვარულეა (იოან. 17.19; ებრ. 7,26; მათ. 11,29; იოან. 13.34; 15,13.). ასეთი უნდა იყოს მოძღვარი. განკაცებული ღმერთის მიერ მოცემული მოძღვრობის მაგალითი სახარებაში მრავალ ადგილასაა გადმოცემული. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია იოანე ღმრთისმეტყვე-*

მოძღვარი, რამდენადაც თვითონ სწორად ხედავს ქრისტესკენ სავალ გზას. მორწმუნე ერისაგან მოძღვრობის ინსტიტუტის ამგვარი აღქმა (როდესაც ორიენტირი ქრისტეზეა და არა მღვდელზე) სულიერ გზაზე სვლისას სწორი ორიენტირია.

ღმერთს დაცილებული და დაზიანებული (პირველმშობელთა ცოდვის გამო) ადამიანის ბუნება ქრისტეს ბუნებასთან ზიარებით, მასთან ერთობით იკურნება – „რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგომილ არს, და მე მისთანა“ (იოან.6,56), მაგრამ ეს არ ხდება მხოლოდ საიდუმლოებაში მექანიკური მონაწილეობით. მნიშვნელოვანია ქრისტეანის პიროვნული გადაწყვეტილების რეალიზების მცდელობა, რომ ღმერთთან ვიყოთ საქმით და ქმედებით. წმინდა პავლე მოციქული გვასწავლის, რომ „ღმრთისა თანაშემწენი ვართ“ (1კორ. 3,9). ე. ი. ვისაც ქრისტეანული ცხოვრება სურს, ის გაცნობიერებულად უნდა მიდიოდეს ღმრთისაკენ სავალ გზაზე, გააზრებულად უნდა ეძებდეს ღმერთთან ერთობას[8] და ამისთვის მას სჭირდება ცოდნაც და პრაქტიკული გამოცდილებაც, რაც მოძღვრის, როგორც გამოცდილი მასწავლებლის გარეშე ძნელად მისაღწევია. შესაბამისად, მოძღვრობას მხოლოდ ის სასულიერო პირი შეძლებს, რომელსაც ცოდნასთან ერთად, სულიერი ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს.

ლის სახარების მე-10 თავი. ასევე, უფალი ითხოვს, რომ მას გავყვეთ (მათ. 4,19) და მივბაძოთ (იოან. 13,15). მოციქულიც ასწავლის მოძღვრებს: „ესე ზრახვაჲ იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუჲს მიერ“ (ფილიპ. 2,5), და ქრისტეს დიდებით მოცულ ყოველ ჭეშმარიტ მოძღვარს იერემია წინასწარმეტყველთან ერთად შეუძლია აღმოთქვას: „შენ გადამიბირე, უფალო, და მეც დაგყევი; ჩამიჭირე და დამძალე; ყოველ დღე საცინლად მიგდებენ, ყველა მამასხრებს... ვიფიქრე: დავივიწყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით, მაგრამ ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლებამდე გამატანა, ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი.“ (იერემ. 20,7,9)“. (84// Епископ Вениамин Милов. Пастырское богословие с аскетикой. Стр. 61-62. Москва. Свято-Троицкая Лавра, 2002 г.)

[8] „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინასწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, გამნეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათ. 7,21-23).

წმინდა წერილიც ამას გვასწავლის: „მკურნალო, განიკურნე თავი შენი“ (ლუკ. 4,23). ამის საპირისპიროდ „ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ჭეშმარიტი მოძღვრის მაგივრად ცრუს ხელში აღმოვჩნდეთ და სარგებლის მაგივრად დავზიანდეთ, გადარჩენის მაგივრად დავიღუპოთ.“[9]

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის შენიშვნა:

> ჩვენს დროში სულიერი და საღმრთისმეტყველო საკითხებით დაინტერესებულ ადამიანთა აზროვნებაში ერთგვარი არეულობაა, რომლის გამომწვევი მიზეზი საღმრთისმეტყველო თემებით იმგვარი გატაცებაა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს პრაქტიკა. ამას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დიდი ზიანი მოაქვს. სამწუხაროა და ტრაგიკულიც კი, რომ ჩვენს დროს ადამიანის განღმრთობაზე (ანუ ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაზე – თ. გ.) ბევრი ისე საუბრობს, რომ მიზნის მიღწევის გზებსა და მეთოდებს არ ახსენებს. ეს ფუნდამენტური შეცდომაა. რამეთუ, როგორც სხვა დისციპლინებში, აქაც ამგვარდაა: მეთოდის გარეშე შედეგიც არ დადგება [...] როდესაც ღმრთისმეტყველება გზასა და მეთოდს არ უჩვენებს, ვგულისხმობთ ასკეტურ-ისიქასტურ მეთოდს, მაშინ ის ვერასოდეს მიიყვანს ადამიანს საბოლოო მიზნამდე. ასეთი ღმრთისმეტყველება სახიფათოა.[10]

ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მოძღვარი, სანამ ის ამ ურთულეს პასუხისმგებლობას მღვდლობის პარალელურად (რამეთუ ასეთია ჩვენი რეალობა), იტვირთავს, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც თავად უნდა განისწავლოს. ეს სწავლა ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მღვდლობის (შესაბამისად, მოძღვრობის) კანდიდატი და უკვე მოძღვარიც უნდა ცდილობდეს ეკლესიის ორიათასწლოვანი გამოცდილების საკუთარ თავში გაცოცხლებას. ამისთვის მუდამ უნდა კითხულობდეს წმინდა მამათა ნაწერებს; საკუთარ თავზე უნდა მუშაობდეს და სულიერად იღვწოდეს; გონებით მუდამ ღმრთისკენ სწრაფვას უნდა ცდილობდეს, რადგან თუ

---

[9] *Новиков Н. М. Опыт двух тысячелтии. стр. 677. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1.*

[10] *Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Стр. 377. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011*

გონება ღმრთისაკენ სწრაფვის ბუნებრივ მდგომარეობაზე უარს ამბობს, მაშინ იგი, არ არსებობს რა სხვა მიმართულება, ემონება გრძნობებს, გამოწვეულს გრძნობადი საგნების გარეგანი აღქმით და მათგან ცდუნებული ცდომილებაში იმყოფება. ამის შედეგად სული ბუნებით სიკეთეს ივიწყებს და მთელ თავის შემოქმედებას მატერიისკენ და შესაბამისად – მრისხანების, მიწიერი სურვილებისა და სიამეთმოყვარეობისკენ წარმართავს.[11]

ასეთი კი სხვის მოძღვრობას როგორ შეძლებს?! ასევე, უნდა ეძებდეს დიდი გამოცდილების მქონე ცოცხალ ადამიანებს, ხოლო ჩვენს რეალობაში ასეთ ადამიანებს იმ ადგილობრივ ეკლესიებში ეძიებდეს, სადაც ტრადიციები, ანუ მადლისმიერი საეკლესიო გარდამოცემა არ შეწყვეტილა.

აღნიშნული თვალსაზრისით, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა სამაგალითოა:

ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლი და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ – რომელთაგანმე ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყვარულსა, რომელთაგანმე სიმშვიდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქვეყანასა ზედა წოლასა, გინათუ ზეჯდომით ბილსა, რომელთაგანმე უძლურებასა და ხელთსაქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა. და ესრეთ სწავლათაგან სულიერთა აღსავსემან მიაქციის [აღვსებული ბრუნდებოდა] საყოფლადვე თვისა.[12]

წმინდა გრიგოლის მოღვაწეობა სამაგალითოა, რამეთუ იგი, როგორც ღვთის მაძიებელი და ჭეშმარიტი ქრისტეს მღვდელი და მოძღვარი, მაქსიმალურად ეზიარებოდა წინამორბედებისა და ეკლესიის ცოდნა-გამოცდილებას, რომელთაც შემდგომ მოწაფეების სულიერი აღორძინებისთვის იყენებდა.

საკითხისადმი ამგვარ (შემეცნებით და მაძიებლურ) მიდგომას გვასწავლიან ეკლესიის ძველი მამები, მაგალითად, გრიგოლ ღმრთისმეტყველი:

ადამიანი ვერ იტვირთავს მეტყველი სამწყსოს მწყემსვას, თუ მანამდე ქრისტეს ცოცხალი საცხოვრისი, ღმრთის ტაძარი არ

---

[11] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.70,71. Москва . «Никея»-2011.*

[12] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 5, გვ.20. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

გახდება [...] თუ გამოცდილებით, გონებით და ჭვრეტით ქრისტეს ყველა სახელსა და ძალას არ გამოიკვლევს, თუ არ შეიმეცნებს „სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას“ (1კორ. 2,7), თუკი ისევ ჩვილია და რძით იკვებება.[13]

თანამედროვე ღმრთისმეტყველნიც წერენ, მაგალითად, ნავპაქტის მიტროპოლიტი იეროთეოსი:

მღვდელი, რომელსაც სხვათა სნეულების განკურნება სურს, ჯერ თავად უნდა განიკურნოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაიწყოს მაინც მკურნალობა... როგორ შესძლებს განკურნებას ის, ვინც თავად არ იგემა კურნების ძალა?! წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი ადანაშაულებს იმათ, ვინც თავს სულიერ მოძღვრად თვლის და სული წმიდა კი არ მიუღია.[14]

მოძღვრის მიერ სულიერ შვილთა განკურნებაში იგულისხმება პირველმშობელთაგან მემკვიდრეობით მიღებული დაზიანებული ბუნების განწმენდა ვნებებისაგან. „წმ. დიონისე არეოპაგელის თხზულებებში აღწერილი სულიერი ცხოვრების სამი ტიპი, რომელთაც განწმენდა (ვნებებისგან – თ. გ.), განათლება (საღმრთო მადლით – თ. გ.) და სრულყოფილება, ანუ განღმრთობა ეწოდება,“[15] როგორც უკვე აღინიშნა, მღვდლობის სამ, დიაკვნობის, მღვდლის და ეპისკოპოსის, ხარისხს შეესაბამება, ანუ მღვდელი განწმენდილი და მადლით განათლებული უნდა იყოს. სხვაგვარად ის ვერ მოახერხებს განკურნოს ადამიანთა ვნებები, რამეთუ არ იცის კურნების მეთოდები. მას წარმოდგენა არა აქვს, რა არის გული და გონება (სულიერი თვალსაზრისით – თ. გ.). როგორ შეიძლება გონება დატყვევდეს (ვნებებით – თ. გ.), გული კი მოკვდეს (ცოდვით – თ. გ.). ზოგი ფიქრობს, რომ ამის ცოდნა მონაზონთა საქმეა და ამიტომ ქრისტეს სწავლებაში მონაზვნურ და საერო ცოდნას განარჩევენ. მაგრამ ამგვარი დაყოფა და განსხვავება მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობს.[16]

ღმრთისმეტყველნი დაწვრილებით მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ ზიანდება არასწორად მაცხოვრებელი მღვდელი სულიერად

---

[13] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.68. თბილისი: „ახალი ივერონი“. 2008 წ.*

[14] *იქვე, გვ. 58-59.*

[15] *იქვე, გვ. 71.*

[16] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 81-82. თბილისი: „ახალი ივერონი“. 2008 წ.*

და როგორი საცდური ხდება იგი მრევლისათვისაც:

მოძღვრობისა და მღვდლობისადმი ამგვარ, სწორი ქრისტეანული მიდგომის საპირისპირო (განსაკუთრებით მაშინ, როცა მღვდელს სულიერი ცხოვრების გამოცდილება არ გააჩნია და თავადაა განსაკურნებელი), ცხოვრება და ქრისტეს სამწყსოს წინამძღოლობა ამა სოფლის გარეგანი ღირებულებებით „მდიდრდება" და ფიქრობენ, რომ სულიერ გამოცდილებას სხვა რამით ჩაანაცვლებენ. მაგრამ ფიქრი, რომ საერო განთლებითა და საკუთარი თავისადმი რწმენით მორწმუნე ერს სულიერი ნათლით აღვავსებთ, არასწორია. საერო კულტურით ზემოქმედება, სხვადასხვა კომიტეტისა და საზოგადოების შექმნა, ღმრთისმსახურების გარეგანი ბრწყინვალება, დაუჯდომლების აღვლენა, ხატებითა და ბაირაღებით საზეიმო მსვლელობები, მხოლოდ ცოტა ხნით და ზედაპირულად თუ ახდენენ გავლენას მორწმუნეებზე. საერთოდ, საკუთარი თავის სხვის გადამრჩენლად წარმოდგენა, მორწმუნეების საკუთარი თავისკენ მოზიდვა და არა ქრისტესკენ გზის ჩვენება, მორწმუნეებში სენტიმენტალურ გრძნობათა გაღვივების ხელისშეწყობა და საკუთარი ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება უმძიმესი ცოდვაა. ამ დროს მრევლიც სულიერ ორიენტირებსა და გემოვნებას კარგავს და მოძღვრისაგან სიმდაბლითა და ლოცვით გაჯერებულ მდგომარეობას აღარც ელოდება, გარეგანი, ფშვინვიერი ურთიერთობებით იხიბლება; მოძღვარი გარემოზე გავლენას გარეგანი მეთოდებით კი არ უნდა ახდენდეს, არამედ საკუთარ თავში სასუფევლის ტარებით, ღმერთთან მჭიდრო კავშირით, ანუ ნამდვილი სულიერი ცხოვრებით. სხვა შემთხვევაში, მღვდელი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება: მას პატივმოყვარეობაში ჩავარდნა ემუქრება. მოძღვრის, მღვდლის პატივმოყვარეობა ბევრ რამეში შეიძლება გამოვლინდეს, მაგ. სიარულში, ხმის ტონალობაში, ჟესტიკულაციაში, ადამიანებისადმი მიმართვაში, მოხდენილ, ან პირიქით, უკიდურესად შელახულ შესამოსელში, ჯილდოებისა და დაწინაურების ძიებაში... პატივმოყვარე სასულიერო პირი ღმრთის პატივის მიმტაცებელია და საკუთარ თავს ღმრთის მადლის გამტარებლობისათვის უვარგისად ხდის; ხოლო ასეთი სასულიერო პირი არა მარტო ამ ცხოვრებაში შეირცხვენს თავს, არამედ, როგორც ღირსი ეფრემ ასური ამბობს, სამღვდელოთა

რიგებში უღირსად ჩადგომის გამო, საკუთარ თავს მარადიულ სატანჯველს და შეუწყალებელ სამსჯავროს უმზადებს.[17]

წმინდა გრიგოლ ხანძთელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორ სწავლებასა და კარგ გამოცდილებას სხვადასხვა მოღვაწეთაგან, როგორც ფუტკარი ყვავილთაგან, ისე კრებდა, მათ საკუთარ გამოცდილებად აქცევდა და შემდეგ თავის სულიერ შვილებს სასარგებლო საკვებს აძლევდა: „ხოლო ნეტარი მამაჲ ჩვენი გრიგოლ, ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა – ხანძთას და შატბერდს იქცეოდა მარადის და მოძღვრებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თვისთასა."[18]

ამგვარი კეთილი ღვაწლისთვის მზადება ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდას, მღვდლობამდე ჰქონდა დაწყებული:



გულისხმიერებაჲ სწავლისაჲ განსაკვირველი იყო ფრიად. რამეთუ მსწრაფლ დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი [უკეთური] განაგდის. და განითქვა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის [...] ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა [...] ესევითართა მრავალფერითა კეთილად განგებითა ცხოვნდებოდა [ცხოვრობდა] ჭაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლისა.[19]

სამოძღვრო მსახურებისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების აუცილებლობა დაცემული ადამიანის მდგომარეობითაა გამოწვეული. ადამიანს დაკარგული აქვს ღმერთთან ყოფნის

---

[17] *Епископ Вениамин Милов. Пастырское богословие с аскетикой. Стр.105,1 37,138,142,143,144,145. Москва. Свято-Троицкая Лавра, 2002 г.*

[18] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 33, გვ. 108. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[19] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ.10-12. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

ხდება და მხოლოდ მისი სიყვარული შეუძლია, და ცნობით თუ უმეცრებით არა ქრისტეს, არამედ სატანის სიყვარულით ცხოვრობს და მასთან ერთად განისჯება.

მდგომარეობა ისეთი მძიმეა, რომ განკაცებული ძე ღმერთი, იესუ ქრისტე მას გამოუვლად სახელდებს: „მოწაფეთა მისთა, განუკჳრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხოვნებად? მიჰხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე...“ (მათ. 19,25-26), და გვასწავლის, რომ ამ მდგომარეობაში ერთადერთი გამოსავალი თავად ღმრთის ჩარევაა: „[...] ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“ (მათ. 19,26), და რომლის აღსრულება მისი განკაცებით დაიწყო. ანუ გამოსავალი ისაა, რომ „გჳვის ჩვენ მღდელთმოძღუარი (იესუ ქრისტე – თ. გ.), რომელიც დაჯდა მარჯუნით საყდართა დიდებისათა ზეცათა შინა“ (ებრ. 8,1). მღვდელმთავარი ღმრთის წინაშე მეოხს, შუამავალს ნიშნავს და შესაბამისად, თავად მაცხოვრისგან დადგენილი მღვდლობის (როგორც მსხვერპლის შემწირველის) და მოძღვრის (როგორც ერის მასწავლებლის) ინსტიტუციას, როგორც დიდი მღვდელმთავრის საქმის გაგრძელებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს: „რქუა მათ იესუ კუალად: მშჯდობაჲ თქუენთანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ“ (იოან. 20,21).

ქრისტეს, როგორც დიდი მღვდელმთავრის, საქმის გაგრძელება კაცობრიობაზე სული წმიდა ღმერთის მოვლინებით გახდა შესაძლებელი.[20] ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ ამგვარ მდგომარეობაში მყოფი კაცობრიობა იმხილება სული წმიდა ღმერთით, რომლისგან მოცემული სიტყვის გავრცელება სული წმიდის ჯურჯლების,[21] ანუ მღვდლების, ამ შემთხვევაში, იმავე მოძღვრების საშუალებით ხდება: „ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი“ (ფს. 18,5). სწორედ ამგვარად გვასწავლის მღვდლობის შესახებ გიორგი მერჩულე თავის ნაწარმოებში: „ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ

---

[20] *„ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარქუ თქუენ“ (იოან. 14,26); „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“ (იოან. 15,26).*

[21] შდრ. *„მე ჯური რჩეული მიპოვნიეს იგი“ (საქმ. 9,15).*

აქვნდა [ჰყავდა] ყოველთა ჭეშმარიტებისა მასწავლელად, ვითარცა წერილ არს: „ბაგეთა მღდელისათა დაიცვან სამართალი და შჯული პირისა მისისაგან გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ არს იგი.“[22]

აღნიშნულ კონტექსტში ღრმა აზრობრივ დატვირთვას იძენს იოანეს სახარებაში გადმოცემული ვედრება უფლისა მამა ღმრთის მიმართ. ეს ვედრება თეოლოგიაში სამღვდელმთავრო ლოცვის სახელითაა ცნობილი. ლოცვაში იესუ ქრისტე ზეციურ მამას ადამიანთა განკურნებას, ანუ იმ მდგომარეობიდან გამოყვანას სთხოვს, რომლისათვისაც ისინი სული წმიდა ღმერთის მიერ ცოდვის, სიმართლისა და სასჯელის გამო იმხილებიან (იოან.16,7-11). ეს მდგომარეობა (როგორც ზემოთ ვნახეთ) მათ ქრისტესადმი რწმენის, ღმრთის სიმართლის სილვისა და ქრისტეს სიყვარულის, ანუ ცოცხალი ღმერთის წიაღში მარადიული სიცოცხლის შესაძლებლობას არ აძლევს.

აღნიშნული ლოცვა იოანე ღმრთისმეტყველის სახარების მეჩვიდმეტე თავშია გადმოცემული. ჩვენ ამ თავის და შესაბამისად ლოცვის ზოგიერთ მუხლს შევეხებით:

ა) განკაცებული ძე ღმერთი მამისგან ქრისტეანთათვის მარადიული სიცოცხლის მინიჭებას ითხოვს: „ვითარცა-ესე მოეც მას ჴელმწიფებაჲ ყოველთა ჴორციელთაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ».

ბ) და იქვე ხსნის, თუ რა არის მარადიული სიცოცხლე, რომ ეს ღმერთთან ურთიერთობა, ღმრთის მცნობელობაა: „და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთთან ურთიერთობა და მისი მცნობელობა მხოლოდ სრული თავისუფლებისა და ღმრთის შვილად ყოფნის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამას ასწავლის მართლმადიდებლური თეოლოგია – „გამოსყიდვის შედეგად ადამიანები ღვთის შვილნი (შვილი კი, რა თქმა უნდა თავისუფალია. თ. გ.) ხდებიან. გამოთქმა „ღმრთის შვილი“ მრავალგზის გვხვდება წმინდა წერილში, მაგალითად: ეფეს.1,5; რომ. 8,14-15,21.“[23] ამ დამოკიდებულებასვე ვხედავთ წმინდა გრიგოლ ხანძთელთან,

---

[22] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.16. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“ 2014

[23] Давыденков, О. (Протоиерей). Догматисеское богословие. Стр. 449. Москва: ПСТГУ. 2013

რითაც იგი ჭეშმარიტ მოძღვრად ავლენს საკუთარ თავს:

> კმა [საკმარისია] არს ჩემდა ორკერძოვე [ორივემხრივ] დიდებად, უკეთუ შე-ვითა-უძლო [როგორღაც შევძლებ] მოღვაწებაჲ [მეურვეობას] წმიდათა ამათ უდაბნოთაჲ ჯერისაებრ [შესაფერისად], რომელთა შინა პოვეს კაცთა თავისუფლებაჲ, ვითარცა თქვა პავლე: „აზნაურებითა [თავისუფლებით] მით, რომლითა ქრისტემან ჩვენ განგვააზნაურნა [გაგვანთავისუფლა]“, და „სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ [თავისუფლება]“ რამეთუ მოეცა მათ სულიწმიდაჲ „შვილ ღმრთისა ყოფად“, სიტყვისაებრ იოვანე მახარებელისა.[24]

აქ უმნიშვნელოვანესია წმინდა გრიგოლის მიერ ხაზგასმული საკითხები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაყოფი უნდა გამოიღოს სწორად გამართულმა მონასტრულმა ცხოვრებამ – ადამიანებმა თავისუფლების რეალიზებით ღვთის შვილობის ღირსებას უნდა მიაღწიონ.

ამავე სხვაობას ვხედავთ თანამედროვე მოძღვრებთან და ღმრთისმეტყველებთან: მაგ. ათონის წმიდა მთის არქიმანდრიტი ემილიანე სიმონს პეტრელი (ვაფიდისი) წერს, რომ „მოძღვარი



არქიმანდრიტი ემილიანე (სიმონაპეტრელი)

[24] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 35, გვ.112. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

მონაზვნის ორიენტირია; მაგალითია ხრწნილების მონობისაგან გათავისუფლებისა და ღმრთის შვილთა თავისუფლებაში დიდებით დამკვიდრებისა (რომ. 8,21).“[25] XX საუკუნის დიდი მოღვაწე „წმინდა მამა, სოფრონი ესექსელი (სახაროვი) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თავისუფლებას. იგი თვლიდა, რომ ნებისმიერი სულიერი აქტი, ფიზიკური, მორალური, თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში აღსრულებული – ღმრთის წინაშე ყოველგვარ აზრს და ფასს მოკლებულია.“[26]

ხოლო იმის შესახებ, თუ როგორი საფრთხის შემცველია სულიერი შვილისთვის ცრუ მოძღვართან ურთიერთობა, თანამედროვე ღმრთისმეტყველი, გონიერი ლოცვის მკვლევარი, ნიკოლოზ ნოვიკოვი წერს:

> ჭეშმარიტი მოძღვარი ღმრთის ნების გამტარებელია. ღმერთთან ერთობა კი სულიერ თავისუფლებასთან, სიხარულსა და აღუწერელ სიმშვიდესთანაა დაკავშირებული. ამის საპირისპიროდ, ცრუ მოძღვარი სულიერ შვილთაგან ღმერთს ფარავს. ღმრთის ნების სანაცვლოდ საკუთარ ნებას წამოწევს, რაც მათში მონობის, დათრგუნულობის და უიმედობის სულს ამკვიდრებს.[27]

ზემოთ თქმულის შესაბამისად, ის მოძღვარი, რომელიც წმინდა წერილის, წმინდა მამათა და მათ შორის, წმინდა გრიგოლ ხანძთელის სწავლებას არ გაითვალისწინებს და მრევლის, სულიერი შვილებისა და მორჩილების თავისუფლებას ტირანულად შეზღუდავს, ვერც უფლის სწავლებას გაითავისებს: „ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა, არამედ მსახურებად“ (მათ. 20, 28) და ეკლესიის ორიათასწლოვან გამოცდილებასაც განშორდება.

გ) ქრისტე თავის მოწაფეებს ძმებს (იოან.20,17) უწოდებს და ამიტომ მათ, როგორც ზეციური მამის შვილებს, განსაკუთრებულად შეავედრებს მამას: „მე მათთჳს გკითხავ; არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათთჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან». აქ დაპირისპირება მოწაფეებსა და დანარჩენ კაცობრიობას

---

[25] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 609. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1.*

[26] *Л.А. Ильюнина. Старец Софроний. Ученик преподобного Силуана Афонского, стр. 88. Санкт-Петербург «Искусство России» 2011г.*

[27] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Т.1. стр.636. Москва: «Отчии дом». 2004*

შორის ხაზგასმულია გამეორებით: „მათთვის... მათთვის...“

აქედან ცხადად ჩანს, რომ ქრისტეს მორწმუნენი მარადიულზე, ღმერთთან შვილებრივ ურთიერთობაზე ორიენტირებული ადამიანები არიან. ასეთნი, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მიხედვით, აღარ იმხილებიან სული წმიდის მიერ.

დ) ქრისტეანებისადმი ეს განსხვავებული დამოკიდებულება მათ განსაკუთრებულ ერთობაზე ზრუნვას ნიშნავს: „მამაო წმიდაო, დაიცევენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ».

ქრისტეანთა ერთობა ღმრთის მადლთან ერთად, თავად ქრისტეანთა ღვაწლის შედეგია. ერთობისათვის ქრისტეანთა მიერ საკუთარი ვნებების წინააღმდეგ სწორი ბრძოლაა აუცილებელი. ამას კი სულიერი ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისად, კარგი მოძღვარი ესაჭიროება. ასე დამარცხდება მათში ეშმაკი. ასე ხდებიან ადამიანები ნამდვილი ქრისტეანები. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ქრისტესმიერი ერთობა. სწორედ ასეთ მოძღვრად ისახება წმინდა გრიგოლ ხანძთელი:

> ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მხეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტეჲსნი განბნეულ იყვნეს თითო ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმხნდეს და მხეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.[28]

დიდი და კეთილი მოძღვარი სულიერ სკოლას ქმნის, რომლის წიაღში აღძრდილი მოწაფენიც მოძღვრის მსგავსნი და შესაბამისად დიდ საქმეთა მოქმედნი ხდებიან:

> ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულამდე არა განეშორა ხანძთასა ჭეშმარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფეჲ, ნაცვალი მოძღვრისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯეჲ, მონაზონებისა წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდეჲ, სულთა უკეთურთა მაოტებელი. რამეთუ ცხორებასა მისსა და ცხორებასა მოძღვრისა მისისასა ვერ იკადრებდა ეშმაკი დაცემად კაცთა წმიდათა ამათ შინა ადგილთა. ესე ახოვანი შემდგომად მიცვალებისა მეოხი არს

---

[28] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 13, გვ.52-54. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

ჩვენი საუკუნოდ უფლისა მიმართ მოყვასთა მისთა თანა, რომელნი იყვნეს მსგავსნი მისნი, მოწაფენი მამისა გრიგოლისნი, ღირსნი და სასწაულთა მოქმედნი, მოთმინებისა სვეტნი შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემელად სვეტნი ცათანი.[29]

წმინდანის მოღვაწეობა ჭეშმარიტი მოძღვრობის მაგალითია; სამონასტრო ცხოვრება და ზოგადად ეკლესიის სხეული მხოლოდ კარგი მოძღვრის მეცადინეობით შენდება, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი და აუცილებელი მონასტრებსა და სამრევლოებში ღირსეული წინამძღვრების დადგინება: „ჰოჲ წმიდაო ღმრთისაო (გრიგოლ ხანძთელს), სულიერად შვილთა შენთა მშობელო მამაო და მზრუნველო ცხორებისა ჩვენისაო და შესავედრებელო ქრისტჱს მორწმუნეთაო“[30]

ე) ეკლესიაში მორწმუნეთა ქრისტეს მიერ ერთობას განსაკუთრებული ნაყოფი გამოაქვს. ამ საქმეში ეკლესიის მოძღვრების როლი ძალზე მნიშვნელოვანია. ქრისტეანთა ერთობის ნაყოფებია: 1. ღმრთაებრივი სიხარული. გულში აქვთ არა ამსოფლიური, არამედ ქრისტესმიერი სიხარული: „ამას ვიტყჳ სოფელსა შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი სავსებით»; 2. არ განისჯებიან ეშმაკთან ერთად, რადგან ამ სოფელმა ისინი ქრისტესთან ერთად მოიძულა: „მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარცა მე არა ვარ სოფლისა ამისგან”; 3. სიწმინდე, რომელიც ქრისტესგან გვეძლევა: „წმიდაყვენ ესენი ჭეშმარიტებითა [...] მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით”; ეს კი განღმრთობილი მდგომარეობაა.

ამგვარ მდგომარეობას ვხედავთ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებში:

მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნეს, რამეთუ ოდესმე იხილვებოდა წმიდათა ანგელოზთა ბრწყინვალებაჲ გუამთა მათთა შემოსილი [...] და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ხორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკვდილისა მათისა [...] მრავალგზის იხილვა მის ზედა სვეტი ნათლისაჲ კაცისა მიერ

[29] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 12, გვ.52. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[30] *იქვე, თავი 73, გვ.196.*

ღმრთისა ღამე ყოველ ლოცვასა მას ღირსებისასა, რამეთუ სული წმიდაჲ განისვენებს მის ზედა მარადის.[31]

ქრისტეს მიერ საკუთარ თავში ადამიანური ბუნების განღმრთობა (ჰიპოსტასური შეერთებით – „წმიდა ვყოფ თავსა ჩემსა“), სწორი სულიერი ცხოვრების შემთხვევაში, ანუ კარგი სულიერი სკოლის შემეთხვევაში, ნაყოფად გამოიღებს ეკლესიის წევრების განღმრთობას (მადლით – „რათა იგინიცა წმიდა იყვნენ“), რასაც ვხედავთ კიდევაც წმინდა გრიგოლის მიერ აღზრდილ მონაზვნებში. ამიტომ წმინდა გრიგოლ ხანძთელის სულიერი შვილები, რომლებიც მრავლდებოდნენ და ბრძოლით აღორძინდებოდნენ,[32] სხვებს აღემატებოდნენ, რაც სწორად წარმართული სულიერი ცხოვრებისა და კარგი სულიერი სკოლის არსებობის აუცილებლობაზე მეტყველებს: „ხოლო მამაჲ გრიგოლ გულს ეტყოდა, ვითარმედ: „... მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უზეშთაეს არიან ჟამისა ამის მონაზონთა.“[33]

მანამდე მათმა მოძღვარმა, ქრისტეს ჭეშმარიტმა მღვდელმა, წმინდა გრიგოლ ხანძთელმა მიაღწია ამ საზომს: „აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოჲ [შეუბღალავი] ხელითა და წმიდაჲ გულითა. და რაჲთა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დასდგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხვერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის და სასოდ სულთა და ხორცთა ჩვენთა.“[34]

---

[31] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 40-41, გვ.122-124. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[32] *შდრ.: „დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი (გრიგოლ ხანძთელის საძმო – თ. გ.), რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მხნდებოდეს რაჲ ღვაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტვილნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა, ვითარცა დავით იტყვის: „შენთვის მოვსწყდებით ჩვენ მარადღე“, და პავლე იტყვის: „მარადღე ქრისტესთვის მოვკვდებით“. მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა თავი 7, გვ. 32-34. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[33] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 13, გვ.54. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.*

[34] *იქვე, თავი 3, გვ.12.*

4. მისიონერობა: „ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვავლინებ მათ სოფლად"; რომელიც ქრისტეს მსახურების მსგავსი, ანუ თითოეულ ადამიანზე სიყვარულითა და მზრუნველობით ორიენტირებული უნდა იყოს.

ამის მაგალითსაც იძლევა წმინდა გრიგოლი, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი:

> და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვაჲ თევდორესი და ქრისტეფორესი, შეწუხნა ფრიად და თანაწარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი [...] და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყვარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათვის.[35]

თუ მღვდელი და მოძღვარი ქრისტეს მსგავსად, კარგად იმისიონერებს, მაშინ ნაყოფებსაც (რომელშიც ვგულისხმობთ ეკლესიის სხეულის აღმშენებელობასა და ადამიანთათვის ღმრთისკენ მიმავალი სწორი გზის ჩვენებას) შესაბამისს გამოიღებს, რასაც არა მხოლოდ თანამედროვეთათვის, არამედ – მომავალი თაობებისთვისაც სამაგალითოდ ვხედავთ კიდევაც გიორგი მერჩულის ნაწარმოებში:

> ამის მიერ არა ხოლო თუ მონასტერნი მისნი განმტკიცნებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი. და მრავალგზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი, წინამძღვარნი მონასტერთანი, მრავალთათვის მიზეზთა, და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენებაჲ ყოველსა ზედა საქმესა... რამეთუ ესრეთ აქვნდა ყოველთა, ვითარცა წმიდათა მოციქულთაგანი შუვამდგომელად ღმრთისა და კაცთა.[36]

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არა მხოლოდ უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის დაქვემდებარებაში არსებული მონასტრები წარემატებოდნენ სულიერად (ჰქონდა რა წმინდანს კარგი სულიერი სკოლა), არამედ მათი მაგალითით, კლარჯეთში არსებული სხვა სავანეებიც და მათი წინამძღვრებიც განისწავლებოდნენ, რითაც მთელი ეკლესიის სხეულის გაჯანსაღების პროცესი მიმდინარეობდა.

---

[35] იქვე, თავი 20, გვ.64-66.

[36] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 30, გვ. 34. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.

5. ცხოვრება ღმერთთან, ღმერთში, ღმრთისა მიერ, განღმრთობილ მდგომარეობაში, მარჯვენით მამისა ქრისტესთან ერთად, როგორც ქრისტეს თანამემკვიდრე, როგორც ღმრთის შვილი: „რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ... და მე დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ [...] მე მათ შორის, და შენ ჩემთანა, რაჲთა იყვნენ სრულ ერთობითა [...] მამაო, რომელნი ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემთანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა". ადამიანის განღმრთობა ამ სოფელში, ადამიანის მეორედ შობით, მისი ბუნების განახლებით, ახალ არსებად ქცევით იწყება (ამ საკითხების შესახებ იხ. წინა თავები), ხოლო ადამიანის კვლავად შობაში მოძღვრის როლი უდიდესი და შეუფასებელია. ასეთ მოძღვრად ისახება წმინდა გრიგოლ ხანძთელი:

> თვისისა მის მღდელობისა ნაცვლად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად. და შემდგომითი შემდგომად ყოველნი სარწმუნონი [სანდო] მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა [მიანდო]... და აწ არა ვინაჲ არს [და ახლა არაფერია] კაცთა ცხოვრებაჲ თვინიერ [გარეშე] მღდელობისა, რომლისათვის პავლე იტყვის, ვითარმედ – „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქვენ".[37]

6. ეს ყველაფერი, ცოცხალ ღმერთთან ერთობის სიხარული და მარადიული სიცოცხლის სიდიადე აქ, ამ სოფელში, იწყება, რა თქმა უნდა, არა ბოროტთან ბრძოლის გარეშე, რომლისგანაც უფალი გვიფარავს: «არა ვიტყჳ, რაჲთა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან" (იოან. 17).

უფალი გვასწავლის, რომ მოძღვრობა ღმრთის მოწოდებაა, რათა რჩეულებმა ნაყოფი გამოიღონ: „არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ და დაგადგინენ თქუენ, რაჲთა თქუენ წარხჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ" (იოან. 15,16). ხოლო ნაყოფთა შორის უმთავრესი ეკლესიის სხეულის სწორად აღმშენებლობაა. ამ მხრივ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი და თვით სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში დიდი შედეგის მომტანი იყო, რამეთუ მის აღზრდილთა შორის მღვდელმთავრებსა და საქართველოს ეკლესიის პატრიარქსაც ვხედავთ:

---

[37] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ.14. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიხსენნეთ, რომელნიცა სათნო იყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთმთავრად სამწყსოთა მათ თვისთა პირმეტყველთა. რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტეჱს კვართისა სამკვიდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა.[38]

აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მღვდელმთავარნი და თვით პატრიარქი ხდებოდენ ის სასულიერო პირები, რომლებიც კარგი მოძღვრის მიერ შექმნილ კარგ სულიერ სკოლაში აღზრდილნი, სწორი მოძღვრობითა და ჯანსაღი სულიერი ტრადიციებით განათლებულნი იყვნენ. გიორგი მერჩულის ნაწარმოებში წმინდა გრიგოლ ხანძთელის შესახებ სწორედ ამას ვკითხულობთ:

მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ჟამისამან ჰრქუა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ“... სხვათა მათ ყოველთა თქუეს: „ჭეშმარიტსა იტყვის, რამეთუ იგი არს მოძღვრებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა.“[39]

აქ საყურადღებო გარემოება ისაა, რომ წმინდა გრიგოლი მღვდელია და არა – ეპისკოპოსი; შესაბამისად, მისი ავტორიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან საეკლესიო ცვლილებებს განაპირობებს, არა სამღვდელო ხარისხიდან, არამედ სულიერი მდგომარეობიდან მომდინარეობს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ მღვდლობაში სამღვდელო ხარისხთან ერთად სულიერი მდგომარეობაც უმნიშვნელოვანესია.

ჩვენი აზრით, წმინდა გრიგოლის სულიერი სკოლის უმთავრესი მახასიათებელი, რომელიც ეკლესიის აღმშენებლობის საქმეში ჩვენთვის აუცილებლად გასათვალისწინებელი და მისაბაძია, ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა და მათთვის თავისუფლების შეუზღუდველობაა:

ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ, რაჲთა არღარა დააბრკოლნეს (თევდორე და ქრისტეფორე, ნემვისა და კვირიკეწმინდის აღმშენებელნი) გულსმოდგინებისა მისგან

---

[38] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 42, გვ.124. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.

[39] იქვე, თავი 42, გვ. 126.

მათისა, არამედ თანამდგომ ექმნეს კეთილსა მას საქმესა... წმიდამან მან ჰრქვა: „კეთილ არს განზრახვაჲ ეგე თქუენი ნებითა ღმრთისაჲთა, არამედ მე თანამონაწილე მყავთ გულსმოდგინებასა მაგას, რამეთუ არა ვარ მახრწეველ კეთილისა.[40]

დამოწმებული ეპიზოდი აჩვენებს, რომ, გრიგოლმა დაინახა რა საკუთარი მოწაფეების ნიჭიერება, გულმოდგინება, სწრაფვა და შესაძლებლობა ახალი მონასტრის დაარსებისა და გაძღოლისა, ხელი აღარ შეუშალა მათ.

ადამიანში თავისუფლების რეალიზებაზე ზრუნვა რომ ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, ამაზე ეკლესიის თანამედროვე მოღვაწენიც საუბრობენ:

მოძღვრის მიზანია, მონაზვნის (მორჩილის, სულიერი შვილის. თ. გ.) სინდისი მგრძნობიარე და თავისუფალი გახადოს. მოძღვრის მიზანი ადამიანთა არა დამონება, არამედ მათთვის იმ თავისუფლების მინიჭებაა, რომელიც ქრისტემ გვიბოძა. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული მოძღვართან ურთიერთობა, და ამაში მდგომარეობს მოძღვრის ხელმძღვანელობა.[41]

ასეთი დიდი და საპასუხისმგებლო მსახურებისთვის ადამიანი განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს და წმინდანიც გულმოდგინედ ამზადებდა საკუთარ თავს, როგორც საღმრთო ჯურჭელს:

მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოჲთგანვე [პატარაობიდანვე] ღვინოჲ და ხორცი არა შეხდა პირსა მისსა, ვინაჲთგან ქრისტესა განუკუთვნა სული თვისი სამკვიდრებელად. და ხატიცა [შესახედაობაც] მონაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან [თამაშობათაგან] ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა [თავყრილობისაგან] კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თვისსა მას სადგურსა, [სამყოფელში] რომელსა განწესებულ იყო. ამისთვისცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი.[42]

---

[40] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 30, გვ.100. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

[41] *Архимандрит Эмилиан. Толкование на подвижнические слова аввы Исаии. Стр. 143. Александро-невский Ново-Тихвинский женский монастырь. Екатеринбург. 2017*

[42] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ.10. (ძვე-*

ასეთი ცხოვრების წესი ახალგაზრდა გრიგოლში საღმრთო სათნოებებს განამრავლებდა და მას ჭეშმარიტად ღმრთის რჩეულად აყალიბებდა:

ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარეჲ ჯეჯილსა ღმრთისმსახურებისასა. და ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა სიყვარულისაჲ გარდაემატა მის შორის. და ესევითართა მრავალფერითა კეთილად განგებითა ცხოვნდებოდა ჰაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლისა.[43]

ამ სათნოებებზე, როგორც სული წმიდას ნაყოფებზე, წმინდა პავლე მოციქულიც წერს: „ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშჯდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალ. 5,22-23).

სამღვდელო ჰაბუკის, წმინდა გრიგოლის, სულიერი მდგომარეობის თანხვედრა წმინდა პავლე მოციქულის მოძღვრებასთან, ანუ ქრისტეანულ სწავლებასთან, კარგი მოძღვრობის მნიშვნელოვანი პირობაა; ამის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სასულიერო პირის პასუხისმგებლობასა და მძიმე შედეგებზე წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი გვაფრთხილებს: „თუ ამაყი და საკუთარი თავის ვერშემცნობელი (რომ არარაობაა) ადამიანი კიდევ სხვათა სწავლას და დამოძღვრას მიეჩვევა, ასეთი უკვე დასრულებული მკვდარია, მას ექიმი უკვე ვეღარ უშველისა და აღარც ესაჭიროება.“[44]

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა, როგორც ქრისტეანმა და მოძღვარმა, იმ სახარებისეულ სიმაღლეს მიაღწია, რომელსაც თავად უფალი, იესუ ქრისტე სამაგალითოდ გვისახავს მთაზე ქადაგებისას და რომელიც ცხრა ნეტარების სახელითაა ცნობილი. ჩვენ სახარების ამ ტექსტს სრულად მოვიყვანთ, რათა ვაჩვენოთ, რომ წმინდანის სულიერი მდგომარეობა, აღწერილი გიორგი მერჩულის ნაწარმოებში, მას სრულად შეესაბამება:

ლი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014

[43] იქვე, თავი 2, გვ.12.

[44] Преподобный Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. часть 1. Сл. 31,2. Стр. 384Москва: Московский Сретенский монастырь. 2006



ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნნენ. ნეტარ იყვნენ მშჯდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ. ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყვნენ მშჯდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყვაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა (მათ.5,3-12).

სახარების მოცემულ ტექსტს ფრაზეოლოგიურ დონეზე თანხვდება წმინდა გრიგოლის სულიერი მდგომარეობის აღწერა ამსოფლიდან გასვლის ჟამს. სულიერი შვილები/ძმები წმინდანს მიმართავენ:

ჰრქუეს ყოველთა მათ მამათა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, ბრძანებათა მათებრ ქრისტჱსთა ნეტარებისა საქმეთა მათ სამკვიდრებელო, ნებსით გლახაკო სულითა მით სიმდაბლისაჲთა სასუფეველისა დამკვიდრებისათვის, მგლოვარეო გულითა საუკუნოდ ნუგეშინისცემისათვის, მშვიდო გონებითა, სამოთხისა სიკეთესა მომლოდებელო, სიმართლისათვის მშიერო და წყურიელო და ტკბილსა მას საზრდელსა ქვეყანასა მოუკლებელსა ღირსქმნულო, მოწყალეო გლახაკთაო, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ! წმიდაო გულითა და სულითა შენითა, ყოვლადვე ღმრთისმხილველო, მშვიდობისმოქმედო ძმათა შორის და მშვიდობასა წმიდათა ანგელოზთასა მიწევნულო შვილ ღმრთისა წოდებითა, დევნათა და ჭირთა ღმრთისათვის თავსმდებელო ქრისტეს თანა მკვიდრყოფისათვის, ყოვდრებულთათვის ქრისტჱსთვის ნავთსადგურო და მზრუნველო ცხორებისათვის ჩვენისა სამარადისოსა მას ცხორებასა! შენ გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ შენ, მსგავსად მოციქულისა პავლეს მართლისა, ღვაწლი კეთილი მოგიღვაწებიეს, სრბაჲ აღგისრულებიეს, სარწმუნოებაჲ

დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული. ამიერითგან მიგელის სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მოგანიჭოს მეუფემან შრომათა წილ შენთა წმიდათა.[45]

აქ, ერთი მხრივ, ის ჩანს, თუ რომელი კატეგორიებით აზროვნებენ წმინდანის მიერ აღზრდილი მონაზვნები, მეორე მხრივ კი – მათი მოძღვრის სულიერი თანხვედრა სახარებისეულ მცნებებთან.

მათეს სახარების ტექსტთან ნაწარმოების ზემოთ მოყვანილი ამონარიდის შედარებისას წმინდა გრიგოლის სულიერ მდგომარეობასა და იმ დავალებას შორის, რომელიც განკაცებულმა ღმერთმა მის მიმდევრებს მოგვცა, სრული თანხმობაა. წმინდა მოძღვრის ამ მდგომარეობამ მის მოწაფეებში ის კეთილი ნაყოფები გამოიღო, რომლებმაც შემდგომ დიდი საქართველო შექმნა.

რაც შეეხება იმას, თუ რა არის ქრისტეს მოძღვრის ამგვარი მდგომარეობის საფუძველი, ჩვენი აზრით და წმინდა მამათა დარიგების მიხედვით, ესაა ევქარისტიული მსახურება. (ანუ წირვა, რომლის დროსაც მორწმუნეები ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდასახულ პურს და ღვინოს ეზიარებიან – თ. გ.). სამოძღვრო მსახურებაში უმთავრესი მისტიკური მსახურება, ანუ საიდუმლოების აღსრულებაა (უპირველეს ყოვლისა, ევქარისტიას ვგულისხმობთ), ხოლო ამის შემდეგ უმნიშვნელოვანესი მსახურება, რომელსაც დღეს არ ექცევა სათანადო ყურადღება, ლოცვითი სულის აღორძინება და ღმრთის წინაშე ლოცვითი შუამდგომლობაა მრევლისთვის; სამოძღვრო მსახურების მესამე საქმიანობა ქრისტეს სამწყოსს მადლმოსილი ხელმძღვანელობაა.[46] მღვდელი პავლე ხონძინსკი, წმინდა იოანე კრონშტანტელზე წერს, რომ

ვის, თუ არა მას, შეიძლება სხვისი ტკივილების თანამლმობი და თავგანწირულად მოყვარული ვუწოდოთ, მაგრამ მისთვის, სამოძღვრებო მსახურებაში ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც თავის მხრივ მოძღვრობაში უნიკალურ მოქმედ ძალად გარდაისახება, ევქარისტიული მსახურებაა, რამეთუ მასში (ევქარისტიაში), როგორც გოლგოთის მსხვერპლთან კავშირის მქონეშია სწორედ დაცემული კაცობრიობისადმი

[45] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 79, გვ. 212-214 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[46] *Милов, В. (Епископ). Пастырское богословие с аскетикой. Стр. 84-86. Москва: Свято-Троицкая Лавра. 2002*

ღმრთის სიყვარულის მწვერვალი.[47]

გიორგი მერჩულის ნაწარმოები სრულად ეთანხმება ეკლესიის სწავლებას. კერძოდ, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დასაწყისში, როცა მის მღვდლად გამორჩევას ეხება ტექსტი, მისი მღვდლობის მოსურნეთა მიერ სწორედ ევქარისტიულ მსახურებაზე კეთდება აქცენტი, რითაც ნაწარმოები არაორაზროვნად მიგვანიშნებს როგორც მღვდლობის უმთავრეს დანიშნულებაზე, ისე კარგ მოძღვრად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ და უმთავრეს პირობაზე: „აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოი [შეუბღალავი] ხელითა და წმიდაი გულითა. და რაჲთა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დასდგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხვერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის და სასოდ სულთა და ხორცთა ჩვენთა.“[48] აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მღვდლისაგან კარგი მოძღვრობა მხოლოდ ქრისტეში ერთობითაა შესაძლებელი, რაც მღვდლისგან, მისი არაერთი ვალდებულებების მიუხედავად, ძირითადად, ევქარისტიულ მსახურებაში რეალიზდება.[49]

---

[47] *Федченков, В. (Митрополит). Лекции по пастырскому богословию с аскетокой. Стр. 12. Москва: Православный Свято-Тихоновский гуманитарный университет. 2006*

[48] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 3, გვ. 12. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[49] *„მარად ვსაჭიროებთ ამ საღმრთო სხეულს და ამიტომ მუდამ ვნეტარებთ საღმრთო ტრაპეზით, რომ სულის კანონი მუდამ მოქმედებდეს ჩვენში, ხოლო ხორცის სჯულისათვის აღარ რჩებოდეს ადგილი“; „ხშირი ღმრთისმსახურება საღმრთო ნიჭია. რადგან, თუ ხშირი ღმრთისმსახურება მისდამი (უფლისადმი) მორჩილებაში მდგომარეობს, არ ვიცი როდისაა შესაძლებელი ღმრთისადმი მორჩილებაში ყოფნა უფრო უკეთ, თუ არა მაშინ, როდესაც მისი სხეულის ნაწილნი ვხდებით? ან ვინ ვიზე უკეთ შეიძლება უფლებდეს, თუ არა თავი სხეულზე? ხოლო ქრისტეს სხეულის ნაწილად ყოფნა ყველაზე უფრო სრულყოფილად საიდუმლოებათა შორის, სიცოცხლის პურით გვენიჭება. რამეთუ როგორც ასონი თავისა და გულის მეშვეობით არიან ცოცხალნი, ასევე „რომელი ჭამდეს ჩემგან, – როგორც უფალი ბრძანებს – იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ“ (იოან. 6,57)“; „ასე რომ, ცხადია, რომ სულითა და ჭეშმარიტებით, ასევე სიწმინდით ღმრთისადმი მსახურება – წმინდა ტრაპეზის წინაშე მსახურებაა; რამეთუ ამ საიდუმლოებაში არა მხოლოდ ქრისტეს სხეულის ნაწილად და მის მსგავსად ყოფნა გვენიჭება, არამედ ისიც გვეცნობება, რომ მკვდარს ცოცხალი ღმრთის მსახურება არ ძალუძს, ხოლო მკვდარი საქმეებისგან განთავისუფლება და ცოცხლად მყოფობა უფლის სერობაზე ყოფნის და წმინდა საკვების მიღების*

მოძღვრობა ქრისტეს ეკლესიის ის ინსტიტუციაა, რომლის კეთილად არსებობა კარგ სულიერ სკოლას, ანუ სწორ და უწყვეტ ტრადიციებს საჭიროებს; მოძღვარი, ქრისტეს ეკლესიის მღვდელი ქრისტოცენტრულად და ევქარისტოცენტრულად უნდა აზროვნებდეს, ქადაგებდეს და ცხოვრობდეს:

პავლე მოციქულის მიხედვით, ეკლესიოლოგია ქრისტოლოგიისგან განუყოფელია. ორივე ერთი დიადი მოვლენის, ღმრთის განკაცების, ორი მხარეა. ამდენად, ორივეს თუ ერთ სახელს დავარქმევთ, შეცდომა არ იქნება, რადგან ქრისტოლოგია სიღრმისეულად სწორედ ეკლესიის შესახებ მოძღვრებაში განიმარტება. ეს ძალიან კარგად ჩანს ეფესელთა და კოლასელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, რომლებიც ქრისტოლოგიური და ეკლესიოლოგიური ღმრთისმეტყველებითაა დატვირთული. მაგალითად, კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში მოციქული უმეტესად ქრისტეზე, როგორც ეკლესიის თავზე, საუბრობს, თუმც ასევე წერს ეკლესიაზეც, როგორც ქრისტეს სხეულზე (კოლ. 1,15-28; 2,9-19); ამიტომაც ეს ეპისტოლე ეკლესიოლოგიურ ქრისტოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში საუბარი ეკლესიაზე უპირატესად როგორც სხეულზეა, რომლის თავიც ქრისტეა (ეფ. 1,22-23; 2,14-16; 4,12-16; 5,23-32), ამდენად, ხსენებული ეპისტოლე ქრისტოლოგიური ეკლესიოლოგიად შეიძლება შევაფასოთ.[50]


მოძღვარმა ლოცვა უნდა იცოდეს და სხვას ასწვლიდეს, მისი სუნთქვა და გულისცემა იესუს ლოცვას უნდა ერწყმოდეს; სამოძღვრო და სამღვდელო კანდიდატი ჯერ თავად უნდა განიკურნოს და განიწმინდოს და მერე უნდა შეუდგეს სხვათა განკურნებასა და განწმენდას; მოძღვარი, მღვდელი უნდა იყოს განწმენდილი, განათლებულობის მდგომარეობაში დამკვიდრებისათვის მოშურნე და ღმრთის მჭვრეტელობის, განღმრთობისაკენ მსწრაფი;[51] მოძღვარი

გარეშე შეუძლებელია". (св. Николай Кавасила. Семь слов о жизни во Христе. слова 4. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj-Kavasila/sem-slov-o-gizni-vo-hriste/ 09.01.2020)

[50] *Епископ Афанасий Евтыч. ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. Ст. 34-35. Новоспасский монастырь. 2009 г.*

[51] *„წმინდა მამათა ნაშრომების მიხედვით, სამღვდელოების სამი საფეხური (დიაკვანი, პრესვიტერი და ეპისკოპოსი) მჭიდროდ უკავშირდება სული-*

ცოცხალ მაგალითს უნდა იძლეოდეს: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა" (მათ. 5,16) და ამით სხვებს ცხონების გზას უჩვენებდეს; მოძღვარი, როგორც ყველაზე ერთად, ასევე ყოველ კონკრეტულ ადამიანზე, მათი თავისუფლებისა და ნიჭიერების რეალიზებისათვის უნდა ზრუნავდეს: „...ყოველთა და ყოვლისათვის;"[52] მოძღვრის მსახურება ლოცვითი მსახურებაა, რომელიც განსაკუთრებულად ლიტურგიკული, ევქარისტიული მსახურების დროს უნდა ვლინდებოდეს, რამეთუ სწორედ ევქარისტიული მსახურებისას შენდება ქრისტეს მისტიკური სხეული – ეკლესია, რომელშიც ვლინდება კარგი მოძღვრის კეთილი ნაყოფები; და ეს ნაყოფები ხშირად ეროვნული და სახელმწიფოებრივი მასშტაბისაა. ასეთი მოძღვარია გრიგოლ ხანძთელი და ვფიქრობთ, რომ მისდამი მიბაძვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი სასულიერო პირების პირდაპირი მოვალეობაა.



ერი ცხოვრების სამ ეტაპს. ეს ეტაპები აღწერილი აქვს წმინდა დიონისე არეოპაგელს თავის თხზულებაში „საეკლესიო იერარქიისათვის": ეპისკოპოსს სრულყოფილი, ანუ განღმრთობილი, პრესვიტერს განათლებული, ანუ ნათლისაკენ წარმმართველი და დიაკვანს განწმენდილი, ანუ ვნებათაგან თავისუფალი მდგომარეობანი შეესაბამებიან" (მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 68-70. გამომცემლობა „ახალი ივერონი" 2008 წ.

[52] სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია. ანაფორა. სამღვდელო ასამაღლებელი ძღვნის ამაღლებისას.

თავი III
ლოცვის პრაქტიკა

3.1 გონიერი ლოცვის პრაქტიკა „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

„და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინაწარმეტყუელოჲ სიტყუაჲ; რომელი კეთილად ჰყოთ, ეკრძალნეთ, თუ ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა (2 პეტრ. 1,19). „ვისაც მიღმიერი ნათლის ხილვა სურს, მან გულსა შინა თვისსა შემდეგი უნდა დაიმარხოს: დაიცვას თავი ხორციელ ვნებათაგან და ურგებ სიბილწეთაგან, უთანხმოებისა, და ყოველგვარი მრისხანებისა და შფოთისგან, ასევე გაფანტულობისა და ბოროტმახსოვრობისგან, და ადამიანთა განკითხვისაგან; არამედ ზრახვები და გული წმინდა ჰქონდეს ხორციელ ვნებათაგან, იყოს მშვიდი, მდაბალი, გულღია და მშვიდობისმყოფელი, საკვებსა და სასმელში თავშეკავებული და მოუკლებლივ მლოცველი; ამ ყოველივეს საწყისისა და დასასრულის სათნოებად ჰქონდეს სიყვარული“ (წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი).[1]

წმინდა გრიგოლ ხანძთელს, როგორც მონაზონს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტეან მოღვაწეს, ის უმაღლესი სულიერი ნაყოფი აქვს გამოღებული და იმგვარ სულიერ სიმაღლესაა მიღწეული, რომელსაც ასკეტურ ლიტერატურაში ხელთუქმნელი ნათლის ჭვრეტად, განღმრთობად მოიხსენებენ.[2]

---

[1] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Т.1. Стр.16. «Отчии дом», 2004 г.*

[2] *„დიდ-დიდნი და პატიოსანნი აღთქუმანი ჩუენ მოგუანიჭნა, რაჲთა ამის მიერ იქმნეთ საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა და ევლტოდით სოფლისა ამის გულის თქუმისა ხრწნილებასა.“(2 პეტრ.1,4); Давыденков, О. (Протоиерей).*

ქრისტეანულ ასკეტურ ლიტერატურაში მრავლადაა აღწერილი დიდ საეკლესიო მოღვაწეთა სულიერი მდგომარეობა, ღვაწლი და შესაბამისი ნაყოფებიც. სწორედ ამგვარი ღვაწლი და შესაბამისი ნაყოფებია აღნიშნული წინამდებარე ეპიგრაფში, რომელიც უდიდეს საეკლესიო მოღვაწეს, წმ. სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს ეკუთვნის. ამ ეპიგრაფში აღწერილი სათნოებანი პირდაპირ მიესადაგება წმინდა გრიგოლ ხანძთელს, რომლის შესახებაც გიორგი მერჩულე წერს:

> მოუკლებელი ლოცვაჲ, წყურილი და შიმშილი მარადის, და უძილობაჲ, ზედგომაჲ და მუხლთა მოდრეკაჲ ფრიადი აქვნდა ნეტარსა მას. დასცემდა ვნებასა ხორცთასა და სულისა მტერნი მოაუძლურნა.[3]; იხილა წმიდაჲ იგი ხელგანპყრობით და გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯვარის სახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზეჲ.[4]

საკითხის თვალსაჩინოებისთვის მნიშნელოვანია ერთი გარემოება: გრიგოლ ხანძთელი მერვე-მეცხრე საუკუნეებში მოღვაწეობდა, წინამდებარე თავის დასაწყისში მოყვანილი ეპიგრაფი მეათე საუკუნეშია დაწერილი. ქრისტეანული ცხოვრებისა და ღვაწლის ის წესი, რომელსაც ამგვარ სულიერ მდგომარეობამდე შეუძლია მოღვაწის მიყვანა, ისიქაზმად („გონებისა და სხეულის სიმშვიდედ“) იწოდება,[5] რომელიც კრებსითად, დოგმატურად ეკლესიამ აღიარა მეთოთხმეტე საუკუნეში, როდესაც

Догматисеское богословие. Москва. Стр. 400,413. ПСТГУ. 2013; იხ. წმინდა გრიგოლ პალამა. თაბორის ნათლის შესახებ (ნაწილი 1). http://library.church.ge/index.php?option=com–content&view=article&id=219%3A-xxxiv-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka 19.04.2019

[3] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 37, გვ. 118. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[4] *იქვე, თავი 50, გვ. 150.*

[5] *„ბიზანტიური თეოლოგიური ტერმინი, რომლითაც აღინიშნება ვნებათაგან გათავისუფლების, შინაგანი სიმშვიდის მიღწევისა და „თაბორის შუქის“ ჭვრეტისაკენ მიმართული მჭვრეტელობითი ლოცვის განსაკუთრებული ფორმა. ისიქაზმი. შინაგანი მყუდროება, მდუმარება“ – იხ. Уер, К. (Митрополит). Сила и емени. Гл. 1. https://azbyka.ru/otechnik/Kallist–Uer/sila-imeni/ – 19.04.2019; იხ. Сержантов, П. Исихастская антропология. Стр. 41-53. Москва: 2010*

ისიქასტურმა მოძრაობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობათა შეჯახება გამოიწვია. მეცნიერები თანხმდებიან, რომ ამან კაცობრიობის ისტორიაში ახალ ეპოქას დაუდო საფუძველი. ეს შეჯახებანი და კამათი ქრისტეანული ანთროპოლოგიის არსს – განღმრთობას ეხებოდა. მართლმადიდებლობაში ადამიანი ღმერთთან ერთობისკენ, ამქვეყნადვე განღმრთობისკენ არის ორიენტირებული. დასავლურ კულტურაში კი, ცენტრალური ადგილი ადამიანს, მის თვითღირებულებას უკავია, რამაც ღმერთსა და ადამიანს შორის უფრსკულის გაღრმავებას შეუწყო ხელი... XIV საუკუნის ისიქასტების მთავარი დამსახურება ისაა, რომ მათ კაცობრიობას გაახსენეს ღმრთის შემეცნების და ღმერთთან ურთიერთობის დავიწყებული გზა, რომელიც მწყობრი სახით და სისტემურად გადმოგვცეს, რითაც მრავალ თანამოაზრეს ღმრთისგან ბოძებულ სწორ გზაზე სიარულის შესაძლებლობა მისცეს... ისიქასტური კამათი არა მხოლოდ ადამიანის და ღმრთის ბუნებას ეხებოდა, არამედ ადამიანის ღმრთისაკენ სწრაფვის საშუალებებსაც, მათ შორის – ლოცვით პრაქტიკასაც. წმ. გრიგოლ პალამა ასაბუთებდა, რომ „უვნებობა ნიშნავს არა ვნებითი ნაწილის მოკვდინებას, არამედ მათი ბოროტებიდან სიკეთისკენ ტრანსფორმაციას“. ანუ, სულის ვნებითი ნაწილი კი არ უნდა მოკვდეს, როგორც ამას ისიქაზმის მოწინააღმდეგენო ასწავლიდნენ, არამედ მათ მეტამორფოზა უნდა განიცადონ, განიწმინდონ. ისიქასტურმა დავებმა ეკლესიას სტიმული მისცა, მეტად გაეხსნა და წარმოეჩინა მართლმადიდებლური სწავლება განღმრთობის შესახებ. წმინდა გრიგოლ სინელის და შემდგომ წმინდა გრიგოლ პალამას მიერ გადმოცემული მართალი მოძღვრება 1351 წლის კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე განმტკიცდა, რომლის დადგენილებებიც მართლმადიდებელი ეკლესიის სისავსის მიერ მალევე იქნა გაზიარებული და „მართლმადიდებლობის ზეიმის“[6] (იზეიმება დიდმარხვის

[6] *„აღმოსავლეთის ეკლესიამ, XIV საუკუნის ბიზანტიაში, პალამას მოძღვრების გამარჯვებაში არა რომელიმე კერძო მისტიკური ტრადიციის, არამედ თავად მართლმადიდებლობის ზეიმი დაინახა. ეკლესიის მიერ პალამას მოძღვრების მხარდაჭერამ წმინდა მონასტრული ტრადიციიდან გამოჰყო ის, რასაც წარუვალი და საყოველთაო სულიერი მნიშვნელობა აქვს”. (იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. VI. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020).*

პირველ კვირას) ლიტურგიკულ განწესებაშიც იქნა შეტანილი.[7]

ისიქასტური[8] პრაქტიკა, ანუ გონიერი ლოცვა იმდენად მნიშვნელოვანია მონაზვნისა და საერთოდ ქრისტეანისათვის, რომ როგორც წმინდა მამები და ღმრთისმეტყველები აღნიშნავენ, მის გარეშე მონაზვნობა ვერაფრით იქნება თავის სიმაღლეზე:

> მონაზვნობა გონიერი ლოცვის გარეშე სულის გარეშე დარჩენილი სხეულია... (წმინდა მღვდელმთავარი ეგნატე კავკასიელი); შემოქმედებითი გონიერი ლოცვის გარეშე ვერავინ განერიდება ვნებების მოქმედებას და ვერც ცოდვილ გულისთქმებს გაუმკლავდება, რის გამოც დაიტანჯებიან გარდაცვალების ჟამს და საშინელ სამშჯავროზეც განისჯებიან (ღირსი პაისი მოლდაველი); მხოლოდ გარეგანი ლოცვა არასაკმარისია. ღმერთი შინაგანს უყურებს, ამიტომ ის მონაზვნები, რომლებიც გარეგან ლოცვას შინაგანთან არ აერთებენ, მონაზვნები კი არა, არამედ შავი თავკომბალები არიან (ღირსი სერაფიმე საროველი).[9]

ისიქაზმი მჭიდროდ უკავშირდება გონიერი ლოცვის, იგივე იესუს ლოცვის პრაქტიკას. გონიერი ლოცვის წარმოშობას პირველმშობელთა სამოთხეში ყოფნის პერიოდს უკავშირებენ; გონიერი ლოცვის საღმრთისმეტყველო საფუძველი ბიბლიის ტექსტებსა და წმინდა მამათა ნაწერებშია.[10] ამის შესახებ ღირსი

---

[7] *Новиков Н. М. Опыт двух тисячелтии. стр.446-447,453. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1*

[8] *ისიქაზმი – ბერძნ.ἡσυχία – სიმშვიდე, დუმილი. თანამედროვე მკვლევრები ტერმინ „ისიქაზმის" რამდენიმე მნიშვნელობას გამოყოფენ: 1. ქრისტეანული ბერმონაზვნური ცხოვრება, უმეტესად განდეგილური, რომელიც მიზნად ლოცვასა და ჰვრეტას ისახავდა; 2. იესუს ლოცვის პრაქტიკა და მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ფსიქოსომატური პრაქტიკა; 3. წმინდა გრიგოლ პალამას ღვთისმეტყველება, რომელიც იესუს ლოცვის პრაქტიკას იცავდა და ასაბუთებდა; 4. „ლაიკური ისიქაზმი", ანუ ერისკაცთა ისიქაზმი, რომლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი წმინდა ნიკოლოზ კავასილა იყო; Митрополит Иерофей Влахос. Святитель Григорий Палама как святогорец. Гл. 6, стр. 160, 176-180. Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011 г; იხ. მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.336-339. გამომცემლობა „ახალი ივერონი". 2008 წ.*

[9] *Новиков Н. М. Опыт двух тисячелтии. Стр.7. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1*

[10] *„ისიქასტური თეორია ეფუძნება ჰეშმარიტ საღმრთო გამოცხადებას, რომელიც ცოცხალი ღმერთის აპოფატიურობისა და კატაფატიურობის შესახებ,*

პაისი ველიჩკოვსკი აღნიშნავს:



ღირსი პაისი ველიჩკოველი

---

*ღმრთის საიდუმლოებას გვასწავლის. ეს გამოცხადებითი ცოდნა გადმოცემულია წმ. მამათა სწავლებებში, დიდი კაბადოკიელი მამებიდან (ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი) დაწყებული წმ. გრიგოლ პალამამდე (და რა თქმა უნდა, დღევანდელ დღემდე /თ. გ./).ეკლესიის მამათა ნაშრომებში ჩვენ ვხედავთ საღმრთისმეტყველო მოწმობას იმის შესახებ, რომ ღმერთი ერთდროულად მიუწვდომელია (შემეცნების თვალსაზრისით) თავისი არსებით, და ამავე დროს, რეალურად მიწვდომადია თავის ენერგიებში, სამყაროსა და ისტორიაში პიროვნულ და განმგებლობით ქმედებებში. ეს კი, ნიშნავს, რომ ღმერთი თავის ბუნებით ადამიანური გონებისათვის მიღმიერი, მიუწვდომელი. ტრანსცენდენტალურია; მაგრამ ამავე დროს, საკუთარი თავის გამოჩინების, მყოფობის და ქმედების მიერ, ღმერთს ჩვენთან ურთიერთობა აქვს (ქრისტეს მიერ, სული წმიდას მიერ), „ამქვეყნიურია" ჩვენთვის, რამეთუ იგი ბიბლიური ემმანუილია (ჩვენთან არს ღმერთი), იმანენტურია, არსებული და ცხოველსმყოფელია, კაცთმოყვარეა". იხ. **Афанасий Евтич. «Пролегомены к исихасткой гносеологии». Несколько слов об исихазме вообще. https://azbyka.ru/otechnik/afanasij-evtich/prolegomeny-k-isihastskoj-gnoseologii/- 14.03.2020***

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ღმერთგანბრძნობილი, ღირსი და ღმერთშემოსილი მამის, ნილოს სინელის, მტკიცებით, პირველ ადამიანს ჯერ კიდევ სამოთხეში მიეცა ღმრთისგან გონიერი ლოცვა... იესუს ლოცვის შეუძვრელი საფუძველია მაცხოვრის შემდეგი სიტყვები: „ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჯაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ. 6,6)... სული წმიდის მიერ განათლებული ღმერთშემოსილი მამები გონიერი წმინდა ლოცვისა და შინაგანი ცხოვრების საფუძველს ახალი და ძველი აღთქმის ტექსტებში ხედავენ და მისგან, როგორც დაულევნელი წყაროდან, მრავალ ადგილს იმოწმებენ.[11]

ლოცვა, როგორც სათნოებათა დედოფალი, უპირატესია ყველა სათნოებაზე. მის გარეშე არანაირი სულიერი ცხოვრება არ არსებობს, რადგან მისით ვცდილობთ ცოცხალ ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენას, დიალოგის გაცოცხლებას: „გახარებთ თქუენ, რაჲთა ამაოებათა ამათგან მოიქცეთ ღმრთისა ცხოველისა, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა“ (საქ. 14,15). ყველა სათნოება ლოცვის ნაყოფია, ხოლო ღვაწლის ყოველი სხვა სახე მისი დამხმარეა. როგორც ნიკოლოზ ნოვიკოვი წერს:

წმინდაა, დიადია, მაცხოვნებელია ლოცვითი ღვაწლი. მონაზონთათვის (და არა მარტო მათთვის – თ. გ.) იგი ღვაწლთა შორის უმთავრესია. ყოველი სხვა ღვაწლი იმას ემსახურება, რომ ლოცვითი ღვაწლი უფრო ნაყოფიერი, უფრო წარმატებული, უფრო მრავალმხრივი ნაყოფის გამომღები იყოს. როგორც ღირსი მაკარი დიდი აღნიშნავს, მოუკლებელ ლოცვაში მყოფობა კეთილმოწესე ცხოვრებისა და ყოველი კეთილი საქმის თავია.[12]

წმინდა მამებმა თავიანთი ცხოვრებით დაადასტურეს და აჩვენეს ლოცვის ნაყოფი. წმინდა ისააკი თავის „ასკეტურ სიტყვებში“ წერს: „მონაზონი გონიერი ლოცვით თუ მღვიძარებს, ნუ შეხედავ მას როგორც ხორციელ არსებას, რადგან ამგვარად ანგელოზი მოქმედებს. სული, რომელიც ღამით ლოცულობს, ქერუბიმის (უმაღლესი ტრიადის ანგელოზი – თ. გ.) თვალებს შეისხამს, რათა

---

[11] *Преподобный Паисий Величковский. Об умной или внутренней молитве. Глава 2. https://azbyka.ru/otechnik/Paisij-Velichkovskij/molitva/ – 19.04.2019.*

[12] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.27. «Отчии дом». 2004, Т.1.*

ზეცისკენ მიმართოს მზერა“.[13] მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი წერს:



მიტროპოლიტი იეროთეოსი (ვლახოსი)

ადამიანის გადარჩენის უმთავრეს საშუალებად გონიერი ლოცვა მიგვაჩნია... არსებობს ასეთი მოსაზრება, ყველა მეთოდი მღვიძარებისა და ლოცვისა „გულის თვალს“ (გამოც. 3,18) რომ კურნავენ, მხოლოდ მონაზვნების სულის კურნებას შეეხება. ეს

[13] *მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.50. გამომცემლობა „ახალი ივერონი“ 2008 წ.*

მცდარი აზრია. ჩვენ ყველანი, ვინც მონასტერში არ ვცხოვრობთ, უფლის მცნებებს უნდა ვიცავდეთ. ლოცვა, სინანული, ცრემლი, მღვიძარება, მარხვა და ა. შ. ქრისტესგან ყველას, და არა მხოლოდ მონაზვნებს, მოგვენიჭა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეასრულოს. უფალს არ უთქვამს ისეთი რამ, რისი გაკეთებაც ადამიანს არ შეუძლია. წმიდა გრიგოლ პალამა გულის სიწმინდეზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ დაქორწინებულებმაც შეიძლება მიაღწიონ ამგვარ სიწმინდეს, ოღონდ უფრო მეტი ღვაწლით.[14]

გონიერი ლოცვა რომ ყველა ქრისტეანისათვის, ანუ ერისკაცთათვისაცაა, ამის შესახებ ბევრი საეკლესიო მოღვაწე მსჯელობს, რომელთა სიტყვაც საფუძვლიანად აქარწყლებს ზოგიერთ ადგილობრივ ეკლესიაში გავრცელებულ იმ მითებს, რომ ერის ადამიანთათვის ეს ლოცვა აკრძალულია.[15]

წმ. გრიგოლ სინელი თავის მოწაფეებს უდაბნოდან ქალაქში აგზავნიდა, რათა ისინი ერისკაცთა წინამძღვარნი გამხდარიყვნენ;

---

[14] *მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი. მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 51. გამომცემლობა „ახალი ივერონი" 2008 წ.*

[15] *„თანამედროვე მოღვაწე, მღვდელმოწამე, წმ. სერაფიმე ჩიჩაგოვი აღნიშნავს, რომ „ყოველი ადამიანისთვის, მისი ხარისხისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად, შესაძლებელიც და სავალდებულოცაა მოუკლებელი გულისმიერი ლოცვის მოპოვება. იგი ბრძანებს, რომ მოუკლებელი ლოცვა ამსოფლიურ საქმიანობაში ადამიანს ხელს არ უშლის. იგი სწავლობს, რომ სხეულის შრომისას გული ავტონომიურად ლოცულობდეს. ამგვარი ლოცვითი მდგომარეობა ხელისშემწყობიცაა მიწიერი საქმიანობაში"... ასევე სხვა მღვდელმოწამე წმ. სერგი მეჩევი მრევლს ასწავლიდა: „სადაც და როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, შეგვიძლია ღმერთს ვმსახურებდეთ, ვიყოთ ისიქასტნი... ყველგან და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ღმრთისანი ვართ და რასაც ვაკეთებთ, მისთვის ვაკეთებთ...". მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელიც (ბლუმი) შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ერისკაცთათვის მონაზონთა მსგავსი ლოცვითი ცხოვრება, დადებითად პასუხობს; ოღონდ იმ შემთხვევაში, „თუ თუ ჩვენ ლოცვას ამქვეყნიურ ცხოვრებას შევუერთებთ და ცხოვრებას – ლოცვას" (Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.424-426,434 «Отчии дом». 2004, Т.1.).*

გონიერი ლოცვითი ღვაწლის (ისიქაზმის, ხელთუქმნელი ნათლის ჰვრეტის) ერისკაცთათვის შესაძლებლობაზე წმინდა სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს მთელი თავი (სიტყვა) აქვს მიძღვნილი: Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. Слово 56, стр. 728. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006

წმ. გრიგოლ პალამაც ამტკიცებდა, რომ პავლე მოციქულის მოწოდება მოუკლებელი ლოცვის შესახებ ყველა ქრისტეანისადმია მიმართული... მან განავითარა ის საღმრთისმეტყველო და ანთროპოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი და სავალდებულოცაა, ერში ცხოვრება ასკეტურ პრაქტიკასა და ისიქასტურ ლოცვასთან ერთობაში განიხილებოდეს... ისიქაზმის ფართო კულტურულ ფენომენად წარმოჩენის მაგალითი, წმ. გრიგოლ პალამას თანამედროვე და მეგობარი წმ. ნიკოლოზ კავასილაა. იგი ერისკაცი გახლდათ და თვლიდა, რომ მოუკლებელი ლოცვა ყოველი ქრისტეანის ვალია; რომ ისიქაზმი საყოველთაო და უნივერსალური გზაა; და ამ მიმართულებით ყველაზე მყარი ნაბიჯები სწორედ XIV ს-ში გადაიდგა.[16]

ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო და მნიშვნელოვანია შეხედულებანი XX საუკუნის იმ წმინდანებისა, რომელთა ღვაწლმაც ეკლესიის ცხოვრებაში უდიდესი ნაყოფი გამოიღო:

> ღირსი მამა იოსებ ისიქასტი თავის სულიერ შვილს – მღვდელს, ურჩევს, აუცილებლად ასწავლოს ერისკაცებს გონიერი ლოცვა: „ყველას ასწავლე გონიერი ლოცვა, რომ მოუკლებელად ლოცულობდნენ... ჯერ ბაგეებით და გონებით, შემდეგ – გონებით და გულით. ასე მალე იპოვიან სიცოცხლის გზას და სამოთხის კარიბჭეს“... საგულისხმოა გასული საუკუნის დიდი მოღვაწის წმ. სერაფიმე ვირიცელის სიტყვები: „უმძიმესი განსაცდელების ჟამს (მას მოღვაწეობა გასაბჭოების და გერმანული ოკუპაციის პირობებში უხდებოდა თ. გ.) იოლად ის გადარჩება, ვინც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში იესუს ლოცვის ღვაწლში იქნება და ღმრთის სახელის ხშირი მოხსენებიდან მოუკლებელ ლოცვით მდგომარეობაში გადავა“... უნდა ითქვას, რომ XX საუკუნემ საბოლოოდ დაადასტურა იმათი სიმართლე, რომლებიც ერის

---

[16] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.492-493. «Отчии дом». 2004, Т.1; „ისიდორე (გრიგოლ სინელის მოწაფე, კონსტანტინეპოლის მომავალი პატრიარქი) და გრიგოლ პალამა ისიქასტურ სულიერ ცხოვრებას ბერების ექსკლუზიურ საქმედ არ მიიჩნევდნენ. ისინი ცდილობდნენ, იესუს ლოცვის პრაქტიკა მონასტრების გარეთაც გაევრცელებინათ, რადგან ამაში ნათლობის მადლის რეალურ და ეფექტურ ძალად ქცევის საუკეთესო საშუალებას ხედავდნენ“. (იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 52. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020).*

პირობებში გონიერი ლოცვის შესაძლებელობას ამტკიცებდნენ.[17]

აქკვლავ XIV საუკუნის მოღვაწის სიტყვას მოვუსმინოთ, რომელიც ასე საჭირო და საგულისხმოა თანამედროვე ქრისტეანისათვის:

არაა უდაბნოში გასვლის აუცილებლობა, არც განსხვავებული კვების რეჟიმი ან სპეციალური შესამოსელი... შეიძლება სახლიდან გაუსვლელად, ცხოვრების წესის განსაკუთრებული შეცვლის გარეშე, მუდმივად ვიღვწოდეთ საკუთარ თავში ჩაღრმავებით ცოცხალი ღმრთისმსახურებისათვის.[18]

ზოგადად ნიკოლოზ კავასილას, როგორც კანონიზირებული ერისკაცის, დამოკიდებულება ლოცვისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს იმ თეოლოგებში, რომლებიც თავად ერისკაცნი არიან:

წმ. ნიკოლოზ კავასილა განმარტავს, რომ გონიერი ლოცვისთვის გარეგან პირობებს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამისად, ქრისტეანებს უფრო მნიშვნელოვანი რამ აქვთ საერთო, ვიდრე გარეგანი ცხოვრების წესი, მონაზვნური თუ საერო. მაგალითად, როდესაც წმ. ნიკოლოზ კავასილა ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმას, განსხვავებულ ცხოვრების წესს სულიერ ცხოვრებასთან კავშირში განიხილავს, ერთ საინტერესო შენიშვნას აკეთებს, თუ „რა არის ყველა ქრისტეანისთვის საერთო და მნიშვნელოვანი". ესაა გონებით ქრისტეს წვდომა და ლოცვითი სისავსე. კავასილა განმარტავს, რომ ლოცვისათვის რაიმე გარეგანი პირობის აუცილებლობა არ არსებობს. „და ლოცვისათვის არა მომზადება, არა ადგილი და ხმამაღლა ტირილია მნიშვნელოვანი, რამეთუ არ არსებობს ადგილი, სადაც ის (უფალი) არ არის ჩვენთან ერთად, რამეთუ იგი ჩვენ საკუთარ გულზე უფრო ახლოსაა. მისი მოწოდებისათვის არც განსაკუთრებული სიწმინიდეა საჭირო, რამეთუ ღმერთს ჩვენს თავზე გვირგვინის დადგმას კი არ ვთხოვთ, არამედ – შეწყალებას". ასე რომ, ყველამ უნდა ვილოცოთ, განსაკუთრებით – ცოდვილებმა, უმადლოებმა და ბოროტებმა, რამეთუ „ვისაც მოვუწოდებთ, კეთილია". ლოცვა და საიდუმლოებებში თანამონაწილეობა, განურჩევლად

---

[17] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.503,521,518. «Отчии дом». 2004, Т.1.*

[18] *Николай Кавасила. Семь слов о жизни во Христе. слова 7. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj-Kavasila/sem-slov-o-gizni-vo-hriste/; 09.01.2020*

სულიერი ცხოვრების განსხვავებული ფორმებისა, საერთო გზაა, საერთო შინაარსია ყველასთვის... ადამიანური გონების ქრისტესთან მუდმივ ურთიერთობას ადამიანი იქამდე მიჰყავს, რომ იგი სინამდვილეს ქრისტეს თვალებით ხედავს და ქრისტეს გონების მიერ ფაქიზად დაცული აზროვნებს. ამგვარი ერთობის სისავსით ხდება სწორედ ადამიანური გონების ფერისცვალება და განღმრთობა ქრისტეში. და ზეციერი მამა ქმნილ გონებაში ხედავს თავისი ღმრთაებრივი ძის გონებას, შედეგად ჩვენ ქრისტეს გონების მიერ მამა ღმერთის შემეცნებაში აღვიტაცებით. წმ. იოანე ღმრთისმეტყველის მიხედვით, ამაში მდგომარეობს მარადიული სიცოცხლე: „ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე“ (იოან. 17.3).[19]

წმინდა ეგნატე კაკვასიელი (ბრიანჩანინოვი) გონიერ ლოცვაზე მინიშნებას წმინდა წერილში ხედავს:

გონიერი, გულისმიერი, სულიერი ლოცვა ადამიანს მცნებად ძველი აღთქმის პერიოდშივე მიეცა. „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა... ესე არს პირველი მცნებაჲ“ (2 რჯ.6,5; მკ. 12,30). ნათელია, რომ უდიდესი და უპირველესი მცნების აღსრულება შეუძლებელია გონიერი, გულისმიერი ლოცვის გარეშე, რომლითაც მლოცველი ადამიანი, ყველა ქმნილებაზე აღმატებული, ღმრთისკენ ისწრაფვის [...] და მანამდე ცოდვის მიერ განცალკევებული გონება, გული, სული და სხეული, კვლავ ერთდებიან უფლის მიერ.[20]

წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის მოწმობით, იესუ ქრისტეს სახელით ლოცვა, ანუ იესუს ლოცვის პრაქტიკა მოციქულთაგან მომდინარეობს,[21] ხოლო ამ ლოცვის საღმრთისმეტყველო საფუძველი მოცემულია წმინდა წერილში, რომელშიც უფალი აღთქმას გვიდებს: „რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა. და უკუეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვყო; რაჲთა, რაჲ-იგი სთხოოთ

---

[19] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.172,173. Москва . «Никея»-2011.*

[20] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.17. «Отчии дом». 2004, Т.1*

[21] *იქვე, стр.17-18.*

მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ...“ (იოან. 14,13-14; 15,16; 16, 23-26). და განგვიცხადებს, რომ „თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალგიცყოფად არცა ერთი“ (იოან. 15,5). ხოლო ის, რომ „არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოან. 14.6), ყველაზე მყარი საფუძველია ძისადმი გულმხურვალე ვედრებისა.



ლოცვის (ვგულისხმობთ გონიერი ლოცვის ისიქასტურ პრაქტიკას) გარეშე ადამიანის გულის განწმენდა ვნებებისაგან შეუძლებელია. „არაფერი ისე არ ეხმარება ადამიანს ვნებებთან ბრძოლასა და მათ დამარცხებაში, როგორც მოუკლებელი გონიერი ლოცვა."[22] საგულისხმო დარიგებას გვაძლევს უცნობი ათონელი ისიქასტი „ქსენოფონტის ხელნაწერებში":

> მხოლოდ ლოცვის ამგვარი (გონიერი) სახე განდევნის და მოსპობს ჩვენი გულიდან დემონებს, რომლებიც ჩვენი ვნებების საშუალებით გვებრძვიან. ასე რომ, თუ ადამიანს სურს ვნებებისაგან გულის განწმენდა და დემონებისაგან განთავისუფლება, მან აუცილებლად გონიერი ლოცვა უნდა მოიპოვოს გულში. რადგან სწორედ იმ ადგილას თუ არ დაისადგურებს გონიერი ლოცვა, სადაც ადამიანში ვნებები ბუდობენ,[23] როგორ დამარცხდებიან ისინი. ხოლო თუ ვნებები არ განიდევნებიან და არ მოიკვეთებიან, მაშინ დემონებიც არ დაანებებენ ადამიანს თავს. [24]

წმინდა მამები გონიერ ლოცვას გულის ლოცვადაც მოიხსენებენ, რამეთუ იგი გონებით გულში აღესრულება. ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს XIV ს-ის უდიდეს მოღვაწეს, თესალონიკის ეპისკოპოსს და ისიქაზმის დიდ აპოლოგეტს წმინდა გრიგოლ პალამას. იგი ამბობს, რომ

> გულში ლოცვა განაპირობებს მის ვნებებისაგან განთავისუფლებას, რამეთუ თავად უფალი გვასწავლის, რომ უწმინდური ვნებები, ბოროტი გულის-სიტყვები გულში ბუდობენ (მათ.15,19,20); ამავე დროს, რადგან სიტყვა გულშია (გულის-სიტყვა), ამიტომ გარეგან შემეცნებებში გაბნეული გონება შინაგან ცენტრში, ზრახვების საცავთან, გულში, უნდა შევიყვანოთ. ვისაც სურს ისიხასტური ცხოვრება, აუცილებალად გონება სხეულში, იმ უშინაგანეს სხეულში უნდა მოათავსოს, რომელსაც ჩვენ გულს ვუწოდებთ (წმინდა გრიგოლ პალამა ბიოლოგიურ გულს არ

---

[22] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.33. «Отчии дом». 2004, Т.*

[23] *შდრ.: „რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა" (მათ. 15,19-20).*

[24] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.33-34. «Отчии дом». 2004, Т.1*

გულისხმობს. იგი ერთგვარი ხორციელი სიმბოლოა, რომელიც ადამიანური ბუნების სიღრმეზე მიანიშნებს – თ. გ.); გულის შიგნით და კიდევ უფრო შიგნით უნდა მოვათავსოთ.[25]

ამ თემაზე წერენ თანამედროვე მოღვაწენიც, მათ შორის, დიდი იოსებ ისიხასტის სულიერი შვილი, ამერიკაში მრავალი მონასტრის დამაარსებელი, ეფრემ არიზონელი:



არქიმანდრიტი ეფრემი (არიზონელი)

ჩემო შვილებო, ღმრთის სიყვარულისათვის გევედრებით: წამითაც არ შეწყვიტოთ იესუს ლოცვა. დაე, თქვენი ბაგეები

[25] *წმინდა გრიგოლ პალამა. ტრიადები საღმრთოდ მდუმარეთა დასაცავად. ტრ. 1,2. გვ.53-55. (იღუმენ რაფაელ ხელაშვილის თარგმანი). გურჯაანი: გურჯაანის ყოვლადწმიდის მონასტერი. 2014.*

მუდმივად ჩურჩულებდნენ ეშმაკისა და მისი ყოველი მანქანების დამთრგუნველ იესუს სახელს. მუდამ მოუხმეთ ქრისტეს შეწევნისათვის და იგიც არ დააყოვნებს თქვენს დახმარებას. როგორც მწერები გავარვარებულ რკინას, ისე ვერ უახლოვდებიან დემონები იესუს ლოცვით გამთბარ სულს. და თუ მაინც გაბედავენ, იმ საღმრთო ცეცხლით დაიფერფლებიან, რომელსაც განკაცებული ღმერთის საღმრთო სახელი ატარებს.[26]

ამგვარი ლოცვითი პრაქტიკის გარეშე ქრისტეანობა არ არსებობს და ის, როგორც ცოცხალ ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობის პრაქტიკა, ეკლესიის მიერ ამ სამყაროში მნიშვნელოვანი და კეთილი ნაყოფის გამოღებას განაპირობებს. საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით ამის საფუძველი ის მსოფლმხედველობაა, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის უნიკალური მოძღვრებიდან[27] გამომდინარე, სამყაროს განსაკუთრებულ ხედვასა და ღმრთისადმი სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას გვთავაზობს:

მართლმადიდებელთა ღმერთი, თავისი არსით ტრანსცენდენტული, თავისივე ხელთუქმნელი ენერგიებით, შეურევნელად (განსხვავებით პანთეისტური შეხედულებისაგან) ჰგიებს ქმნილებაში. დასავლური შეხედულებების თანახმად, ღმერთის ქმნილებასთან ურთიერთობა და კავშირი შესაქმის დასაწყისში სამყაროსთვის მხოლოდ ბუნების უცვალებელი კანონების მიცემაში მდგომარეობს, რომლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, ზოგჯერ სასწაულებრივად ერევა. ამგვარი შეხედულება ღმერთში არსსა და ენერგიებს შორის განსხვავებულობის გარჩევის უნარის დაკარგვითაა განპირობებული. ხოლო ჩვენ, მართლმადიდებელი ღმრთისმეტყველნი, ქმნილებაში ღმრთის მადლის, ანუ ხელთუქმნელი ენერგიის მუდმივ მოქმედებას ვხედავთ, რომელიც საგანთა არსის დაცვა-შენახვა-ყოფიერებას განაპირობებს. ამგვარად დაიძლევა ის გადაულახავი წინააღმდეგობა, რომელიც ტრანსცენდენტულ, დაუბადებელ ღმერთსა და ქმნილ სამყაროს შორის არსებობს; წინააღმდეგობა, ასე რომ აღარიბებს დასავლურ ქრისტეანობას და ათეიზმისკენ

---

[26] Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. стр.32. «Отчии дом». 2004, Т.1

[27] „პალამას ვარლაამთან და აკინდინოსთან ცნობილმა კამათმა აღმოსავლური ეკლესიის ბედი განსაზღვრა“. იოანე მეინდორფი. წმინდა გრიგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 54. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020

უბიძგებს მას (რამეთუ ღმერთსა და ჩვენ შორის რეალურ კავშირს გამორიცხავს – თ. გ.). სამყაროს ამგვარი (მართლმადიდებლური) ხედვა უბრალოდ თეორიული მსჯელობის პროდუქტი არაა. ჭეშმარიტი ქრისტეანი, ღმრთისმეტყველი, ანუ საგნების ლიტურგიკულად (ღმრთისმსახურებითად, პრაქტიკულად, ღმერთსა და სამყაროს ერთობის ჭრილში /თ. გ./) აღმქმელი, სწორედ ამგვარად (ღმრთის ხელთუქმნელი ენერგიის მიერ) ხედავს და განიცდის ღმრთისა და სამყაროს ერთობას; გარეგანი მოვლენების მიღმა ღმრთისა და ქმნილების ერთობის საიდუმლოებას ჭვრეტს და ასევე ასწავლის და გადასცემს თავის მოსწავლეებს.[28]

წმინდა გრიგოლ ხანძთელიც, როგორც ჭეშმარიტი მონაზონი და წმინდა მამათა ტრადიციის გამგრძელებელი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს განკაცებული ძე ღმერთის ადამიანურ სახელს, რომლის წინაშეც მოდრკება ყოველი მუხლი ზეცაში, ქვეყანასა და ქვესკნელში: „სახელისა მიმართ იესუ ქრისტესისა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი“ (ფილ. 2,10); და რომლის მოწოდებითაც ქრისტეანი მოღვაწენი თავს დაიფარავენ ყოველგვარი ბოროტებისა და განსაცდელისგან: „სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან, გუელთა შეიჴყრობდენ; დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა ჴელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან“ (მარკ.16,17-18); ღმერთთან ყოფნის სიხარულით: „მარადის გიხაროდენ. მოუკლებელად ილოცევდით“ (1თეს. 5,16-17) და ღმრთის წყალობით იმედმოცემულნი, მადლიერებით: „ყოველსა შინა ჰმადლობდით“ (1თეს. 5,18) ცხონდებიან:

მეუფეო ქრისტე, ვინაჲთგან თვით თავადმან ივნე და გამოიცადე, ძალ გიც მათდაცა შეწევნად, რომელნი-იგი გამოიცადებოდიან მახეთაგან და საცთურთა მტერისათა. რამეთუ ქრისტეანეთა შემწე შენ ხარ, უფალო, დაიფარენ მარჯუენითა შენითა მოსავნი წმიდისა სახელისა შენისანი და ბოროტისაგან იხსნენ და მიეც მათ სიხარული უოხჴნოჲ [დაუსრულებელი]. ხოლო მე, მონაჲ შენი, მაცხოვნე სასუფეველსა შენსა და წყალობით მომიხსენე

[28] *Архимандрит Георгий, игумен монастыря преподобного Григория. Православие и гуманизм. Православие и папизм. стр. 17. Святой монастырь преподобного Григория. Св. Гора Афон, 1998, «Панагия» Пермь. 2005.*

სუფევითა შენითა![29]

ე.ი., წმინდანის ლოცვის მიხედვით, უფლის წმინდა სახელის, ანუ იესუ ქრისტეს, მოიმედენი ბოროტისგანაც დაცულნი, მარადიულ სიხარულში მყოფნიც და ცხონებულნიც იქნებიან, როგორც ამას ზემოთ მოხმობილი ამონარიდები გვიდასტურებს წმინდა წერილიდან.

იესუს, გონიერი ლოცვა მჭიდრო კავშირშია ასკეზასთან და ორივე ერთად ხელს უწყობს გულის განწმენდას, რადგან სწორედ დაცემული ადამიანის გულშია ჩაბუდებული ყოველი ცოდვა:

> რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან გულის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი, ანგაჰრებანი და უკეთურებანი, ზაკუვანი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავნებანი, უგუნურებანი. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა....“ (მარკ. 7,21-23; მათ. 15,19-20).

აქედან გამომდინარე, ასკეზისა და ლოცვის კავშირის საფუძველია უფლის შემდეგი სიტყვები: „იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა; სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ“ (მათ. 26,41; მარკ. 14,38); „ხოლო ესე ნათესავი (ეშმაკი) არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათ. 17,21).

სულიერ-ასკეტურ ცხოვრებაში, როგორც გვასწავლის წმინდა ისააკ ასური, სწორედ გონიერი ლოცვაა ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი და საზრუნავი: „რას უნდა ვესწრაფოდეთ უპირველეს ყოვლისა, თუ არა იმას, რომ ადამიანი მუდმივად ლოცვაში იმყოფებოდეს... მოუკლებელი ლოცვის გარეშე ღმერთს ვერ მიუახლოვდები.“[30] მოუკლებელი ლოცვის შესახებ ვ. ლოსკი გარკვევით წერდა:

> მისტიკური გამოცდილება, რომელიც ღმერთთან ერთობის საშუალებით მიიღწევა, მხოლოდ ლოცვაში და ლოცვით მოიპოვება. ფართო გაგებით, ადამიანის ღვთის წინაშე დგომა ლოცვაა. საჭიროა, რომ ეს დგომა შეგნებული და მუდმივი მდგომარეობა გახდეს. ლოცვა სუნთქვასავით, გულის ცემასავით

---

[29] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 81, გვ. 218 (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[30] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. Стр.6. «Отчии дом». 2004, Т.1]*

შეუჩერებელი და უწყვეტი უნდა იყოს. ეს განსაკუთრებულ ხელოვნებას, განსაკუთრებულ ლოცვით პრაქტიკას, სულიერ მეცნიერებას მოითხოვს, რომელსაც ბერები მთლიანად უთმობენ თავს. შინაგანი, ანუ სულიერი ლოცვის მეთოდი, რომელიც „ისიქაზმის“ სახელითაა ცნობილი, აღმოსავლური ეკლესიის ასკეტურ სწავლებას ეკუთვნის და უძველესი დროიდან მოდის.[31]

იესუს გონიერი ლოცვის დროს გონება და გული ქრისტეში ერთიანდება,[32] რაც გონების მღვიძარებას, სიფხიზლესა და გულის ბოროტ ვნებათაგან დაცვას განაპირობებს. შესაბამისად, გონიერი ლოცვა და ასკეზა განუყოფელია. მუდმივად მლოცველი მუდმივად დაცულია ბოროტისგან. ამიტომაც მოგვიწოდებს წმინდა პავლე მოციქული – „მოუკლებელად ილოცევდით“ (1თეს. 5,17).

აღნიშნულ კონტექსტში უაღრესად საყურადღებოა ქვემოთ მოყვანილი ამონარიდების მნიშვნელობა გიორგი მერჩულის ნაწარმოებიდან. მათში ნათლად იკვეთება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი საძმოს ასკეტური ღვაწლიც და მარადიული სიხარულის მომტანი[33] მოუკლებელი ლოცვითი მდგომარეობაც:

მოუკლებელი ლოცვაჲ, წყურილი და შიმშილი მარადის, და უძილობაჲ, ზედგომაჲ და მუხლთა მოდრეკაჲ ფრიადი აქვნდა ნეტარსა მას... ხოლო ჟამისწირვაჲ არაოდეს დააცადის (არასოდეს შეაჩერებდა) თვინიერ მიზეზისა და უძლურებისა.[34] – რაც შეეხება იესუს ლოცვას, იგი საკვების მიღების დროსაც კი არ წყდებოდა [35] – განჰმზადა ტაბლაჲ... აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად მარადის მეტყველთა სულის საზრდელსა მას

---

[31] *Лосский В. Очерк мистического богословия восточной церкви. Стр. 429. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра, 2010.*

[32] *„ისიქია არის უფლის ძებნა გულში, ანუ გონებამ ყურადღება გულის ლოცვას უნდა მიაპყროს და მუდმივად იქ დარჩეს“. იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 107. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020*

[33] *შდრ.: „მარადის გიხაროდენ“ (1თეს. 5,16)*

[34] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 37, გვ. 118. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[35] *„თუ გონებას განუწყვეტლივ ასწავლი, არ განგშორდეს, მაშინ ტრაპეზის დროსაც შენთან იქნება. თუ ხეტიალს დააჩვევ, არასდროს მოვა შენთან“. იოანე სინელი. „კლემაქსი ანუ კიბე“. თავი 28, გვ. 295. ტატიანა ცომაიას ნათარგმნი. თბილისი, ახალი ევერონი. 2014.*

სიტყვასა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ“. და... ღმერთი იყო შორის წმიდათა მათ, სიხარული დაუსრულებელი და კეთილი მოუკლებელი.[36]

მოუკლებელ ლოცვით მდგომარეობაში, გონებით გულში იესუ ქრისტესთან ერთად მუდმივი მყოფობა იგულისხმება და იმ დამწყებთ, რომელთაც სიტყვიერი ლოცვის პერიოდი უკვე განვლეს, წმინდა მამები ლოცვის სიტყვებზე სუნთქვის მიბმას ურჩევენ.[37] წმინდა გრიგოლ პალამა აღნიშნავს, რომ არცერთი გონიერი კაცი არ დაუშლის დამწყებ მოღვაწეს ნებისმიერი იმ ხერხის გამოყენებას, რომელიც გულიდან მუდამ გამქცევ გონებას გულშივე დააბრუნებს და იქ, რაც შეიძლება დიდხანს გააჩერებინებს. მამები ურჩევენ, ყურადღებით გააყოლონ გონება ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას, შეაკავონ

---

[36] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ბანძთელისა. თავი 6, გვ. 24-26. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[37] *„ნეოპლტონური დუალიზმის ცდუნების მიუხედავად, ბიზანტიის მონასტრული სულიერი ცხოვრების ტრადიციაში გაბატონებული იყო ბიბლიური წარმოდგენა ადამიანზე, როგორც განუყოფელ ფსიქოსომატურ ერთობაზე! ადამიანში ყველა ფსიქიური აქტივობა თავის შესაბამის სომატურ გამოხატულებას ჰპოვებს. სხეული უხილავად, თუმცა რეალურად, მონაწილეობს სულის ყველა მოძრაობაში – იქნება ეს გრძნობა, აბსტრაქტული აზრი, ნებელობა თუ თვით ტრანსცენდენტურთან კავშირის გამოცდილება... ფსიქო-ფიზიოლოგიური მეთოდი ერთ-ერთი საშუალებათაგანია ყურადღებისა და გულის სიფხიზლის მისაღწევად... ქრისტეანი ბერებისათვის სუნთქვასთან დაკავშირებული ლოცვა... განუყოფელია საკრამენტული მისტიკისა და მადლის ღმრთისმეტყველებასთან... პალამამ ყველანაირი გრძნობადი გამოცდილებისაგან დამოუკიდებელი, ზებუნებრივი, მაგრამ რეალისტური ღმრთის შემეცნების დოქტრინა განავითარა; ეს ცოდნა ქრისტეში მიეცემა ერთიან ადამიანს – ამაში მონაწილეობს სულიც და ხორციც – რომელსაც შეუძლია აქედანვე გაუგოს გემო მომავალ განღმრთობას და ღმერთიც იხილოს; ოღონდ ამას თავისი ძალებით კი ვერ შეძლებს, არამედ სულიწმინდის შეწევნით; ამ კონტექსტში ისიქაზმის მოძღვარი ლოცვის ფსიქოფიზიკურ ფორმასაც ამართლებს და ვარლაამის ანთროპოლოგიის ნეოპლტონურ სპირიტუალიზმს უპირისპირებს ადამიანის ბიბლიურ ხედვას, რომლის თანახმად, სხეული სულის საპყრობილე კი არაა, არამედ თვითონაც ეზიარება საკრამენტალურ მადლს და საბოლოო აღდგომის საწინდარს. სხეულიც რატომ არ უნდა იღებდეს მონაწილეობას წმინდა ლოცვაში?“. იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 39-40, 69. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020.*

კიდევაც სუნთქვა, რომ როგორმე გონება იესუ ქრისტეს სახელთან ერთად გულში დააყოვნონ. და ადამიანს ეს სჭირდება მანამ, სანამ ღმრთის მიერ მაღალ საფეხურს არ მიაღწევს და გონებას გაუბნეველსა და შეურყვნელს არ გახდის.[38]



ისიქასტურ პრაქტიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სრულ სიბნელეში ლოცვას (რაც ასკეზის ერთ-ერთი სახეა), რამეთუ

[38] *წმინდა გრიგოლ პალამა. ტრიადები საღმრთოდ მდუმარეთა დასაცავად. გვ.57-58. (იღუმენ რაფაელ ხელაშვილის თარგმანი). გურჯაანი: გურჯაანის ყოვლადწმიდის მონასტერი. 2014*

სიბნელე სიჩუმესთან ერთად იდეალურ პირობებს[39] უქმნის მოღვაწეს გონებით გულში ყურადღებით მყოფობისათვის:

> ღმრთაებრივი, გონიერი ნათელი ხორციელ თვალთათვის უხილავია. იგი (უმეტესად – თ. გ.) როგორც გონების მხედველი ძალა, სიბნელეში ვლინდება. ხოლო დღის სინათლეზე და ხორციელი მსედველობით – არა... ღმრთაებრივი ნათელი არამატერიალური, უხილავი (ხორციელ თვალთათვის – თ. გ.), უფერო, მხიარული და მშვიდობისმყოფელია. მასში ადამიანი საგანთა არსს სწვდება, ზემიწიერ რეალობაში მყოფი გონიერი ჰაერით სუნთქავს; და შორიდან ხედავს რა მიღმიერ რეალობას, ძლიერი სურვილით ანთებული, დაუოკებელად მანამ ისწრაფვის მისკენ, სანამ ნეტარ უვნებობას არ მიაღწევს და სანამ ჩვენი შემყვარებელი იესუს სიყვარულში სრულად არ შთაინთქმება.[40]

ამგვარად ლოცულობდნენ როგორც ძველი, ისე თანამედროვე ისიქასტები:

> ჩვენ, ყველას, საკუთარ სენაკებში, სიბნელეში განმარტოებით ჩაკეტილი, გვქონდა მხოლოდ სკვნილი და მუხლთდრეკა, მუხლთდრეკა და სკვნილი, მეტი არაფერი... თითოეული ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო საკუთარ

---

[39] *„გონიერი ლოცვის აღსრულებისათვის საუკეთესო გარე ფაქტორი და პირობა უპირველეს ყოვლისა სიბნელე და მყუდროებაა". Архмандрит Софроний Сахаров. Преподобный старец Силуан афонский. Стр. 172. «Локид-пресс» Москва 2007.*

უნდა აღინიშნოს, რომ ბნელში გონიერი ლოცვის პრაქტიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში პირველად „შუშანიკის წამებაში" უნდა დასტურდებოდეს: დიდ მარხვაში, როცა წმინდა შუშანიკმა ეკლესიის მახლობლად „იძია მცირეი სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირეი სარკუმელი და დაყო იგი. და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით" (http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=19&t=999 20.10.2020). მოცემულ მონაკვეთში აღწერილია, რომ დედოფალმა პატარა ოთახში სინათლის შემოსასვლელი ერთადერთი წყარო – პატარა სარკმელი/ფანჯარა ამოგმანა/ამოქოლა და დააბნელა სივრცე, რომელშიც აღდგომის მარხვაში სულიერად იღვაწა. ეტიმოლოგიურად, როგორც ჩანს, დაყუდებას (გაჩერებასა) და დაყოფას (ამოქოლვას) საერთო ძირი ყუდ/ყოფ უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, ქართულ ენაში ტერმინ ისიხაზმის/ისიქაზმის შემოსვლამდე სწორედ დაყუდებით გამოხატებოდა ბნელ სივრცეში გონიერი ლოცვითი პრაქტიკა.

[40] *Исихаст Иосиф (Старец). Полное собрание творений. стр. 391. Москва: Актырский Свято-Троицкий монастырь. 2015*

სენაკში განმარტოებით მყოფი, მრავალი საათის განმავლობაში, სინათლის გარეშე, გონიერი ლოცვის მდგომარეობაში... ჩვენი განაწესის მიხედვით, მღვიძარება მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.[41]

გარეგანი, მატერიალური, უხეში სინათლის მოკლება ძალზე ეხმარება მოღვაწეს, მოიძიოს შინაგანი, საღმრთო, თავისი ბუნებით ფაქიზი[42] ნათელი, რომელიც ღმრთის განკაცების საიდუმლოების გამო, ყველა მორწმუნე ქრისტეანის ბნელ (პირველმშობელთა ცოდვით დაცემულობის გამო) გულში ანთია, როგორც სანთელი: „ეკრძალნეთ, თუ ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა." (2 პეტრ. 1,19). ბრწყინვალედ განგვიმარტავს წმინდა წერილის ამ ადგილს წმინდა გრიგოლ პალამა:

რომელი დღის სინათლე? რა თქმა უნდა, თაბორს ზედა გამობრწყინვებული. რომელი ცისკრის ვარსკვლავი (მთიები)? რა თქმა უნდა, რომელმაც პეტრე, იაკობთან და იოანესთან ერთად განანათლა. და სად უნდა აღმობრწყინდეს? ჩვენს გულებში. განა გასაგები არაა, რომ ეს ნათელი ანთია ახლა მართალთა და სრულყოფილთა გულებში?... ნათელი ცისკრის ვარსკვლავისა, ანუ მზისა.[43]

ლოცვის ისიქასტური პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს მოღვაწეს, მოიძიოს საკუთარ თავში ეს ფაქიზი ნათელი, რომელიც ახალი ადამიანის დაბადებით (ნათლობის საიდუმლოებით) შემოვიდა ჩვენში.[44]

---

[41] *Философски Ефрем (Старец). Моя жизнь со старцем Иосифом. Стр.50-51. Москва: Ахтирски Свято-Троицки монастир. 2012*

[42] *შდრ.: „...ჴმაჲ წულილისა ნიავისა. და მას შინა უფალი..." (3 მეფ. 19,13).*

[43] *იხ. Григорий Палама святитель https://ekzeget.ru/bible/lk/NaN/tolkovatel-grigorij-palama-svatitel – 23.08.2019.*

[44] *„ქრისტეანი მისტიკოსი ახალ ცხოვრებას ქრისტეში ეძებს... მან იცის, რომ ნათლობის და ევქარისტიის მადლმა მას უკვე მიანიჭა ეს ცხოვრება და მას საკუთარ თავში ეძებს. ამის გამო იყო, რომ XIV საუკუნის ისიქასტური მოძრაობა არ გადაგვარებულა ინდივიდუალისტურ და სუბიექტურ მისტიციზმში, არამედ ეკლესიური საკრამენტალური ცხოვრების განახლებას მისცა ბიძგი. თავად პალამა ნათლობისა და ევქარისტიაზე საუბრისას ამტკიცებს, რომ ეს ორი საიდუმლოება მთელს ჩვენს ცხონებას განსაზღვრავს, რადგან მათშია მოქცეული ღმერთ-კაცის გამომხსნელობითი იკონომია". იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 74-75.*

სრულ სიბნელეში აღვლენილი გონიერი ლოცვა ქრისტეში გარდაცვალების[45] მომზადებისათვის საუკეთესო საშუალებაა. სიბნელეში აღსრულებული მრავალსაათიანი გონიერი ლოცვის პრატიკა ხორციელად ამსოფლიდან გასვლის, ანუ სიკვდილის მოდელირებაა. გარდაცვალებისას სული ხომ ღმრთისკენ სწორედ იმანენტური,[46] ანუ შინაგანი, იგივე, გულისმიერი (გონიერი ლოცვით) გზით მიდის და არა ტრანსცენდენტული მცდელობებით? რამეთუ ასეთია ღმრთის ძიების, მასთან პიროვნული შეხვედრის მართლმადიდებლური პრაქტიკა. ამგვარად მლოცველისათვის სივრცისა და დროის აღქმის მინიმალიზაცია ხდება, რამეთუ სრულ სიბნელეში იმყოფება და არ ფიქრობს დროზე (ლოცვის დასრულებას მრავალი საათის შემდგომ მაღვიძარა შეატყობინებს); მის სხეულს ფუნქცია „აღარ“ აქვს, რამეთუ ცნობიერებით (ყურადღებით) ერთ წერტილში, გულში (მის ზედა ნაწილში) იმყოფება; ებრძვის და განდევნის ყოველ შემოსულ აზრს (ანუ ტვინის ფუნქციაც „აღარ“ აქვს). ანუ, აზრი ლოცვის სიტყვებში, ხოლო ყურადღება გულში აქვს გამოკეტილი; შესაბამისად, ამსოფლიდან გასვლის, ხორციელი სიკვდილის მდგომარეობაში მყოფობს და ცდილობს იესუს უწმინდესი სახელის მოხმობით პიროვნულად მხოლოდ მასთან იყოს; ანუ ხელოვნურად იმყოფება გამორთული ამ სამყაროდან, როგორც ეს სიკვდილის ჟამს მოხდება; ხოლო პიროვნულად ცდილობს, მხოლოდ ქრისტესთან იყოს (მაძიებლობით, სინანულითა და სიხარულით), როგორც ეს სასურველია, რომ გარდაცვალებისას მოხდეს.[47]

თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020

[45] *შდრ.: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“ (იოან. 5,24).*

[46] *იმანენტურობა (ლათ. Immanere – რაიმეში მყოფობა), ტრანსცენდენტულობის, ანუ ღმრთის სამყაროს მიღმიური არსებობის საწინააღმდეგოდ, ღმერთის სამყაროში ყველგან მყოფობას აღნიშნავს. (издателство П. П. Сойкина. Полный православный богословский – энциклопедический словарь. Том. 1. https://azbyka.ru/otechnik/Spravochniki/polnyj-pravoslavnyj-bogoslovskij-entsiklopedicheskij-slovar-tom-1/2044 27.08.2020); მისტიკა – ღმერთი იმანენტური, ანუ შიგნით მყოფი (იგულისხმება ადამიანში თ. გ.) (ХардингДутлас. Религии мира. Бог трансцендентный и бог Имманентный. https://religion.wikireading.ru/136813 27.08.2020)*

[47] *«კარგად განსაჯეთ და გამოიკვლიეთ, არის თუ არა თქვენში ქრისტე,*

გონიერი ლოცვის, როგორც ცოცხალი ღმერთის თავგანწირული ძიების, მასთან ერთობის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ ცოდნასა და შესაბამის მაგალითებს ძველი აღთქმის წიგნებშიც ვხვდებით. მაგალითად: „უკუეთუ შევიდე მე საყოფელსა სახლისა ჩემისასა, ანუ თუ აღვჴდე სარეცელსა ცხედრისა ჩემისასა, ანუ თუ ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა ჩემთა და გასუენებაჲ ჴორცთა ჩემთა, ვიდრემდის ვპოო მე ადგილი უფლისაჲ და საყოფელი ღმრთისა იაკობისი“ (ფს.131,3-5); ასევე – „ელია კი ქარმელის მთაზე ავიდა, მიწაზე დაწვა და სახე მუხლებს შორის მოიქცია“ (3 მეფ. 18,42); „რადგან ეს მცნება, რომელსაც დღეს გიცხადებ, არ არის შენთვის შეუძლებელი და მიუწვდომელი. არ არის ცაში იგი, რომ ითქვას: ვინ ჩამოგვიტანს მას ციდან და შეგვასმენს, რომ შევასრულოთ? არც ზღვის გაღმაა იგი, რომ ითქვას: ვინ გამოგვიტანს მას ზღვის გაღმიდან და შეგვასმენს, რომ შევასრულოთ? რადგან ძალზე ახლოს არის შენთან ეს სიტყვა, შენს ბაგეზეა, შენს გულშია იგი და შეასრულე!“ (რჯლ. 30,11-14). მსგავსი მაგალითი ძალზე ბევრია.

როგორც გიორგი მერჩულის ნაწარმოებში ვხედავთ, ლოცვისა და ცხოვრების ისიქასტური პრაქტიკა VIII საუკუნის საქართველოში უცხო არ იყო:[48] „სენაკებსა მათსა საკვამი არა აქვნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა. და არცა ღამე სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის;“[49] „რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თვისსა

რათა საკუთარი თავის მაცდუნებელნი არ აღმოჩნდეთ; არ გეგონოთ, რომ ქრისტე თქვენშია, მაშინ როდესაც იგი არაა თქვენში; რომ ამ ქვეყნიდან, არ იქნება რა თქვენში ქრისტე დამკვიდრებული, ცარიელნი არ გახვიდეთ; რომ არ გაიგონოთ საშინელი სიტყვები უფლისა: წაართვით მას, რაც ჰგონია, რომ აქვს და მიეცით მას, ვისაც მეტი აქვს. მაშ, ნუ იქნება, ისე გარდავიცვალოთ, რომ ღირსნი არ გავხდეთ უფლის ხილვისა ამ სოფელშივე, ხოლო გარდაცვალებისას, დაე, ჩვენში იმყოფებოდეს იგი, რათა ზესთა სოფელში, მის სასუფეველში, მასთან ერთად ვმკვიდრობდეთ და ვიხარებდეთ, ამინ“ (Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. Слово третье. Стр. 60-61. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006).

[48] აღსანიშნავია, რომ ამგვარი ლოცვის პრაქტიკა ერის ცხოვრებისთვისაც არ იყო უცხო და ამასთან – საუკუნეების შემდგომაც. მაგალითად, აკაკი წერეთლის ნაწარმოებ „ბაში-აჩუკის“ დასაწყისში კარგად ჩანს მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველთა დამოკიდებულება იესუს ლოცვისადმი: აივანზე მყოფი თავადი, ზაალ ერისთავი და მისი მეუღლე სკვნილზე ლოცულობენ.

[49] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 18, გვ. 62. (ძვე-

მას საყუდელსა სენაკსა. და სენაკსა მას შინა ცეცხლი არაოდეს აღგზებულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო, და არცა სხვათა ძმათასა...“[50] დამოწმებული ციტატები ნათლად აჩვენებს, როგორ ხაზგასმულია ღამით მონაზონთა სენაკებში სრულ სიბნელეში („არცა სანთელი“; „არცა კანდელი“) განმარტოებით ყოფნის აუცილებლობა და ვალდებულება. საერთოდ, ღამით ლოცვის სავალდებულო და საყოველთაო პრაქტიკას ლიტურგიკური ტექსტებიც გვამცნობენ: „მოიხსენე უფალო რომელნი იღვიძებენ და გალობენ სადიდებელად შენდა, და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა, და სულისა წმიდისა შენისა...“; „მოიხსენე უფალო ღამით შენდა მღაღადებელნი და შეისმინე მათი...“[51]

აღსანიშნავია, რომ ღამით ლოცვის მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე თანამედროვე მოღვაწენიც გვესაუბრებიან.

> მღვიძარების და ლოცვის მიერ დიადი სასწაულები აღესრულება, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარ თავში სხვა სამყაროს, ნამდვილ სამოთხეს აღმოაჩენს. მაგრამ ერთი პირობით - თუ იგი ღამე ლოცულობს. ღამის საათებში აღვლენილი ლოცვების გარეშე სულიერი ცხოვრების სიტკბოებაში წვდომა, სულიერ საგანთა შემეცნება და სულიერი გამოცდილების მოხვეჭა, საერთოდ, ღმრთისგან რაიმეს მიღება, შეუძლებელია. ხოლო ღმრთისგან სულიერი ნუგეშის გარეშე დარჩენილი ადამიანი, იძულებული იქმნება გარეგანი მოღვაწეობით და საკუთარი შეხედულებების ტირაჟირებით დაკმაყოფილდეს... რატომ ანიჭებს ეკლესია ასეთ დიდი მნიშვნელობას ღამე აღვლენილ ლოცვას? იმიტომ რომ ამის გარეშე დღეც უძლურებაში (სულიერ - თ. გ.) გაივლის... ღამის დაკარგვის (ლოცვისთვის თ. გ.) შემთხვევაში, მთელ ცხოვრებას ვკარგავთ. რაზეც ჩვენი ყოფიერების უსახური და საზრისის არმქონე, რღვევისკენ მიმართული ყოველდღიურობა მიგვანიშნებს... წამოდექი ღამე, აღავლინე ლოცვა ღმრთის წინაშე, რათა „დანახულ იყო“ მის მიერ.[52]

ლი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.

[50] მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 50, გვ. 148. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014.

[51] სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია. ცისკრის საიდუმლო ლოცვები

[52] Эмилиан (Вафидис), Архимандрит. Слово о трезвении. Александроневский Ново-Тихвинский женский монастырь. 2020 г. ст. 150, 155, 159



გონიერი ლოცვის ისიქასტური პრაქტიკა დღესაც არსებობს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ისიქაზმი თავად არის მართლმადიდებელი ეკლესიის უნიკალურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება:[53]

---

[53] *„აღმოსავლეთის ეკლესიის წიაღში ისიქასტური ტრადიციის პერმანენტული არსებობა გამოწვეულია არა რომელიმე კონკრეტული სულიერი სკოლის აბსოლუტიზაციით, არამედ აბსოლუტური ერთგულებით იმისადმი, რაც ერთადერთი აუცილებელია („აქა ერთისაი არს სახმარ“- ლუკ. 10,41) ქრისტეანული ცხოვრებისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია იესუს ლოცვა მართლმადიდებლური სულიერების გამოვლინებად მივიჩნიოთ“. იოანე მეინდორფი. წმინდა გრიგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 123-124. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020; შდრ.*

ისიქაზმი ქრისტეანული ცხოვრების ჭეშმარიტი სახეა... იგი ქრისტეანობის პირველი საუკუნეებიდან არსებობს და მასზე ადრეული საუკუნეებიდან წერდნენ წმინდა მამები [...]. ისიქაზმის ჭეშმარიტება დოგმატურად დადასტურდა 1341, 1346 და 1351 წწ-ის, კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებებზე, წმინდა გროგოლ პალამას დროს, მისივე დიდი მეცადინეობით [...] და ამიტომ ისიქაზმის მოწინააღმდეგე, მართლმადიდებლური ტრადიციის წიაღში არ იმყოფება და შესაბამისად, განრიდებულიცაა მართლმადიდებლურ ცხოვრებას.[54]

მიტროპოლიტი იეროთეოსი კიდევ ერთ საინტერესო შენიშვნას აკეთებს:

ვამჩნევთ, რომ მართლმადიდებელი ქრისტეანები ორ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფში შემავალებს სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ვარლაამიტები (ვარლაამ კალაბრიელი. წმინდა გრიგოლ პალამას იდეური მოწინააღმდეგე მონაზვნურ პრაქტიკასთან დაკავშირებით. თ. გ.); რამეთუ ისინი ღმრთის შემეცნებაში უპირატესობას ადამიანურ ინტელექტს, განსჯისა და ლოგიკურ უნარს ანიჭებენ. მეორე ჯგუფში შემავალი ადამიანები კი, მსგავსად წმინდა გრიგოლ პალამასი, სულიერ ცხოვრებაში ცენტრალურ და ძირითად ადგილს გულს (ამ სიტყვის დიდი, ბიბლიური და წმინდა მამებისეული გაგებით) აკუთვნებენ. ორივე ეს ჯგუფი ეკლესიის წიაღშია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკლესიამ, შერაცხა რა წმინდანად გრიგოლ პალამა, თავისი კრებსითი ხმით უპირატესობა მეორე ჯგუფს მიანიჭა.[55]

წმინდა გრიგოლ პალამა კითხვაზე, მიჰყავს თუ არა თეორიულ

„იესუს ლოცვა, ანგელოზთმთავართა და სრულყოფილი ლოცვაა. მისით ლოცულობდნენ წმინდანები და იგი ჩვენი გულის ღაღადისსა და ყოველ განვრცობილ საეკლესიო ლოცვას მოიცავს. იესუს ლოცვა ქრისტეს სხეულის, ეკლესიის, მაჯისცემაა. ამ ლოცვას ჩვენი ვედრება, ზეციური მამის ყურთასმენამდე მიაქვს, ღმერთი მიწაზე ჩამოჰყავს და ქვეყანას ზეცად გარდაქმნის". (Эмилиан (Вафидис) Архимандрит. Благоданый путь. Толкование на житие преподобного Нила Калабрийского. Гл. 4, стр. 263. Александро-невский Ново-Тихвинский женский монастырь. Екатеринбург. 2018).

[54] *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ.336-339. თბილისი: „ახალი ივერონი". 2008*

[55] *Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Стр. 13-14. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011.*

მეცნიერებას ადამიანი ღმრთის შემეცნებამდე, პასუხობს:

> ნუთუ არაა გასაგები, რომ ნათელი, რომელიც მართალთა და სრულყოფილთა გულში ანთია, უსაზღვროდ აღემატება ცოდნის (თეორიული ცოდნის) ნათელს? და არა მხოლოდ წარმართული დისციპლინებიდან მიღებულს, რომლებიც ან სიცრუეა ან სიცრუესთან ნაზავი, არამედ საღმრთო წიგნებიდან მიღებულ ნათელსაც (თეორიული ცოდნისა, რამეთუ საღმრთო წიგნებიდა მიღებული ცოდნა თავისთავად ნათელია მართალი სარწმუნოებისა, მაგრამ სულიერი პრაქტიკის გარეშე მაცხოვნებელი არაა. – თ. გ.), რომელიც ისე ჩამორჩება მართალთა და სრულყოფილთა გულში აღნთებულ საღმრთო ნათელს, როგორც კელაპტრის სინათლე – მზისას.[56]

უაღრესად საინტერესოა და ჩვენთვის სამაგალითო XX ს-ის უდიდესი ათონელი მოღვაწის, წმინდა იოსებ ისიქასტის, ძმობის ცხოვრება, რომელიც ბევრ თანამედროვეს და მათ შორის მის სულიერ შვილს, არქიმანდრიტ ეფრემ ფილოთეველს აქვს აღწერილი. თავად ეფრემი სიცოცხლის ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკაში მოღვაწეობდა, სადაც მან 18 მონასტერი დააარსა.[57] წმინდა იოსებ ისიქასტს ამგვარად ახასიათებენ, რომ იგი სულიერი მემკვიდრეა წმინდა გრიგოლ პალამასი, რამეთუ ისიქაზმის აღორძინებას შეუწყო ხელი; და ასევე

---

[56] *Григорий Палама святитель https://ekzeget.ru/bible/lk/NaN/tolkovatel-grigorij-palama-svatitel 23.08.2019; შდრ.: „რატომ არ თქვა უფალმა: თუ გსურს იყო სრული, დაკავდი ფილოსოფიით, ეცადე, შეისწავლო მეცნიერებანი, დააგროვე ცოდნა არსებულისა, არამედ თქვა: „გაყიდე მამული, დაურიგე გლახაკთ, აიღე ჯვარი და გადაწყვიტე შემომიდგე მე“? (წმინდა გრიგოლ პალამა. ტრიადები საღმრთოდ მდუმარეთა დასაცავად. ტრ. 1,1. გვ.7,15. (იღუმენ რაფაელ ხელაშვილის თარგმანი). გურჯაანი: გურჯაანის ყოვლადწმიდის მონასტერი. 2014).*

[57] *ამ ეტაპისთვის წმ. იოსებ ისიქასტის ძმობის და მისი სულიერი სკოლის აღზრდილთა მიერ დაარსებულია შემდეგი მონასტრები: ათონის წმინდა მთაზე: 6 მონასტერი, წმ. ანას სკიტი და უამრავი განცალკევებული კელია; საბერძნეთის დანარჩენ ტერიტორიაზე: 18 მონასტერი; კვიპროსზე: 6; ამერიკის შეერთებულ შტატებში: 16; კანადაში: 2; იტალიაში: 1. ამ მონასტრებში დაახლოებით 1000 მონაზონი მოღვაწეობს და მათი რიცხვი კვლავ იზრდება. ამის გარდა, არაერთი საერო ტაძარი, რომლებიც დიდი იოსების სკოლის გამგრძელებლები არიან საერო ცხოვრებაში. ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი რაოდენობა კიდევ გაიზრდება.*

მემკვიდრეა წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელისა, რამეთუ ხელი შეუწყო ევქარისტიული ცხოვრების აღორძინებასაც.[58] ეს ყველაფერი ჯერ ათონის მთაზე განხორციელდა, ხოლო შემდგომ – საბერძნეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. ანუ წმინდა იოსებ ისიქასტის სკოლის უმთავრესი მახასიათებელი ინტენსიური ევქარისტიული ცხოვრება და ყველასთვის[59] (ერისკაცთათვისაც – თ. გ.) სავალდებულო



იოსებ ისიქასტი

[58] *Преподобный Никодим святогорец, Святитель Макарий коринфский. Книга душеполезнейшая о непрестанном причащении святых Христовых таин. Москва: Ахтырский Свято-Троицкий монастыр. 2014,*

[59] *„XIV საუკუნის ისიქაზმი არ იყო მხოლოდ ინდივიდუალური მისტიკური მოძრაობა, არამედ პატრისტიკულ ტრადიციაზე დაფუძნებული სულიერი აღორძინება. ათანასეს (პატრიარქი XIII ს.) და თეოლეპტეს (ფილადელფიის მიტროპოლიტი XIII ს.) მსგავსმა ადამიანებმა იესუს ლოცვის ქრისტოცენტრული მისტიკა მთელს ეკლესიაზე გაავრცელეს. პალამას შრომებში კი ამ ყველაფერმა საღმრთისმეტყველო გააზრება შეიძინა“. იოანე მეინდორფი. წმინდა*

გონიერი ლოცვის პრაქტიკაა.[60] არქიმანდრიტი ეფრემი მონაზონ იოსებ ისიქასტსა და მის მიერ ჩამოყალიბებულ საძმოსთან გატარებულ წლებს იხსენებს და აღნიშნავს, რომ საძმოში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ იესუს ლოცვა იყო: „ჩვენთვის იესუს ლოცვა უმთავრესი სათნოება და ცხოვრების საზრისი იყო.“[61] იესუს



მიტროპოლიტი ათანასე(ლიმასოლელი)

ლოცვისადმი დამოკიდებულება იყო უმთავრესი კრიტერიუმი წმინდა იოსებ ისიქასტის ძმობაში შესვლისა: „როდესაც რომელიმე ძმა ჩვენს საძმოს შეუერთდებოდა, ჩვენი მოძღვრის პირველი დარიგება და მოთხოვნა მდუმარების სათნოებაში ვარჯიში და

გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 41. თ. გუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020

[60] *Митрополит Афанасий Лимасолский. Откритое сердце Церкви. Стр. 22. Сретенхкий монастыр. 2016. Г.*

[61] *Старецц Ефрем Филофеиски. Моя жизнь со старцем Иосифом. Ст. 135. Москва. Ахтирски Свято-Троицки монастир, 2012 г.*

იესუს ლოცვაში თავის იძულება იყო."[62] მამა იოსებისთვის ლოცვა იყო სწორედ ის სათნოება, რომელზეც ყველა სხვა სათნოება უნდა აღორძინებულიყო საძმოში: „მოძღვარი მეუბნებოდა:

> როდესაც მორჩილს აიყვან, ლოცვის გარდა, ნურაფერს ასწავლი. ლოცვა მას კეთილკრძალულებას, ღმრთისაკენ სწრაფვას, ყურადღების მოხვეჭას, სინანულსა და მორჩილებასაც ასწავლის. ყოველივე ამას ლოცვა იძლევა. მოძღვრის მთელი მეცნიერება და მეცადინეობა ის იყო, რომ ქრისტეს სახელით გვესუნთქა, ჩაგვესუნთქა და ამოგვესუნთქა იგი; რომ საათები გაგვეტარებინა მღვიძარებაში, რომლის დროსაც გონებით გულში მყოფთ უნდა გვესუნთქა იესუს ლოცვით: უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე.[63]

არქიმანდრიტ ეფრემის მიერ ნახსენებ იესუს ლოცვით სუნთქვასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა XIV საუკუნის დიდი მისტიკოსის, წმინდა ნიკოლოზ კავასილას (სხვათა შორის, ერისკაცის), სიტყვები:

> ქრისტე იმავე გზებით აღწევს ჩვენს სულში, რომლებითაც ჰაერს და საკვებს ვიღებთ და სხეულის სიცოცხლეს ვინარჩუნებთ. სწორედ მათი საშუალებით შემოდის ჩვენში უფალი და ორივე შემოსასვლელს თავისად ხდის. ერთს, როგორც მირონი და კეთილსურნელება ეხება, ხოლო მეორეს, როგორც საკვები. რამეთუ ჩვენ ვისუნთქავთ მას და იგი საკვები ხდება ჩვენთვის, და ამგვარად ყოვლითურთ ამკვიდრებს საკუთარ თავს ჩვენში, გვიერთებს და საკუთარ სხეულად გვაქცევს ჩვენ.[64]

და ამგვარად არაერთი წმინდა მამა გვმოძღვრავს:

> მონაზონს ღმრთის ხსოვნა სუნთქვის მაგივრად უნდა ეპყრას; ან როგორც ერთი მონაზონი ამბობს: „ღმრთისადმი სიყვარული სუნთქვას უნდა უსწრებდეს"; წმინდა იოანე კიბისაღმწერელიც ბრძანებს, რომ „იესოს ლოცვა სუნთქვას უნდა შეუერთდეს და მაშინ შეიმეცნებ მდუმარების სიკეთეს"; პავლე მოციქულიც გვარწმუნებს, რომ თვითონ კი აღარ ცოცხლობს, არამედ ქრისტე ცოცხლობს მასში (გალ. 2,20). ასევე უფალიც ბრძანებს, რომ

---

[62] *Старецц Ефрем Филофенски. Моя жизнь со старцем Иосифом. Ст. 127. Москва. Ахтирски Свято-Троицки монастир, 2012 г..*

[63] *Старецц Ефрем Филофенски. Моя жизнь со старцем Иосифом. Ст. 137. Москва. Ахтирски Свято-Троицки монастир, 2012 г.*

[64] *იხ. св. Николай Кавасила Семь слов о жизни во Христе. слова 1. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj-Kavasila/sem-slov-o-gizni-vo-hriste 09.01.2020*

„სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ“ (იოან. 3,8).[65]

წმინდა გრიგოლ ხანძთელის საძმოში გონიერი ლოცვის მოუკლებელი პრაქტიკის არსებობას მათი ტრაპეზის დროს მლოცველობაც ადასტურებს: „აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად მარადის მეტყველთა სულისა საზრდელსა მას სიტყვასა „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ.“[66] ამგვარ, ანუ ისიქასტური ცხოვრების წესს დიადი ნაყოფები გამოაქვს: „ჭეშმარიტი, გონიერი ლოცვის ნაყოფები ზებუნებრივია. ქსენოფოტამის (ათონის წმინდა მთა) ხელნაწერებში ვკითხულობთ: „როდესაც გულში გონიერ ლოცვას მოუკლებელად აღავლენ, მაშინ თვით ანგელოზები ხდებიან შენი ერთგული მეგობრები და შენი თანამოღვაწენი.“[67] ადამიანზე გონიერი ლოცვის ზემოქმედების შესახებ საგულისხმოა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის პოზიცია,

> როდესაც იგი ღმრთისა და ადამიანის ურთიერთკავშირზე საუბრობს; მაგალითად, როცა იგი ნებისა და ყნოსვის, სუნთქვისა და მრავალ ასკეტურ პრაქტიკას შორის არსებულ კავშირებს ეხება, ღირსი მამა სულიერი ცხოვრების მრავალ მხარეს და მათ შორის, გონიერი ლოცვის სრულ ანთროპოლოგიურ არგუმენტაციასა და დასაბუთებას იძლევა.[68]

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისათვის ღმერთთან ერთობა რაიმე დამატებითი, ზედნადები არაა, რამეთუ მხოლოდ ეს ერთობა ხდის ადამიანს ადამიანად. მხოლოდ ამის შედეგად რეალიზდება ადამიანი იმად, რაც უნდა იყოს, რისთვისაც და როგორცაა შექმნილი. წმინდა ნიკოლოზ კავასილა ამტკიცებს, რომ ადამიანი ქრისტეს მსგავსადაა შექმნილი. მართლაც, ქრისტე არის „პირმშოი ყოველთა დაბადებულთაი (ყველა ქმნილებაზე უწინარესი)“ (კოლ. 1,15) და ადამის პირველხატი და მიზანი. ადამიანის ბუნება ქრისტეს მსავსადაა შექმნილი, რათა ამ ბუნებისგან ღმერთსიტყვას საკუთარი თავისთვის განეკუთვნებინა დედა, რომლის მიერაც

---

[65] *იხ. Святой Григорий Синаит. Краткое рассуждение о безмолвии. 3. О дыхании. https://azbyka.ru/otechnik/Grigorij-Sinait/o-bezmolvii/ 11.03.2020.*

[66] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 6, გვ. 24. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[67] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва. Стр.3. «Отчии дом». 2004, Т.1*

[68] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.72,73. Москва . «Никея»-2011*

მოვიდოდა, როგორც ადამიანი, რათა ჭეშმარიტად გამხდარიყო ღმერთკაცი, ხოლო ადამიანი, ასევე ჭეშმარიტად, ოღონდ მადლის მიერ გამხდარიყო ღმერთკაცი.[69]

ადამიანში შემოქმედისაგან ჩადებული ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის უნარის დანახვა და გაცნობა, რასაც მართლმადიდებლური თეოლოგია გვთავაზობს, ადამიანს ჭეშმარიტად ქმნილების გვირგვინად, ტრანსცენდენტულ ყოფიერებაში მყოფობის უნარის მქონედ (ანუ, ამ სამყაროს დროისა, სივრცის და სხვა მატერიალური კანონებისაგან განთავისუფლებულ), ღმრთის მსგავს არსებად წარმოაჩენს. ადამიანის უძირითადესი განმასხვავებელი ნიშანი ღმრთის დანარჩენი ქმნილებისაგან არის არა ინტელექტი, ანუ „ჰომოსაპიენსობა“, არამედ მისი, ღმრთისგან მონიჭებული, სამყაროს მიღმიერ, ყოფიერების ცოცხალ საწყისთან – ღმერთთან კავშირის უნარი. ამიტომ ადამიანი, როგორც ღმრთის ხატი და მსგავსი არსება, არა მხოლოდ მოაზროვნე, არამედ თეოლოგიური, ანუ ტრანსცენდენტულ ღმერთთან კავშირის უნარის მქონე და ლიტურღიკული, ანუ ამ კავშირის პრაქტიკაში განხორციელების უნარის მქონე არსებაა. საილუსტრაციოდ XX საუკუნის თეოლოგ პანაიოტის ნელას ნაშრომიდან, „განღმრთობა“, რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ:

> ღმრთის სიტყვის განკაცების მნიშვნელობა მხოლოდ ადამის დაცემის შედეგებისგან განთავისუფლებითა და გამოსყიდვით არ ამოიწურება. უფალმა ადამიანი არა მხოლოდ ცოდვისგან, ეშმაკისა და სიკვდილისგან გამოისყიდა, არამედ ადამისაგან შეუსრულებელი დავალებაც განახორციელა – ადამიანის ღმერთთან ერთობა განახორციელა, ადამიანს ღმერთში ახალი ყოფიერება მიანიჭა და როგორც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი წმინდა წერილზე დაყრდნობით ამბობდა, იგი ახალ ქმნილებად აქცია... ქრისტე ადამიანისთვის უფრო მეტია, ვიდრე მკურნალი, ხოლო გადარჩენა, ცხონება გამოსყიდვაზე მეტია და განღმრთობას უტოლდება. განღმრთობის, ღმერთთან ერთობის ნამდვილი ანთროპოლოგიური მნიშვნელობა ქრისტესთან ერთობაა. არაა შემთხვევითი, რომ წმ. მოციქული, ეპისტოლეში, რომელშიც ქრისტეს განადიდებს, რომ „იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“ (კოლ. 1,15), მოუწოდებს

---

[69] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст.146,147. Москва . «Никея»-2011.*

და ასწავლის „ყოველსა კაცსა ყოვლითა სიბრძნითა, რაჲთა წარუდგინოთ ყოველი კაცი სრული ქრისტე იესუჲს მიერ“ (კოლ. 1,28) და ასევე გვახსენებს, რომ მართალნი „მას შინა აღსავსე“ (კოლ.2,10) არიან. როდესაც მოციქული მართალთ მოუწოდებს, რომ მიაღწიონ „ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფეს. 4,13), მოიხვეჭონ „გონებაჲ ქრისტესი“ (1კორ. 2,16) და გული ქრისტესი (ეფეს. 3,17) და ა. შ. იგი არა უბრალოდ ზნეობრივ და გარეგან კეთილმოწესეობით მსგავსებაზე საუბრობს, არამედ ონტოლოგიურ რეალობაზე. პავლე მოციქული ქრისტესთან ნამდვილ ერთობაზე საუბრობს და არა – ქრისტესადმი გრძნობისმიერი ერთობის შესაძლებლობაზე. [...] ხოლო ამის საფუძველია ის, განაგრძობს ღმრთისმეტყველი, რომ ღმერთი ადამიანისათვის არის არა გარეგანი „პრინციპი“, რომელზეც დამოკიდებულია, არამედ ის შინაგანი, რომლის მიხედვითაც ღმრთისაგანაა შექმნილი; ღმერთი ადამიანური არსების ონტოლოგიური საწყისიცაა და განსრულებაც. ადამიანი, როგორც ღმრთის ხატად ქმნილი, თეოლოგიურ პრინციპებზეა აგებული, და სრულ ადამიანად ყოფნისთვის იგი მუდამ ღმრთისკენ უნდა ისწრაფოდეს. ღმრთის უარყოფით იგი საკუთარ თავს უარყოფს და ანადგურებს. ღმრთისკენ სწრაფვის შემთხვევაში, იგი ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას, აღწევს მარადისობას, თავის ჭეშმარიტ ყოფიერებას პოულობს.[70]

ამგვარი მდგომარეობის საფუძველსა და სულიერ მიზეზებს, სულიერი ცხოვრების პრაქტიკაში გამოვლენილს, არქიმანდრიტ ეფრემის მოგონებაში ვხედავთ:

იყო შემთხვევები, როდესაც მრავალი საათი თავდახრილი, გონიერ ლოცვით მდგომარეობაში, გონებით სულიერ გულში, ღმრთის სუნთქვაში[71] მყოფი, ჰაერის კარგად ჩასუნთქვისათვის თავს წამოვწევდი, მაგრამ კვლავ უკან, შიგნით, საკუთარ თავში დაბრუნება მინდოდა; რა მეზიდებოდა შიგნით? სული, ღმრთის

---

[70] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Стр. 42-43; 47-48. Москва . «Никея»-2011*

[71] *შდრ.: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (დაბ. 2,7)*

მადლს დაგემოვნებული.[72] თითქოს მეუბნებოდა: „სხვას ნურაფერს ეძებ. აი, აქ არის განძი. ეძიე, რეკე!"[73] ეჰ! ჭეშმარიტად! როგორი განძი იყო![74]

გონიერი ლოცვის უმნიშვნელოვანესი ნაყოფი, რომელიც იმდენად დიადია, რომ ცოტანი თუ აღწევენ მას, ხელთუქმნელი, თაბორისეული ნათლის[75] ჭვრეტაა. ასეთ სულიერ სიმაღლეზე

---

[72] შდრ.: „წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდეს ცხორებად საუკუნოდ" (იოან. 4,14); „დადგა იესუ, ღაღად-ყო და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვიდინ ჩემდა და სუემდინ. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი" (იოან. 8,37-38); „უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი" (რომ. 8,9).

[73] შდრ.: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით, დაგანგებელოს თქუენ, რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოვოს; და რომელი ირეკდეს, განეღოს" (მათ. 7,7-8).

74 Философски Ефрем (Старец). Моя жизнь со старцем Иосифом. Стр. 127. Москва: Ахтирски Свято-Троицки монастир. 2012

[75] ცნება „თაბორისეული ხელთუქმნელი ნათელი" იმ სახარებისეული ეპიზოდიდან გამომდინარეობს, რომლის დროსაც განკაცებულმა ძე ღმერთმა სამი მოციქულის, პეტრეს, იაკობისა და იოანეს წინაშე ფერი იცვალა (მათ. 17,1-9). წმინდა გრიგოლ პალამა და მასთან ერთად მთელი ეკლესია ასწავლის, რომ ეს ნათელი ღმრთის ხელთუქმნელი ენერგიები იყო, რომლის აღქმა მხოლოდ ქმნილ გონიერ არსებას შეუძლია, თუ ამას თავად ღმერთი ინებებს და როგორც ამას ადამიანი დაიტევს. ადამიანის მიერ საღმრთო ენერგიების ხილვა ამ ადამიანის ღმერთში ცხოვრებას, ანუ განღმრთობას ნიშნავს: „წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა" (იოან. 20,17); „მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისათანა, რაჲთა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ" (იოან.14,3). სწორედ ესაა ქრისტეანული ცხოვრების მიზანი და არა ის ფსევდოქრისტეანობა, რომელსაც ხშირად სეკულარული თანამედროვეობა გვთავაზობს: „დასავლური ქრისტეანობის გავლენით, მართლმადიდებლობაში განღმრთობისკენ სწრაფვას ზნეობრივი სრულყოფილებისკენ, ანუ „ზნეობრივი განღმრთობისკენ" სწრაფვა ჩაენაცვლა, რომლის დროსაც ყურადღების ცენტრში ადამიანია და არა – ღმერთკაცი. ეს კი არაეკლესიური, არალიტურგიკული მდგომარეობაა და არ ითვალისწინებს, აღზარდოს განღმრთობილი ადამიანები. ეს მდგომარეობა და შესაბამისი ქმედებანი ადამიანის ზნეობრიობას ეფუძნება და არა – ღმრთის ხელთუქმნელ ენერგიებს; ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ეგოცენტრიზმიდან განთავისუფლებას, არ აძლევს ღმრთაებრივ მადლთან ურთიერთობის გამოცდილებას, არ ანიჭებს საღმრთო ტრფიალებას, ვერ ეხმარება გულწრფელ

მყოფი ადამიანები იშვიათია, მაგრამ ისინი ყოველ ეპოქაში იყვნენ და არიან. მაგალითად, თანამედროვე მოღვაწეთაგან ერთ-ერთი, რომელიც ხელთუქმნელი ნათლის ხილვას მიეახლა, წმინდა სილუან ათონელის მოწაფე, არქიმანდრიტი, წმინდა სოფრონ ესექსელია (სახაროვი). იგი გასული საუკუნის 90-ანი წლებში გარდაიცვალა და მას ათონის წმინდა მთაზე XX საუკუნის ხელთუქმნელი ნათლის ღმრთისმეტყველად, ახალ წმინდა გრიგოლ პალამად მოიხსენებენ.[76] ასეთი მოღვაწეების არსებობა ნიშნავს, რომ ეკლესია, როგორც ქრისტეს ორგანიზმი, ცოცხალია, მადლმოსილია და იგი მარად შობს წმინდანებს.


წმინდა გრიგოლ ხანძთელი სწორედ ამგვარი გამორჩეული წმინდანია, ჩვენთვის სანუგეშო, მისაბაძი და სამაგალითო:

> რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თვისსა მას საყუდელსა სენაკსა. და სენაკსა მას შინა ცეცხლი არაოდეს აღგზებულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო, და არცა სხვათა ძმათასა... და ვითარცა

ლოცვასა და ღმერთთან ურთიერთობაში. უმადლო „განღმრთობის“ სწავლების, დასავლეთ-ევროპული ჰუმანიზმის წარმომადგენელია ვარლაამი. ადამიანის განღმრთობის საზრისის, საერო სულით ვარლაამისეული ჩანაცვლების წინააღმდეგ იბრძოდა სწორედ ხელთუქმნელი ნათლის ღმრთისმეტყველი, წმ. გრიგოლ პალამა. ვარლაამი განდევნილი და მისი მოსაზრებანი დაგმობილ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, მაგრამ დღეს ვხედავთ, თუ როგორ ბრუნდება და იკიდებს ფეხს ვარლაამისეული ეს საცდური ჩვენს ეკლესიაში“. Архимандрит Георгий, игумен монастыря преподобного Григория. Православие и гуманизм. Православие и папизм. Стр. 24-25. Святой монастырь преподобного Григория. Св. Гора Афон, 1998, «Панагия» Пермь. 2005).

[76] „არქიმანდრიტ სოფრონის ღვაწლისა და საღმრთისმეტყველო გამოცდილების უმაღლესი აღიარების მოწმობა იყო 2007 წელს ათენის საერთაშორისო კონფერენციაა, სახელწოდებით „მამა სოფრონი – ხელთუქმნელი ნათლის ღმრთისმეტყველი“. კონფერენციაზე 40 მოხსენება იყო წარმოდგენილი. მომხსენებელთა შორის ცნობილი თეოლოგები, ეკლესიის იერარქები და საღმრთისმეტყველო ფაკულტეტების პროფესორები იყვნენ. კონფერენციას 2000-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მამა სოფრონის ღვაწლისა და გამოცდილების აღიარების დამოწმება არა მხოლოდ კონფერენციის მონაწილეთა, არამედ ადგილობრივ ეკლესიათა იერარქების წინაშეც მოხდა, რომელთაც წერილობით გამოხატეს თავიანთი პოზიცია. კონფერენციაზე წერილები გამოგზავნეს კონსტანტინეპოლის, მოსკოვის, ალექსანდრიის, სერბეთის და რუმინეთის პატრიარქებმა, ასევე – კვიპროსის და ათენის მთავარეპისკოპოსებმა.“ (Л.А. Ильюнина. Старец Софроний. Ученик преподобного Силуана Афонского, стр. 35. Санкт-Петербург «Искусство России» 2011г.).

მივიდა (მნათე), იხილა ბრწყინვალებაჲ, დიდძალი შინაჲთ გამო სენაკსა მას. მსწრაფლ მორბიოდა და ხმა-ყო, ვითარმედ: ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა! ჰრქუა მას დეკანოზმან: დუმენ, შვილო, და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწველი, გარნა სული ღმრთისაჲ განმანათლებელი. რამეთუ მრავალგზის ეხილვა დეკანოზსა მას ხილვაჲ იგი დიდებული. და-მიხოლოვიდა სენაკად (დეკანოზიც) და შთახედნა კედლისა ნაპრალსა და იხილა წმიდაჲ იგი ხელგანპყრობით და გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯვარისსახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზეჲ.[77]



[77] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 50, გვ.148-150.*

ხელთუქმნელი ნათლის ჰვრეტის ეს ნიმუში ქართულ ლიტერატურაში სრულადაა თანხმობასა და თანხვედრაში ქრისტეანულ ლიტერატურაში არსებულ მსგავს შემთხვევებთან, დაწყებული წმინდა წერილიდან (მათ. 17,1-7), გაგრძელებული ეკლესიის მთელი ისტორიით დღევანდელ დღემდე.[78]

გიორგი მერჩულის ნაწარმოებიდან დამოწმებული ეს პასაჟი ერთ საგულისხმო დეტალს შეიცავს: ტექსტი გადმოგვცემს, რომ წმინდანის სენაკის განმაბრწყინებელი ნათელი წმინდა გრიგოლის სხეულიდან, შიგნიდან ჯვრის სახედ, მზესავით იღვრებოდა. XIV საუკუნის დიდი ისიქასტი, ხელთუქმნელი ნათლის ღმრთისმეტყველი, წმინდა გრიგოლ პალამა წერს:

> ძე ღმრთისამ, არა მარტო შეაერთა ჩვენს ბუნებასთან – ო, უსაზღვროება საღმრთო კაცთმოყვარებისა – თავისი საღმრთო არსება, მიიღო რა სულიერი სხეული და გონიერი სული, არამედ – ო, სიუხვე საკვირველებისა! – ის ანივთებს თავის თავს თითოეულ მორწმუნესთან თავისი წმიდა სხეულის ზიარებით და ის ერთვის ყოველ კაცობრივ არსებას, ხდება ერთი სხეული ჩვენთან, და მთელი ღმრთაების ტაძრად გვხდის, რამეთუ ქრისტეს სხეულში „დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსება ღმრთეებისაი ხორციელად“ (კოლ. 2,9), ამიტომ, განა არ გაანათებს ის და არ

(ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014

შდრ. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, არქიმანდრიტი ემილიანე ვაფიდისი (–2019) წერს: „გონებამ ღმერთთან ერთად ცხოვრება უნდა ისწავლოს და ეს უნდა მოხდეს არა გარეთ, არამედ შიგნით... ამ განზომილებაში ადამიანი ალად ჩანს, ცეცხლოვანია მისი სული და მისი აღმასვლა. ხანდახან თავადაც ცეცხლს ემსგავსება და სხივოსნდება ის ადგილი, სადაც ის იმყოფება... ეს ღმერთთან მისტიკური შეერთების წამი გახლავთ, შესაბამისად ლოცვის განხორციელება და დასრულება... აწ ჩემი გონება და ჩემი სული ღმერთთან ერთდება, მე მთლად ცეცხლოვანი ვხდები, ანუ დავინთქმები მასში... მე მისი ცხოვრების მონაწილე და თანაზიარი გავხდი, ის კი ჩემი არსებობის, ჩემი ბუნების თანაზიარი შეიქნა, ღმერთი ამ წუთას ჩემთან ერთი მთლიანობა გახდა... ამიტომ გვიწოდა მან ღმერთები (ფს. 81,6), ამიტომ ვყვირით ჩვენც და ვლოცულობთ, რომ შევძლოთ, ჰეშმარიტი ღმერთები გავხდეთ“. (ემილიანე ვაფიდისი, არქიმანდრიტი. წერილები ათონიდან. ღვთივშემეცნება, ღვთისმსახურება, ღვთივაზროვნება. მთარგმნელი, ნინო ბარძიმაშვილი. გვ. 123-125. ალილო. 2019 წ).

[78] Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Глава 11, стр. 342-343 Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011

გააცისკროვნებს თავის სხეულთან ყოველი ღირსად მაზიარებლის სულს საღმრთო ბრწყინვალებით, როგორც მან გაანათა თავისი მოწაფეები თაბორზე? მაშინ უფლის სხეული, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შერწყმული ჩვენს სხეულებთან (ზიარების მიერ – თ. გ.) გარედან ანათებდა მის გარშემოკრებილ ღირსეულ მოწაფეებს და გრძნობადი თვალის ძალით ნერგავდა მათ სულებში ნათელს; ახლა კი, ჩვენთან შერწყმული და ჩვენში დამკვიდრებული, ის მით უფრო გააცისკროვნებს ჩვენს სულებს შიგნიდან.[79]

აღნიშნულ თემას ასევე ეხება ნავპაქტის მიტროპოლიტი, იეროთეოს ვლახოსი. იგი წერს, რომ

სულთმოფენობის (ეკლესიის დაარსების – თ. გ.) შემდეგ წმინდანები, იყვნენ რა ქრისტეს სხეულის ნაწილნი და იმყოფებოდნენ რა განღმრთობილ მდგომარეობაში, ღირსი ხდებოდნენ ხელთუქმნელი ნათლის ხილვისა. ეს ხილვა არ იყო განუკაცებული ძე ღმერთის ხილვა (რისი ღირსიც ძველი აღთქმის მართალნი ხდებოდნენ; მაგალითად მოსე ქორების მთაზე – თ. გ.); არც ღმრთის ხელთუქმნელი დიდების ის ხილვა იყო, რომელიც განკაცებული ძე ღმერთის სხეულიდან იღვრებოდა და ეფინებოდა მოციქულებს თაბორის მთაზე; არამედ ქრისტეს დიდების ის ხილვა იყო, რომელსაც წმინდანები, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილნი, საკუთარი თავის შიგნით ჰვრეტდნენ.[80]

წმინდა გრიგოლ პალამას და ნავპაქტის მიტროპოლიტის სიტყვებით, რომლებიც ცოცხალი ღმერთის ადამიანური არსების შიგნით ძიების, მასთან არა სადღაც, არამედ გულში პიროვნული შეხვედრის მართმადიდებლურ უძვირფასეს და უნიკალურ ტრადიციაზე მოგვითხრობენ,[81] გასაგები ხდება წმინდა გრიგოლ

---

[79] *წმინდა გრიგოლ პალამა. ტრიადები საღმრთოდ მდუმარეთა დასაცავად. ტრ. 1,3. გვ.122-123 (იღუმენ რაფაელ ხელაშვილის თარგმანი). გურჯაანი: გურჯაანის ყოვლადწმიდის მონასტერი. 2014*

[80] *Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Глава 11, стр. 371. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011*

[81] შდრ. „ვისაც სურს მყუდროებაში (ისიქიაში) მყოფობა და ჩაღრმავება, მან გონება აუცილებლად უნდა დააბრუნოს და დაატყვევოს სხეულში, განსაკუთრებით კი იმ შინაგან სხეულში, ჩვენ რომ გულს ვუწოდებთ"; „ჩვენ გონება სხეულის და გულის შიგნით კი არა, არამედ იმის იქით, კიდევ უფრო შიგნით შეგვყავს"; „გონება უბრუნდება საკუთარ თავს, საკუთარი თავიდან კი, როგორც საიმედო გზის მიერ, ღმერთისკენ მიემართება"; „თავის თავს უბრუნდე-

ხანძთელის შინაგანი გაბრწყინების მიზეზი; იგი შინაგანად, და შინაგანი ცხოვრების გამო, ანუ ისიქასტური, იგივე გონიერი ლოცვითი და ევქარისტიული, სხვაგვარად, ზიარებითი ცხოვრების გამო, ერთხორცქმნილი განკაცებულ ღმერთთან, ქრისტესთან ერთი სიცოცხლის მქონეა[82] და განღმრთობის მდგომარეობაში იმყოფება, რაც არის კიდევაც ნაყოფი ჭეშმარიტი სულიერი, ისიხასტური ცხოვრებისა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის მოწმობა, რომელიც მისსავე სულიერ გამოცდილებას ეფუძნება:

> გონება ხედავს ყოველთა ნათელს, ანუ ღმერთს, და ეს ნათელი სიცოცხლეა, რომელიც მის მხედველს სიცოცხლეს ანიჭებს. ადამიანის გონება საკუთარ თავს ამ ნათელთან სრულ ერთობაში ჭვრეტს და გონიერად ფხიზლობს. აცნობიერებს, რომ ეს ნათელი მისი სულის შიგნით მყოფობს; ამით განკვირვებული ნათელს თითქოს თავის გარეთაც ჭვრეტს და შემდგომ, მოეგება რა გონს, ისევ საკუთარ თავში ხედავს. შემდეგ კი ვერც აზრს ვერ მოუხმობს და ვერც სიტყვას პოულობს ამ ნათლის შესახებ, თუ რა თქვას და რა იფიქროს. [83]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო პასაჟია ნაწარმოების იმ ადგილას, რომელშიც წმინდა გრიგოლი საეკლესიო კრებაზე მიდის და დანარჩენი სასულიერო პირების წინაშე უჩვეულოდ წარდგება:

> იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა [სახედრით] შორის კრებულსა მას მამათასა საკვირველად სილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი [უბადრუკი], რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ [თვალშეუდგამი]. სოლო თავსა მისსა კუნკული იხილვებოდა, ვითარცა გვირგვინი სამეუფოჲ

ბა (გონება) და საკუთარ თავზე ზემოქმედებს, ჭვრეტს... ამ ქმედებისა მიერ იგი, უერთდება ღმერთს" (триады I. 2-я часть, ответ второй – 5). Григорий Палама святитель https://azbyka.ru/otechnik/Grigorij-Palama/triady-v-zashhitu-svjashhenno-bezmolvstvujushhih/#0-4 31.03.2021

[82] შდრ.: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე" (გალ.2,20)

[83] Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. слова 19, 2. стр. 245-246. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006



პატიოსანთა თვალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა.[84]

თუკი ამ ადგილს სახარებაში აღწერილ მაცხოვრის ფერისცვალებას შევადარებთ („იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათ. 17,2)), წმინდა გრიგოლი თვალნათლივ წარმოჩნდება, როგორც ქრისტეშემოსილი ადამიანი, ჭეშმარიტად „...გამობრწყინვებული მადლი სავსეჲ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი... ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი...“,[85] რომელიც ქრისტეს ზიარებული, დამტევნელი და მიმსგავსებული, სხვათა სწორ გზაზე დაყენების გამო[86] ქრისტეს მსგავსად ბრწყინავდა: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5,16). მოცემულ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, წმინდანის ჩარევით, ეკლესიისა და შესაბამისად ერისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი (პატრიარქი იქნა გამორჩეული) გადაწყდა.[87]

---

[84] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 42, გვ.126-128. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

[85] *იქვე, თავი 2, გვ.8.*

[86] *„ხოლო სხვანი მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი მრავლნი უდიდესსა სახმსა მონახონებისასა მიწევნულ იყვნეს, რამეთუ ოდესმე იხილვებოდა წმიდათა ანგელოზთა ბრწყინვალებაჲ გუამთა მათთა შემოსილი უფროჲს მატოისსა. და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ხორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკვდილისა მათისა. არამედ ვთქვა სარწმუნოჲსა მისთვის შვილისა ქრისტეშემოსილისა, რომელსა სახელი ეწოდა დიმიტრიოს... და მრავალგზის იხილვა მის ზედა სვეტი ნათლისაჲ კაცისა მიერ ღმრთისა ღამე ყოველ ლოცვასა მას ღირსებისასა, რამეთუ სული წმიდაჲ განისვენებს მის ზედა მარადის“; „ხოლო მაკარის ჰრულოდა და სარეცელსა ზედა მიეძინა. მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთომან განაბრწყინვა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა და სახლი იგი ბნელი ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა. და ვითარცა განეღვიძა მამასა მაკარის, თქვა: ვითარ საკვირველად იხილვებიან წმიდანი ესე! ჰრქვა მას მამამან გრიგოლ: ძმაო მაკარი, რაჲსა გიკვირს ხილვაჲ ესე, არა გასმიესა წერილისაჲ: „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“? და ესრეთ იხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდისა მადიდებელნი“ (მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 40-41, გვ.122-124; თავი. 76-77, გვ. 210) (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014).*

[87] *ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღირსეულ*

წმინდა გრიგოლ ხანძთელთან დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი ეპიზოდები, რომლებშიც კარაგად ჩანს გრიგოლის წმინდანობა, ანუ ჯერ კიდევ ხორცში მყოფის, და ასევე გარდაცვალების ჟამს[88] მისი განღმრთობილი მდგომარეობა, მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველების შუქზე უფრო მეტად გასაგები ხდება.

მართლმადიდებლურ ღმრთისმეტყველებაში „წმინდა იოანე დამასკელის სწავლების მიხედვით, განარჩევენ სამი ტიპის ერთობას: 1) ერთობა არსებით, რომელიც წმინდა სამების პირთა შორის არსებობს; 2) ერთობა ჰიპოსტასის(პირის)მიერი, რომელიც ქრისტეს პიროვნებაში, მის ღმრთაებრივ და ადამიანურ ბუნებათა შორის არსებობს; და 3) ერთობა ენერგიისა, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს."[89] სწორედ წმინდა გრიგოლ ხანძთელია იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელსაც ღმერთთან სინერგიული ერთობა გააჩნია ღმრთისავე ენერგიების მიღებისა და გათავისების გამო. ესაა მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანის პიროვნება საკუთარი თავის რეალიზებას არა საკუთარი დაცემული ბუნების, არამედ ღმრთაებრივი ენერგიების მიერ ახდენს. ესაა ქრისტეში ცხოვრების რეალიზება, განღმრთობისკენ სწრაფვის მდგომარეობა[90], რომელიც წმინდა

სამღვდელოებას ქართველი ერის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, რამეთუ ღირსეული პატრიარქი და ეკლესიის ჯანსაღი სხეული კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მთელ სახელმწიფოზე.

[88] *„და ამათ რაჲ სიტყვათა იტყოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწდომელითა შეიმკო შვენიერად ხილვაჲ მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ". მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 81, გვ. 216. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014.*

[89] *Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Стр. 10. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011*

[90] *„ენერგიით ერთობა (იგულისხმება ადამიანის და ღმრთის მადლისმიერი ერთობა, რაც მართლმადიდებლური თეოლოგიის სწავლებას წარმოადგენს. – თ. გ.) არასრულყოფილია, რამეთუ ადამიანისა და ღმერთის არსებათა შორის გადაულახავი განსხვავებაა (როგორც ქმნილსა და შეუქმნელს, ამსოფლიურსა და ტრანსცენდენტალურს შორის. – თ. გ.). მაგრამ ამ ერთობის დანიშნულება ადამიანის ბუნების ღმერთთან ჰიპოსტასური ერთობისათვის მომზადებაა. არსთა ამგვარი ერთობა ერთი ჰიპოსტასისადმი (იგულისხმება ძის ღმრთაებრივი ჰიპოსტასი. – თ. გ.) კუთვნილების გამო, სრულყოფილია (ეს მოხდა ღმრთის განკაცებით. – თ. გ.). „ერთი ჰიპოსტასი, როგორც ორი ბუნების ერთი მსაზღვრელი, წერს წმ. ნიკოლოზ კავასილა, ღმერთსა და ადამიანს*

გრიგოლის შემთხვევაში, დიდი ნაყოფების გამოღებით დასტურდება. ქრისტეანის ამგვარ მდგომარეობას, საკუთარი გამოცდილებით ნათლად აღწერს წმინდა სვიმეონ ახალი ღმთისმეტყველი და სიტყვის ბოლოს დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ამგვარი მდგომარეობის მიღწევა, ანუ ჯერ კიდევ ხორცში მყოფი ადამიანისათვის განღმრთობა, ყოველთვის შესაძლებელია. წმინდა სვიმეონი ბრძანებს:



ვინც სათნოებათა მოხვეჭის გზით სენაკი ზეცად გადააქცია, იგი მასში მჯდომარე, სამყაროს შემოქმედს ჭვრეტს, ხედავს და თაყვანსა სცემს მას. მუდამ დაუღამებელ და მიუწვდომელ ნათელთან იმყოფება დღეცა და ღამეც, საკვების მიღებისას, თვით ძილის დროს, ან მგზავრობისას, თუ ადგილის გამოცვლისას, მარადიულად, სულით მასთან იმყოფება და მისგან განუშორებლადაა. [...] ამგვარად უერთდებიან ღმერთს ისინი, რომლებმაც, განეშორენ რა ამ სოფელს, სული სინანულით განიწმინდეს. მათ ქრისტეს გონება მოიხვეჭეს და განწმენდილი და უზაკველი ენითა და ბაგეებით ყოვლისმყრობელ მამასთან საუბრობენ

შორის დაშორებას ანულებს, რამეთუ განშორებულებს ერთი საზღვარი (ანუ ძე ღმერთის ღმრთაებრივი ჰიპოსტასი – თ. გ.) ვერ ექნებათ". შესაქმის დასაწყისში ადამისათვის მინიჭებული „ენერგიით" (იგულისხმება ადამისთვის სიცოცხლის სუნთქვის შთაბერვა: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად"(დაბ.2,7). /თ. გ./) ღმერთთან ერთობას, ადამიანური ბუნება ქრისტეში ღმრთაებრივ ლოგოსთან ჰიპოსტასურ ერთობაში უნდა მოეყვანა. ეს მიზანი თავიდანვე იყო განცხადებული ადამისთვის, და იგი მისი დაცემის მერეც არ შეცვლილა... ამიტომაც, ადამიანის ონტოლოგიური არსი არაა თვით ადამიანში, მის ავტონომიურობაში: არაა ხორციელ ბუნებაში, როგორც ამტკიცებენ მატერიალისტები; არც სულში და მის – ინტელექტში, როგორც ანტიკური ფილოსოფოსები თვლიდნენ; არც თვით პიროვნულობაში, როგორც ამას პიროვნულობაზე ორიენტირებული თანამედროვე ფილოსოფიური სკოლები ასწავლიან. არა, არამედ იგი (ადამიანის ონტოლოგიური არსი) მის პირველსახეში მდგომარეობს, რომელიც არა ქმნილი მდგენელებით, არამედ დაუბადებელი პირველხატებით განისაზღვრება" (ანუ, როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანი თეოლოგიური, ანუ ტრანსცენდენტულთან კავშირის უნარის მქონე, და ლიტურღიკული, ანუ ამ კავშირში მყოფი არსებაა. – თ. გ.). (Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Стр. 34-35. Москва . «Никея»-2011).

და მას შეჰღაღადებენ. მათი სენაკი ზეცაა, ხოლო თავად არიან ვითარც მზე, და მათში ღმრთაებრივი და მოუკლებელი ნათელი მკვიდრობს, რომელიც განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად; და ასეთნი სულისაგან წმიდისა იშვებიან (იოან. 1,9-13). ამრიგად, მათში, როგორ ვერ გეტყვი,[91] მაგრამ არაა ღამე... რადგან ისინი, მიუხედავად ამსოფლად მყოფობისა, ამ სოფელში არ იმყოფებიან, არამედ იმ მომავალი საუკუნის ნათელში მკვიდრობენ, რომელშიც ანგელოზები ბინადრობენ. მართალია, ღმერთი თავის წმინდანებში მკვიდრობს, მაგრამ, თავის მხრივ, წმინდანებიც მასში არიან; და როგორც ანგელოზნი და ღმრთის შვილნი, ცხოვრობენ საღმრთო ნათელში. ისინი გარდაცვალების მერე ჭეშმარიტ ღმერთთან მყოფი ღმერთნი იქნებიან, რომლებიც მადლის მიერ ღმერთქმნულნი, შვილობის გზით ბუნებით ღმერთს მიემსგავსებიან... ნუ იტყვით, რომ საღმრთო სულის მოხვეჭა შეუძლებელია; ნუ იტყვით, რომ ამის გარეშეც შესაძლებელია ცხონება; ამიტომ, იმასაც ნუ იტყვით, რომ ვინმე ღმერთთან იმგვარადაა თანაზიარი, რომ ამას თავად ვერ აღიქვამს, ვერ აცნობიერებს; ნუ იტყვით, რომ ღმერთი ადამიანებისათვის ყოველთვის უხილავია; ნუ იტყვით, რომ ადამიანებს ღმრთაებრივი ნათლის ხილვა არ ძალუძთ, ან რომ ეს ჩვენს დროს შეუძლებელია. არასოდეს იყო ეს, მეგობრებო, შეუძლებელი, არამედ მსურველთათვის, ანუ მათთვის, რომლებიც ატარებენ რა ცხოვრებას ვნებებისაგან განწმენდის ღვაწლში და წმინდა ჰყვნეს გონიერნი თვალნი, ეს ყოველთვის შესაძლებელია.[92]

ჩვენს თანამედროვე მოღვაწეებში,[93] ძველ ქრისტეანთა მსგა-

---

[91] *ვერ იტყვის, რამეთუ სულიერი გამოცდილება სრულ ვერბალიზაციას არ ექვემდებარება: „მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქუმელნი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად."(2კორ. 12,4)*

[92] *Преподобный Симеон новый богослов. Вожественные гымни 20. https://azbyka.ru/otechnik/Simeon–Novyj–Bogoslov/gimny/ 19.04.2019.*

[93] *მათ შესახებ იხ. Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Стр.342-343. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011.*

ვსი ღვაწლის არსებობა, წმინდა გრიგოლ ხანძთელისადმი მიბაძვას რეალურსა და შესაძლებელს, თვით სავალდებულოსაც კი ხდის (რამეთუ ისიქაზმის გარეშე მართლმადიდებლობა წარმოუდგენელია). წმინდა გრიგოლი, როგორც მღვდელი, მისაბაძია დღევანდელი სამღვდელოებისათვის. შესაბამისად, გიორგი მერჩულის ნაწარმოებს არა მხოლოდ ისტორიული, ფილოლოგიური, მხატვრული, კულტურული და ზოგადად, მეცნიერული, არამედ, დღევანდელი ქრისტეანებისათვის, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს; ამასთან, არა მხოლოდ სასულიერო პირების, არამედ ერისკაცთათვისაც, ანუ მთელი ეკლესიისთვის,[94] რამეთუ ისიქაზმი, მართლმადიდებლური ტრადიციის მიხედვით, ერის ადამიანებისთვისაც საჭირო და სავალდებულოა.

აქ გასათვალისწინებელია მართლმადიდებელი ეკლესიის ის სწავლება, რომლის მიხედვითაც, წმინდა სამების სახელით მონათლული და სამპიროვანი ერთარსება ღმერთის ნებას დამორჩილებული ყოველი მორწმუნე მღვდელმსახურია[95] და საერთოდ, როგორც წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი გვასწავლის: „ნუ იტყვი, რომ ეს ჩემთვის შეუძლებელია, რამეთუ ქრისტემ თავისი მცნებები ყველასთვის განაცხადა და განსაკუთრებული მცნებები ცალკე მონაზვნებისათვის და ცალკე ერისკაცთათვის არ მოუცია.“[96]

---

[94] *„განუწყვეტელი ლოცვა აღმოსავლეთში, VII საუკუნეში უკვე ტრადიციულ პრაქტიკად იქცა. გვიანდელმა ბიზანტიურმა სულიერმა ტრადიციამ მამებისგან მემკვიდრეობით მიიღო თეოლოგია და ლოცვა, არა როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული, არამედ ერთიანი სფერო, რომლის წვდომა, კულტურული დონისა და ინტელექტუალური ძალის მიუხედავად, ყველა ქრისტეანს ხელეწიფება“. იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 30. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნუვერსიტეტი. 2020*

[95] *შდრ.: „რომელმან შემიყუარნა ჩუენ და განგუბანნა ცოდვათა ჩუენთაგან სისხლითა თჳსითა.და მყვნა ჩუენ სამეუფო მღდელ ღმრთისა და მამისა თჳსისა“ (გამოც. 1,5-6); „ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲსა მღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული“ (1პეტრ. 2,9); „გლოცავთ თქუენ, ძმანო, მოწყალებათათჳს ღმრთისათა, წარუდგინენით ჴორცნი ეგე თქუენნი მსხუერპლად ცხოველად, წმიდად, სათნოდ ღმრთისა მეტყუელი ეგე მსახურებაჲ თქუენი “ (რომ. 12,1).*

[96] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 143. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1.*



ბერძნულ ტრადიციაში ერისკაცთა ისიქაზმი ჩვეული მოვლ
და მას შესაბამისი ტერმინითაც სახელდებენ: ლაიკური ისიქაზ

[97] „ისიქასტური პრაქტიკა 1351 წლის კრებაზე დოგმატურად დადასტუ
ამ გადაწყვეტილების მიღებაში წმინდა გრიგოლ პალამამ აქტიური რ
ითამაშა [...] ცოტამ თუ იცის, რომ XIV საუკუნის მამები ერისკაცებს მ
საც ემხრობოდნენ ისიქაზმის პრაქტიკას – ლაიკურ ისიქიას, ანუ ისიქ
ერისკაცთათვის (λαϊκός – ერისკაცები). აღსანიშნავია, რომ დღევანდელ
ვლში ლაიკური ისიქაზმის არარსებობა ჩვენი თანამედროვე ეკლესიურ
სულიერი პრობლემაა, რომლის მიზეზი ბანალური უმეცრებაა [...] ვიცით
არა წმინდა მამების შეხედულება ლაიკური ისიქაზმის შესახებ? აქ გვსურ
ვიხსენოთ წმინდა გრიგოლ სინელი (+1346), რომელიც XIV საუკუნეში
ნის მთაზე ისიქასტური აღორძინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღ
იყო.... წმინდა გრიგოლ სინელი არ მოუწოდებდა ყველას განდეგილობის
ასკეზისკენ, მაგრამ ქადაგებდა ისიქაზმის პრაქტიკას, როგორც ნებისმიერ
რთლმადიდებელი ქრისტეანის სულიერი წყობის ფორმას [...] ის ხაზგას
აღნიშნავდა, რომ ღვთის შემეცნების უზენაესი მჭვრეტელური ფორმები წ
სოფლისგან სრულ განდგომასა და ასკეტურ გამოცდილებას მოითხოვს,
მცა გონიერი ლოცვის პრაქტიკა, როგორც სულიერ ცხოვრებაში უწყვეტი ყ
და ღმრთის მუდმივი ხსოვნა, ყველა იმ ადამიანისთვის მისაწვდომია,
ლებიც ცხონებას ეძებენ; [...]აღსანიშნავია წმინდა ნიკოლოზ კავასილა (+1
ღვთისმეტყველი და ლაიკური ისიქაზმის ცნობილი მომხრე და წარმომა

XIV ს.-ში ეკლესიაში ისიქასტური სწავლების გამარჯვებით ბრძოლა არ დასრულებულა. ნავპაქტის მიტროპოლიტ იეროთეოს მოჰყავს სიტყვები ღმრთისმეტყველ იოანე რომანიდისისა, რომელიც აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, ისიქაზმის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო სულთა მკურნალი სასულიერო პირები ცოტანი დარჩნენ, წმინდა დიონისე არეოპაგელის მიერ აღწერილი მღვდელნი კი თითქმის გაქრნენ."[98] დამოწმებული ციტატა საბერძნეთის ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას ეხება. ქართულ ეკლესიაში კი, ტრადიციის წყვეტის გამო, ბუნებრივია, უარესი მდგომარეობაა.

ერთ-ერთი გავრცელებული მცდარი წარმოდგენა, რომელიც იესუს გონიერი ლოცვის, და ზოგადად, ისიქაზმის წინააღმდეგაა მიმართული, არის მოსაზრება, რომ თითქოს ეს ლოცვა ხიბლის (სიცრუეში მყოფობის) წყაროა. ამ აზრს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ბევრი იზიარებს. მართალია, წინამდებარე ნაშრომი საკუთრივ იესუს ლოცვას არ ეძღვნება, მაგრამ ამ არასწორ დამოკიდებულებას პასუხს XX ს-ის დიდი ათონელი მამის, წმინდა იოსებ ისიქასტის, სიტყვებით გავცემთ: „მაცდურისგან უაღრესად უსაფუძვლო და მცდარი აზრია გავრცელებული, რომ თითქოს იესუს

ნელია. ახალგაზრდობაში მისი სულიერი მოძღვარი იყო ღირსი გრიგოლ სინელის მოწაფე, კონსტანტინოპოლის მომავალი პატრიარქი, ისიდორე I ვუხირასი (1347-1349), რომელსაც გრიგოლ სინელმა შემდეგი რჩევა მისცა: „უდაბნოსა და მთებში კი ნუ იცხოვრებ[...], არამედ ერში იცხოვრე, რათა სულიერად კვებო ისინი, ვინც იქაც კი ბერმონაზვნურად და სენაკის წესით ცხოვრობს" [...]. საინტერესოა, რომ თავად წმინდა ნიკოლოზ კავასილა ერისკაცი და ნაყოფიერი ავტორი იყო. მას ეკუთვნის გვიანდელი ბიზანტიური ხანის შემაჯამებელი თხზულება „საღვთო ლიტურგიის განმარტება" და უნიკალური ნაწარმოები „შვიდი სიტყვა ქრისტეში ცხოვრების შესახებ", რომელიც ლაიკური ისიქაზმის ნიმუშია [...]. უნდა აღინიშნოს, რომ თავად წმინდა გრიგოლ პალამა ლაიკური ისიქაზმის ტრადიციას არამცთუ არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ თავადაც კეთილმსახური ოჯახიდან წარმოდგებოდა, სადაც ლაიკური ისიქაზმი ოჯახური ტრადიცია იყო" (იოანე კაზარიანი (გრიგორი გრიგოროპულოსი) „ლაიკური" ისიქაზმის, ანუ საერო ისიქაზმის შესახებ. http://gregory-gr.hol.es/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3/ 19.04.2019)

[98] ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. გვ. 45. თბილისი: „ახალი ივერონი". 2008.

ლოცვის პრაქტიკა ხიბლის საშიშროებას შეიცავს, მაგრამ ხიბლი სწორედაც რომ ამგვარი აზრია... პირიქით, სიტყვები: „უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე“ ჩვენს სუნთქვად უნდა იქცეს.“[99] ამ თანამედროვე მოღვაწის აზრს ყველა წმინდა მამა იზიარებს. ერთ-ერთი მათ შორის გონიერი ლოცვის დიდი აპოლოგეტი, ღირსი პაისი მოლდაველია (ველიჩკოვსკი), რომელიც აღნიშნული ლოცვის პრაქტიკაზე, შედეგებსა და სხვა ლოცვით პრაქტიკასთან შედარებით მის უპირატესობაზე წერს:

> უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე. ვინც მონდომებით და სუნთქვასავით მოუკლებლივ წარმოთქვამს ამ ლოცვას, მასში მალევე დაივანებს და დამკვიდრდება ყოვლადწმიდა სამება – მამა, ძე და სული წმიდა. ლოცვა გულს მოიცავს და გული – ლოცვას, დღე და ღამე ლოცვაში იქნება ადამიანი და ბოროტის ყველა მახისაგან განთავისუფლდება [...] ვინც იესუს გონიერი ლოცვის აღსრულებას არ მიეჩვევა, მას მოუკლებელი ლოცვა არ ექნება. [...] ლოცვის ეს გზა უმოკლესია გადარჩენისთვის, ვიდრე ფსალმუნება, სხვადასხვა კანონი და დაწერილი ლოცვები. როგორც ზრდასრული ადამიანია ბავშვის წინაშე, ასევეა გონიერი ლოცვა – დაწერილი ლოცვების წინაშე.[100].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ღირსი მამის კითხვა მამხილებლად ჟღერს: „და მე აბსოლუტურად გაკვირვებული ვკითხულობ: იესუს სახელის მოხმობა თქვენ, რა, უსარგებლო გგონიათ?“[101] ეკლესიის მამათა ნაწერებიდან არაერთი მსგავსი ციტატის დამოწმებაა შესაძლებელი.[102]

---

[99] *Исихаст Иосиф (Старец). Полное собрание творений. Стр. 29, 34. Москва: Актырский Свято-Троицкий монастырь. 2015*

შდრ. გონიერი ლოცვის შესახებ მსჯელობისას, წმიდნა დიონისე არეოპაგელი ამბობს, რომ მის მიერ „შეუძლებელია რაიმე ცდომილებაში აღმოვჩნდეთ“ (триады I. 2-я часть, ответ второй – 5). Григорий Палама святитель https://azbyka.ru/otechnik/Grigorij-Palama/triady-v-zashhitu-svjashhennobezmolvstvujushhih/#0–4 31.03.2021

[100] *Преподобный Паисий Величковский. Крины сельные или цветы прекрасные, собранные вкратце от Божественного Писания. Слово 24. https://azbyka.ru/otechnik/Paisij-Velichkovskij/kriny-selnye/ 19.04.2019*

[101] *Преподобный Паисий Величковский. Об умной или внутренней молитве. Глава 1. https://azbyka.ru/otechnik/Paisij-Velichkovskij/molitva 19.04.2019*

[102] *„ლოცვასა და მგლოვარებაში მყოფობა უდიდესი იარაღია ხიბლის წი-*

სასულიერო თუ საერო პირები დღეს იმის გამოც ჩივიან, რომ ლოცვის მასწავლებელნი აღარ არიან, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით არც იმდენად უიმედოდ არიან ეკლესიის მოძღვარნი. საინტერესოა ეპისკოპოს ბენიამინ მილოვის მსჯელობა, რომელშიც იგი ღირებულ რჩევებს იძლევა. ეპისკოპოსი წერს, რომ

> ლოცვის უმთავრესი შემოქმედი თავად ღმერთია, ხოლო წარმატების სუბიექტური მიზეზია ადამიანის თავისუფალი არჩევანი, საკუთარ თავს ძალა დაატანოს, რომ ილოცოს. უფალი ლოცავს მლოცველს (1მეფ. 2,9) და ლოცვის მადლის მსურველს აძლევს ლოცვის მადლს. „ლოცვა, როგორც მელეტი აღმსარებელი გვასწავლის, მასწავლებელს არ საჭიროებს. მის სწავლას შრომა, იძულება და განსაკუთრებული მონდომება ესაჭიროება; და ასეთების მასწავლებელი თავად ღმერთი ხდება". ხოლო წმინდა იოანე სინელი ბრძანებს, რომ „ყოველთვის მამაცი და მტკიცე იყავი და თვით ღმერთი იქნება შენი ლოცვის მასწავლებელი". სიტყვებით მხედველობას ვერ ისწავლი, რადგან ეს უკანასკნელი ბუნებითი თვისებაა. ჩვენი ბუნება თავიდანვე ახალ ადამიანად მყოფობისთვისაა შექმნილი..., რათა შევიმეცნებდეთ ქრისტეს, მისკენ ვისწრაფოდეთ, მის ხსოვნას ვატარებდეთ.

ნააღმდეგ, რომელიც ლოცვითი სიხარულისას მოგვრილ თვითკმაყოფილებაში მდგომარეობს. მლოცველი სიხარულიან მგლოვარებაში უნდა იმყოფებოდეს. ხიბლისგან თავისუფალი ლოცვა იესუსადმი ლოცვითი მდუღარებაა, რომელსაც ჩვენი გულის ნიადაგში ცეცხლი ჩამოჰყავს. მდუღარება ვნებების, მსგავსად ცეცხლით ძეძვთა და ეკალთა დამფერფლავი, სულში მხიარულებისა და სიმყუდროვის მომნიჭებელი, რომელიც არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან, და არც ზემოდან არ გვენიჭება; იგი წყაროს თვალივით, ცხოველსმყოფელი სულის მიერ, გულიდან აღმოცენდება. საკუთარ გულში ამის მოპოვება და მოხვეჭა ისურვე მხოლოდ; გონება კი ოცნებისაგან და გულისთქმათაგან დაიცევ, და ნუ შეგეშინდება. რამეთუ რომელმაც თქვა: „კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!" (მათ. 14,27), ჩვენთან სწორედ ის არის, ჩვენგან ძიებული, მუდამ ჩვენი მფარველი. ღმრთის მოხმობისას არ უნდა გვეშინოდეს" Святой Григорий Синаит. Наставления безмолвствующим 7. О прелести ... https://azbyka.ru/otechnik/prochee/dobrotoljubie–tom–5/13); „იცი რას ნიშნავს გონიერი ლოცვის მოპოვება? საუბრობს წმ. იოსებ ისიხასტის სულიერი შვილი მამა ხარლამპი, იგი საკუთარ თავში თავად ქრისტეს მოხვეჭას ნიშნავს. მას გრძნობ, მისით ცოცხლობ. სულიერი თვალები გეხილება, რომლითაც შენში ქრისტეს ხედავ. საკუთარ თავში მისი მეუფების ნეტარებას განიცდი." Иосиф Дионисиатис, монах. Наставник молитвы Иисусовой. Стр. 172. Русская пустыня Новая Фиваида на Афоне. «СИМВОЛИК» 2016).

უფალი ლოცვის მადლს ღვაწლისა და დიდი მონდომების გამო ანიჭებს ადამიანს, რომელიც, თავის მხრივ, რაც მასზეა დამოკიდებული, შინაგანს თუ გარეგანს, ყველაფერს აკეთებს. მას, ვისაც ღმრთისგან მადლის შენარჩუნება სწყურია, საბოლოოდ ლოცვისას სულის მდუღარება ენიჭება. „როგორც შეგიძლია, გვასწავლის ღირსი მაკარი მეგვიპტელი, აიძულე შენი თავი, რომ სულ ლოცვაში იყო. თანდათანობით შენი შრომა ღმრთის მადლით ჩვევაში გადაიზრდება. ღმერთიც, დაინახავს რა ქრისტეანის ამგვარ მოშურნეობას, წყალობას მიანიჭებს და სული წმიდის მადლით აღავსებს; და ამგვარად, უკვე საკუთარ თავზე იძულების გარეშე (მინიჭებული წყალობის მერე – თ. გ.), ქრისტეანი მუდამ ღმრთის მცნებების აღსრულების მდგომარეობაში იქნება, უფრო სწორად, თავად ღმერთი იქნება თავისი მცნებების აღმსრულებელი მასში და მისი ლოცვის სრულმყოფელიც [...]. მაგრამ ლოცვაში სრულყოფილების მსურველი ყველა სხვა სათნოებაშიც, როგორიცაა, მაგ. სიყვარული, სიმშვიდე, მოთმინება, სიმდაბლე და სხვ... სრულყოფილებასაც უნდა ესწრაფოდეს. სხვაგავარად ადამიანი მადლს ვერ შეინარჩუნებს და თავდაჯერებული დაეცემა. ეს რომ არ მოხდეს, განსაკუთრებულად სიმდაბლის სათნოებაა მნიშვნელოვანი, რამეთუ მდაბალი არ ეცემა ან როგორ უნდა დაეცეს, ის ხომ ყველაზე დაბლაა?!“[103]

თუმცა, მიუხედავად ღმრთის შემწეობის დიდი მნიშვნელობისა, ძალზე დიდია წინამძღვრებისა და საერთოდ, მოძღვრების როლი. ამაზე თითქმის ჩვენი თანამედროვენიც წერენ, მაგალითად, ახალმოწამე მიტროპოლიტი სერაფიმე ჩიჩაგოვი:

მოძღვარი მრევლს ლოცვაში აერთიანებს, მაგრამ რადგან ლოცვა არა მხოლოდ გულის სიწმინდეზე, არამედ ცოდნასა და განათლებაზეცაა დამოკიდებული, ხოლო ჩვენი ხალხი (იგულისხმება რუსი ხალხი გასაბჭოების პერიოდში, თუმცა, სულიერი ცოდნის თვალსაზრისით, ჩვენთანაც ანალოგიური მდგომარეობაა – თ. გ.) სულიერ ცოდნას მოკლებული და რიტუალების გარეგნულად აღმსრულებელია, ამიტომ მრევლის წევრების ერთმანეთთან და მღვდელთან ლოცვითი ერთობა ტაძრებში არაა რეალიზებული (რაც ასევე ჩვენი დიდი

---

[103] *Епископ Вениамин Милов. Пастырское богословие с аскетикой. Стр.265-268. Москва. Свято-Троицкая Лавра, 2002 г.*

პრობლემაა – თ. გ.). შესაბამისად, მთავარი მიზანი (ქრისტეს სხეულის აღმშენებლობა – თ. გ.) მიუღწეველი რჩება; სახეზეა ერთმანეთისგან განმხოლოება.[104]

საგულისხმოა მეოცე საუკუნის დიდი ათონელი მოღვაწის, წმინდა იოსებ ისიხასტის, პოზიციაც:

უცოდინრობის გამო მრავალი მამათა მიერ ნაჩვენებ გზას (გონიერი ლოცვის პრაქტიკას – თ. გ.) ამაოდ სახავს და არასაკმარისი განსჯის უნარის გამო მათ გზას ხიბლად სახელდებს [...] ხოლო ყველას, ვინც ამ გზაზეა შემდგარი, ხიბლში მყოფად მოიხსენებს! თვითკრიტიკისა და ანალიტიკური აზროვნებისკენ მოგვიწოდებს დიდი იოსებ ისიქასტის სულიერი შვილი, იოსებ ვატოპედელიც:



ბერი იოსებ ვატოპედელი

[104] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 42-43. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1*

არ შეიძლება მხოლოდ საკუთარ და თვითნებურად შექმნილ პოზიციაზე დავრჩეთ. ჩვენი მოსაზრებები ყოველთვის უნდა გადავამოწმოთ და შევადაროთ მამათა სწავლებას. უნდა მივცეთ საკუთარ გონებას შესაძლებლობა, თავისუფლად იკვლიოს თემები, შედეგები შეადაროს და შეაჯეროს წმინდა მამების აზრებსა და ცხოვრებასთან და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს დასკვნა. წმინდა მამათა ნაწერების შესწავლის უგულებელყოფა დიდი ზიანის მომტანია. ასეთი მდგომარეობა ნებაყოფლობითი სიბრმავე, სულიერი უძლურება და გაუგებრობათა ერთიანობაა. ვისაც სურს უსაფრთხო მსვლელობა (ღმრთისაკენ მიმავალ გზაზე – თ. გ.) და სწორი სულიერი ცხოვრება, მაძიებელი და თავისუფალი გონება უნდა ჰქონდეს [...] და თავის ყველა აზრს, ქმედებას კრიტიკის თვალით უნდა შეხედოს, ეჭვი შეიტანოს, ყველაფერი წმინდა მამათა სწავლებას შეადაროს და გამოცდილი ადამიანების სამსჯავროზე განიხილოს, რათა საკუთარი აზრების ოქროს ჯაჭვებით დატყვევებული და შერცხვენილი არ აღმოჩნდეს (და როგორ გვესაჭიროება ამგვარი აზროვნება დღევანდელ ქრისტეანებს! –თ. გ.).[105]

არქიმანდრიტი კვიპრიანე კერნი წერს, რომ ცოდნის შეძენისკენ მისწრაფება, ცოდნისმოყვარეობა, მაძიებლური რწმენა, გონივრული დასაბუთებების ძიება ეკლესიის მიერ ყოველთვის იყო წახალისებული. ამ მხრივ საგულისხმოა თომა მოციქულის „ურწმუნოება“, რომელიც გონივრულად დასაბუთებულ და შეგნებულ რწმენას გულისხმობს. რწმენა არ შეიძლება, უგუნური, საღი აზრის საწინააღმდეგო იყოს. მეორესაუკუნის მოღვაწის, ტერტულიანეს, სიტყვებს იხსენებენ: „მწამს, რამეთუ აბსურდია“; მაგრამ ამ შემთხვევაში აბსურდი სისულელეს კი არა, მეტალოგიკურობას, ანუ მიწიერი ლოგიკის მიღმა არსებულ სიბრძნეს ნიშნავს. რწმენა არ შეიძლება ჭეშმარიტების საწინააღმდეგო იყოს, რამეთუ ორი ჭეშმარიტება, ცალკე გონებისთვის და ცალკე რწმენისთვის არ არსებობს, ჭეშმარიტება ერთია, საერთოა და როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „არ არსებობს რწმენა ცოდნის და ცოდნა რწმენის გარეშე“ რწმენა გონივრული, ცრურწმენისგან შორს მყოფი უნდა იყოს. მოციქულიც გვმოძღვრავს: „საყუარელნო, ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკუეთუ ღმრთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი

---

[105] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 43-44. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1*

განსრულ არიან სოფლად“ (1იოან. 4,1). ეკლესია არათუ კრძალავს, არამედ პირიქით, გონივრულად არგუმენტირებულ რწმენას ახალისებს, რამეთუ სწორედ ამგვარი გააზრებული სარწმუნოებაა ღმრთისმეტყველების საფუძველი.[106]

უფალი ჩვენი, იესუ ქრისტეც მიგვანიშნებს, ჩვენ, როგორც მის მეგობრებს ცოდნა რომ უნდა გვქონდეს: „არღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“ (იოან. 15,15). „ამდენად, თანამედროვე ადამიანებში ღმრთისმეტყველებისადმი ინტერესის დაკარგვა სერიოზული სულიერი დაავადების ნიშანია“.[107]

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ისიქაზმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ტერმინის მნიშვნელობის ვიწრო გაგებითაცაა განპირობებული: მასში განღმრთობილი ადამიანის მდგომარეობას მოიაზრებენ. სინამდვილეში ისიქაზმი გზა, ლოცვით-ასკეტური მოღვაწეობის მართლმადიდებლური პრაქტიკა, სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე ის პროცესია, რომელიც ერის ადამიანისათვისაც შესაძლებელია და საჭიროც. ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ, ხოლო აქ, კიდევ ერთხელ, წმინდა იოსებ ისიხასტის სულიერი შვილის, მისი ძმობის წევრის (მამა ხარლამპის) სიტყვებს დავიმოწმებთ:

> წმინდა მამათა მიხედვით, ასევე საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცი, რომ გონიერი ლოცვა ყველა ქრისტეანისთვისაა... ხოლო იმათ გასაგონად, ვინც ამ ლოცვას სხვებს უკრძალავს, ვიტყვი, რომ თუ არ იცი, თქვი, რომ არ იცი, მაგრამ სხვებს ლოცვას ნუ უკრძალავ...; ხოლო იმათ, რომლებიც სულიერ ბრძოლას მხოლოდ მონაზონთა საქმედ თვლიდნენ, მამა ხარლამპი პასუხობდა: უხილავი ბრძოლის წარმოება ყველა ქრისტეანის საქმეა.[108]

პრაქტიკული თვალსაზრისით, სწორედ ისიქაზმი განაპირობებს მართლმადიდებლობის უნიკალურობას, რადგან იგი ეფუძნება მოძღვრებას საღმრთო მადლის, საღმრთო ენერგიის, იგივე

---

[106] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 45-46. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1*

[107] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 54. Москва: «Отчии дом». 2004, Т.1,*

[108] *Иосиф Дионисиатис, монах. Наставник молитвы Инсусовой. Стр. 177,181,182 Русская пустыня Новая Фиваида на Афоне. «СИМВОЛИК». 2016*

თაბორისეული ნათლის უქმნელობის შესახებ (სხვაგვარად: მადლი, თაბორისეული ნათელი, არაა შექმნილი, არამედ თავად ღმერთია თავის ენერგიებში). ეს სწავლება კი საკუთრივ მართლმადიდებლურია და მას სხვა ქრისტეანულ დენომინაციებში ვერ ვხვდებით. და რადგან ლოცვა ღმერთთან ერთობაა, ამიტომ ღმერთის ჩვენთან მყოფობის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების უნიკალურობის გამო, მართლმადიდებლური ლოცვითი პრაქტიკაც უნიკალურია (იმის გამო, რომ ღმერთი რეალურად ჩვენთანაა, რამეთუ მადლი თავად ღმერთია და არა ჩვენსა და ღმერთს შორის არსებული ქმნილი ბუფერული ზონა, ამიტომ ლოცვისადმი მიდგომა სხვანაირია, რაც, შესაბამისად, ნაყოფებსაც სხვანაირს იღებს).



არქიმანდრიტი სარლამპი
(დიონისელი)

მართლმადიდებლობა, თავის ასკეტურ-ლოცვით ღვაწლში, ისიქასტურია. ხოლო მათთვის, რომელნიც ფიქრობენ, რომ ეს თემები ჩვენი მდგომარეობის, ანუ თანამედროვე და არასულიერი ადამიანთათვის შორეული და მიუწვდომელია, არქიმანდრიტ, წმინდა სოფრონ ესექსელის (სახაროვის) სიტყვებს მოვიყვანთ:

> ჩემი სურვილია, უფრო მეტად სრულყოფილის, ჩემს საზომზე ბევრად აღმატებულის შესახებ გავიგო. არა პრეტენზიის, არამედ იმ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავის გამო, რომლის მიხედვითაც ვამოწმებ ღმრთის გზაზე ჩემს სწორად სვლას. მსურს იმგვარი ზეაღმატებული ჭეშმარიტების კრიტერიუმის ქონა, რომელიც ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობით ტკბობისა და კმაყოფილების შესაძლებლობას არ მომცემს.[109]

ამგვარი მიდგომის შედეგიც ნათელია: წმინდა არქიმანდრიტი სოფრონი ხელთუქმნელი ნათლის მხედველი მამა იყო XX საუკუნეში.

მართლმადიდებელი ქრისტეანები უნდა ვაცნობიერებდეთ, რისკენ ვართ მოწოდებულნი: „რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდეს ცხორებად საუკუნოდ“ (იოან. 4,14); რომ ჩვენს გამოხსნაში დიდი საფასურია გადახდილი – „უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა, გინა ოქროჲთა იჴსნენით თქუენ... არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა“ (1პეტრ. 1,18-19); და რომ ქრისტეანად ყოფნა რაღაც გაურკვეველ რელიგიურობას კი არა, კონკრეტულ სულიერ მდგომარეობას გულისხმობს – „უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი“ (რომ. 8,9). შესაბამისად, გასაგები ხდება ეკლესიის დიდ მოძღვართა დამოკიდებულება ცხონების საკითხისადმი:

> მოკლედ ვიტყვი: ამაოდ იხსენიება ქრისტეანად ის, ვისაც ქრისტეს მადლი არა აქვს საკუთარ თავში შეგრძნებითად; ანუ, ვინც გამოცდილებით არ იცის, რომ ასეთი მადლი გააჩნია. ამგვარი მადლის არარსებობა აშკარა ნიშანია ადამიანის არაწმიდებისა და ღმრთის წინაშე უკრძალველობისა და თავხედობისა, ასევე მრისხანე ხასიათისა და სიმდაბლის გარეშე თვითბრძნობისა, პატივმოყვარეობისა და სხვა ამგვარი თვისებისა და

---

[109] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 88. Москва «Отчии дом». 2004, Т.1*

მდგომარეობისა. ხოლო საღმრთო მადლი იმას აქვს, ვინც შიშითა და კრძალვითაა ღმრთის წინაშე, არის მშვიდი და მდაბალი;[110] ვინც იცის, რომ ქრისტეს მადლის გარეშე არანაირი სიკეთის ქმნა არ ძალუძს.[111]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წმინდა გრიგოლ პალამასთან ერთად შეიძლება ვთქვათ, „რომ ისიქასტთა მბრალდებელნი, არ მხოლოდ კეთილ საქმეთა ნაყოფების დაუნახავნი და ცხოვრებისეული გამოცდილების მყარ და უდავო საფუძველს მოკლებულნი, არამედ მამათა სწავლების მიმართაც სრულიად ყრუნი არიან“

სწორედ ისიასტური ცხოვრების ზემოთ მოხსენებული ნაყოფები ჩანს წმინდა გრიგოლ ხანძთელის პიროვნებაში:

...ერთსა [illegible] სახლსა იყვნეს სამნივე იგი ღმრთისა კაცნი... ხოლო მაკარის... სარეცელსა ზედა მიეძინა. მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს. [illegible] ხადლმან საღმრთომან განაბრწყინვა იგინი ნათლითა [illegible] ცხებისაჲთა და სახლი იგი ბნელი ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა. და ვითარცა განეღვიძა მამასა მაკარის, იხილა ვითარ საკვირველად იხილვებიან წმიდანი ესე![113].

მოხმობილი ამონარიდით კიდევ ერთხელ დასტურდება ქრისტეანისათვის ცოცხალი ღმერთის სუბიექტური განცდის აუცილებლობა, ხოლო სულიერად მაღალ საფეხურზე მყოფნი, როგორც ეს ზემოთ მოხმობილ ამონარიდში ვნახეთ, ღმერთს მის ენერგიებშიც, ნათლის სახით ხედავენ.

ისიქასტური პრაქტიკის არსებობა და მკვიდრობა ეკლესიაში განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ლიტურგიკურ ღმრთის-

---

[110] *შდრ.: "ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა" (მათ.11, 29)*

Преподобный Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. Слово 22, стр.290. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006

Григорий Палама святитель. триады I. 3-я часть, ваппрс 3. https://azbyka.ru/otechnik/Grigorij-Palama/triady-v-zashhitu-svjashhennobezmolvstvujushhih/#0-4 31.03.2021

[113] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი გვ. 77, 210. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

მსახურებაზე.[114] მრავალი საეკლესიო მოღვაწე აღნიშნავს, რომ ევქარისტიული მსახურება გონიერი ლოცვის გვირგვინია, უმაღლესი ისიქიაა; ასევე გვმოძღვრავენ, თუ როგორი დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირად ლოცვით გამოცდილებას მწირველი მღვდლისათვის; რომ იგი თავადვე უნდა გახდეს გულით თანამონაწილე ევქარისტიული მსახურებისა, რათა ამ დიდმა საიდუმლოებამ მას გვერდი არ აუაროს; და რომ უსისხლო მსხვერპლის შეწირვის დიადი მსახურება სპექტაკლად არ გადაიქცეს მისთვის. საიდუმლოებასთან შერწყმის, მისი გათავისების შემთხვევაში, შემწირველი მღვდელი მაგალითი ხდება მორწმუნე მრევლისათვის და ამით ხელს უწყობს ქრისტეს მისტიკური სხეულის, ანუ ეკლესიის აღმშენებლობას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია უცნობი ათონელი ისიქასტის მოსაზრებანი:

> მღვდლობა ორ დიდ სათნოებასთან, მარხვასთან (ანუ ღვაწლთან – თ. გ.) და გონიერ ლოცვასთან ერთად უნდა წარემართებოდეს. თუ მღვდელი მმარხველი და გულის სიღრმიდან ამომავალი, გონიერად და მოუკლებელად მლოცველია, მაშინ მღვდელმსახურების დროს იგი საკუთარ თავში საღმრთო მადლის ჭეშმარიტად განმცდელია (შესაბამისად, მორწმუნე მრევლისათვის მაგალითის მიმცემი და ცოცხალი ღმრთისკენ გზის გამკვალავია – თ. გ.).[115]

აღნიშნულ კონტექსტში საგულისხმოა წმინდა მღვდელმთავრისა და დიდი ათონელი ისიქასტის, გრიგოლ პალამას, გამონათქვამი საზოგადო ღმრთისმსახურების შესახებ:

> ვინც სიღრმისეული რწმენითა და დიდი ყურადღებით მონაწილეობს ლიტურგიაში, იგი არა მხოლოდ საღმრთო, ქრისტოლოგიურ დოგმატებში განისწავლება, არამედ გონიერი თვალებით თავად უფალს ჭვრეტს; იმასაც ვიტყვი, რომ ხორციელი თვალებითაც კი ჭვრეტს (წმინდა გრიგოლ პალამა,

---

[114] *„ღმრთისმსახურება და საღმრთო ზიარება განუყრელად უკავშირდება ერთმანეთს. რას გვაძლევს ისინი? უფლის სიახლოვის შეგრძნებაში გვეხმარება. და რას ელის ღმერთი ჩვენგან? რომ დაველაპარაკოთ მას და პირდაპირ მივმართოთ, ჩვენთან მოსულს და ამგვარად ის ღმრთისმსახურებით ხელს გვიწვდის, ჩვენ კი ლოცვით მივიზიდებით მისკენ, და ასეა ჩვენს სრულ შერწყმამდე“ ემილიანე ვაფიდისი, არქიმანდრიტი. წერილები ათონიდან. ღვთივშემეცნება, ღვთისმსახურება, ღვთივაზროვნება. გვ. 93. ალილო. 2019 წ.*

[115] *Неизвестный афонский исихаст. Трезвенное созерцание. Ст. 280. Москва: Московское Подворье Свято-Троицкая Сергиева лавра. 2003*

წმინდა გრიგოლ ხანძთელის მსგავსად, ხელთუქმნელი ნათლის მხედველი იყო – თ. გ.). და არა მარტო ხედავს, არამედ მისი დიდების თანამონაწილეც ხდება და საკუთარ თავში მოიპოვებს მას[116] და აღივსება ღმრთისგან მონიჭებული საღმრთო მადლით.[117]

გონიერი ლოცვა და ლიტურგიული, ევქარისტიული მსახურება ის ორი საშუალებაა, რომელთა დახმარებითაც ადამიანი ღმერთს უერთდება. ეს ორი საიდუმლო შეეწევა, ავსებს და ერწყმის ერთმანეთს: „შუაღამის მსახურება – გვმოძღვრავს ღირსი ნიკონ ოპტინელი – იესუს ლოცვის საუკეთესო მასწავლებელია"; ხოლო ღმრთისმსახურების სისხლხორცეული განცდა, მასში სიღრმისეული ჩართულობა პირადი ლოცვითი მომზადების გარეშე შეუძლებელია. აი, ამასთან დაკავშირებით რას წერს თანამედროვე ათონელი მამა, არქიმანდრიტი ემელიანე სიმონაპეტრელი (ვაფიდისი):

> ღმრთისმსახურება, ლიტურღია არსებობს, როგორც ჩვენი ლოცვითი გამოცდილების უმაღლესი გამოვლინება, ლოცვის ახალ საფეხურზე ასვლის, მისი განვითარების საყრდენი წერტილი. ვინც ეკლესიაში ღმრთისმსახურებისათვის წასვლის წინ გულით ლოცულობს და იესუს წმინდა სახელი ბაგეებსა და გულში მოუკლებლად აქვს, ლიტურღიაში მხოლოდ ის მონაწილეობს სრულყოფილად და ესმის ყოველი.[118]

კიდევ ერთი სიტყვა მამა ემილიანესი:

> ლოცვა (მამა ემილიანე გონიერ ლოცვას გულისხმობს. თ. გ.) ღმრთისმსახურებასთან, განსაკუთრებით ღმრთაებრივ ზიარებასთანაა კავშირში, რომლის გარეშეც ლოცვა შეუძლებელია, არასრულყოფილია. მეორე მხრივ, ღმრთისმსახურებასა და ევქარისტიაზე დასწრება მძლავრი, შინაგანი, სულის სიღრმიდან ამოხეთქილი გონიერი ლოცვის გარეშე, ამაო, შეურაცხმყოფელი, უფლისადმი სიყვარულში პრეტენზიული იქნება. და რადგან

---

[116] *შდრ.: „უკუეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვყო. უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენთანა დაადგრეს უკუნისამდე.სული იგი ჭეშმარიტებისაჲ [...] მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მისთანა დავადგრეთ" (იოან. 14,14-17,23)*

[117] *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Стр. 93. Москва «Отчии дом». 2004, Т.1*

[118] *იქვე Стр. 95.*

ჩვენ არანაირი ურთიერთობა არ გვექნება ღმერთთან, ერთხელაც შეიძლება მისგან გავიგონოთ: „არა გიცნი თქუენ“ (მათ. 25,12; ლუკ. 13,25). ევქარისტია (ქრისტესთან ზიარება) და გონიერი ლოცვა სულიერი ცხოვრების ორი მდგენელია.[119]

მღვდელს მუდმივი და ძლიერი ბრძოლები აქვს ეშმაკისგან, ამა სოფლის სულისგან, საკუთარი დაცემული ბუნებისგან და

...ყოველივე ეს რომ დაამარცხოს, მათზე სრული გამარჯვებისათვის, მღვდლის გონება და გული მუდამ გონიერ და გულისმიერ ლოცვაში უნდა იწვრთნებოდეს და განისწავლებოდეს. და როგორც საათი მუშაობს შეუჩერებლად და დროის მდინარებას აჩვენებს, ასე მოუკლებლად და შეუჩერებლად უნდა ლოცულობდეს მღვდლის გული, თუ მას სურს, რომ ქრისტეს სათნო ეყოს. სხვაგვარად, გონიერი ლოცვის გარეშე, მღვდლის მარხვასა და ღვაწლს ნაკლები ფასი აქვს. ღვაწლსა და მარხვას მხოლოდ გონიერ ლოცვასთან ერთად ძალუძს დემონთა დამარცხება.[120]

გონიერ ლოცვას ევქარისტიასთან ერთად მოჰყავს ადამიანი იმ მდგომარეობაში, რომელსაც წმინდა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აღწერს:

ჭეშმარიტად, ღმერთი ცეცხლია, როგორც ჩვენთან მოსულმა უფალმა ბრძანა: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა... (ლუკ. 12,49), მაგრამ მიპასუხე, რომელ ქვეყანას გულისხმობს? რა თქმა უნდა, ამსოფლიურად მზრახველ ადამიანებს [...] როგორც კანდელი ინთება ცეცხლთან შეხებით, ასევე ღმრთაებრივი ცეცხლი შეეხება რა ადამიანთა სულებს, აღანთებს მათ [...].როდესაც ღმრთაებრივი ცეცხლი აღმობრწყინდება, შენი სულის სახლს განსწმენდს, შეერწყმება მას შეურევნელად და შეურთდება გამოუთქმელად [...] და ნელ-ნელა განაბრწყინვებს მას, ცეცხლად გარდააქცევს. რანაირად? მე ეს არ ვიცი. მაგრამ სული შემოქმედთან ერთი ხდება, სულში შემოქმედი მკვიდრდება [...] ჩაწვდი საიდუმლოების სიღრმეს? ადამიანს, თავისი არსით მტვერსა და აჩრდილს, საკუთარ თავში ყოველთა ღმერთი

---

[119] *Архимандрит Эмилиан.Вафидис. Богопознание, Богослужение, Богомыслие. https://azbyka.ru/otechnik/Emilian–Vafidis/bogopoznanie-bogosluzhenie-bogomyslie/ 12.03.2020*

[120] *Неизвестный афонский исихаст. Трезвенное созерцание. Ст. 276-277. Москва: Московское Подворье Свято-Троицкая Сергиева лавра. 2003*

ჰყავს [...] მე კვლავ დავინახე იგი საკუთარ სამკვიდრებელში, მოულოდნელად მოვიდა, გამოუთქმელად შემოვიდა ჩემში და, როგორც ცეცხლი რკინას და სინათლე მინას, ამგვარადვე შეურევნელად შემიერთდა. მან მეც ცეცხლის მსგავსი გამხადა [...] ხოლო თუ მე და ის, ვინც ჩემში შემოვიდა და შემიერთდა, ერთნი გავხდით, მაშინ რად ვიქეცი და როგორ ვიწოდები მე? ღმერთად. რომელიც ორია ბუნებით და ერთი ჰიპოსტასურად, მან გამხადა ასეთი [...]. მე ბუნებით ადამიანი ვარ, ხოლო მადლით – ღმერთი (ქრისტე კი ბუნებით ღმერთია და გახდა ადამიანი – თ. გ.).[121]

წმინდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი საძმოს სულიერი მდგომარეობა და დამოკიდებულება უფლისა და სულიერი ცხოვრებისადმი ლიტურგიული მსახურების დროს კარგად წარმოაჩენს მათ, როგორც გონიერად მლოცველთა და მმარხველთა, ვნებებთან მებრძოლთა და სათნოებების მომხვეჭელთა მდგომარეობას:

რამეთუ ცხორებაჲ ნეტართაჲ მათ: სიმართლესა შინა მათსა ქარადის თავთა თვისთა ბრალობაჲ აქუნდა და სიყუარულისა ძირი მტკიცე, მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშჳდით, მარხვაჲ ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული, სიწმიდე უსჯულისაჲ და ჭეშმარიტებაჲ ენისაჲ და უბიწოებით კრძალვაჲ სრულიად ყოველსავე ზედა. ხოლო წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურთიერთას, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წისაშე ღმრთისა. და რაჟამს „დავითსა“ იტყვიედ, ვიდრე „ალელუიასა“ განსრულებამდე მემხრეთა ვერ იკადრიან მუხლისა აღებაჲ დაწყნარებულსა მას ლოცვასა მათსა. რამეთუ არა აქუნდა ჩვეულებაჲ სწრაფით თქმისაჲ ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბლად და გვიანად იყო ლოცვაჲ მათი. და კედელსა თვინიერ ბერთაჲსა არავინ მიეყრდნებოდა, ხოლო ძილსა და უკრძალველად ჯდომასა ყოვლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა.[122]



[121] *Преподобный Симеон новый богослов. Вожественные гымни, 1. https://azbyka.ru/otechnik/Simeon-Novyj-Bogoslov/gimny/ 19.04.2019*

[122] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 17, გვ. 58. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

ამონარიდის მიხედვით, კარგად ჩანს წმინდა გრიგოლისა და მისი საძმოს სულიერი კრძალვა და დისციპლინა მსახურებისას: „წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქვნდა უბნობაჲ ურთიერთას, [არ საუბრობდნენ ერთმანეთში], არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა“; ასევე ისიქასტური ლოცვითი გამოცდილება საზოგადო, ანუ ლიტურგიკური მსახურებისას: „არა აქვნდა ჩვეულებაჲ სწრაფით თქმისაჲ ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბლად და გვიანად [მშვიდად და ნელა] იყო ლოცვაჲ მათი. და კედელსა თვინიერ ბერთაჲსა [მოხუცებულთა] არავინ მიეყრდნებოდა, ხოლო ძილსა და უკრძალველად [მოურიდებლად] ჯდომასა ყოვლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა“

ლოცვაზე კრძალვით დგომასათან დაკავშირებით ძალზე საგულისხმოა ღირსი პაისი მოლდოველის დარიგება, რომელიც ზემოთ დამოწმებულ ამონარიდში გადმოცემულ სანძთელ მამათა ღმრთისმსახურებისადმი დამოკიდებულებას ესმიანება:

> ფეხები სწორად უნდა გვედგას, ტერფები ერთად, ერთმანეთზე მიჭერილი და არ უნდა გადავიტანოთ წონა ერთი ფეხიდან მეორეზე, ხელებიც მოკრძალებულად უნდა გვეჭიროს. უნდა ვიდგეთ ვითარცა მსაჯულის წინაშე სასიკვდილო განაჩენის მომლოდინენი, არ უნდა ვიცქირებოდეთ აქეთ და იქით. და ასე უნდა ვიდგეთ ღმრთის წინაშე.[123]

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქრისტეანულ ასკეტიკურ ლიტერატურაში არცთუ იშვიათია იმგვარი დისციპლინური საკითხები, რომლებიც სასულიერო პირთა ქცევებს ეხება, როგორც ყოფითს, ისე – საღმრთისმსახუროს.[124]

---

[123] *Преподобный Паисий Величковский. Крины сельные или цветы прекрасные, собранные вкратце от Божественного Писания. Слово 31. https://azbyka.ru/otechnik/Paisij–Velichkovskij/kriny-selnye/ 19.04.2019*

შდრ. „...ლოცვისას ფეხები ერთად, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ჰქონდა და გაუნძრევლად იდგა“ (Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. Слово 56, стр. 732. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006)

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა წმინდა ამბროსი მედიოლანელის მოსაზრებები; იგი თვლიდა, რომ გარეგნობასა და სიარულში ადამიანის სულის შინაგანი მდგომარეობა შეიცნობა: „სხეულის მოძრაობით, – ამბობს იგი, – გამოიხატება მდგომარეობა ჩვენი სულისა, ისე რომ, ჩვენი ხორციელი ბუნების გარეგანი ქმედებით, სულისა და ხორცის მჭიდრო კავშირის გამო, ჩვენი სულიერი ბუნების შინაგან თვისებებზე გამოგვაქვს დასკვნა.

ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ღვთისმსახურებისას ქცევის/დგომის წესების შესახებ ინფორმაცია გიორგი მერჩულის ნაწარმოებში დეტალიზებული არაა, მაგრამ ზემოთ დამოწმებულ პასაჟში ნათლადაა ხაზგასმული დისციპლინა და კრძალვა ლიტურგიკული მსახურებისას. ამდენად, თუ გვსურს ლიტურგიკული მსახურების, ევქარისტიული ცხოვრების აღორძინება (რამეთუ დღეს ჩვენს ლიტურგიკურ პრაქტიკაში სწორედ კრძალვისა და დისციპლინის, ღმრთისმსახურებაში სიმშვიდის, მყუდროებისა და ღმრთის შიშის არქონის პრობლემაა), მაშინ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ეკლესიაში ისიქასტური სულის გაცოცხლებისა და აღორძინებისათვის, რის მაგალითსაც იძლევა სწორედ გიორგი მერჩულის ნაწარმოები. სხვაგვარად, ყველა დონეზე, მრევლშიც და სასულიერო პირებშიც, გონიერი ლოცვისა და კრძალვითი ლიტურგიულ-ევქარისტიული მსახურების აღორძინების გარეშე, მორწმუნეები ქრისტეანებად ვერ ჩამოყალიბდებიან და ღმერთს ვერ მიემსგავსებიან;[125] შესაბამისად,

---

ამიტომ ჩვენ, ვერ ვხედავთ რა სულს ადამიანისა,... ერთზე ვამბობთ, რომ ის ქარაფშუტაა, ხოლო სხვაზე – რომ ის დარბაისელია; ზოგს ვუწოდებთ ამპარტავანსა და ქედმაღალს, ხოლო ზოგს – თავმდაბალს და მშვიდს; ერთზე ეჭვი გვაქვს, რომ ის ცბიერი და მზაკვარია, ხოლო მეორეში გულწრფელობასა და ალალმართლობას ვხედავთ და ა. შ. ამგვარად, ჩვენი სხეულის მოძრაობაში, როგორც სარკეში, ჩვენი სული აირეკლება". მტკიცებულების სახით წმ. მამას თავისი პრაქტიკიდან ორი მაგალითი მოყავს: „გახსოვთ ჩემო შვილებო, – წერს წმინდა ამბროსი, – ჩვენი ერთი მოყვასი, რომელიც ჩვენთან ადგილს ეძიებდა,... როგორ არ მივიღე ჩემს სამღვდელო დასში მხოლოდ იმიტომ, რომ მოქცევისა და მოქმედების დროს მისი მიხვრა-მოხვრის ფორმა ფრიად უგვანო იყო; ხოლო სხვა, რომელიც მე ჩვენს სამღვდელო დასში დამხვდა, დავითხოვე ჩემგან... სწორედ იმ მიზეზით, რომ თავხედური და გაშმაგებული სიარულითა და მანჭვა-გრეხით, როგორც შოლტი, თვალში მხვდებოდა. და როგორც აღმოჩნდა, მე მათზე მცდარი აზრი არ მქონია და არც მცდარი გადაწყვეტილება მიმიღია, რადგან შემდეგ ორივე განუდგა ეკლესიას" (სქეარქიმარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი). ლექციები სამოძღვრო ღმრთისმეტყველებაში. საქ. საპატრიარქოს გამომც. 2013 წ. გრიგოლ რუხაძის თარგმანი. გვ. 261-261).

[125] *„გონიერი ლოცვის ღირსებაზე, როგორც ღმერთთან მიმსგავსების საშუალებაზე და მეთოდზე - იხსენებს არქიმანდრიტი ეფრემ ვატოპედელი - ბერი (იოსებ ვატოპედელი) წერდა: თუკი იოანე კიბისაღმწერელმა ლოცვას უწოდა „ბუნებით შეერთება ღმრთისა დაკაცისა", ხოლო ღირსმა ნილოსმა „გონების ღმერთთან საუბარი", მაშასადამე, თითოეული მორწმუნე ვალდებულია დიდად გაისარჯოს მის მოსაპოვებლად, გამოამჟღავნოს მთელი თავისი კეთი-*

ვერ გაუმჯობესდება საზოგადოების სულიერი მდგომარეობა; ვერ განიცდება ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული; ხოლო თავის საზღვრებს გარეთ, ეკლესიას ვერ ექნება კეთილი გავლენა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.



არქიმანდრიტი ეფრემი
(ვატოპედელი)

ლი განწყობა და მზდყოფნა. მაშინ ქრისტე მლოცველს ლოცვას მისცემს. ღმერთშემოსილმა მამებმა, რომლებმაც ამ ლოცვის მრავლწლიანი გამოცდილება შეიძინეს, ქრისტეს სახელის მოხმობა გვასწავლეს და გადმოგვცეს, როგორც ღმერთთან მიმსგავსების ყველაზე მოკლე გზა... გონებისმიერი ლოცვა... სამართლიანად დამკვიდრდა, როგორც ქრისტეანული პირადსი ლოცვის ყველაზე გავრცელებული ლოცვა". (ეფრემ ვატოპედელი. არქიმანდრიტი. ბერი იოსებ ვატოპედელი - ლოცვის მისტაგოგია, გვ. 45-46. ვატოპედის მონასტერი, ათონის მთა. 2021 წ.)

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას საფუძველი ჩაუყარა, ეს სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისია. როგორ მოახერხა მან ეს? დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ დიდი, ანუ კარგი მღვდლობით, ანგელოზებრივი ცხოვრებით, სათნო ცხოვრების სიყვარულით, განსაცვიფრებელი ღვაწლითა და მრავალმხრივი განათლებით, მათ შორის – ბიზანტიურ ქრისტეანულ კულტურასთან მჭიდრო კავშირითა და ურთიერთობით;[126] მეტის თქმაც შეიძლება – განღმრთობილი მდგომარეობით.[127] ეს ყველაფერი კი სამყაროს შემოქმედთან მის ერთობაზე მიუთითებს (ამას ნიშნავს სწორედ „დიდი მღვდელი“ და საერთოდ, ქრისტეანიც). თეორიული, მსოფლმხედველობითი, ინტელექტუალური ქრისტეანობა, ანუ ქრისტეანობა ღმერთთან ცოცხალი კავშირის გარეშე, საერთოდ არ არსებობს; ხოლო თუ სადმე არსებობს, ეს ცალკე უბედურებაა ეკლესიისა და შესაბამისად, იმ სახელმწიფოსათვის, რომელშიც ამ ეკლესიას დომინანტი მდგომარეობა უკავია. ნამდვილი ღმრთისმეტყველება თეორიულისგან, ანუ ცრუ ღმრთისმეტყველებისგან[128] იმით განსხვავდება, რომ ის მხოლოდ პრაქტიკასთან ერთად არსებობს.

---


[126] *ქართულ-ბერძნული ურთიერთობის წახალისება დღესაც აქტუალურია. ამ მოსაზრების საფუძველი კი ქრიტეანობის ისტორიულ ფაქტებშია. გიორგი მერჩულის ნაწარმოებიც არაორაზროვნად მიგვანიშნებს ამის შესახებ, როცა წმინდა გრიგოლის ბერძნულ სამყაროსთან კავშირს აღნიშნავს და კონსტანტინეპოლს „ქრისტეს საჭურჭლედ“ მოიხსენიებს (მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა თავი 13, გვ 54. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014); და ასევე, როცა ამ ტრადიციის მუდმივი ხსოვნის დასტურად მაგალითი წმინდა მამის საძმოს ლიტურღიკული პრაქტიკიდან მოჰყავს: „ხოლო „კვირიელეისონი“ ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო შეგვიწყალენ“. (იქვე, თავი 43, გვ.138.*


[127] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 2, გვ. 8-12; 126-128; 148-150. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“ 2014*

[128] *„თანამედროვე ადამიანებში ჭეშმარიტი ღმრთისმეტყველებისადმი ინტერესის არქონა მათ სულიერ (არა ფსიქიკურ) ავადმყოფობაზე მეტყველებს. ისიც საგულისხმოა, რომ ქრისტე არა ათეისტებმა, არამედ ღრმად რელიგიურმა ადამიანებმა აცვეს ჯვარს“ (Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Т.1. «Отчии дом», 2004 г. Стр. 54.)*

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ვინც ნამდვილად ლოცულობს, ისაა სწორედ ღმრთისმეტყველი. ნამდვილი ლოცვა პიროვნულ ღმერთთან ერთობაა, რაც სწორედ ისიქასტური ცხოვრებითა და პრაქტიკით მიიღწევა და ხორციელდება.

სწორედ ჭეშმარიტ ისიქასტად წარმოჩინდება ჩვენ წინაშე წმინდა გრიგოლ ხანძთელი და გაცილებით ადრე (VIII ს.), ვიდრე ეკლესია თავისი კრებსითი ხმით წმინდა გრიგოლ პალამას მოძღვრებას დოგმატის რანგით განამტკიცებდა (XIV ს.). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისიქასტური პრაქტიკა და ცხოვრება დღესაც არსებობს. სწორედ ამიტომ ჩვენი დიდი წმინდანის მაგალითად დასახვა, მისგან სწავლა, მისი მიბაძვა და მისდამი მიმსგავსება სავსებით შესაძლებელია. ეს განსაკუთრებით ჩვენთვის, სასულიერო პირებისათვისაა, ყურადსაღები.





3.2. წმინდა გრიგოლ ხანძთელის ევქარისტიული (მადლიერებითი) მოღვაწეობა.

„რაი ქუს, რომელი არა მიგიღებიეს“ (1კორ. 4,7)
„ბერძნი შენთაგან, შენდა შემწირველნი...“[1]

რისტეანული ღმრთისმეტყველების მიხედვით, სამყარო არაფრისაგან შეიქმნა. რა თქმა უნდა, ამგვარი ხედვის საფუძველი ბიბლიაა, რომელიც დასაწყისშივე გვამცნობს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“ (შესაქ. 1,1).[2] ბიბლია იმასაც გვაუწყებს, რომ უკვე არაფრისაგან შექმნილ მატერიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე „უსახურით“ (თ. გ.) – თიხით, ადამიანი შეიქმნა: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან“ (დაბ. 2,7).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკლესიის წმინდა მამათა ასკეტური სწავლებანი იმ სულისკვეთებითა და დარიგებით იწყება, რომ ადამიანი არ უნდა ენდოს საკუთარ თავს[3] და სათნოებათა საფუძველი, რომელში განსწავლასაც თავად განკაცებული ღმერთი

---

[1] *სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის ლიტურღია. წირვა, ანაფორა*

[2] *„სიტყვა ქმნა, ებრაულ ორიგინალში – „ბარა“, როგორც ებრაელების, ისე ქრისტეანების რწმენითა და ბიბლიაზე დაყრდნობით (შესაქ. 1:1, შესაქ. 2:3-4; ეს. 40:28, ეს. 43:1; ფს. 148:5; გამოს.. 34:10; რიცხ. 16:30; იერემ. 31:22; მალახ. 2:10 და სხვ.), ღმრთაებრივი ქმედების გამომხატველია და არაფრისაგან ქმნის შემოქმედებით საქმიანობას ნიშნავს (რიცხ. 16:30; ეს. 45:7; ფს. 101:26; ებრ. 3:4, ებრ. 11:3; 2 მაკაბ. 7:28 და სხვ.): Лопухин А.П. Толковая Библия. Глава 1. https://azbyka.ru/otechnik/Lopuhin/tolkovaja-biblia/ 19.04.2019.*

[3] *შდრ.: „ნუ დაუჯერებ შენს თავს...“ (წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი, უხილავი ბრძოლა. თავი 2. გვ. 14. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. 2014 წ.)*

გვთხოვს, სიმდაბლე,[4] საკუთარი ბუნების ადეკვატური აღქმიდან იბადება. ამიტომაც გვეკითხება და თავდაჯერებულობისგან გვაფხიზლებს წმინდა პავლე მოციქული: „რაჲ გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს?“ (1კორ. 4,7).

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, როგორც ქმნილებას, არსებობაც ღმრთისგან აქვს და ისეთი ღირებულებებიც (როგორებიცაა, მაგალითად, უკვდავება, შემოქმედებითობა, თავისუფლება, ღმრთის შემეცნების და მასთან მყოფობის უნარი და სხვ.), რომლებიც მას ღმრთის ხატ და მსგავს არსებად აქცევს, ასევე უშუალოდ ღმრთისგან ნიჭებად აქვს მოცემული: „და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (დაბ. 2,7). აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ ამბობს უფალი: „რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (იოან. 15.5). ამავე დროს, სწორედ ღმრთის ხატობა და მსგავსება, სხვაგვარად – ზემოთ ხსენებული ღირებულებებით არსებობაა ნამდვილი სიცოცხლის, ანუ სიყვარულითა და ბედნიერებით ცხოვრების, ღმერთთან მარადიული მყოფობის წყარო.

ასეთი შესავლის მერე გასაგები ხდება, თუ რატომ აქვთ ქრისტეანებს მუდმივი მადლიერების გრძნობა სამყაროს შემოქმედისადმი: მან შეგვქმნა, შეგვიქმნა სამყარო, თავისი ხატობით დაგვაჯილდოვა, საერთოდ, შემეცნების უნარი და მისი (ღმრთის) შემეცნების შესაძლებლობა მოგვცა, ჩვენთვის ადამიანური ბუნება განუშორებლად შეიმოსა და მოწაფეები, მეგობრები და ძმები გვიწოდა; ჩვენი უძლურებანი, ტკივილები, ცოდვები იტვირთა და თავისი ტკივილებითა და ტანჯვით ჩვენ განგვკურნა;[5]

---

[4] *შდრ.: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მათ. 11,29)*

[5] *„ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით. ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დალეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასა-*

აღდგომით, ამაღლებითა და მამის მარჯვენით დაბრძანებით, შვილობისა და მადლით ღმერთობის სტატუსით სასუფეველში დამკვიდრებისათვის გზა გაგვიხსნა, და სანამ ამ სოფელში ვართ, ზიარების სახით საკუთარი თავი დაგვიტოვა.[6] შესაბამისად, ამ უსამართლო წუთისოფელში, რომლის მთავარი სატანაა (იოან. 12,31),[7] სიხარულითა და მხიარულებით, ანუ ბედნიერი[8] ცხოვრების შესაძლებლობა მოგვანიჭა.

ამ ყოველივეს გაცნობიერებით, ქრისტეანთა ცხოვრება ერთი დიდი მადლიერებაა; ქრისტეანთ მუდმივი მადლიერებითი დამოკიდებულება აქვთ ღმრთისადმი, რაც კარგად ჩანს ლიტურგიკულ ღმრთისმსახურებაში – „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩვენისაო, რამეთუ ყოველსავე იქმ ქველის-მოქმედებად ცხოვრებისა ჩვენისათვის, რათა სამარადისოდ შენდა მომართ ვხედვიდეთ, მაცხოვრისა და მსსნელისა სულთა ჩვენთასა.“[9] ქრისტეანები, არიან რა მინდობილი ღმრთის ნებას,[10] ყოველ წვრილმანშიც კი მისი იმედი აქვთ და ყველაფერს მასზე მინდობით აკეთებენ. ამის მაგალითს

კლავად მიიყვანეს და. როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილიდან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის ძოდგმაზე, როცა ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა; ჩემი ხალხის ცოდვებისთვის დაისაჯა. მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით მაგრამ მდიდართან დაიმარხა, რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა. უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავს თავის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება. თავის სულისკვეთების ნაყოფს იხილავდა და დაამდებოდა; მისი სიბრძნით ბევრს გაამართლებს მართალი, ჩემი მორჩილი, და სხვათა შეცოდებებს იტვირთავს. ამიტომ მრავალში მივცემ მას წილს და ძლიერებთან ერთად გაინაწილებს ნადავლს, რადგან სასიკვდილოდ გაწირა თავი და ცოდვილთა შორის შეირაცხა; მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“ (ეს. 53)

[6] *“და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28,20)*

[7] *შდრ.: „...რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ“ (იოან. 14,30)*

[8] *„...აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გულნი ჩვენნი...“ (სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის ლიტურღია. ამბიონის ლოცვის შემდგომი საიდუმლო ლოცვა)*

[9] *სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა ბასილი დიდის ლიტურღია. ცისკრის მე-6 ლოცვა*

[10] *შდრ.:„...იყავნ ნებაჲ შენი...“ (მათ. 6,10)*

გვაძლევს წმინდა გრიგოლ ხანძთელიც:



მეუფებითა სუფევისა შენისაჲთა, ღმერთო, უშრომელად დაჰბადენ დაბადებულნი ყოველნი და ხელმწიფებით განმგებელ სარ ყოველთა ქმნულთა შენთა, რამეთუ ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი და ქვეყანისა დამამტკიცებელი და ზღვათა დამამყარებელი და წვლილადთაცა [წვრილმან] საქმეთა მოქმედვე სარ, ვითარცა თქვა დავით: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი“ [11]

დამოწმებულ ამონარიდში კარგად ჩანს წმინდანის მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება ღმრთის, როგორც ყოველივეს შემოქმედისადმი („ღმერთო, უშრომელად დაჰბადენ დაბადებულნი ყოველნი...“) და ყოველივეს განმგებლის მიმართ („წვლილადთცა საქმეთა მოქმედვე ხარ...“). ეს ხედვა სრულად თანხვდება პავლე მოციქულის ხედვას: „რაჲ გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს?“ (1კორ. 4,7); რა თქმა უნდა, ამგვარი დამოკიდებულება ღმრთისადმი მადლიერებისკენ განგვაწყობს.

ქრისტეანები, ყველაფერში ღმრთის მადლიერნი, განსაკუთრებულ მადლიერებას ქრისტესგან ნაბოძები დიადი მსახურების გამო გამოხატავენ. ვგულისხმობთ უსისხლო მსხვერპლშეწირვას, ანუ წირვას, რომლის აღსრულების ვალდებულება ქრისტესგან ანდერძად მოგვეცა: „ამას ჰყოფდით მოსაჴსენებელად ჩემდა“ (1კორ.11,24). წირვისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ჩანს წმინდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების ცხოვრებაში: შორდება რა შატბერდელებს, წმინდა გრიგოლი უპირატესად იმისთვის ადიდებს იესუ ქრისტეს (რითაც გამოხატავს ღმრთისადმი მადლიერებას), რომ მისი მოწაფენი ამ სოფელში წმინდა მსხვერპლის შემწირველნი არიან და ამასვე გააგრძელებენ მარადისობაში:

> უფალო ჩემო, იესუ ქრისტე ღმერთო... მოწყალებით მომიძეღვ მე ქვეყანათა ამათ სამთა თანა მოყვასთა კეთილთა მღდელთა წმიდათა სიკვდიდმდე მარადის დაუყუდნებელად [შეუფერხებლად] შენდამი შემწირველთა მსხვერპლთა მათ უსისხლოთა, წმიდათა და მრავალთა სულთა ნავთსაყუდელ ჰყვენ იგინი. და შემდგომად სიკვდილისა მათისა, ღირს ჰყვენ უოხჭნოდ [დაუსრულებელად] მსახურებად ზეცისა

[11] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 25, გვ. 82. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“. 2014*

საკურთხეველსა ანგელოზთა თანა წმიდათა.[12]

საზოგადოდ, გიორგი მერჩულე ხაზგასმით აღნიშნავს წმინდა გრიგოლისა და მისი მოწაფეების ღმრთისადმი მადლიერებით დამოკიდებულებას წირვისა და შესაბამისად წმინდა საიდუმლოებასთან ზიარების გამო: „და ვითარცა ჟამი შეწირა ღირსმან ეპიფანე, ეზიარნეს ყოველნი წმიდასა მას საიდუმლოსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და ერთობით მადლი მისცეს [მადლობა უძღვნეს] წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა."[13]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რატომ ეწოდა უსისხლო მსხვერპლშეწირვას ევქარისტიული (ბერძნული სიტყვა, რომელიც მადლობას ნიშნავს), ანუ მადლიერებითი მსახურება: ჩვენ ყველაფრისთვის მადლიერნი ვართ, რამეთუ ყველაფერი ღმრთისგან მოგვეცა; განსაკუთრებით მადლიერნი ვართ იმის გამო, რაც განკაცებულმა ძე ღმერთმა ჩვენთვის გააკეთა და რა თქმა უნდა, მადლიერნი ვართ უსისხლო მსხვერპლშეწირვის, ანუ წირვის მსახურების გამო, რამეთუ მისი საშუალებით ქრისტესთან ერთობის, ყოვლადწმიდა სამების საუფლოში მკვიდრობის შესაძლებლობა გვეძლევა. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ამ დიად მსახურებას მადლიერება იმიტომ ჰქვია, რომ წირვის დროს უპირატესად მადლობასა და დიდებას შევწირავთ ღმერთს, ვიდრე რამეს ვთხოვთ. შესაბამისად, ევქარისტიული მსახურება უანგარო და ამიტომ ადამიანური ღირსებისათვის უაღმატებულესი მსახურებაა.[14]

---

[12] *მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 72, გვ. 200. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი". 2014*

[13] *იქვე თავი 48, გვ. 148.*

[14] *„ღმრთისადმი ლოცვა ოთხი ტიპისაა. ესენია: სადიდებელი, მადლიერებითი, ცოდვათა აღმსარებლობა და სავედრებელი. მაგრამ უპირველესი ადგილი სადიდებელ ლოცვას ეკუთვნის (სადიდებლით იწყება სწორედ ყოველი, მათ შორის, ევქარისტიული მსახურება ეკლესიაში). ასეთია ღმერთს მიახლებული ყოველი კეთილგონიერი ადამიანის ქმედება. [...]. ღმერთთან მიახლებისთანავე, უპირველეს ყოვლისა, მის მიუწვდომელ სიდიადესა და ყოვლისშემძლეობას შევიცნობთ. ამის შედეგი განცვიფრება, გაკვირვება, აღტაცება და მსგავსი განცდებია, და აქედან იბადება ღმრთის მადიდებელი სიტყვები. ამის შემდგომ ღმრთის სიკეთესა და კაცთმოყვარეობას ვუღრმავდებით და შედეგად მისდამი მადლიერებით განვიმსჭვალებით, რასაც შესაბამისი სიტყვებით გამოვხატავთ. ხოლო როდესაც ჩვენი კეთილისმყოფელი ღმრთის სიკეთის ფონზე ჩვენს უკეთურ საქმეებს ვიხსენებთ, ჩვენი*

საკითხის მეტი თვალსაჩინოებისათვის თავად ლიტურგიკულ ტექსტებს უნდა მივმართოთ; კერძოდ, წმინდა იოანე ოქროპირის წირვისას, ანაფორის დროს აღვლენილ საიდუმლო, მადლიერების ლოცვას. მასში მღვდელმსახური (სასურველია, მრევლის გასაგონად) სამგზის მადლობას უძღვნის ღმერთს ყოველივე იმისთვის, რაც მან ჩვენთვის გააკეთა. ამ ლოცვაში მრევლის ჩართულობის აუცილებლობაზე დაბეჯითებით მიუთითებენ წმინდა მამები და ეკლესიის მოძღვარნი:



წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, მადლიერების ლოცვას არა მარტო მღვდელი აღავლენს, არამედ – მთელი ერიც. მეტიც, მღვდელი მადლიერების ლოცვას მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, რაც მოწოდებაზე – „ვმადლობდეთ უფალსა“, ხალხისგან დასტურს იღებს: „ღირს არს და მართალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, სამებისა ერთარსებისა და განუყოფელისა.“ მადლიერების ერთად გამოხატვით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მიუხედავად ჩვენი განსსვავებულობისა, მაინც ერთი სხეული ვართ და ეკლესიის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას მღვდლებთან ერთად მრევლიც ინაწილებს.[15]

ლოცვის მიხედვით, მადლიერების მიზეზი სამია:

პირველი მიზეზი ისაა, რომ ყოფიერებას ცოცხალი, პიროვნული საწყისი აქვს, უფრო სწორად კი – ჰყავს. მღვდელმსახური მადლიერებით მიმართავს ღმერთს, ყოვლადწმიდა სამებას: „შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი, მოუგონებელი, უხილავი, მიუწვდომელი. მარადის ხარ, ვითარცა იგი ხარ შენ, და მხოლოდ შობილი ძე შენი, და სული შენი წმიდა...“ (ამ სიტყვებში ნათლადაა გადმოცემული ტრანსცენდენტული და ცოცხალი ღმრთის შესახებ ამაღლებული ქრისტეანული სწავლება – თ. გ.).

მადლიერების მეორე მიზეზი ჩვენი, ადამიანების, ყოფიერება,

გული ნანობს და ამას სიტყვებითაც აღიარებს. ამის შემდგომ კი უფალს ჩვენი ცოდვების მიტევებას, ჩვენს გადარჩენასა და სხვა გასაჭირში შეწევნას ვევედრებით... და ამავე დროს დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რასაც ვითხოვთ, მოგვეცემა“ (თუ ეს სათხოვარი ღმრთის ნებას არ ეწინააღმდეგება – თ. გ.)“ (Св. Николай Кавасила. Изъяснение Божественной Литургии. Ст. 57-59. Сибирская Благозвонница. Москва. 2017 г.).

[15] Милов, В. (Епископ). Пастырское богословие с аскетикой. Стр. 251. Москва: Свято-Троицкая Лавра. 2002

არსებობაა. მღვდელი ყოვლად წმიდა სამებას მადლიერებით მიმართავს: „...რამეთუ შენ არა არსისაგან ყოფად მომიყვანე ჩვენ (არაფრისაგან შეგვქმენი – თ. გ.) და დაცემულნი კვლავად აღმადგინენ (გოლგოთის მსხვერპლით გამოგვისყიდე – თ. გ.) და არა განეყენე ყოვლისა ქმნად, ვიდრემდის ზეცად აღმიყვანებ ჩვენ (არ მიგვატოვებ, მამობრივი მზრუნველობიდან გამომდინარე, არ დაგვანებებ თავს, სანამ არ გვაცხოვნებ – თ. გ.) და მოგვმადლე ჩვენ სასუფეველი მერმისა (შვილებრივი სტატუსით (იოან. 20,17) გვპირდები ზეცის მოქალაქეობას – თ. გ.). ამათ ყოველთათვის გმადლობთ შენ, და მხოლოდ შობილსა ძესა შენსა, და სულსა შენსა წმიდასა, ყოველთათვის, რომელი უწყით და რომელი არა უწყით, საჩინოთა და უჩინოთა ქველისმოქმედებათა ჩვენთა...“[16]

მესამე მიზეზი, რომლის გამოც ღმერთს მადლობას ვუძღვნით, მისი დღესვე, ამ სოფელშივე ჩვენთან მყოფობაა იმ საიდუმლოების საშუალებით, რომელიც მისივე დანატოვარია და რომელსაც მღვდელი მრევლთან ერთად აღასრულებს: „...გმადლობ შენ შეწირვისაცა ამისთვის, რომლისა ხელთაგან ჩვენთა შეწირვა ღირს იჩინე... (შდრ.: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ეზიარნეს ყოველნი წმიდასა მას საიდუმლოსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და ერთობით მადლი მისცეს (მადლობა უძღვნეს) წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა“). დამოწმებული პასაჟებით ცხადი ხდება ქრისტესთან მაზიარებელ მოღვაწეთა მადლიერებითი დამოკიდებულება ღვთისადმი, რომელმაც დიდი საიდუმლოება დაგვიტოვა ადამიანებს. ეს მადლიერება ყოველთვის აღევლინება ევქარისტიული მსახურების დროს.

მოკლედ რომ ითქვას, მადლიერების ლოცვაში ჩვენ ღმერთს მადლობას ვუხდით პირველი – იმის გამო, რომ იგი არის; მეორე – იმიტომ, რომ ჩვენ ვართ და დაცემულნი გამოგვიხსნა; და მესამე – იმ მიზეზით, რომ მან უსისხლო მსხვერპლშეწირვის მსახურება დაგვიტოვა, რომლის დროსაც უშუალოდ ძღვნის

---

[16] შდრ.: ყველაფრისთვის, ზრუნავ ჩვენთვის: „ღმერთო... ხელმწიფებით განმგებელ ხარ ყოველთა ქმნულთა შენთა... და წვლილადთაცა [წვრილმან] საქმეთა მოქმედვე ხარ, ვითარცა თქვა დავით: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი“). მერჩულე გ. ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა. თავი 25, გვ. 82. (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა). თბილისი: „ახალი ივერონი“ 2014

[17] სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის ლიტურღია. ანაფორა. მადლიერების ლოცვა

გარდასახვის წინ მღვდელი აღამაღლებს ძღვენს სიტყვებთან ერთად, რომლებითაც ყველა ქრისტეანის პოზიციასა და მზაობას, სრულიად ეკლესიის სულისკვეთებას გამოსატავს: „შენნი შენთაგან, შენდა შემწირველნი.“[18] ეს ნიშნავს იმას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამი მიზეზით მადლიერნი მას აღმსარებლობით ვეუბნებით: „ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, სიცოცხლის ჩათვლით, შენგან გვაქვს და შენ გეკუთვნის, ღმერთო, ამიტომ შენდამი მადლიერებით აღვსებულებს გვაქვს მზაობა, ყოველივე, მათ შორის საკუთარი თავიც, შენ შემოგწიროთ“ (შდრ: „რამეთუ შენთჳს მოვწყდებით ჩუენ მარადღე და შევირაცხებით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“ (რომ. 8,36)). ღმრთისადმი ამგვარი მიძღვნისას იმ აუცილებელ პირობაზე, რომლის დროსაც საკუთარი დაცემული ბუნების ემოციები არ მოგვატყუებენ, წმინდა იოსებ ისიხასტი აღნიშნავს:

მხოლოდ ის მიუძღვნის „შენნი შენთაგან...“-ს, რომელიც ხედავს საკუთარ სიშიშვლეს [არსობრივს. – თ. გ.], უსუსურობას და ამიტომაც ღმერთს უყურებს, როგორც თავის კეთილისმყოფელს, რომელმაც შემოსა რა „სამოსელ პირველ“[19] – მადლის მიერ შვილად სახელდო. ასეთი კი, რა თქმა უნდა, თავისი ზეციური მამის სიკეთის მიერ სიტკბოებაში მყოფი, სწირად აღავლენს მადლიერების სიტყვებს: „შენნი შენთაგან, შენდა შემწირველნი...[20]

ქრისტეანისათვის ეს ყოველივე პრაქტიკულად, ყოველდღიურ ევქარისტიულ ცხოვრებაში ვლინდება. ანუ ქრისტეანის ცხოვრება მხოლოდ წირვაზე არაა ევქარისტიული – მადლიერებითი, არამედ მუდამ ასეთია: „გინათუ შჭამდეთ, გინათუ ჰსუმიდეთ, გინათუ რასაცა იქმოდით, ყოველსავესა სადიდებლად ღმრთისა იქმოდეთ“ (1კორ. 10,31). ამგვარი მდგომარეობა, თვით ყოფით ცხოვრებაში, მუდამ ღმრთის ხსოვნასა და მაძიებლობას ნიშნავს. ასეთ ადამიანს კი ბუნებრივად უჩნდება მოთხოვნილება ჭეშმარიტი ევქარისტიული ცხოვრებისა, ანუ ხშირად ზიარებისა: „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ“ (მათ. 5,6).

---

[18] სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის და წმინდა ბასილი დიდის ლიტურგია. ანაფორა. მადლიერების ლოცვა

[19] „ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი ჴელსა მისსა და ჴამლნი ფერჴთა მისთა“ (ლუკ. 15,22).


[20] Исихаст Иосиф (Старец). Полное собрание творений. стр. 404. Москва. Актырский Свято-Троицкий монастырь. 2015.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჩვენს ეკლესიაში სავალალო მდგომარეობაა: მორწმუნენი წირვაზე დგანან, მაგრამ იშვიათად ეზიარებიან. ეს ლიტურგიკულად არასწორი პრაქტიკა უაღრესად დამაზიანებელია ეკლესიის წევრთა სულიერი მდგომარეობისათვის და მათში მრავალ უკეთურობას წარმოშობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ეკლესიის, ეკლესიის წმინდა მამების პოზიცია ასეთია:

> ყოველი მართლმადიდებელი ქრისტეანი ვალდებულია, ხშირად ეზიაროს. ამისკენ მოგვიწოდებს ჩვენი უფლის, იესუ ქრისტეს, მცნებები, წმინდა მოციქულთა და ეკლესიის კრებათა დადგენილებები, ღირსი და წმინდა მამების მოწმობანი და თავად ლიტურგიკული მსახურების განწესება და ტექსტები... კრებათა დადგენილებები საკმაოდ მკაცრად განუწესებს ყოველ ქრისტეანს, რომ ისინი ხშირად და ყოველ ლიტურგიაზე უნდა ეზიაროს; სხვა შემთხვევაში და ობიექტური მიზეზის გარეშე, ისინი მოციქულთა და კრებათა განწესების თანახმად, საეკლესიო ერთობისგან განიკვეთებიან. თუ საღმრთო და წმინდა ლიტურგიის განწესებას კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ დასაწყისიდან ბოლომდე, ლოცვებში, რომლებიც მედავითნეების მიერ იკითხება, რომლებსაც მღვდელი აღავლენს, ყოველი მღვდელმოქმედება და განწესება მიუთითებს მიზანზე, რომელიც ეკლესიაში შეკრებილი მორწმუნეების ზიარებაა [...]. XV საუკუნის ბიზანტიელი ეგზეგეტი, იოჰ ამარტოლელი, თავის წიგნში „საიდუმლოებათა შესახებ“ წერს, რომ „ლიტურგიის სრულყოფილება და მიზანი ცხოველსმყოფელ და საშინელ საიდუმლოებასთან, დიდ სიწმინდესთან ზიარებაა [...]. ღირსეულნი, ხარისხის მიუხედავად, მღვდელნი იქნებიან ისინი თუ ერისკაცნი, კაცები თუ ქალები, ბავშვები თუ მოხუცები, ანუ ნებისმიერი იერარქიული ხარისხისა და ასაკის ქრისტეანები, ყოველდღე შეიძლება ეზიარებოდნენ.“ მღვდლები, რომლებიც ბარძიმთან რწმენითა და კრძალვით მიახლებულ ქრისტეანებს არ აზიარებენ, ღმრთის წინაშე, როგორც კაცის მკვლელნი, განისჯებიან [...]. ანტიოქიის მე-2 კრების კანონი გვამცნობს, რომ: „ყოველი, ეკლესიაში შემავალი და სახარების მსმენელი ქრისტეანი, რომელიც ლიტურგიკული განწესებიდან თავის არიდებით მორწმუნე მრევლთან ერთად არ ილოცებს და წმინდა ევქარისტიასთან ზიარებას განუდგება, ეკლესიის ერთობიდან მანამდე იქნას განკვეთილი, სანამ ცოდვას არ

აღიარებს, სინანულის ნაყოფს არ გამოავლენს და შენდობას არ ითხოვს. იოანე ზონარა სჯულის კანონის ამ ადგილის განმარტებისას აღნიშნავს, რომ: „აქ წმინდა მამები ზიარებისგან განდგომილებას საღმრთო ზიარების უარყოფასა და სიძულვილს კი არ უწოდებდნენ, რამეთუ ამ შემთხვევაში უარმყოფელნი ანათემირებულნი იქნებოდნენ, არამედ – ცრუ კრძალვასა და ცრუ სიმდაბლეს".[21]

ქრისტეანისათვის სიცოცხლე არა მხოლოდ ხორციელი და ამსოფლიურია, არამედ უპირატესად სულიერია, რაც ქრისტესთან, როგორც ჭეშმარიტ სიცოცხლესთან, მუდმივ მყოფობას ნიშნავს (იოან. 6,54; 14,6; 1თეს. 4,17). ამიტომ წმინდა მამებისთვის ზიარებისგან მოკლება სიცოცხლეზე უარის თქმას ნიშნავს:



როგორც მოუკლებელი სუნთქვა და რეგულარული კვებაა ხორციელი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი, ასევეა აუცილებელი სულისათვის სწირი ზიარება: „მარადიული სიცოცხლისათვის – ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი, – უფლის სისხლთან და ხორცთან მუდმივი ზიარებაა აუცილებელი"; სოლო როცა წმინდანს ერთმა დედაკაცმა, სახელით კესარია პატრიციამ, ზიარების შესახებ ჰკითხა, წმინდანმა წერილობით უპასუხა, რომ „ყოველდღიურად უფლის ხორცთან და სისხლთან ზიარება კარგი და სასარგებლოა, რამეთუ ასეთებს, უფლის სიტყვებისაებრ, მარადიული სიცოცხლე ენიჭებათ." მონაზონი იობ აღმსარებელი ამბობს: „კარგია, სამართლიანია და ბუნებრივიც, თუ მართალი და მოწესრიგებული ქრისტეანი ხშირად ეზიარება, თუ ეს სიწმინდე სუნთქვაზე მეტად სწყურია. ამიტომ ყოველ ქრისტეანს მუდმივად ზიარების უფლება აქვს, სოლო თუ ეს შესაძლებელია, ღირსეულთ ყოველდღიურ ზიარებაზეც არა აქვთ დაბრკოლება"; „და როგორც ჩვილი ბავშვი ეძებს და მიიწევს დედის მკერდისკენ, რომ სიცოცხლის საკვებს დაეწაფოს, – წერს წმინდა იოანე ოქროპირი, – ასეთივე და კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა ვესწრაფოდეთ წმინდა ტრაპეზს; და დაე, ერთი იყოს ჩვენი მწუხარების მიზეზი მხოლოდ: თუ საღმრთო საკვებს, ქრისტეს ხორცსა

[21] *Преподобный Никодим святогорец, Святитель Макарий коринфский. Книга душеполезнейшая о непрестсянном причашении святых Христовых таин. Стр. 25, 31, 88,90,106,107. Ахтырский Свято-Троиский монастыр. 2014 г.*



და სისხლს, არ ვეზიარებით“ [...]. მსურს კითხვა დაგისვათ: საიდუმლო სერობაზე რომელიმე მოციქულს რომ ეთქვა: „მე დღეს არ ვეზიარები“, საინტერესოა, რა პასუხს გასცემდა უფალი? ვფიქრობ, რომ იმასვე ეტყოდა, რაც თავის დროზე, ფეხთბანვისას, პეტრეს უთხრა: „უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერჴნი, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემთანა“ (იოან. 13,8). უდავოა, რომ იგი საიდუმლო სერობისას ზიარებაზე უარისმთქმელებს ეტყოდა: „უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იოან. 6,53). საყვარელნო, განა იმავეს არ გვეტყვის უფალი დღესაც, თუ მასთან ზიარებაზე უარს ვიტყვით? მით უმეტეს, თუ ამ უარის მიზეზი არა სასიკვდილო ცოდვები ან მოძღვრისაგან დადებული აკრძალვა, არამედ – ცუდი ჩვევა და არასწორი ტრადიციაა? ეს ტრადიცია იმდენადაა ჩვენს ცნობიერებაში, რომ არა მხოლოდ ჩვენ ვაკლდებით ზიარებას, არამედ ხშირად მაზიარებლებსაც, როგორც ღმრთის წინაშე უკრძალველად მყოფებსა და მცსოვრებლებს, განვიკითხავთ. ასეთ დროს თითქოს პირდაპირ ჩვენზე ამბობს წინასწარმეტყველის პირით უფალი: „უთხარი მაგ ხალხს: სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ გაიგებთ; ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით. უგრძნობს გახდი მაგ ხალხის გულს, სასმენელთ დაუმძიმებ და სახედველთ აუხვევ, რომ თვალით ვერ ხედავდეს, ყურით ვერ ისმენდეს, გულით ვერ ხვდებოდეს, რომ არ მოიქცეს და არ განიკურნოს“ (ეს. 6,9-10).[22]

---

[22] *Преподобный Никодим святогорец. Святитель Макарий коринфский. Книга душеполезнейшая о непрестсннном причашении святых Христовых таин. Стр. 44-45, 47,180,181. Ахтырский Свято-Троиский монастыр. 2014 г. („აღმოსავლეთის მამებზე დაყრდნობით ნიკოდიმოსმა ძალიან ბევრი გააკეთა ათონის მთასა და საზოგადოდ, მართლმადიდებელ ეკლესიაში ხშირი ზიარების პრაქტიკის დასამკვიდრებლად. ის ამაშიც ისიქაზმის ტრადიციის მიმდევრად გვევლინება (ღმრთისმეტყველის ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ დასტურდება ისიქაზმისა და ინტენსიური ევქარისტიული ცხოვრების ორგანული კავშირი. თ. გ.). მან ამ საკითხთან დაკავშირებით მცირე ნაშრომიც გამოაქვეყნა (ხშირი ზიარების შესახებ, ვენეცია, 1783), რომელმაც ზოგიერთების მხრიდან გაშმაგებული ოპოზიცია გამოიწვია. თუმცა ბოლოს, მაინც მისმა პოზიციამ გაიმარჯვა: კონსტანტინოპოლის სინოდის 1819 წლის აგვისტოს თვით დათარიღე-*


ეს სულისკვეთება[23] აღავსებდა და აღავსებს ქრისტეანებს და ბადებს მოწამეობრივ სულს, იძლევა ღვაწლისა და დიადი სულიერი გმირობის აღსრულების ძალას, ცხოველსყოფს რწმენას და მორწმუნენი მოციქულთა სიმაღლეზე აჰყავს. ასეთი მორწმუნენი, მადლიერნი და იმედით აღსავსენი, გახარებულნი და მხიარულნი, ახარებენ რა ღმრთისაგან ადამიანთათვის ახალი აღთქმის დადებას (შდრ..: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათ. 26,28), გარემომცველი სამყაროსთვის მოციქულნი, ანუ მახარებელნი, ე. ი. ნათელნი (შდრ.: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი“ (მათ. 5,14)), მარილნი, ანუ განმწმენდელნი, გადამრჩენელნი ხდებიან (შდრ.: „თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“ (მათ. 5,13)). სწორედ ასეთნი იყვნენ წმინდა გრიგოლი და მისი მოწაფენი. ამიტომაც გამოიღო მათმა მოღვაწეობამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაყოფები. სწორედ წმინდა გრიგოლ ხანძთელსა და მის მოწაფეებზე აღსრულდა უფლის სიტყვები: „...თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათ. 6,33). დღეს არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის

ბულმა ოფიციალურმა გადაწყვეტილებამ კამათი დაასრულა და დაადგინა, რომ პრინციპში მორწმუნეები ყველა ლიტურგიაზე უნდა ეზიარებოდნენ და ყველას ურჩევდა, ყოველი კვირის ლიტურგიაზე ზიარებოდნენ უფლის სისხლსა და ხორცს. ნიკოდიმოსის ხსოვნას საზეიმოდ მიაგეს პატივი, როდესაც 1955 წლის 31 მაისს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მისი კანონიზაციის გადაწყვეტილება გამოაქვეყნა“ იოანე მეინდორფი. წმინდა გროგოლ ჰალამა და მართლმადიდებლური სულიერება. გვ. 97. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნივერსიტეტი. 2020)

[23] *„დაე მუდამ მოვუხმობდეთ ღმერთს ენით, ნებელობით და გულისხმისყოფით, რათა ყოველ ცოდვას ერთი მაცხოვნებელი სამუალებით ვუმკურნალოთ, რამეთუ „არავინაჲ არს სხჳთ ცხორებაჲ და არცაღა არს სახელი სხუაჲ ცისა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებაჲ ჩუენდა“ [სხვის მიერ არვისგანაა ხსნა და არც კაცთათვის მიცემული სხვა სახელია ცის ქვეშ, ვისი წყალობითაც ვიხსნიდით თავს] (საქ. 4,12). ამისთვის კი საკმარისია, საღმრთო მოშურნეობისთვის ძალის მომცემია, უდებების განმდევნელი და გულის განმამტკიცებელია პური, რომელიც გარდამოხდა ზეცით, რომელმაც მოგვანიჭა სიცოცხლე, რომლითაც ყველა მსურველს ძალუძს განძღომა, და ამ დიდებულ სერობაზე მყოფნი არასოდეს არიან მშიერნი; ასევე, უღირსობის გამო არ უნდა დავბრკოლდეთ, რათა უფრო მეტად არ დავუძლურდეთ“ (св. Николай Кавасила. Семь слов о жизни во Христе. слова 7. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj-Kavasila/sem-slov-o-gizni-vo-hriste 09.01.2020).*

წინაშე მდგარ საქართველოში სასულიერო პირებმა მისაბაძ მაგალითად წმინდა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი უნდა დავისახოთ.





თავი IV
წმინდა გრიგოლ ხანძთელის ესქატოლოგია

„და კვლავად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცოცხალთა და მკვდართა... მოველი აღდგომას მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნისა
(„მრწამსი“ სარწმუნოების სიმბოლო)

ქრისტეანული რწმენა განუყოფელია ქრისტესგან. ქრისტეანული რწმენა არ გვაძლევს საშუალებას, დავკმაყოფილდეთ ზნეობრივ-ასკეტური ცხოვრებით და თეოლოგიური განათლებით. ჭეშმარიტი ქრისტეანული რწმენა ქრისტესთან პიროვნული ერთობის დანაკლისს განგვაცდევინებს მუდამ. უფალი არ იწყნარებს მხოლოდ რელიგიურად და ზნეობრივად გამართულ (ფარისევლურ და მწიგნობრულ) სიმართლეს: „უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 5,20); და არც მხოლოდ რელიგიურ კეთილმოწესეობასა[1] და ზნეობრივ სისუფთავეს.[2]

უფალმა არ მიგვატოვა ამაღლების მერე და ეკლესიის სახით თავისი თავი დაგვიტოვა: „...ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი...“ (მათ. 16); „აჰა ესერა მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28,20); და თუ ეს დაგვავიწყდება, და თუ ჩვენ, როგორც ეკლესია, ფხიზლად არ ვიქნებით, როგორც მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ამბობს: გარკვეულ საშიშროებათა

[1] *ლუკ.13,23-27.*

[2] *იხ. იგავი ათი ქალწულის შესახებ (მათ. 25,1-13).*

წინაშე დავდგებით. ზიზიულასი ამ საშიშროებათაგან ორს გამოყოფს და თავის აზრს ამგვარად აყალიბებს:


1) ეკლესიამ არ უნდა დაკარგოს, არ დაივიწყოს, რომ მისი ბუნება უპირატესად ესქატოლოგიურია,[3] და ამიტომ არ უნდა შემოისაზღვროს ისტორიაში მოღვაწეობით, ანუსაზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობით, იმ როლით, რომელიც მას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში აქვს, სოციალური მსახურებით, თეოლოგიით, ანუ აკადემიური განათლებით, მისიონერობით; სხვა სიტყვებით: არ უნდა დაივიწყოს მთავარი: მომავალი და მარადიული სიცოცხლე ღმერთში;

2) რომ ეკლესია, გატაცებული სულიერი და მორალური ცხოვრებით, ინდივიდუალური რელიგიურობითა და ზნეობრივი განწმენდით, ვნებებისაგან განთავისუფლებით, არ აღმოჩნდეს თვითკმაყოფილებაში და ამის შედეგად არ დაკარგოს ქრისტეს დაბრუნების, და ამით მასთან შესვედრის მწველი მოთხოვნილება, ანუ სურვილი ღმრთის სასუფევლის დიდებით დამყარებისა: „მარანათა" (უფალი მოდის, მოდი ჩვენთან, უფალო) (1კორ. 16,22); ანუ არ დაივიწყოს, რომ როგორი ხარისხიანიც არ უნდა იყოს ჩვენი სულიერი ცხოვრება, ჩვენ მაინც დაბინდულ სარკეში ვჭვრეტთ ჭეშმარიტებას: „ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები" (1კორ. 13,12); რომ უნდა გვქონდეს მუდმივი შიმშილი და წყურვილი ქრისტესთან ერთობისა: „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ" (მათ. 5,6); და ეს იმიტომ, რომ არასოდეს ვართ კმაყოფილნი ქრისტესთან ურთიერთობით: „...მოთმინებით ვრბიოდით წინაგანმზადებულსა მას ჩუენსა ღუაწლსა. და ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს..." (ებრ. 12,1-2); ერთი სული უნდა გვქონდეს, როდის დაბრუნდება იესუ ქრისტე დიდებით:

---

[3] *ესქატოლოგია (ბერძ. ἔσχατος, Eschatos უკანასკნელი; logos – მოძღვრება, ან სწავლება). მისტიკური მოძღვრება მსოფლიოს და ადამიანის საბოლოო ბედზე; წარმოადგენს ბევრი რელიგიის (მათ შორის ქრისტეანობის) შემადგენელ ნაწილს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=13526 (19.09.2020)*

„ჰო, მოვალ მალე! ამინ; ჰო, მოდი, უფალო იესო!“ (აპოკალ. 22,20).[4]



წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებში, რომელთაც ტიტეს მიმართ მიწერილ ეპისტოლეში ვკითხულობთ, კარგად ჩანს, რომ მიუხედავად ამ ცხოვრებაში სულიერი და ეკლესიური ცხოვრებით დატვირთულობისა, მთავარი აქცენტი მაინც უფალთან მომავალ შეხვედრაზე კეთდება: „ღმრთისმსახურებით ვცხოვნდებოდით ამას სოფელსა და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (ტიტ. 2,11-13); ასევე თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეში: „და ვითარ მოიქეცით კერპთაგან ღმრთისა მიმართ მონებად ღმრთისა ცხოველისა და ჭეშმარიტისა, და მოლოდებად ძისა მისისა ზეცით, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით, იესუ, მჴსნელი ჩუენი, რისხვისა მისგან მომავალისა” (1თეს. 1:9-10).

ამ მხრივ ნიშანდობლივია წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ წარმოთქმული ლოცვა ხანძთის მონასტრის აშენების წინ:

> ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩვენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩვენ თანა ხარ განმმზადებელი ჩვენთვის ადგილსა ამას კეთილსა განსასვენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთვის დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო! რაჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყვირისა ოხრაჲ შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ დაუსრულებელთა, ხოლო მართალთა

[4] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр. 40-41. Марий Эл. Богородице-сергиева пустынь. 2009*

ისტორიის დასასრულის ჟამს მოხდება: „მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთვის დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო!“; თუმცა, უფალთან შეხვედრის ეს მოლოდინი უდიდეს პასუხისმგებლობას განაცდევინებს წმინდანს: „ღმერთო! რაჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყვარისა ოხრაჲ შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ დაუსრულებელთა, ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა დაუსრულებელსა, მაშინ ეტყებდენ (იგოდებს) ყოველნი ტომნი ქვეყანისანი ამისთვის, რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულნი გვემათა და საარებათა (ტანჯვას)“; სიმდაბლის სათნოებიდან გამომდინარე, საკუთარი სიკეთის ვერდამნახავი გრიგოლი („მაშინ ვინაჲ (საიდან) იყოს ჩემდა სხნა ბრალთა პატიჟისაგან (სასჯელისაგან)?, რამეთუ არა მომიგიეს (მომიპოვებია) მე საქმეჲ, რომლითამცა უბრალო (უდანაშაულო) ვიპოვე წინაშე საყდართა შენთა, ქრისტე!“) ქრისტესთან შეხვედრისათვის თავს მოუმზადებლად თვლის: „მე ვძრწი, რამეთუ განუმზადებელ ვარ არა თუ უმეცრებისა აჩრდილთა შეყენებული, არამედ უდებებისა მედგრობათაგან (მცონარების – უსაქმობისაგან) ძლეული...“; რწმენით მოელის მკვდართა აღდგომას: „ვსმობ სულთქმით: (კვნესით) რაჟამს მოიწიოს დახსნაჲ (დარღვევა) გვამთაჲ და მხილებაჲ ცოდვათაჲ და კვლად განახლებაჲ და შეერთებაჲ სულისა და ხორცთაჲ, რომელთამე ცხორებად საუკუნოდ და რომელთამე სატანჯველად საუკუნოდ...“[7] აქვს წმინდანთა მეოხების იმედი: „არამედ ვედრებითა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისაჲთა და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა, უფალო მოწყალეო და სახიერო მეუფეო, წყალობა ყავ და მაცხოვნენ ჩვენ რჩეულთა შენთა თანა, რაჲთა მათ თანავე მიგცემდეთ შენ საუკუნოდ დიდებასა, ამენ!“; სტკივა და გლოვობს ბრალეულთა და ცოდვილთა გამო: „ხოლო მართალნი მათთვის იგლოვდენ“

წმინდა გრიგოლის მიერ წარმოთქმულ ლოცვაში კარგად ჩანს ის სულისკვეთება და მსოფლმხედველობა, რომლითაც დიდებული მღვდელი საქართველოს დიდ სახელმწიფოებრიობისთვის საფუძვლის ჩაყრას იწყებს; კარგად ჩანს, რაზე იდგა და რაზე უნდა იდგეს, არა უბრალოდ, აბსტრაქტული, გაურკვეველი წარმომავლობისა და იდეოლოგიის სახელმწიფო, არამედ სახელმწიფო ქართველთა, რამეთუ სხვანაირი საქართველო არ არსებობს; და რაც სხვანაირია,

[7] *შდრ.: „..მოველი აღდგომას მკვდრეთით...“ (მრწამსი).*

ის არც არის გრიგოლ ხანძთელის, შესაბამისად – დავითისა და თამარის საქართველო.

დღესაც, ჩვენ, ქრისტეანები, უმთავრესი, ევქარისტიული, ანუ მადლიერების მსახურებისას მღვდლის მიერ უსისხლო მსხვერპლის შეწირვისას აღვლენილ ლოცვებში არა მხოლოდ წარსულში აღსრულებულ უფლისმიერ ქმედებებს, არამედ ჯერ არდამდგარ მომავალსაც ვისხენებთ: „მომხსენებელნი უკუე საცხოვრებელისა ამის მცნებისა, და ყოველთა ჩვენთვის ქმნილთა, ჯვარცმისა, სამდღე დაფლვისა, აღდგომისა, ზეცად აღსვლისა, მარჯვენით ღმრთისა და მამისა დაჯდომისა და კვუალად დიდებულისა მეორედ მოსვლისა,“[8] რითაც ეს ჯერ არ დამდგარი მომავალი („კვუალად დიდებულისა მეორედ მოსვლისა“) აწმყოში, ყოველდღიურობაში შემოგვყავს (რამეთუ აწმყოში ვისხენებთ – „მომხსენებელნი“) და რის გამოც ჩვენი, ქრისტეანთა, ძირითადი მსახურებაცა და ყოველდღიური ცხოვრებაც ესქატოლოგიური, ანუ უფლის დიდებით დაბრუნების მოლოდინით განსმსჭვალული ხდება.

ესქატოლოგიური დატვირთვისაა საუფლო ლოცვის შემდეგი სიტყვებიც: „...პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს...“ (მათ. 6,11). პური თავად ქრისტეა: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ“ (იოან. 6.51); ანუ ზეციურ მამას „დღეს“, აწმყოში, იმ მარადიულ არსებობას ვთხოვთ, რომელიც მთელი სისავსით ჯერ არ დამდგარა, მაგრამ რომელსაც ველოდებით.

ეს ნიშნავს, რომ ქრისტეანი უფალთან ერთობითა და ქრისტესთან მომავალი შესვედრის მოლოდინით ცხოვრობს, რამეთუ, როგორც ქრისტეანული ღმრთისმეტყველება გვასწავლის, ადამიანი სწორედ ამისთვისაა შექმნილი:

> არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ადამის შექმნა ქრონოლოგიურად ღმრთის განკაცებას უსწრებს. ღმრთის მთელი გამოცხადება სწორედ იმას ეფუძნება, რომ ღმრთაებრივ ზედროულ რეალობაში იესუ ქრისტე არის „პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“ (კოლ.1,15). თუ ყოველი ქმნილება, ყოფიერებაში მოყვანილი, ადამიანისთვისაა, რომელიც ყველაზე ბოლოს შეიქმნა, მაშინ განა ლოგიკური არაა, რომ ქრისტე, რომლისათვისაც არსებობს ყოველი – მატერიალური და სულიერი, ადამის მერე შემოსულიყო ისტორიაში? როგორც ადამიანის უმაღლესი მდგომარეობა,

[8] *სამღვდელო კონდაკი. წმინდა იოანე ოქროპირის წირვა. ანაფორის ლოცვა*

ქრისტე ადამიანური განვითარების მიზანიცაა, ასევე ისტორიის საწყისიც და დასასრულიც... როგორც წმ. გრიგოლ პალამა წერს: „თავიდანვე, ადამიანი ქრისტეს გულისთვის შეიქმნა ღმრთის ხატად და მსგავსად, რათა მომავალში პირველხატების მსგავსება დაეტია. მცნებაც სამოთხეში ქრისტეს გამო მიეცა, რათა ქრისტესკენ აღმავლობაში შეწეოდა“ წმინდა მაქსიმე აღმსარებელიც ბრძანებს, რომ „დიადია საიდუმლოება, ნეტარია დასასრული, რომლისათვისაც ყოველივეს მიეცა დასაბამი. სწორედ ამისთვის, ღმრთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობით შეიქმნა ყოველი და არსებობს ყოველი, ყველაფერი ამ საბოლოო მიზნისათვის, ანუ ქრისტეს მიერ ღმრთაებრივი და ადამიანური ბუნების ერთ ღმრთაებრივ ჰიპოსტასში ერთობისათვის არსებობს.[9]

წმინდა პავლე მოციქულის დამოძღვრის კვალდაკვალ (1თეს.1,9-10), ვემსახურებით ცოცხალ და ჭეშმარიტ ღმერთს და ველოდებით ზეციდან მისი ძის დაბრუნებას. შესაბამისად, ყოველდღიურობაში, ამ შეხვედრის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ყველაფერს ღმრთის სადიდებლად ვაკეთებთ (1კორ. 10,31); ვცხოვრობთ როგორც უფლის ერთგული მწენი (1კორ. 4,1-2), მცოდნე მეგობარნი (იოან. 15,14) და მოწაფენი ქრისტესი (იოან. 15,8), როგორც შვილნი ზეციური მამისა (იოან. 20,17) და შესაბამისად, როგორც ნათელნი ამა სოფლისა (მათ. 5,14-16). მომავლის ამგვარი მოლოდინი აწმყოსაც გვიცვლის და შეიძლება ითქვას, სამყაროს ესქატოლოგიური ხედვისა და განცდის შემთხვევაში, აწმყო მომავალზე ორიენტირებული, დამოკიდებული და გამომდინარეც კი ხდება. ევქარისტიული მსახურება ამ რეალობის გათავისებაში გვეხმარება, რადგან თუ ლიტურგიის არსს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ იგი ყოვლადწმიდა სამების დიდებით, მისდამი მოწოდებით იწყება და ამგვარადვე სრულდება, რითაც ლიტურგიის ძირითად მიზანი წარმოჩინდება: ყოვლადწმიდა სამების წიაღში მარადიულ სიცოცხლეს გვაზიაროს; სხვაგვარად – ევქარისტიული მსახურება მომავალზე ორიენტირებულს გვხდის.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა მიტროპოლით იოანე ზიზიულასის მსჯელობა, რომელიც წმინდა მაქსიმე აღმსარებელს ეფუძნება:

---

[9] *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Ст..37-39 Москва . «Никея»-2011*




წარმართები (ძველი ბერძნები) თვლიდენ, რომ ადამიანის ცხოვრება ღმერთების მიერაა წინასწარ განსაზღვრული; დასავლური ჰუმანური ცნობიერება – ათეიზმი (მარქსიზმი, კაპიტალიზმი, ლიბერალიზმი) თვლის, რომ ადამიანი თავისი ქმედებებითა და რესურსით იქმნის საკუთარ მომავალს; ქრისტეანობა კი ასწავლის, რომ მომავალი წარსულისგან არ გამომდინარეობს, იგი არაა მისი შედეგი. პირიქითაა – სწორედ დასასრული აძლევს ყოფიერებას დასაწყისს [...]. ღირსი მაქსიმე აღმსარებელი ხშირად წერს იმის შესახებ, რომ მომავალი წარსულისა და აწმყოს მიზეზია და არა შედეგი, რამეთუ სამყაროს შექმნის მიზეზი ესქატოლოგიური, განკაცებული ღმერთი – ქრისტეა, როგორც ისტორიის დასასრულს, ქმნილის და არაქმნილის შეერთება. ეკლესია კი ამას, წმინდა მაქსიმეს მიხედვით, ევქარისტიული მსახურების დროს განიცდის, რამეთუ ამ დროს რეალობა ის ხდება, რაც დროის დასასრულს იქნება. ქრისტეში ვერთიანდებით, რაც ჩვენი მიზანია. რაც უნდა მომავალში იყოს, დღეს იმას მივეახლებით. ამიტომ ჩვენთვის, მორწმუნეთათვის, ეკლესია არის არა ის, რაც დღეს არის, არამედ ის, რადაც უნდა იქცეს. ღირსი მაქსიმე აღმსარებელი წერს: ძველ აღთქმაში აღსრულებული, ახალი აღთქმის აჩრდილია მხოლოდ; ის, რაც ახალ აღთქმაში ხორციელდება, მომავლის ხატებაა; ხოლო ჭეშმარიტება (ანუ პირველსახე – თ. გ.) მომავლის მდგომარეობაა. „ეკლესიაში ერთად შეკრების" (1კორ. 11,18) მიზეზი მომავალშია. შესაბამისად, ევქარისტია მომავალი, ჯერ არ დამდგარი სამეფოს შედეგია... ევქარისტია არა უბრალო კავშირში იმყოფება მომავალ სამეფოსთან, არამედ მისგან იღებს თავის ყოფიერებასა და ყოველგვარ ჭეშმარიტებას. [...] ევქარისტიაში, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, მუდმივი დინამიკა და სწრაფვა განიცდება, რომელსაც ღმრთის სასუფეველში გადავყავართ. ლიტურგიაში ყველაფერი წინ ისწრაფვის, არაფერია სტატიკური.[10]

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აქედანვე ვეჩვევით სულ უფალთან მყოფობას: „მარადის უფლისა თანა ვიყოფოდით" (1თეს. 4,17). აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად გასაგები ხდება, თუ რატომ გამოიღო, თვით სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით,

[10] *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Стр. 181-185; 195-196; 203,216,226. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009*

ასეთი კეთილი და დიადი ნაყოფები წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამ – ქართველი ხალხი, განსწავლული და სულიერად აღორძინებული, წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ გაცოცხლებული ქრისტეს რჯულით და ცოცხალი მაგალითის მოცემით, მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებული და ამიტომ ქრისტეს მიმსგავსებული, ჭეშმარიტად კეთილი ერი გახდა.





დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში წმინდა მამათა და თანამედროვე ღვთისმეტყველთა შრომებზე დაყრდნობით, გაანალიზდა გიორგი მერჩულის ნაწარმოებში დასმული ეკლესიოლოგიური საკითხები: ეკლესია, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართება, მღვდლობა, მოძღვრობა, ესქატოლოგია, ევქარისტია, ისიქაზმი – ლოცვის პრაქტიკა. აღნიშნული საკითხები, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ტექსტის მრავალმხრივი ანალიზის მიუხედავად, აქამდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი.

ტექსტური მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწყებიდან ჩამოყალიბდა ლოცვის ის პრაქტიკა, რომელიც მე-14 საუკუნეში, გრიგოლ პალამას მოღვაწეობისას, დოგმატურად იქნა კანონიზებული და რომელიც უაღრესად ფასეულია ცოცხალ ღმერთთან კავშირის დასამყარებლად.

გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ჟანრის სპეციფიკისა და მისი კანონების გათვალისწინებით, საკმარისად მახვილდება ყურადღება ეკლესიოლოგიურ საკითხებზე. აღნიშნული გარემოება იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის, 200-წლიანი კოლონიური, მათ შორის, 70-წლიანი მებრძოლი ათეიზმიდან გამომდინარე წყვეტის მიუხედავად, უაღრესად მნიშვნელოვანია ბერძნულ/ბიზანტიურ სულიერ კულტურასთან კავშირის მქონე ეროვნული ტრადიციები, რომლებსაც წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდშიც ვხედავთ და რომლებიც თანამედროვე ქართული ეკლესიისთვის მისაბაძ მაგალითად გვესახება. საამისოდ ნაშრომში თეორიულ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ვრცლადაა წარმოდგენილი. სწორედ მათ კონტექსტშია გაანალიზებული გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წარმოჩენილი ეკლესიოლოგიური საკითხები.

თხუზულებიდან განხილულია არაერთი ეპიზოდი, რომლებშიც სიტყვიერ (და არა – ქვეტექსტურ) დონეზე იკითხება მღვდლის უმთავრესი ვალდებულება, მოძღვრის როლი, ლოცვის პრაქტიკა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სამაგალითო მოდელი.

სადისერტაციო ნაშრომში, ქვეთავების მიხედვით, განხილული საკითხებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

„წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეკლესიოლოგიური მსოფლმხედველობა, ევქარისტიული მსახურებისა და ევქარისტიული ერთობის მნიშვნელობა განსაკუთრებულადაა ხაზგასმული;

ამავე კონტექსტშია წარმოდგენილი ნაწარმოების მიხედვით ეკლესია, როგორც ქრისტეს მისტიკური სხეული, და შესაბამისად მასში, ზეცისა და მიწის შეერთებისა და როგორც ცოცხალთა და გარდაცვლილთა ერთობის სივრცე;

წმინდა გრიგოლ ხანძთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მღვდლობის ინსტიტუტს როგორც ქცევით, ისე – სიტყვიერ დონეზე. ნაწარმოების მიხედვით (და ის აბსოლუტურად თანხვდება მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას: წმინდა წერილის სწავლებასა და ეკლესიის მამათა მოძღვრებას), მღვდლის უპირველესი მოვალეობა ევქარისტიული მსახურების აღსრულებაა;


ღმრთისმსახურებაში, საიდუმლოების აღსრულებაში, უმთავრესი თავად ღმერთია, მაგრამ, ამასთან, ტექსტში ხაზგასმულია ადამიანური სიწმინდის მნიშვნელობაც. სიწმინდე, განათლება და სულიერი ცხოვრების გამოცდილება – ეს სამი ორიენტირია დასახული, ტექსტის მიხედვით, კეთილი მღვდლობის წინაპირობად;

მღვდლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით ნაწარმოებში გამოკვეთილია სულიერი სკოლის ჩამოყალიბების საკითხიც და ნაჩვენებია ამ ტრადიციის კეთილი ნაყოფები; თავად წმინდა გრიგოლ ხანძთელს, როგორც მონაზონს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტეან მოღვაწეს, ის უმაღლესი სულიერი ნაყოფი აქვს გამოღებული და იმგვარ სულიერ სიმაღლესაა მიღწეული, რომელსაც ასკეტურ ლიტერატურაში ხელთუქმნელი ნათლის ჭვრეტად, განღმრთობად მოიხსენებენ. ქრისტეანული ცხოვრებისა და ღვაწლის ის წესი, რომელსაც ამგვარ სულიერ მდგომარეობამდე შეუძლია მოღვაწის მიყვანა, ისიქაზმად იწოდება. ნაწარმოებში დასტურდება ისიქასტური ღვაწლის პრაქტიკა, მოუკლებელი და ღამით, სრულ სიბნელეში ლოცვა, როგორც საძმოს ცხოვრების წესი. ტექსტშივე დასტურდება წმინდანის განღმრთობა – ხელთუქმნელი ნათლის ხილვა. ჭეშმარიტ ისიქასტად წარმოჩინდება ჩვენ წინაშე

წმინდა გრიგოლ ხანძთელი და გაცილებით ადრე (VIII ს.), ვიდრე ეკლესია თავისი კრებსითი ხმით წმინდა გრიგოლ პალამას მოძღვრებას დოგმატის რანგით განამტკიცებდა (XIV ს.). ეს ნიშნავს, რომ იგი არ იყო უცხო საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის ტრადიციისათვის.

შესწავლილი საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიულ (სამეცნიერო-თეოლოგიურ) დონეზე, არამედ – პრაქტიკული თვალსაზრისითაც: ჩვენს ქვეყანაში არსებული სახელმწიფოებრივი კრიზისიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ ძვირფასი გამოცდილების გაანალიზება, რომელმაც სულიერადაც და პოლიტიკურადაც დიდი საქართველო შექმნა. ეკლესიოლოგიური საკითხების შესწავლამ ეს გამოცდილება გიორგი მერჩულის ნაწარმოებში დაადასტურა.

სამომავლოდ საკვლევ საკითხებად გვესახება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით მონაზვნობის, სულიერი სკოლის, ლიტურგიკული პრაქტიკის, სულიერი იერარქიის, ოჯახის რაობის ეკლესიოლოგიური ხედვა და ანალიზი. ასევე ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიული ძეგლებზე ამ ტიპის კვლევის ჩატარება, ჩვენი ეკლესიის ისტორიის მასშტაბური სურათის საჩვენებლად.



გამოყენებული ლიტერატურა

1. *ასათიანი ქ. წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხსენებები ნათარგმნ ლიტურგიკულ წყაროებში. თბილისი: საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი – მოხსენებათა თეზისები. 2010.*
2. *ბარამიძე რ. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება. თბილისი: „დედაენა“ 2001*
3. *გრიგოლ პალამა. თაბორის ნათლის შესახებ (ნაწილი 1). http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=219%3A-xxxiv-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka 19.04.2019*
4. *გრიგოლ პალამა. ტრიადები საღმრთოდ მდუმარეთა დასაცავად (იღუმენ რაფაელ ხელაშვილის თარგმანი). გურჯაანი: გურჯაანის ყოვლადწმიდის მონასტერი. 2014*
5. *დანელია კ. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (წიგნიდან წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli). თბილისი: არტანუჯი. 2006*
6. *ელერდაშვილი ა. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად). თბილისი: ფანტაზია, 2006, I გამოცემა. (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=71850, 19.04. 2019)*
7 *ემილიანე ვაფიდისი, არქიმანდრიტი. წერილები ათონიდან. ღვთივშემეცნება, ღვთისმსახურება, ღვთივაზროვნება. მთარგმნელი ნინო ბარძიმაშვილი. ალილო. 2019 წ.*
8. *ენციკლოპედიური ლექსიკონი. Civil http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=907. (23.03.2020)*
9. *ეფრემ ვატოპედელი. არქიმანდრიტი. ბერი იოსებ ვატოპედელი – ლოცვის მისტაგოგია. ვატოპედის ,ონასტერი, ათონის მთა. 2021 წ.*
10. *ვლახოსი ი. (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია. ეკა დუღაშვილის თარგმანი. თბილისი: „ახალი ივერონი“. 2008*

11. *ზვიადაძე გ. (დეკანოზი). „სიმდაბლის სათნოების ასახვა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (კრებულიდან ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2002*
12. *ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი: საბჭ. მწერალი. 1954*
13. *იოანე სინელი. „კლემაქსი ანუ კიბე“. ტატიანა ცომაიას ნათარგმნი. თბილისი, ახალი ევერონი. 2014.*
14. *მაღლაფერიძე ვ. „მოძღვრისა და მოწაფის ურთიერთობა გრიგოლ ხანძთლის ცხოვრებაში“ (წიგნიდან: წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli). თბილისი: არტანუჯი. 2006*
15. *მეინდორფი იოანე. წმინდა გროგოლ პალამა და მართლმადიდებლური სულიერება. თ. ბუაძის თარგმანი. სულხან-საბას უნივერსიტეტი. 2020*
16. *ნაცვლიშვილი ი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა (კრებულში უდაბნოთა ქალაქმყოფელი წმინდა გრიგოლ ხანძთელი). გვ. 54-97. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018.*
17. *ნიკოდიმოს მთაწმინდელი. უხილავი ბრძოლა. ეკა დუღაშვილის თარგმანი. თბილისი: „ახალი ივერონი“ 2014*
18. *ონიანი შ. „გიორგი მერჩულეს ცნობა გრიგოლ ხანძთელის საწელიწადო იადგარის შესახებ“ (კრებულიდან ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2002*
19. *რუხაძე, გ. საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2013, II გამოცემა.*
20. *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4414 – 06.02.2020*
21. *სამღვდელო კონდაკი. წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია.*
22. *სირაძე რ. „ღვაწლი გრიგოლ ხანძთელისა“ (წიგნიდან: წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli). თბილისი: არტანუჯი. 2006*

23. სულავა ნ. „გრიგოლ ხანძთელის და აშოტ კურაპალატის სახისმეტყველებისათვის“ (კრებულიდან ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2002.
24. სულავა ნ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ადგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (პროგრამა და თეზისები). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 2017.
25. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=13526 (19.09.2020)
26. ფარულავა გ. ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ (წიგნიდან: წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli). თბილისი: არტანუჯი. 2006.
27. ფარულავა გ. „წმიდა გრიგოლ ხანძთელი“ (კრებულიდან: ნათელი ქრისტესი – საქართველო / The Light of Christ – Georgia / Свет Христов – Грузия). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003. წიგნი 1. (http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Griver-Farulava-grigol-Khandzteli.pdf, – 19.04.2019)
28. ჭელიძე ე. ბიბლია. თბილისი: „ალილო“ და „ქრონიკონი“. 2015.
29. ჯავახიშვილი ი. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“ (წიგნიდან: წმიდა გრიგოლ ხანძთელი. St. Grigol Khandzteli). თბილისი: არტანუჯი. 2006
30. Афанасий Лимасолский. Откритое сердце Церкви. Сретенхкий монастыр. 2016. Г
31. Влахос, И. (Митрополит). Святитель Григорий Палама как святогорец. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2011
32. Георгий, игумен монастыря преподобного Григория. «Православие и гуманизм. Православие и папизм». Святой монастырь преподобного Григория. Св. Гора Афон, 1998, «Панагия» Пермь. 2005
33. Григорий Палама святитель https://azbyka.ru/otechnik/Grigorij-Palama/triady-v-zashhitu-svjashhenno-bezmolvstvujushhih/#0-4
34. Григорий Синаит. Наставления безмолвствующим 7. О прелести... https://azbyka.ru/otechnik/prochee/dobrotoljubie-tom-5/13 (– 11.03.2020)
35. Григорий Синаит. Краткое рассуждение о безмолвии. https://

azbyka.ru/otechnik/Grigorij-Sinait/o-bezmolvii/ (– 11.03.2020)

36. *Давыденков, О. (Протоиерей). Догматисеское богословие. Москва: ПСТГУ. 2013*
37. *Евтич Афанасий. «Пролегомены исихасткой гносеологии». Несколько слов об исихазме вообще. https://azbyka.ru/otechnik/afanasij-evtich/prolegomeny-k-isihastskoj-gnoseologii/ (– 14.03.2020)*
38. *Евтыч, А. (Епископ). ЭККЛЕСИОЛОГИЯ АПОСТОЛА ПАВЛА. Москва: Новоспасский монастырь. 2009*
39. *Ефрем Филофеиски (Старец). „Моя жизнь со старцем Иосифом" Москва: Ахтирски Свято-Троицки монастир. 2012*
40. *Зизиулас, И. (Митрополит). Церковь и евхаристия. Марий Эл: Богородице-сергиева пустынь. 2009*
41. *Ильюнина. Л.А. «Старец Софроний. Ученик преподобного Силуана Афонского», Санкт-Петербург «Искусство России» 2011г.*
42. *Иоанн Златоуст. О священстве. https://azbyka.ru/otechnik/Ioann-Zlatoust/o-svyashenstve/, – 19.04.2019*
43. *Иосиф Дионисиатис, монах. Наставник молитвы Иисусовой. Русская пустыня Новая Фиваида на Афоне. «СИМВОЛИК» 2016*
44. *Иосиф Исихаст (Старец). Полное собрание творений. Москва: Актырский Свято-Троицкий монастырь. 2015*
45. *Кавасила Николай Семь слов о жизни во Христе. https://azbyka.ru/otechnik/Nikolaj-Kavasila/sem-slov-o-gizni-vo-hriste/ – 09.01.2020*
46. *Кавасила Николай. Изъяснение Божественной Литургии. Москва: Сибирская Благозвонница. 2017*
47. *Лопухин А.П. Толковая Библия. https://azbyka.ru/otechnik/Lopuhin/tolkovaja-biblia/ – 19.04.2019*
48. *Лосский В.Н. Очерк мистического богословия восточной церкви. Сергиев Посад: Свято-Троицкая Сергиева лавра. 2010*
49. *Милов, В. (Епископ). Пастырское богословие с аскетикой. Москва: Свято-Троицкая Лавра. 2002*
50. *Неизвестный афонский исихаст. Трезвенное созерцание. Москва: Московское Подворье Свято-Троицкая Сергиева лавра. 2003*
51. *Никодим святогорец Преподобный, Святитель Макарий*

коринфский. Книга душеполезнейшая о непрестанном причашении святых Христовых таин. Москва: Ахтырский Свято-Троицкий монастыр. 2014,

52. *Новиков Н. М. Начало молитвы. Беседы о внутренней жизни. Москва: «Отчии дом». 2015*
53. *Новиков Н. М. Опит двух тисячелтии. Москва: «Отчии дом». 2004. Т.1.*
54. *Паисий Величковский. Крины сельные или цветы прекрасные, собранные вкратце от Божественного Писания. https://azbyka.ru/otechnik/Paisij-Velichkovskij/kriny-selnye/, – 19.04.2019*
55. *Паисий Величковский. Об умной или внутренней молитве. https://azbyka.ru/otechnik/Paisij-Velichkovskij/molitva/ , – 19.04.2019*
56. *Панайотис Неллас. Обожение. Основы и перспективы православной антропологии. Москва «Никея»-2011*
57 *Сахаров Софроний. Преподобный старец Силуан афонский. «Локид-пресс» Москва 2007.*
58. *Свешников, В. (Протоиерей). Нравственное благовестие апостола Павла. Москва: Сретенский монастырь. 2018*
59. *Сержантов, П. Исихастская антропология. Москва: 2010*
60. *Симеон новый богослов. Вожественные гымни. https://azbyka.ru/otechnik/Simeon-Novyj-Bogoslov/gimny/, 19.04.2019*
61. *Симеон новый богослов. Слова преподобного Симеона нового богослова. Москва: Московский Сретенский монастырь. 2006*
62. *Сойкина П. П. ПОЛНЫЙ ПРАВОСЛАВНЫЙ богословский – энциклопедический словарь. Том. 1. https://azbyka.ru/otechnik/Spravochniki/polnyj-pravoslavnyj-bogoslovskij-entsiklopedicheskij-slovar-tom-1/2044 27.08.2020);*
63. *Уер, К. (Митрополит). Сила и емени. https://azbyka.ru/otechnik/Kallist-Uer/sila-imeni/ 19.04.2019*
64. *Уминсий, А. (Протоиерей). Божественная литургия Москва: "Нкея" 2016*
65. *Федченков, В. (Митрополит). Лекции по пастырскому богословию с аскетокой. Москва: Православный Свято-Тихоновский гуманитарный университет. 2006*
66. *ХардингДуглас. Религии мира. Бог трансцендентный и бог*

Имманентный. https://religion.wikireading.ru/136813 27.08.2020)

67. *Экземплярский В. Библейское и Святоотеческое учение о сущности священства. https://azbyka.ru/otechnik/Vasilij-Ekzemplyarskij/biblejskoe-i-svjatootecheskoe-uchenie-o-sushnosti-svjashenstva/, – 19.04.2019*
68. *Эмилиан (Вафидис) Архимандрит Вафидис. Богопознание, Богослужение, Богомыслие. https://azbyka.ru/otechnik/Emilian-Vafidis/bogopoznanie-bogosluzhenie-bogomyslie/ (– 12.03.2020)*
69. *Эмилиан (Вафидис), Архимандрит. Толкование на подвижнические слова аввы Исаии. Александро-невский Ново-Тихвинский женский монастырь. Екатеринбург. 2017*
70. *Эмилиан (Вафидис), Архимандрит. Благодатный путь. Толкование на житие преподобного Нила Калабрийского. Александро-невский Ново-Тихвинский женский монастырь. Екатеринбург. 2018*
71. *Эмилиан (Вафидис), Архимандрит. Слово о трезвении. Александро-невский Ново-Тихвинский женский монастырь. 2020 г.*